თამაზ მეტრეველი

მტკვარწაღებულნი

რომანი

ორადგილიანმა სისხლისფერმა კაბრიოლეტმა ძველ კიროვზე აუხვია და ლეონიძის ქუჩის დასაწყისში გაჩერდა. კოტიკომ თავისი მესამე თაობის მობილური ამოიღო და ზაზასთან ზარი გაუშვა.

_ ჩამო, რა, ერთი წუთით!

_ სად? ჩემთვის გცხელა შენ დღეს? _ ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ზაზას, ამ დროს კოტიკოს სტუმრობა.

კოტიკოს, რომელიც ორმოცს უკაკუნებდა, ნამდვილად არ სცხელოდა ზაზასთვის. საღამოს იმ გრანდიოზულ კონცერტზე, რომლის მენეჯერი, პროდიუსერი და ხელმძღვანელიც თვითონ იყო, მის ქალიშვილს ანუკის, რომელსაც თექვსმეტი წელი უსრულდებოდა და სკოლას ამთავრებდა, სცენაზე, როგორც მომღერალს, დებიუტი ჰქონდა და გარდა კონცერტისა, კოტიკოს შინ მამაპაპური პურმარილიც ჰქონდა. ამ ყველაფერს კოტიკომ მშვენივრად მოაბა თავი, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც მისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ირმამ, რომელთანაც კოტიკოს ძველი სიყვარულობანა აკავშირებდა, დაიჟინა, _ დღეს საღამოს მაგ სუფრაზე მეც უნდა ვიყო, თუ არა და ჩვენს ამბავს მთელ ქალაქს მოვდებო. კოტიკოს, რომელიც ცოლის ოჯახში სიდედრ-სიმამრთან ერთად ცხოვრობდა, რა თქმა უნდა, არაფრით არ სურდა ირმას იმ სუფრაზე წამოჭიმვა, მაგრამ "დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დაიჭერს" და ვერც კოტიკომ გადააფიქრებინა განზრახვა საყვარელს. უარესის მოლოდინში, გადაწყვიტა, თავისი თანაკლასელისთვის, ზაზასთვის, რომელიც მაკასთან ანუ ცოლთან ერთად, სუფრაზე ისედაც იყო დაპატიჟებული, დახმარება ეთხოვა და რადგან იმედი ჰქონდა, მაკა არ გამყიდისო, ირმა მის მეგობრად სურდა გაესაღებინა და მათთან ერთად სწვეოდა წვეულებაზე. ჰოდა, ახლა სწორედ ამის სათქმელად და დასათანხმებლად ეახლა ზაზას.

_ შენს სადარბაზოსთან ვდგავარ, ცოტა დელიკატური საქმე მაქვს, _ უთხრა ზაზას და თავი გააქნია.

_ ამოდი, მერე...

_ არა, რაღაც ისეთი უნდა გთხოვო, ვერ ამოვალ.

_ რა არის, ხომ არ გიჭერენ, ბიჭო?!

ზაზამ იცოდა, რომ კოტეს დიდი გაწამაწია უნდა ჰქონოდა, რადგან თავისუფლების მოედანზე დაგეგმილი კონცერტის ჩატარება სწორედ კოტიკოს ჰქონდა დავალებული და ეს შეკითხვაც ნახევრად ხუმრობით, ნახევრად კი მართლაც, დასასმელი იყო.

_ მიჭერენ კი არა!.. ჩამოდი, რა!

_ მოვდივარ, _ უპასუხა ზაზამ და ყურმილი დადო. ის იყო, კარში გასხლტომას აპირებდა, რომ ცოლის ხმა მოესმა.

_ სად გარბიხარ, ზაზუნი?

_ არსად, ახლავე ამოვალ, _ უპასუხა ზაზამ და კიბეზე დაეშვა.

_ ე! _ რატომღაც დაეჭვდა მაკა და შესამოწმებლად, აივანზე გავიდა.

კოტიკო საჭესთან მშვიდად იჯდა და ზაზას უცდიდა.

_ კოტიკო, _ გადასძახა მაკამ მესამე სართულიდან. კოტემ აიხედა. _ რატომ არ ამოხვედი?

_ არ შემიძლია, ხომ იცი, რა დღე მაქვს, _ ხელები ასწია და გაშალა კოტემ.

ზაზა გამოვიდა, მაშინვე ცოლს ახედა და ხელი აუქნია:

_ შედი, რა, სახლში! _ და კოტიკოს ჩაუჯდა. _ რა ხდება?

_ ისეთი არაფერი. ტელეფონზე ვერ გეტყოდი.

_ ჰო!

_ ანუკი მღერის დღეს, ხომ იცი, პირველად.

_ ვიცი, ხომ მითხარი.

_ ჰოდა, პატარა სუფრა მაქვს. პატარა კი არა, კაი უზარმაზარი.

_ მერე?

_ გადამეკიდა ის ჩემისა, _ გინდა თუ არა, სახლი მაჩვენე და შენი ცოლი გამაცანიო.

_ აესეა, ძმაო, ვარდებს პატარა ეკლები თან მოჰყვება მუდამ... _ ჩაურტყა ზაზამ, რომელმაც კარგად იცოდა კოტიკოსა და ირმას საყვარლობანას ანა-ბანა.

_ მოიცა, რა დროს ეკლებია! მართლა ეკლებზე ვზივარ, ორი წუთიც არა მაქვს, _ მიაყარა კოტიკომ.

_ მერე?

_ რა მერე? ამოიყვან, რა!

_ მე ამოვიყვან? მერე, არ გეშინია, რომ მოგიტეხო?..

_ ვინა, შენ? _ კოტიკომ ჩაიხითხითა. _ შენ კი არა, ბიჭო, ელვის პრესლი რომ გააცოცხლო, ის ვერ მომიტეხავს...

_ ჰო, კაი, მაგრამ მაკას რა ვუთხრა, ე, ვინ არი-მეთქი?!

_ შენს ცოლს სიმართლე უნდა უთხრა _ ვითომ მისი დაქალია. მაკა ჯიგარია, არ გაგვყიდის.

_ შენთვის ჯიგარია და მე მკითხე, ახლა?!

_ ჰა, მოსულა?

_ იცის ირმამ?

_ იცის! ეს შენს მეუღლეს ჩემგან... _ და ცელოფანის ლამაზ პარკში ჩაწყობილი სამი ბოთლი "ქინძმარაული" მიაჩეჩა.

_ ქრთამით მოხვედი? საღოლ! _ გაეცინა ზაზას და მანქანიდან გადავიდა. _ კაი, ჰო, დავაი! დაგირეკავ, ამოსვლის წინ, _ და კარი მიკეტა.

კოტიკომ მანქანა დაძრა, მოატრიალა და გავარდა. ზაზამ თვალი გააყოლა სისხლისფერ კაბრიოლეტს.

_ მაინც გაებმება... _ ჩაიბურტყუნა თავისთვის და სადარბაზოში გაუჩინარდა.

მათ, ვისაც თავისუფლების მოედანზე იმ გრანდიოზული კონცერტის მომზადება ჰქონდათ დავალებული, იმ დღეს უკვე არაქათი მთლიანად ჰქონდათ გამოცლილი და იმის იმედითღა იდგნენ ფეხზე, რომ რაღაც ორ-სამ საათში ყველაფერი უნდა მომთავრებულიყო და, ბოლოს და ბოლოს, დასვენებაც ეღირსებოდათ. მართლაც, ყველაფერი მზად იყო: ერთჯერადი სცენაც, მხატვრული განათებაც და ფეიერვერკის "მხიარული" მაშხალებიც. არც სოლისტებს და ანსამბლებს დაუგვიანიათ და სანამ როკვას და ლამის ასიათასჯერ ნამღერ და გადაღეჭილ რეპერტუარს ისევ ჩაარაკრაკებდნენ, ჩვეულებრივი ლაზღანდარობით და კონცერტის წინ ოდნავ დაძაბული მოლოდინით ერთობოდნენ.

მოსაღამოვდა თუ არა, რუსთაველის გამზირი მოზიზინე, მოფუტფუტე, უკიდეგანო ბრბომ გაავსო, რომლის ძირითად ბირთვს ოცდახუთ წლამდე ასაკის, გაყოყლოჩინებული პროვინციელი ბიჭ-ბუჭობა წარმოადგენდა. კონცერტამდე თუმცა მთელი საათი კიდევ იყო, მაყურებლებს მოედანი უკვე გადაეჭედათ და რუსთაველიც კი გაევსოთ. დადიოდნენ და ისე გადასძახოდნენ ერთმანეთს, როგორც სოფლის ორღობეში თუ რიყიდან რიყეში, ეს უგვანოდ, უგემოვნოდ, "სეკონდჰენდებში" გროშებად ნაყიდ ჯინსებსა და მაისურებში "ჩაყუდებული" ტროყა-ტროყა ბიჭობა და "ქალობა". იყვნენ ერთ კოცნა-პროშნასა და სიცილ-ხარხარში...

გოჩას ყველა, ბებიამისივით, გოჩუნას ეძახდა. ის ბებოსთან ერთად, სოლოლაკში, უზარმაზარი, შემორკალული, მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა და იმ დილას წარმოდგენაც არ ჰქონდა, საღამოს "პატარა ამურებს" რომ უნდა ჩავარდნოდა ხელთ და მთელი მისი შემდგომი ხანმოკლე ცხოვრება ჯოჯოხეთის გავარვარებულ კუპრის ქვაბს რომ უნდა დამსგავსებოდა. იმ სახლში გოჩუნას და იათოს ერთი პატარა ოთახი ჰქონდათ, პატარა შუშაბანდით. კი, ერთ დროს გოჩუნას მშობლებს სახლიც ჰქონიათ და კარიც, მაგრამ იმ საბედისწერო ავტოკატასტროფის შემდეგ, რომელმაც გოჩას დედ-მამა იმსხვერპლა და იათო სამუდამო ინვალიდად აქცია, თავი რომ გადაერჩინათ, ის სახლ-კარი გაყიდეს და ამ პატარა ბუდეს შეეხიზნნენ. ეს მაშინ იყო, როცა ქვეყანა აირია. გოჩუნა მაშინ ძალიან პატარა იყო, მშობლებს მხოლოდ სურათებით იცნობდა. ბებია კი მუდამ ასეთი ახსოვდა _ თავის "კალიასკაში" ჩაფლული და მუდამ ხალისიანი, მუდამ ხუმრობისა და სიცილის ხასიათზე მყოფი. იათოს ხასიათი ჰქონდა ასეთი და თავის მძიმე ყოფას ეს ხასიათი უმსუბუქებდა.

როგორც კი ათი კლასი დაამთავრა, გოჩამ საიდანღაც მეტალის ასაწყობი ფარეხი მოათრია და ეზოში, თავისი ბინის წინ ძმაკაცებთან ერთად ააწყო. არ გასულა ბევრი დრო, რომ მთელი ეზო ლამის ფარეხებად იქცა. რა თქმა უნდა, უმეტესობამ კაპიტალური ფარეხი ჩადგა. გოჩუნამ თავისი მეტალით, ფარეხში პატარა ლამაზი მანქანის აწყობას მიჰყო ხელი, "სამადელკასი", რა თქმა უნდა. მას პატარა სახარატო დაზგაც კი ჰქონდა, რომელიც ასევე საკუთარი ხელით ააწყო და ელექროშედუღებასაც ახერხებდა. მათ ეზოში კი იმდენი მანქანა ეტეოდა, პატარ-პატარა საქმე მუდამ ჰქონდა. იქაურებს მისთვის ფული არ ენანებოდათ და გოჩუნამ და ბებიამისმა ცოტა სული მოითქვეს. გოჩუნას ბავშვობიდანვე ჩხირკედელაობა უყვარდა და იათოსთვის სახლიდან ფარეხში, მხოლოდ ერთიმეორესთან სალაპარაკოდ, ტელეფონიც კი გაიყვანა, რადგანაც ბებიამისს ხელის წაშველება წარამარა სჭირდებოდა. თუმცა იათო იმ პატარა ოთახსა და შუშაბანდში თავისი ეტლით კარგი "გონშჩიკივით" დაქროდა. გოჩუნა ამ შრომასა და მეზობელ კაცებთან ურთიერთობაში უცებ ისე გამოიწრთო, თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ სწრაფად აიყარა ტანი, მშვენიერ, მაღალ, შოლტივით ბიჭად იქცა და ცალი ფეხი კაცობაში გადადგა.

იმ დილას, ადგა თუ არა და "იათოს ამბები" მოიცილა, გოჩუნამ, თავისი "კლუჩებით", ელიავას ბაზრობაზე, მანქანების "სასაფლაოსკენ" გასწია. ერთი დაშლილი "ფიატ-პუნტოს" რადიატორი მოეწონა, ჩახსნა და ალაყაფთან მიათრია.

ბეგო, რომელიც იმ მიდამოების დარაჯი ანუ ბატონ-პატრონი იყო, გოჩუნას ირონიულად უმზერდა და ტუჩებში ეღიმებოდა.

_ გოჩა, რად გინდა, ამ ჯართს რომ მიათრევ? ეგ რომ რამედ ვარგოდეს, შენ ვინ დაგიტოვებდა?

_ კაი, რა, ბეგო, შენ სულ ჭკუა უნდა მარიგო კიდევ?! _ ეწყინა გოჩუნას.

_ ვა, დღეს რა ყველა ხმალზე ხელს ივლებს!.. გეუბნები, არ გამოგადგება-მეთქი და ახლა შენ როგორც გინდოდეს, ძმაო, _ ხელი გაიქნია ბეგომ.

_ რამდენი უნდა? _ შეეკითხა გოჩუნა.

_ რავი, რაც გაგიხარდება... სამი. გინდა, ორი ლარი... თუ არა გაქ, ფეშქაში იყოს, ძმაო!

_ ვა, შენ რა "დობრი" ხარ დღეს, რაშია საქმე?

_ ე, ეს შენთანა ვარ, გოჩა, "დობრი", თორემ, ამ რადიატორში?.. ბევრს ათ ლარადაც არ გავატანდი. ჰო, ასეა, "ბრატ", რასაც დასთეს, იმას მოიმკი, მაშა!

გოჩუნამ ფული ამოიღო, მაგრამ ბეგომ არ გამოართვა.

_ მოდი, კარგ სიტყვას გეტყვი: ჩაიდე ეგ ფული უკან. წაიღე. გამოგადგება? ალალი იყოს. შენთან არ დამეკარგება. არ გამოგადგება?.. უკან მოიტან და ჩვენ მოუვლით. მოსულა?

_ ჯიგარი ხარ, ბეგო, "ჰაილ"! _ ხელი აუწია გოჩუნამ.

_ "ჰაილ", ძმაო, "ჰაილ"! _ დაადევნა ბეგომ.

გოჩუნა მთელ დღეს იმ რადიატორს ეჩალიჩებოდა. გაწმინდა, გააკრიალა... მაგრამ წყალს მაინც ღვრიდა. უკვე ღამდებოდა, იათომ რომ დაურეკა.

_ რა გინდა, ბებო? _ ყურმილი აიღო გოჩუნამ.

_ პატარავ, ჩემი მოთმინების ფიალა პირამდე გალიცლიცებულია, სადაცაა, გადმოიღვრება...

_ ბებო, მაცალე სულ ორი წუთი...

_ ზუსტად ცხრა საათი და ცხრამეტი წუთია, ქუჩაში ხარ... იცოდე, ნახევარ წუთსაც გაძლევ და მერე გაგებუტები.

_ კარგი.

_ რას აკეთებ, რომ?

_ რადიატორს, _ თავი მოიფხანა გაზეთილი ხელით გოჩუნამ.

_ ახალია?

_ კი, აბა!.. დამიხატავდნენ ახალს...

_ კარგი, გიცდი.

_ ჰო, _ მიუგო გოჩუნამ და ყურმილი დაკიდა.

_ ვა, სიმონ, ახალი რადიატორი დაირტყი? _ გოჩუნას ჭილაია წამოადგა თავს.

_ ჰო, _ თავიც არ აუწევია გოჩუნას, ისე უპასუხა.

_ არ მოდიხარ, ტო? ყველანი მზადა ვართ.

_ ერთი, ათი წუთი კიდევ მინდა, წყალს გადავივლებ და გამოვალ, _ უპასუხა გოჩუნამ და გაზის ბალონის კორპუსზე მიმაგრებული "შნური" ჩამრთველში შეაერთა.

_ ოო, ვიცი, რა, შენი ათი წუთი... მაშინ, ჩვენ წავალთ და შენ როცა გინდა, მაშინ წამოდი. პირდაპირ სცენის წინ ვიდგებით, კაი?

_ კაი, _ დაეთანხმა გოჩუნა, ჭილაიას და ტანზე გაიძრო.

გოჩუნას "სამადელკა" "თერმექსი" ჰქონდა: გაზის დიდი ბალონი გადააკეთა და ჩამოკიდა. მიაერთებდა დენს და წუთში თბილი წყალი წამოვიდოდა. ფარეხში, რა თქმა უნდა, "ლევი" დენი ჰქონდა და ეზოს მთელი ბიჭ-ბუჭობა ლამის მასთან ჭყუმპალაობდა და იღვრიჭებოდა. ის კი არა, ზოგჯერ გოგოებსაც უშვებდა შიგნით, საიდუმლოდ.

გოჩუნამ წყალი გადაივლო, ტანი გაიმშრალა, ჩაიცვა, ფარეხიდან გამოვიდა, დაკეტა და სახლში შევიდა.

იათოს "კალიასკა" ოთახის იმ კუთხესთან მიეგორებინა, რომელზეც მთელი მისი ფოტოების გალერეა ეკიდა. ყველაზე დიდ ფოტოზე იათო კარმენის როლში იყო აღბეჭდილი. ბულულა, მთასავით "პრიჩოსკით" და ზედ წვერზე, დიდი შავი ბაფთით. ჩინური, ძველი სპილოს ძვლის ტარიანი მარაოთი ხელში ის ამაყად უმზერდა ოთახში შემოსულ, დაღლილი სახითა და ირონიით მაცქერალ გოჩუნას...

_ შენ ისევ კარმენი ხარ, იათო?.. აღარ შემიძლია ეს დონხოზეობა, რა!.. ნუ მომაკვლევინებ ელენიკოს, რა, ძალიან გთხოვ...

ელენიკო მათი ბინის მოპირდაპირედ, მეორე სართულზე ცხოვრობდა და გოჩუნაზე დაახლოებით, თხუთმეტი წლით უფროსი მაინც იყო. გოჩუნას ხშირად უწევდა, გასაშრობად გაფენილი მისი ლიფებისა და აბრეშუმის ჭრელ-ჭრელი ბიკინების ყურება. გამოხედვა ჰქონდა ელენიკოს!.. გპირდებოდა, მაგრამ არ გისრულებდა. იყო ერთი გარჩევა და ჭორიკანობა "მალალეტკებში" _ ქალიშვილი იყო თუ არა ელენიკო. მაგრამ ვინ იცის, რა საიდუმლოს მალავენ ქალები?!.

მოკლედ, იათომ კარმენის არია ჩაიღიღინა.

გოჩუნამ მაგნიტოფონის ღილაკს თითი ჩაჰკრა და იათოს ღიღინი დონ ხოზეს ტენორმა გადაფარა.

სანამ მაგნიტოფონში ოპერა დასრულდებოდა, გოჩუნამ გამოაგორა ოთხთვალა, რომელიც გასარეცხი ჭურჭლით იყო სავსე და სამზარეულოში შეაგორა. ჭურჭელი ნიჟარაში ჩაყარა და ორი ყავა მოადუღა.

როცა გოჩუნა ფინჯნებით ხელში ოთახში დაბრუნდა, დონ ხოზეს თავისი სისხლიანი არია უკვე მოემთავრებინა და თავგადაგდებული იათო მკვდარივით გაშეშებულიყო

თავის სამუდამო სავარძელში. მარაო, რა თქმა უნდა, დაბლა ეგდო, ხელში კი ირანული ბებუთი ეჭირა, რომელიც თითქოს გულიდან ამოეძრო.

_ ო, არა, არა! _ თეატრალურად შეჰკივლა გოჩუნამ, ყავიანი ფინჯნები ფრთხილად დადგა მაგიდაზე და იათოსთან მიირბინა. მოჰკიდა თუ არა ხელი დანას, იათომ მკვდარივით ჩამოაგდო მკლავი. გოჩუნამ კი დანის პირს დახედა. _ სისხლი? ო, არა, არა!

იათო იმწამს გაცოცხლდა.

_ შენ იცი, მაგ "არა-არას" როგორ ამბობ?.. ზუსტად ისე, როგორც ვერიკო ანჯაფარიძე. "ო, არა, არა!"

_ მაშ, შენ ნამდვილი დონ ხოზე გგონივარ, გვარდიელების უფროსი? თუ ესკამილიო, ხარების რისხვა? ქათმისთვის არ გამომიჭრია ჩემს დღეში ყელი, ხომ იცი, არა?

_ მე კი ძალზე ხშირად მესიზმრება, რომ კარმენი ვარ და მე კი არ მკლავს დონ ხოზე, პირიქით _ ვითომ ხოზე და ესკამილიო კლავენ ერთმანეთს ჩემ გამო.

_ მერე? _ შეეკითხა გოჩუნა და ყავის ჭიქა მიუჩოჩა.

_ მერე? შენ იცი, ერთხელ რა მოხდა?.. საწყალი პაპაშენი დარბაზში ზის, პრემიერას ვთამაშობთ, კარმენი ვარ... ოპერაში ასეთი რამ არასდროს მომხდარა. ხოზეც და ესკამილიოც _ ყველასათვის საყვარელი ტენორი გუჯა დგებუაძე და ბარიტონი ნოდარ სულთანიშვილი ისეთი დაჟეჟილები მობრძანდნენ, ერთი კოჭლობს, მეორეს კიდევ, ხელი აქვს თაბაშირში ჩასმული... თან, არ არსებობს, რომელიმემ სიყვარულის ახსნა გამიბედოს... იცი, მაშინ ძალიან მოდაში იყო პლატონური სიყვარული...

_ ეგ რომელი, ტო? შენ რომ გიყვარს და პლატონა რომ ჟიმავს, ხომ?..

_ ეგ ახლაა, ქალის ხორცი ჩალის ფასად რომ იქცა, თორემ ჯერ კიდევ როდის თქვა რუსთველმა _ "ოდეს ტურფა გაიაფდეს", _ ხომ გახსოვს?

_ იაფი? რა იაფი, ტო?! ჩემი დულსინეა, მგონი, მილიარდადაც ვერ ვიყიდო... ჰო, ვიფიქრე, კინოში დავპატიჟებ-მეთქი და ისეთი ცივი უარი მტკიცა... ჰო, იცი, რა მითხრა?

_ არა.

_ მეო, შენაო აი, როგორც პატარა მაიმუნიო, ტო, აი, როგორც მაკაკაო, ისე მიყვარხარო... ვგავარ, ტო, იათო, მე მაკაკას?!.

_ შესახედაობით თუ ხასიათით?

_ შენ როგორ ფიქრობ, რომლით უფრო მაგრად ვგავარ _ შესახედაობით თუ ხასიათით?

_ შესახედაობით უფრო როზალიას უნდა ჰგავდე და ხასიათით კი, ალბათ, მაკაკას.

_ ეგ როზა და ლია ვინღა არიან?

_ როზალიაც პატარა მაიმუნია, ლურჯცხვირა. იცი, ეგ სულაც არ არის საწყენი, იმიტომ, რომ მაიმუნები ადამიანისნაირთა ოჯახს განეკუთვნებიან.

_ ჰო, ეგ რა საწყენია? დღეს ათი კაციდან ცხრა ისედაც მაიმუნია. მე ისა მწყინს, ტო, ყველაფერზე "არა"-ს რომ ამბობს.

_ არ დაუჯერო, არა! რაც უფრო შეყვარებულია ქალი, მით უფრო უკუღმართ პასუხს უნდა ელოდო მისგან. ჰო, ჰო, მაგათი "არა" "ჰოს" ნიშნავს, "ჰო" კი _ "არას". დაიმახსოვრე ეს ჩემგან...

_ ეგ როდის იყო, იცი, იათო? როცა შენ, უხსოვარ დროში, ბიზეს ოპერაში კარმენის არიას გაჰკიოდი და პლატონაზე შეყვარებული შენი დებილი პარტნიორები ერთმანეთს თავპირს უსისხლიანებდნენ... დღეს კი საკმარისია შეგეშალოს, ოდნავ სხვანაირად შეხედო ქალს და იმწუთას იხდიან და წვებიან, ტო!.. ქუჩაში, სცენაზე, მოედანზე... ყველგან, ყველგან...

_ იცი, გოჩუნა, ზოგჯერ ვფიქრობ, მაგას რომ არ მოსწრებოდნენ ჩემი გოგო და სიძე, სწორედ მაგიტომ მოხვდნენ ავტოკატასტროფაში... და მეც მაგიტომ წამერთვა მაშინ ფეხები... იცი, მე მჯერა, რომ ისინი ცაში გაფრინდნენ... აი, თქვენ კი, ვინც ამ სულიერ წარღვნაში მოხვდით... ნუ გეწყინება და ზეცაში ვერც ერთი ვერ გაფრინდებით.

_ ჰო, ჰო... მჯერა, მჯერა... მართალია, ფეხები არ გაქვს, შენ ახლაც ზეცაში დაფრინავ, იათო...

როცა ჟელეთი თმაგაგლესილი გოჩუნა რუსთაველზე მოგლიჯინე და მოზიმზიმე ხალხს შეერია, კონცერტი უკვე დაწყებული იყო. გოჩუნაც გზას ლამის მუჯლუგუნებით იკვლევდა, რომ როგორმე მეგობრებამდე მიეღწია.

_ მაგარი ქაჯმაჯუნები მღერიან, იცი? _ ჩააწვეთა მაშინვე ჭილაიამ, როგორც კი გოჩუნამ მიაგნო და გვერდით ამოუდგა. წინ მდგომმა გიგომ და კაენამაც მიიხედეს და ხელი ხელზე დაუკრეს. ისინი პირველ მწკრივში ზედ სცენაზე იყვნენ მიჭყლეტილები და სიგარეტს ახრჩოლებდნენ. მათ სწორედ ის ასაკი ჰქონდათ, როდესაც ბიჭები დიდებს თამაშობენ.

_ ერთიც არა ჰყავთ, რა, ნორმალური! _ თავი მოაბრუნა კაენამ.

_ კნავიან, _ დააზუსტა გიგომ.

_ პირველად ქართულ ესტრადაზე, მომავალი ვარსკვლავი _ ანი მესხი. დატკბით მისი ხმით და შეიყვარეთ! ანიიი მესხი!!! _ მოსხიპა ბენდენაწკრულმა კონფერანსიე ვაჟმა და ხელი კულისებისკენ გაიშვირა.

ბენდმა ახალი მუსიკა შეუბერა და ბიჭებიც მომღერლის გამოჩენის მოლოდინში გაყუჩდნენ.

მაღალქუსლიან მაღალქუსლიანებზე შემდგარი ანუკი ფრთხილი ნაბიჯებით წამოვიდა.

_ აუუუუ! _ გადაუარა მოედანს მაყურებლის ამოგმინვამ.

მაღალი, ლამაზი, მშვენიერი გოგონა მიკროფონთან გაჩერდა, ხალხს თავისი დიდრონი შავი თვალები მოატარა და რატომღაც, ქვედა კბილებით ზედა ტუჩი მოიკვნიტა. მოკლე, ძალიან მოკლე ქვედაბოლო და მოშიშვლებული მკერდი და ზურგი მის ეროტიკულ მონაცემებს ერთიათად აძლიერებდა და გადარეული ბიჭების სტვენა და ბღავილი ცას შეასკდა... ანუკიმ მაყურებელს თავი დაუქნია, რაღაც მადლობის მაგვარი გამოუვიდა და პირველი ბგერებიც გაისმა. ბრბო უცბად გაისუსა. გოგონას ლირიკულმა "კოლორატურამ" ცხელი, ზაფხულის ხვატით გაჯერებული თბილისის ჰაერი გაკვეთა, დაიკლაკნა და "ქორთიან-მარიოტის" კედლებს ყინულივით "მიემსხვრა". მაყურებელს პატარა ყიჟინა ისევ აღმოხდა და ჰაერში გაიფანტა. გოგონა მღეროდა, თვალდახუჭული და შთაგონებული.

გოჩუნას აღარაფერი ესმოდა. არც ის, რაზე მღეროდა ანუკი, არც ვისზე და არც როგორ მღეროდა. ის გაოგნებული და პირდაღებული შესცქეროდა ქვემოდან, ლამის ხელის გაწვდენაზე მდგარი დებიუტანტის მარმარილოსავით კრიალა სხეულს და ისეთი უიმედო, მწველი და მხურვალე ცეცხლი შემოჰგზნებოდა, როგორიც მხოლოდ ოცი წლის შეყვარებულს შეიძლება შემოენთოს. ცეცხლი, რომელიც თავის გარშემო ყველაფერს ერთიანად წვავს, ბუგავს და ფერფლად აქცევს.

ბენდი ბოლო აკორდებს აჩუქურთმებდა, როცა გოჩუნა ერთი წამით გამოერკვა და დაბნეულმა და სასოწარკვეთილმა აქეთ-იქით მიმოიხედა. იქვე ვიღაც ქალს _ ვინ იცის, მომღერლის ახლობელს... _ დიდი გრძელყლორტებიანი ხასხასა ვარდების თაიგული ეჭირა და თითქოს ესტრადაზე ასროლას ლამობდა. გოჩუნამ უცბად გადათელა გვერდით მყოფნი, ქალს ვარდების თაიგული ხელიდან გამოჰგლიჯა, წინ მდგომებშიც როგორღაც გაძვრა და ხელების ტანვარჯიშული არეკნით, ესტრადის ფიცარნაგზე ვარდებიანად სწორედ მაშინ ახტა, როცა მომღერლის ხმითა და სიმღერით მოხიბლული ჭრელი აუდიტორია სტვენით, ყიჟინითა და ტაშით აჯილდოებდა სახეგაბრწყინებულ ანუკის. გოჩუნამ ვარდები მიაჩეჩა და მისი სილამაზით მონუსხულმა კოცნაც კი დაუპირა. მაგრამ _ ნურას უკაცრავად! ანუკიმ შუბლი შეკრა, განცვიფრებულმა უკან დაიხია და გოჩუნას საკოცნელად გამზადებული ტუჩები ჰაერში ობლად გამოეკიდა. მაყურებელმა კი ამის დანახვაზე ისე იხუვლა, რომ გოჩუნა შეკრთა. ერთი წამით, ვაჟისა და ქალის თვალები ერთმანეთს შეეფეთა... შეეფეთა და, თითქოს მათმა ტვინებმა ფოტოები გადაუღესო ერთმანეთს, _ სამუდამოდ ჩაებეჭდათ ერთმანეთის სახეები მეხსიერებაში. მერე კი დებიუტანტს ყვავილებიანი ახლობლები მიესივნენ და გოჩუნაც მაყურებლისკენ

მიტრიალდა, ესტრადიდან ცოცხლად ჩამოხტა და ბიჭებთან მიქანდა. ვიღას ახსოვდა ათი წლით უფროსი ელენიკო?!. გოჩუნა ახალი, ამოუცნობი, უცხო, მწველი სიყვარულის ალში გახვეულიყო და მთლიანად, თმიან-ფრჩხილიანად, ანუკი მესხის საკუთრებას წარმოადგენდა. იცოდა ეს ანუკიმ, ვითომ?.. რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ძალიან მალე რომ შეიტყობდა, ეს ცხადზეცხადი იყო.

_ რაო, არ გაკოცნინა?.. _ კვდებოდნენ სიცილით ბიჭები და "ახალგამოჩეკილ" შეყვარებულს ბეჭებზე ხელს უტყაპუნებდნენ, რომლის თავშიც ანუკის ცეცხლოვანი თაფლისფერი თვალები და ხორბლისფერი სხეულის რიტმული რხევა ჯერაც არ გამქრალიყო.

...ვერც მიხვდა, ბიჭები რას ეუბნებოდნენ, მისგან რა უნდოდათ, მოსწყდა ადგილიდან და უეცრად ესტრადის იმ კუთხისკენ გავარდა, საიდანაც, მისი აზრით, ანუკი მესხი უნდა ჩამოსულიყო.

მართლაც, მიუსწრო. გოგონას კიბესთან, როგორც ჩანს, თავისი ახლობლები დახვდნენ. კოცნიდნენ, ულოცავდნენ და ზევით, მერიისკენ მიდიოდნენ. გოჩუნა სულ არ ელოდა, მაგრამ ანუკიმ ნამდვილად მოიხედა, თან _ თითქოს სწორედ მას ეძებდაო _ შეხვდა თუ არა მათი თვალები ერთხელ კიდევ ერთმანეთს, ანუკიმ გაუღიმა. ჰო, ნამდვილად გაუღიმა!.. მერე კი გოჩუნა მხოლოდ მის მოშიშვლებულ ზურგსღა ხედავდა, სანამ ანუკი და მისი ახლობლები თეთრი "ფორდის" სალონში გაუჩინარდებოდნენ.

გოჩუნას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას აკეთებდა ან რატომ მისდევდა ასე გამწარებული, სოლოლაკის ვიწრო მისახვევ-მოსახვევებში თეთრ, ახალთახალ, გაკრიალებულ "ფორდს"...

_ ვინ არის, ნეტავ, ეს გიჟი?.. მგონი, ჩვენ მოგვდევს, _ ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა ოთარმა _ კოტიკოს ანუ ანუკის მამის მძღოლმა, რომელიც სარკეში ხედავდა, თუ როგორ თავგადაკლული მისდევდა მათ მანქანას ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი... უკანა სავარძელში მიჭყუნულ ბედნიერ ანუკის, მძღოლის ნათქვამი არ გაუგონია, თორემ აუცილებლად მიატრიალებდა თავს და ალბათ დაინახავდა კიდეც, ვინ მისდევდა მათ მანქანას. მძღოლი კი სარკეში ბიჭს თვალს არ აცილებდა. სიჩქარეს უმატა და ხედავდა, როგორ იზრდებოდა მანძილი მათსა და მდევარს შორის.

გოჩუნამ სოლოლაკიდან ვაკისკენ მიმავალი გზის აღმართებს ვეღარ გაუძლო, ჩამორჩა და მალე მანქანა თვალს მიეფარა. ვაჟი გაჩერდა, სული მოითქვა. მაგრამ ისეთი სიცარიელე იგრძნო, თითქოს მთელი გავლილი ცხოვრება დაკარგაო. ახლაღა გაიაზრა, რომ მანქანას მისდევდა, მანქანას, რომელსაც ვერაფრით ვეღარ დაეწეოდა, რომელმაც მისი სატრფო გაიტაცა და ვინ იცის, სად, ვისთან წაიყვანა...

გოჩუნა უკან ისევ სირბილით დაეშვა, _ ეგებ, ბიჭებს მივუსწრო და ვინმემ იცოდეს კიდეც, ვინაა ან სად სწავლობსო?.. მირბოდა გოჩუნა კისრისტეხით და ისეთი უიმედობით, რომელმაც ეჭვის ჭიასავით, გულ-ღვიძლის გამოხრა იცის: ვინ იცის, ვისია, ვის ხელში ოხრავს და კვნესის, ვისი ტუჩებიდან სვამს სიყვარულის ნექტარს და ვის მკერდზე სძინავს ტკბილად და ნებიერადო?!. მორბოდა. ლამაზად შეღებილი, განათებული სატელევიზიო ანძა დაჰყურებდა თავს და თანამედროვე ზიზილ-პიპილოებით მორთული მაღაზიების ვიტრინები მიაცილებდა.

როცა თავისუფლების მოედანს მიაღწია, კონცერტი ჯერ არ იყო დამთავრებული, მაგრამ ბიჭები აღარ დახვდნენ, აორთქლებულიყვნენ. გოჩუნამ ვიღაც ტიპს მობილური ერთი წუთით სთხოვა და ჭილაიას "დაუზარა".

_ სად წახვედი, შე ჩემა? საკაიფო პონტია, მაგარი ნაშებით და შამპო-შოკოთი. კაენას აგარაკზე ვართ წყნეთში, არ ამოხვალ? _ ჰკითხა ჭილამ.

გოჩუნამ მობილური გათიშა, ტუჩი მოიკვნიტა, იმ ტიპს მადლობა გადაუხადა და სახლში გავარდა.

დარბაზი, სადაც ანუკის სადებიუტოდ, მდიდრული სუფრა იყო გაშლილი, ყველაფრით, აბსოლუტურად ყველაფრით _ დიზაინით ანუ კედლებისა და ჭერის, მოვარაყებულ-მოჩუქურთმებული კარნიზებითა თუ საღებავების ნაზი, ერთმანეთში

გარდამავალი გემოვნებიანი ფერებით, ავეჯითა თუ სუფრის სერვიზით _ ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს მოგაგონებდათ. კი, იყო სუფრაზე მხიარული განწყობილება, მოკითხვები და ლოყების ხახუნი, მაგრამ არა აღტაცებული დითირამბები და ქება-დიდება. იმიტომ, რომ იქ ყველა ერთმანეთს კარგად იცნობდა და უფრო, ძმაბიჭური თვალის ჩაკვრა და ურთიერთგაგება ჭარბობდა. არც თამადას შემოჰკლებია სიტყვა-პასუხი თუ სადღეგრძელო და სუფრაც ჩვენებური ადათ-წესით მიდიოდა. ანუკიც ლამაზად ადღეგრძელეს, მიულოცეს და მომავალი კარიერაც დაულოცეს. რა თქმა უნდა, თამადას არც ის დავიწყებია, რომ სიმღერასა და ცეკვას თავისი ადგილი აქვს, მაგრამ ოჯახი მაინც პირველია და ისეთი მშვენიერი გოგონასთვის, როგორიც ანუკია, როგორც არ უნდა გაუმართლოს ესტრადაზე, მაინც აუცილებელია გათხოვება...

როცა ზაზამ ცოლს კოტიკოს დანაბარები ამცნო, _ ჩვენთან ერთად ირმაც მოდის წვეულებაზეო, _ მაკამ ისეთი გაუშალა და ლეწა ყბაში!.. _ იმ ბოზანდარას როგორ გამატოლეო?!. ზაზა კი არ დაიბნა მხოლოდ, არამედ მაგრად მოიშალა და, _ წადი, შენიცო! _ მიაგინა და კოტიკოსთან უცოლოდ წავიდა. და, რა თქმა უნდა, როგორც მეგობარმა სთხოვა, ირმაც ანუ კოტიკოს საყვარელიც გაიყოლა. ორივენი ანუ ზაზა და ირმა ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, ერთ დროს ერთ ანსამბლშიც კი ცეკვავდნენ. კოტიკოს ზაზასთან, რა თქმა უნდა, მოყოლილიც ჰქონდა და დაწვრილებითაც აღწერილი მისი და ირმას პირველი ჟიმაობის შესახებ. ისიც იცოდა ზაზამ, რომ ირმას მარჯვენა ძუძუს ძირში ძალიან ლამაზი ხალი ჰქონდა. მაგრამ თუ ირმა წვეულებაზე ამ ხალის გამოსაჩენად, ზონრიანი ტოპიკით წამობრძანდებოდა და ძუძუებს ხალხს ლამის, ვარდისფერყვავილებიან სასადილო თეფშეფზე დაუწყობდა, ამას ნამდვილად ვერ იფიქრებდა. კაცები რას ჰკარგავდნენ, მაგრამ მათი მეორე ნახევრები, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულები უმზერდნენ ირმას გულისპირს და ქმრებს, ირმას მისამართით, როგორც წესი, მრავალ დამამცირებელ ქათინაურსაც აწვეთებდნენ. მიუხედავად ამისა, შეთვრნენ თუ არა და როიალის სიმებიც ააჟღერეს, როგორც ჩვენშია მიღებული, ირმაზე ისეთი ტაციაობა გაჩაღდა, კოტიკოს ხანჯალი რომ ჰკეთებოდა ქამარზე, ნამდვილად ვინმეს მოკლავდა.

_ რატომ მოგვითრია ეს "სტრიპტიზიორშა" ამ ვაჟბატონმა?! მაკამ იცის, ეს ამბავი? _ ზიზღნარევი კილოთი გადაულაპარაკა კოტიკოს ნინიკომ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს მაღალი ლამაზი ქალბატონი ანუ ირმა ნადარაია, ზაზასი კი არა, სწორედ მისი ქმრის საყვარელი იყო.

_ არა მგონია, _ მხრები აიჩეჩა უცოდველივით, კოტიკომ. _ რა გინდა, რას გიშავებს?.. მაკას არ ეცალა და ზაზასაც, ეტყობა, დაეზარა მარტოს წამოსვლა.

_ მაკას არ ეცალა?! ახლავე დავაზუსტებ! _ ნინიკომ გვერდით დადებული მობილური აიღო და დაქალთან ანუ მაკასთან, ზაზას ცოლთან გაუშვა ზარი.

მაკამ ნომერი ამოიცნო. ღილაკს თითი კი დააჭირა, მაგრამ არაფერი უპასუხია.

_ მაკა!.. ალო!

_ ჰო, _ უპასუხა მაკამ.

_ მაკა, მისმენ?

_ ჰო, _ ისევ ცივად უპასუხა მაკამ.

_ რა გჭირს, გოგო, რატომ არ გამოჰყევი შენს ქმარს?

_ ასე იყო საჭირო, _ ისევ ცივად უპასუხა მაკამ.

_ თქვენ რა, იჩხუბეთ?

_ ჰო, _ უპასუხა მაკამ.

_ მერე, იცი, ვისთან ერთად გვესტუმრა? _ განაგრძო ნინიკომ, რაზედაც კოტიკო მაგრად შეაჟრჟოლა, მაგრამ პატარა იმედი მაინც უბჟუტავდა და ყურის გდება განაგრძო, თუმცა მხოლოდ ცოლის ნათქვამს იჭერდა.

_ ვიცი, _ უპასუხა მაკამ ნინიკოს.

_ მერე? _ გაუკვირდა ნინიკოს.

_ გეტყოდი, მაგრამ გეწყინება.

_ რა? _ ვერ მიუხვდა ნინიკო.

_ რა და მამიდაზე როა ნათქვამი, მამიდაზე!..

_ მაინც მეწყინა, _ თქვა ნინიკომ და მობილური გამორთო.

_ რაო? _ მაგრად აინტერესებდა კოტიკოს, მაკას ნათქვამი.

_ ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო, _ მხრები აიჩეჩა ნინიკომ.

_ სწორია, _ ეამა კოტიკოს. _ რა ჩვენი საქმეა, ვისთან ერთად მოვა ზაზა?!

_ არა, აქ რაღაც ძაღლის თავია დამარხული, _ ჩაილაპარაკა ნინიკომ და ქმარს გამომცდელად შეხედა.

_ მოიცა, რა!.. რა ძაღლის თავი, რის ძაღლის თავი?! ცოლი არ წამოჰყვა და დაქალი მოიყოლა. არ გახსოვს, ახალგაზრდობაში მთელი შპანა აგვყავდა დაბადების დღეზე.

არა, კოტიკო იმას როგორ წარმოიდგენდა, თუ მაკა ასე გასწირავდა, ზაზას ცოლი, მაგარი ჯიგარი და გულიანი!..

_ მოიცა, მოიცა, _ გააჩუმა ქმარი ნინიკომ. _ ქალს ვეუბნები, შენი ქმარი ვიღაც საეჭვო ქალთან ერთად მესტუმრა-მეთქი და იმას კიდევ, იმის ნაცვლად, დაინტერესებულიყო, ეწყინა!.. ნახე, ნახე, ლამის პირში ჩაუდოს ძუძუ შოთიკოს... _ მიახედა ქმარი ნინიკომ ირმასკენ.

მართლაც ასე იყო. შოთიკო, რომელიც კოტიკოს მეგობარი იყო და ახლახან, კოტიკოს დახმარებით, ქალაქის დასუფთავების სამმართველოს განყოფილების გამგის თანამდებობაზე დაინიშნა, ირმას გულის მოგებას ცდილობდა და ანეკდოტს ანეკდოტზე უყვებოდა. ირმაც, როგორც ამ დროს "მისი პროფესიის" ქალბატონებს სჩვევიათ, ხმამაღლა კისკისებდა და მკერდი ისე ლამაზად უთრთოდა და უხტოდა, შოთიკო ლამის გულმკერდში ჩასძვრომოდა.

_ რა ჩვენი საქმეა, მიხედოს ზაზამ, _ ჩაილაპარაკა კოტიკომ, თუმცა გულში სულ სხვა რამ გაიფიქრა: "ეე, ბიჭო, არაფერი წამოვიდეს, ტო, არ გამომივიდა "ბაბნიკი"?"

ირმა რომ ამას სპეციალურად აკეთებდა, კოტიკო ძალიან კარგად მიხვდა. მაგრამ როგორ გინდა აიტანო?! ასეთ დროს ყველა კაცს ერთი აზრი გაუელვებს, ხომ ასეა? ჰოდა, კოტიკომაც შოთიკოს ტელეფონზე მესიჯი აფრინა:

"ცეცხლს ეთამაშები, ჯიგარო?" _ "აუ, სპეციალურად, რომ შენი ცოლი დავაბნიოთ..." _ მოუვიდა იმწამს პასუხი.

"ვითომ?" გაიფიქრა კოტიკომ და ისევ გაუშვა მესიჯი: "ცოლი არ ვიცი და მე მართლაც ვნერვიულობ!" _ "გეკადრება?" _ მოუვიდა პასუხი და კოტიკო იძულებული იყო, მესიჯობანას შეშვებოდა.

ამასობაში, მაკამაც დაიწყო შინ ეჭვიანობა და არა მარტო ეჭვიანობა. რას ნიშნავს, ვიღაც ბოზთან ერთად, ჩემი ოფიციალური ქმარი ოფიციალურ ბანკეტზე დაბრძანდებოდესო! _ და ქმარს დაურეკა.

_ ან სასწრაფოდ წამობრძანდები შინ, ვაჟბატონო, ან არა და, ვუზარებ და ნინიკოს ყველაფერს ვეუბნები, _ ჩაესმა ყურში ზაზას, გაბრაზებული ცოლის ხმა. მაგრამ სამწუხაროდ, ზაზას იმ დროისათვის ალკოჰოლის ზუსტად ის რაოდენობა ჰქონდა მიღებული, რომელიც საკმარისია, რომ ქმარს ცოლის "პრიკაზები" საშინლად არ მოსწონდეს და მით უმეტეს, მისი არ შეისმინოს. თუმცა, რა შეისმინოს?.. პირიქით _ ამ დროს ცოლის ნათქვამი მაშინვე უარყოფით რეაქციას იწვევს.

_ მაგრად გაასწორებ! _ იყო ზაზას პასუხი.

_ ჰოდა, მე არ დამაბრალო! _ ისევ ჩაესმა ცოლის გამწარებული ხმა ზაზას.

_ მტკვარში გადამხტარხარ! _ იყო კაცის პასუხი.

ცოტა ხანში, ნინიკოს ანუ კოტიკოს ცოლის ტელეფონი "ამღერდა".

_ გინდა, სიმართლე იცოდე? _ მოესმა მაკას ირონიული ხმა ნინიკოს.

_ წეღან რა გეწყინა? _ ეტყობა მიხვდა, რომ მიჰქარაო და ბოდიშის მოხდას აპირებსო, _ გაუხარდა ნინიკოს. მაგრამ რაც მისმა ყურმა მოისმინა, ისეთი თავზარდამცემი და საშინელი ინფორმაცია იყო, რომ კინაღამ გული წაუვიდა. ვერასოდეს, ვერასოდეს წარმოიდგენდა ნინიკო, რომ ქმარი ღალატობდა. როგორ, კაცი ლამის დაგუბებული

ჭაობიდან ამოათრია და _ ღალატი?! არ არსებობს! ეს უკვე ღალატი კი არა, უბრალოდ, სიდამპლეა! არა, რა სიდამპლე, უფრო უარესი!.. თუმცა, ამ უარესს ვერაფერი დაარქვა და ტვინიც გადაეკეტა.

წამოდგა. დარბაზი გადაჭრა, თამადასთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

თამადა იმწამსვე წამოდგა. შამპანურის ბოთლზე ხალხის გასაჩუმებლად ჩანგლით დააწკარუნა და საზოგადოებას მიმართა.

_ აბა, მოვუსმინოთ, ქალბატონი ნინიკო სადღეგრძელოს ითხოვს.

_ დიახ, _ დაიწყო ნინიკომ შამპანურის ჭიქით ხელში, როგორც კი ხალხი მიჩუმდა. _ მეგობრებო, დღეს ჩვენს სუფრას ესწრება გამორჩეულად ლამაზი ქალბატონი, ირმა ნადარაია... გვარი ხომ არ შემეშალა? _ გახედა მან ირმას, რომელმაც, რა თქმა უნდა, რაღაც საფრთხე იყნოსა და ყურები ცქვიტა. თქმა არ უნდა, საფრთხე მისმა ბოიფრენდმა, კოტიკომაც იყნოსა, იმასაც მიხვდა, რომ სასწრაფოდ რაიმე უნდა ეღონა, რათა მეორე დღეს მთელი ქალაქისთვის საჭორაო და საქირქილო მასალა არ მიეცა. სკამიდან წამოვარდა და იყვირა:

_ ჯერ მე, ჯერ მე უნდა ვთქვა მაგ ქალბატონის სადღეგრძელო!

ნინიკო, ცადია, გააკვირვა ქმრის თავხედობამ, მაგრამ, _ გაუშვი, თქვას, ვნახავ, ერთი, რას იტყვის, რა აქვს ნეტავ სათქმელიო... _ გაიფიქრა.

_ აქ ყველანი შინაურები ვართ, ხომ ასეა? _ დაიწყო კოტიკომ, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ნახევარი ხალხი მის სუფრაზე პირველად იყო. და უეცრად აღშფოთებულმა განაგრძო: _ მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ვისაც რა მოეპრიანება, ის აკეთოს?! _ და უეცრად ზაზას მიმართა. _ ზაზა, მე შენ ცოლთან ერთად დაგპატიჟე და არა მაგ ქალბატონთან ერთად.

_ კი, მართალია, მაგრამ არ წამოვიდა ჩემი ცოლი, _ წამოხტა ზაზა სკამიდან. მშვენიერ ხასიათზე იყო, ცოტა შებუჟბუჟებული და სულ ფეხზე ეკიდა, რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს. ერთადერთი, იცოდა, რომ კოტიკოსთვის მხარი უნდა დაეჭირა, ეგ იყო და ეგ.

_ მერე, რახან ძველი ფეხბურთელი ხარ, ყველაფერი კი არ გეპატიება, ძმაო, _ ცოტა შორიდან შემოუარა კოტიკომ და უცბად აჯახა: _ ეს ოჯახია, ძმაო!..

_ და რა ვქენი, კოწიკ, ასეთი?! ან შენ რა გინდა, ან ნინიკოს, ვერ გავიგე! _ იყო ზაზას პასუხი.

_ არაფერი, ჩემი სადღეგრძელოს თქმა უნდათ, _ წამოხტა სკამიდან ირმა და ლამაზად მოიღერა ყელი. _ გისმენთ!

...მოკლედ, კოტიკოს ჩარევამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. ნინიკოს სიბრაზემ ცოტა გადაუარა, მიხვდა, რომ ამით ქმარს ჭკუას კი ასწავლიდა, მაგრამ მის ოჯახს უფრო დიდი ლაქა მოეცხებოდა. და თუ ახლა ვიღაც-ვიღაცებმა ნამდვილად იცოდნენ მისი რქების ამბავი, რომ განეგრძო, რასაც აპირებდა, მეორე დღეს მთელ თბილისს ეცოდინებოდა... ჭიქა ცივად დადო მაგიდაზე, წამოვიდა და თავის სკამზე დემონსტრაციულად დაჯდა.

_ გაგიჟდი?! ჩემს მტრებს ახარებ?! _ გადაულაპარაკა ჩუმად ქმარმა.

_ სხვანაირად მოგივლი! _ გამოცრა ნინიკომ და თანამესუფრეებს ლამაზად გაუღიმა.

_ ჰოდა, მე ვიტყვი, _ გამოაცხადა უცებ ზაზამ. _ სულაც არ არის ირმა ისეთი, როგორიც თქვენ გგონიათ.

ირმა ამ სიტყვებზე გულიანად ახარხარდა, მაგრამ იქ მყოფთა დაჟინებული მზერა იგრძნო და დადუმდა.

_ და არც ჩემი საყვარელია, _ ახლა მთლად უარესი სისულელე მოხია ზაზამ.

_ მაშ, ვისია? _ ვერ მოითმინა და ადგილიდან წამოიყვირა ნინიკომ.

_ თქვენი ქმრის. დიახ, დიახ, კოტიკოს საყვარელი გახლავართ, ასე არ არის, ძვირფასო? _ აღარ მოერიდა არავის ირმა. ან რა ჰქონდა მოსარიდებელი?..

და ისევ ზაზამ განაგრძო:

_ გეუბნებოდი, კოტიკ, გაებმები-მეთქი, ხომ გეუბნებოდი?! _ და ახლა სხვებს გადახედა. _ გაგიჟდები ადამიანი! რა დრო დადგა, ხალხო! ყველაფერი გადატრიალდა. ქალს ვეღარ გაჰკარებიხარ! მთელ ქვეყანას უნდა მოსდოს _ ჩემი საყვარელიაო. როგორც

კაცები ტრაბახობდნენ ადრე!.. არადა, ხომ შეიძლება, ერთხელ შეგეშალოს კაცს, შეცდე, არა?

სუფრას ქირქილის მსგავსმა ფხუკუნ-ფხუკუნმა გადაურბინა.

_ კარგად ბრძანდებოდეთ! გკოცნით, გკოცნით, გკოცნით! _ ირმას მუჭი ტუჩთან მიჰქონდა და სუფრას ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. მერე ირონიულად შებრუნდა და კარისაკენ ქუსლების ბაკაბუკით გაემართა.

_ მერე, არაფერი გადაგვედება?.. _ დაადევნა სუფრიდან ვიღაცამ.

_ ჰაერით არ გადადის, _ არ დატოვა უპასუხოდ ირმამ და კარი გამოაღო.

_ აი, ესა ხარ, ბავშვიც კი არ გაახარე!.. _ წაჰკბინა ნინიკომ კოტიკოს.

_ რა ხდება, ბავშვებო, გამაგებინეთ?! _ მივარდა სიძესთან და ქალიშვილთან ქალბატონი მარიეტა. _ ლამის დასაბმელია ჩემი ქმარი.

_ ჰოდა, დააბით, მერე! _ მიახალა თავხედურად სიდედრს კოტიკომ.

_ არაფერი, დედა, ყველაფერი დამთავრებულია. წადი, მიუჯექი, რა, შენს ქმარს. მშვიდობიანად გამასტუმრებინე ეს ხალხი, _ მკაცრად უთხრა დედას ნინიკომ და მარიეტაც გველნაკბენივით გატრიალდა.

იმ დროს, როცა ცენტრალურ დარბაზში ეს ფარსი, ტრაგედია თუ კომედია გათამაშდა, იქვე მომცრო ოთახში ანუკის დაქალობა გრიალებდა. ჰოდა, დედამისს ან თუნდაც ბებიამისს ცალი თვალით რომ შეეხედა და დაენახა, იქ რაც ხდებოდა, იქნებ, ის ინციდენტიც მათ თვალში გაფერმკრთალებულიყო. გოგონები წითელ, მოტკბო ღვინოს მისძალებოდნენ და ახლა იმ ერთ საცოდავ ბიჭს _ ანუკის დეიდაშვილ ბაჩოს მისეოდნენ და კოცნიდნენ და კოცნიდნენ. თან, არა _ მე და არა _ მეო, _ გაიძახოდნენ. ჰო, "ეზასავებოდნენ" და ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევდნენ. _ აუ, რა ტკბილია, რა ტკბილია! _ იმეორებდნენ და ერთმანეთს მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ. ბაჩო კი იმ ერთ საათში ისე გამომტყვრალიყო, რა ხდებოდა მის თავს, არც ესმოდა. კოცნა სიამოვნებდა და ვისაც სად მოხვდებოდა, იქ უფათურებდა ხელებს, რაზეც გოგონები მაგრად კისკისებდნენ და კოცნით პასუხობდნენ.

_ არ მომიკლათ დეიდაშვილი, მხეცებო, გარყვნილებო! _ ცდილობდა, მიშველებოდა ბაჩოს ანუკი, რომელსაც სცენაზე ამომხტარი, ყვავილგაწვდილი და საკოცნელად მომზადებული გოჩუნა მთლად გადავიწყებოდა...

ანუკის დავიწყებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, გოჩუნას არ ამოსდიოდა თავიდან, არც ანუკის გრძელი ფეხების სილამაზე და არც მისი თვალების ცეცხლი. ანუკის ხომ მართლაც, საოცარი თვალები ჰქონდა. თუმც, ამაზე _ მერე. ახლა კი, ქალბატონ მარიეტას მივადევნოთ თვალი, რომელმაც, რაკი შვილისა და სიძის მიერ მის წინაშე დასმული გამოცანა ვერ ამოხსნა, ერთ ადგილას ვეღარ მოისვენა და, _ წავალ, ერთი, ბავშვებს ცალი თვალით მაინც დავხედავო, _ ანუკის ოთახისკენ გაეშურა, საიდანაც სიცილ-კისკისი გამოდიოდა.

პირველი, რაც კარის გაღებისთანავე თვალში მოხვდა, ის იყო, რომ სუფრასთან არავინ იჯდა, გარდა მისი შვილიშვილისა, დანარჩენები კი ერთ ადგილს მიხროვებულიყვნენ და რაღაც დიდი გაწამაწია ჰქონდათ. ქალბატონი მარიეტა მხოლოდ გოგონების ჭრელა-ჭრელა ტრიკოებსა და ნაირ-ნაირ შორტში გამოწკეპილ მათ უკანალებს ხედავდა.

_ ეს რა ხდება? _ დაინტერესდა და "ვარიკებს" სათითაოდ დაუწყო იმ ადგილიდან გამორიდება. ისინიც, როგორც კი დაინახავდნენ, მაშინვე თვალებს აფახულებდნენ და თავიანთი სკამებისკენ გარბოდნენ. როცა ქალბატონმა მარიეტამ ბაჩოს ბოლო "ვარია" ააგლიჯა და ბიჭის მიბნედილ და უტვინოდ გახარებულ თვალებს წააწყდა, ჯერ საშინლად აღელდა, განცვიფრებულმა, გულთანაც კი მიიტანა ხელი, მერე კი ის ხელიც და მეორეც ლოყებში შემოიცხო და ენა გადაეყლაპა. თუმცა მაშინვე გონს მოვიდა და რადგან არ იცოდა, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო ან რა უნდა ეთქვა, ესღა ამოღერღა: _ ბავშვებო, ჯერ თქვენთვის რა დროს ესენია?!

ბაჩომ კი მისკენ ხელები გაიწვდინა და ამოილუღლუღა:

_ მოდი, გი-ჟო, გაგა-გიჟო!

ამ სიტყვებზე ქალბატონი მარიეტა მთლად გადაირია.

_ ვაიმე, ესენიც იცით, უკვე?!. აი, ამიტომ არის საჭირო, რომ ყველანი ერთად უნდა ისხდნენ სუფრასთან _ დიდებიც და პატარებიც. _ მერე კი ხელები გაშალა, მხრები აიჩეჩა და უკანალის რხევით იქაურობას გაეცალა. _ მაგრამ კართან მაინც შემობრუნდა და ხელები გაშალა: _ ჩვენს დროს ასეთი რამე?!. _ და წარბები უცნაურად აზიდა.

იმ დროს, როცა ანუკის ოჯახში საზეიმო სუფრა იყო გაშლილი და მის ნიჭიერებასა და სილამაზეს გუნდრუკს უკმევდნენ, გოჩუნა თავის "სამადელკაში" იჯდა და ვერ მიმხვდარიყო, ასე რატომ გაგიჟდა ვიღაც მომღერალზე, რომელიც აქამდე არასოდეს ენახა. მის ტვინში, სადაც სამუდამოდ აღბეჭდილიყო ანუკის შავი თვალების დამაბრმავებელი ელვარება და მისი წამიერი ღიმილი, რომელიც ალუბლისფერმა ტუჩებმა იმ საღამოს უსახსოვრა, დიდი ალიაქოთი და აყალმაყალი იდგა. ბიჭები კაენასთან წყნეთში გრიალებდნენ, გოჩუნას კი, მათთან თითქოს აღარაფერი ესაქმებოდესო, სულ არ მიუწევდა იქით გული. იმიტომ, რომ მისი გული მოწინააღმდეგე სქესის არსებას დაესაკუთრებინა და ახლა ნორჩი, ქორფა და პუტკუნა ამურები ისე ჰკორტნიდნენ, როგორც მტრედის ბახალას _ ქორები...

ტელეფონი, რომლითაც იათოს ელაპარაკებოდა ხოლმე, რეკავდა და რეკავდა. გოჩუნა კი, თითქოს არც ესმისო, უყურებდა აპარატს გაშტერებული და ყურმილს არ იღებდა. იმ საღამოს მანქანის დაქოქვას აპირებდა. რადიატორი, როგორც იქნა, ჩაუდგა. მხოლოდ ანტიფრიზი უნდა ჩაესხა და დაექოქა, მაგრამ ესეც ეზარებოდა, უკვე... კაი, დაქოქავდა და გაიყვანდა. იქვე, ეზოში თუ ატარებდა ან ახლო-მახლო ქუჩებში, შორს კი ვერსად წავიდოდა: მანქანა ჯერ არ გაეფორმებინა და შესაბამისად, პასპორტი არ ჰქონდა. აქ კი, ვისთვის ემარიაჟა, ორმოცი წლის ელენიკოსთვის?.. რომელიც, სხვათა შორის, გოჩუნა რომ დაბრუნდა, ეზოში შესასვლელი თაღის კუთხეში იდგა და გოჩამ, წესიერად ვერც შეამჩნია თუ ვერ აღიქვა, _ არც მისალმებია. რა თქმა უნდა, აცნობიერებდა, რომ ის გოგო, ის "მარმარილოში ჩამოსხმული" მომღერალი უყვარდა. არა, კი არ უყვარდა _ სიყვარული არაფერია იმ გრძნობასთან შედარებით, რომელიც მას შემონთებოდა და სწვავდა. ეს რაღაც სიყვარულზე მეტი იყო, ბევრად მეტი, ვიდრე ის, მთელი ეზოს ბიჭებს ერთი ქალი რომ ჰყვარებოდათ; ჰო, მაინც ვერ გადასწონიდნენ მის სიყვარულს, ახლოსაც ვერ მივიდოდნენ იმასთან, რაც გოჩუნას სჭირდა, რასაც მისი სხეულის ყოველ მემილიარდედ უჯრედში "ჩასჯდომოდა"... მთელი კოლოფი სიგარეტი მოსწია. ფარეხში ისეთი ბუღი იდგა, ცხენსაც კი წააქცევდა.

ელენიკოს საზიზღარი დღე ჰქონდა. გამომცემლობაში დამკაბადონებლად მუშაობდა, დიდი ხანი არ იყო. ისიც, გამოძახებით. დღეს ისე შეიარა, გამოუძახებლად, და მის სკამზე ვიღაც ბიჭი დახვდა. ელენიკო უცბად მიხვდა, რომ ის ვიღაც, რომელიც იმწამსვე ჭირივით შეიჯავრა, მასზე ბევრად სწრაფად და კარგად მუშაობდა. რა ხასიათზე უნდა ყოფილიყო? უსაზიზღრესზე. ზაფხულის ხვატის გამო, ის ერთი-ორი მეგობარიც, რომელიც თვითონაც არ იცოდა, როგორ შეინარჩუნა, ქალაქიდან გაქცეულიყვო. არადა, ბოლო დროს ღამის ისე ეშინოდა, მთელი შავი ფიქრები ღამ-ღამობით შემოესეოდა და აგიჟებდა ხოლმე. ახლა ეს სამსახურის პრობლემაც დაერთო და _ კიდევ უარესი _ გოჩუნამ ვერც კი შეამჩნია...

სკამიდან წამოდგა. კართან მივიდა. ურდულს დამჭერი მოხსნა და რკინა მილში გაჭედა. მერე კი გოჩუნას ნომერზე დარეკა.

_ გოჩუნი, სახლში ხარ?

_ რომელი ხარ? _ ვერ იცნო ელენიკოს ხმა გოჩუნამ.

_ ელენიკო ვარ.

_ ელენიკო? _ ელენიკო გოჩუნასთვის აღარ არსებობდა, ის კი _ "ბედი არ გინდა?!." _ სწორედ ახლა ურეკავდა.

_ ჰო. შეგიძლია დამეხმარო?

_ დაგეხმარო?

_ ჰო, რა შეგეშინდა, ბიჭო? კარში ურდულის რკინა ჩამეჭედა და გარეთ ვეღარ გავდივარ.

_ მერე?

_ რა, მერე? უნდა დამეხმარო როგორმე, ამ ცხრაკლიტულიდან გამომიყვანო.

_ როგორ, მერე? შიგნიდან თუ ხარ ჩაკეტილი?

_ ვერ გადმოძვრები ფანჯრიდან?

_ რა? ხომ მთელი ეზო დაგვინახავს!..

_ რა მოხდა, მერე?! კარი ჩამეკეტა და უნდა დამეხმარო. სხვა რა?

გოჩუნამ თავი მოიფხანა და მიხვდა, რომ სისულელეს ამბობდა. “მართლაც, დამინახავენ და დამინახონ, რა მოხდა, მერე?!” _ და დაეთანხმა.

_ ჩაქუჩი გაქვს?

_ კი, კი.

_ კაი, ამოვძვრები, დამელოდე.

_ გელოდები, მაინც ვერ გავდივარ სახლიდან.

“რა დამჭირდება?” _ გაიფიქრა გოჩუნამ. მერე სატეხი აიღო და ფარეხიდან გამოვიდა.

ელენიკო ფანჯარაში გადმოყუდებულიყო და ისე უცდიდა.

_ გინდა, თოკს გადმოგიგდებ? _ გადმოსძახა.

გოჩუნამ მოათვალიერა და მიხვდა, რომ თუ ზინას აივნის ბოძზე აძვრებოდა და წვიმის სადინარი მილის დამჭერ ორკაპას დააბიჯებდა, მერე ელენიკოს ფანჯრის რაფასაც ადვილად უნდა მისწვდენოდა. შეხტა და ის იყო, ბოძს მოებღაუჭა, რომ ზინა გამოუვარდა.

_ დაგიჭირე-ე?! ხომ დაგიჭირე?!! _ და ცოცხს, რომელიც კართან მიეყუდებინა, ხელი არ წამოავლო?!

_ არ დამარტყა, მე ვარ, ზინა დეიდა! _ იყვირა გოჩუნამ. _ ელენიკოს კარი ჩაეკეტა შიგნიდან და უნდა გავაღებინო.

_ უი, შენა ხარ, გოჩუნა? მე კი ვიფიქრე, ქურდია-მეთქი... _ და ზინამ ელენიკოს ახედა. _ კარი ჩაგეკეტა, გოგო?

“დავითარსე”, _ გაიფიქრა ელენიკომ ზინას დანახვაზე.

_ ჰო, იცით, ურდული მოიშალა და...

ზინამ აღარაფერი უპასუხა, რაღაც ეჭვიანად გადააქნია თავი, ცოცხი მიაგდო და თავისი მძიმე უკანალი სახლში შეათრია.

გოჩუნა ბოძზე კი უპრობლემოდ აძვრა, მაგრამ “ჟოლობის” ორკაპას ვერც ისე ადვილად მისწვდა.

_ მაგას დააბიჯე! _ უკარნახა მაღლიდან ელენიკომ.

გოჩუნამ ახედა და გაუღიმა.

“სად მივწვდებოდი ცაში ვარსკვლავს?” _ და გოჩუნამ, სიაფანდზე, ვარდნის იმიტაცია გააკეთა.

_ ფრთხილად, არ დაგისხლტეს!

გოჩუნა ფანჯრის რაფას კი სწვდებოდა უკვე, მაგრამ სწორედ იმ ადგილას ჩამოეწყო თავისი “ფორთოხლები” ელენიკოს და ბიჭმა ხელი ჰაერში გაასავსავა. ელენიკომ ორივე ხელი სტაცა ამ ხელში და გოჩუნა თავის შუშაბანდში გადაათრია...

_ აი, ნახე, _ ჩაჭედილ მილზე დაადო თითი ელენიკომ, რომელსაც წლებიც დასტყობოდა და ტუჩების კუთხეებიც დაბლა დასწეოდა, როგორც ეს გაუთხოვარ ქალთა უმეტესობას ემართება. გოჩუნამ ეს ყველაფერი ახლაღა შეამჩნია.

_ როგორ ჩაიჭედა ასე, სხვა დროსაც ემართებოდა? _ ელენიკომ რაღაც წყენა იგრძნო გოჩას ხმაში.

_ არა, პირველად მოუვიდა, _ უპასუხა სწრაფად. რა თქმა უნდა, ელენიკომ კარგად იცოდა, რომ მათ შორის არასოდეს არაფერი მოხდებოდა, მაგრამ თაყვანისმცემელი რომ

ჰყავდა, მაინც სიამოვნებდა, ახლა კი _ იყო და აღარ არის, ფაფუ, ესეც დაუკარგავს, იათოს შვილიშვილიც...

გოჩუნამ სატეხი დაადო და გვერდიდან შემოჰკრა ჩაქუჩი. მილი გასრიალდა და კარი გათავისუფლდა.

_ სულ ეს იყო? _ შეეკითხა გოჩუნა.

_ არა, "პრობკა" მინდა, გამისინჯო მრიცხველის, შეგიძლია? _ და სანამ გოჩა რაიმეს მოიფიქრებდა, ელენიკომ დაასწრო, ტაბურეტზე ახტა და რადგან მრიცხველი საკმაოდ მაღლა იყო, რომ მისწვდენოდა, ფეხის წვერზე აიწია, ასე რომ, მოკლე კაბაში ლამაზი ბარძაყებიც გამოუჩნდა და თითქმის ვარდისფერი ბიკინიც კი. მაგრამ გოჩუნაზე ამას სულ არ უმოქმედია. დათვალიერებით, კი დაათვალიერა, ძალაუნებურად გაექცა თვალი.

ელენიკომ საცობი გადაატრიალა, სინათლე ჩაქრა და ორივენი სიბნელეში დარჩნენ.

_ უი! _ წამოიძახა ელენიკომ. _ როგორ დაბნელდა!.. _ და სკამიდან ჩამოხტა, თან, ვითომ, ქვედაბოლო გაისწორა.

გოჩუნამ საცობი გამოართვა, ფანჯარაში გადაყო და დახედა. საცობს მეტალის თავი გაშავებოდა და ზედ სპილენძის მავთული ეხვია.

_ ეს ასე კეთდება. თუ გაწვალებს, უნდა გამოცვალო, ახალი იყიდო, _ თქვა გოჩუნამ. მერე მავთული ცოტა კიდევ დაახვია, საცობს მიაჭირა და ტაბურეტზე ახტა.

_ ჰო, წარამარა იწვება, _ თქვა ელენიკომ.

ოთახი ერთბაშად განათდა. ტელევიზორიც ჩაირთო და რუსულად "ამღერდა".

_ კაცის ხელი მაინც სულ სხვაა... _ ამოისუნთქა ელენიკომ და წასასვლელად გამზადებულ ბიჭს შესთავაზა:

_ გინდა, ყავა მოგიდუღო?

_ ყავა? _ გაუკვირდა რატომღაც, ბიჭს. _ არა, ყავა არ მინდა.

_ ღვინო? _ თითქოს წამოსცდაო ელენიკოს.

_ ღვინო?!. _ უფრო გაუკვირდა ბიჭს: ელენიკო, რომელიც მუდამ "ეიაზვებოდა" და თითქოს მუდამ დასცინოდა კიდეც, სახლში მარტო იყო და ღვინოს სთავაზობდა.

გოჩუნამ პირი დააღო, თვალები მოწკურა და ქალს გამომცდელად შეხედა. იქნებ ახლაც მხოლოდ მაშაყირებს და მცდისო? _ გაიფიქრა.

_ მართლა, მართლა! იცი, რა ღვინო მაქვს?! ნაღდი "ქინძმარაული"! _ ცერა თითი დაანახვა გოჩუნას ქალმა. _ შემოდი, შემოდი! _ და მეორე ოთახის კარისკენ მიუთითა.

სად გავრბივარ?!. _ გაიფიქრა გოჩუნამ. _ მეც ანუკი მესხი არ მიცდიდეს სახლშიო!.. _ და ოთახში შეაბოტა.

_ დაჯექი, ახლავე ყველაფერს გავაჩენ, _ უთხრა ქალმა და მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოუჩოჩა. გოჩა დაჯდა და თავისი სატეხი წინ, მაგიდაზე დაიდო. ქალმა აიღო და ტახტზე გადადო. მერე, კარადიდან გრაფინი გადმოიღო და მაგიდის კიდესთან დადგა. მაგიდას ცელოფანის კრემისფერი სუფრა ჰქონდა გადაფარებული. მერე ელენიკო შუშაბანდში გავიდა და პატარა შუშის ბოცა შემოიტანა, რომელიც შინდისფერი სითხით იყო სავსე. _ აჰა, შენ ჩამოასხი, _ უთხრა მან გოჩუნას და ბოცა იატაკზე დადგა.

_ სად იყიდე? _ შეეკითხა გოჩუნა, რომელიც ცოტა უკვე ერკვეოდა ღვინოებში.

_ ლალის მაღაზიაში. ოთხი ლარი მივეცი ლიტრაში, _ უპასუხა ელენიკომ, რომელმაც თხლად დაჭრილი სულგუნი და ჯონჯოლიანი თეფში დადგა მაგიდაზე.

_ "ქინძმარაული"... "ქინძმარაული" კი არა!.. "ქინძმარაული" დაიწურება თუ არა, ორ-სამ თვეში იყიდება. მერე უკვე მაყვლის მურაბის წვენს უშვრებიან საფერავს და "ქინძმარაულად" ასაღებენ.

_ კაი, ჰო, შენ ხილი ნახე, მებაღეს რას ჰკითხულობ? _ გაიცინა ქალმა. _ მეც ვიცი ეგენი, მაგრამ რომ შემოგთავაზებენ, კი არ უნდა "გაუპუსწიაკო".

_ არა, იცი, რა? ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, შხამიც რომ იყოს, იმასაც დავლევდი, _ თქვა გოჩუნამ და ღვინის ჩამოსხმა დაიწყო.

_ შხამს მე არავის ვასმევ. _ გოჩუნა ვერ მიხვდა, რა ეწყინა ქალს. მაგრამ რაღაც რომ ეწყინა, ეს ცხადი იყო.

_ რა გეწყინა? _ ჰკითხა მან მოურიდებლად.

_ არაფერი! _ საოცრად გაიკვირვა ქალმა.

_ არა, რაღაც გეწყინა, _ ჩაეძია გოჩუნა.

_ გითხრა სიმართლე? _ ჯერ გარეთ გაიხედა, თითქოს ამოწმებს, ხომ არავინ გვისმენსო და მერე პირდაპირ თვალებში შეხედა გოჩუნას ქალმა. _ შენ ის გოჩუნა აღარ ხარ, ვიღაც სხვა ხარ, თითქოს...

_ ეე, მართლა? _ გაიკვირვა გოჩუნამ. _ დედას გაფიცებ! _ და ჭიქა აიღო: _ დავლიოთ?

_ დავლიოთ, _ თქვა ქალმაც, სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ცალი ხელი ჭიქას მოჰკიდა, მეორით კი ჩამოშლილი თმა გაისწორა.

_ ვის გაუმარჯოს? _ იკითხა გოჩუნამ.

_ ვის და, ჯერ _ ჭერს, ოჯახს... _ შეახსენა ქალმა.

_ მაშინ, გაუმარჯოს ჭერს, ოჯახს, შენს მომავალ ოჯახს! _ დააკონკრეტა უცბად გოჩუნამ და ნელა დაიწყო ღვინის წრუპვა, თითქოს სინჯავსო.

_ ჰოო, საწყენია, _ ჩაილაპარაკა ქალმა და ღვინო უცბად გამოცალა.

_ რა არის საწყენი? _ გოჩუნა ქალის გულისპირს დააკვირდა. ძუძუების ძირში კანს ოდნავ უკვე შეჰპარვოდა სიმჭკნარე.

_ ის, რომ აქამდე ოჯახი არ მყავს, _ თქვა ქალმა და ღვინო თვითონ დაასხა, თავის ჭიქაშიც და გოჩუნასაც შეუვსო.

ამაზე, თითქოს გოჩუნას რაღაც ეშმაკი შეუჩნდა და სწორედ იმ შეკითხვის დასმა გადაწყვიტა, რომელიც ასე აინტერესებდათ ბიჭებს. ეწყინება და ეწყინოს, ცივი წყალი დალიოსო, _ გაიფიქრა.

_ ელენიკო, _ დაიწყო გოჩუნამ და გაჩუმდა.

_ ჰო, _ უპასუხა ქალმა.

_ იცი, ყველას გვაინტერესებს... ქალიშვილი ხარ თუ არა?

_ ვის ყველას? _ შუბლი შეკრა ელენიკომ.

_ ბიჭებს... _ აღარ დაიხია უკან გოჩუნამ.

_ შენ?

_ რა, მე?

_ წოლილხარ ქალთან?

ეე, ეს მგონი, რაღაცას მიპირებსო, _ გაიფიქრა ვაჟმა.

_ კაი, რა! იცი, რამდენი წლისა ვარ?

_ ვიცი. სამწუხაროდ, ოცის. მეტი რაღა ვიცი?!

_ ჰოდა, შენ თვითონ დაასკვენი, _ "წაიტრიპაჩა" ვაჟმა და დააყოლა: _ გახსოვს, კაენას ბიძას, რომეოს უკრაინიდან რომ ჰყავდა ჩამოყვანილი, გალინა?

_ ჰო...

_ ჰოდა, თითქმის ყველა ბიჭები "მოგვნათლა".

_ ერთად? _ იკითხა ელენიკომ.

_ ჰო, _ აღიარა გოჩუნამ.

_ ღმერთო ჩემო! _ შეიცხადა ქალმა.

_ აბა, შენ რომ გიყუროთ და შენისთანებს, სამუდამოდ ისე დავრჩებოდით...

_ იცი, რას გეტყვით, შენც და შენს ბიჭებსაც?.. _ და ელენიკომ ტუჩი მოიკვნიტა. გოჩუნას ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ქალმა ტირილი დააპირა.

_ რას? _ ჰკითხა ბიჭმა და პასუხს დაელოდა.

_ არაფერს... _ მერე ქალმა თვალები დახუჭა. ცოტა ხანი ასე ჰქონდა დახუჭული, მერე კი გაახილა და თქვა: _ რაც თვენი საქმე არ არის, შიგ ცხვირს რატომ ჰყოფთ? _ და დაამატა: _ მეტი არაფერი გაინტერესებთ?.. მე კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი.

_ რას? _ შუბლი შეკრა ბიჭმა.

_ უკვე აღარ ღირს თქმა. ერთს კი მაინც ვიტყვი: კაცები გადაშენდნენ. აღარ არიან. აი, რატომ არა მაქვს ოჯახი.

_ მე? _ თავისდაუნებურად წამოსცდა გოჩუნას, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა და გაეცინა.

_ შენც მაგათი ჯილაგისა უნდა იყო! _ გაიცინა ქალმაც.

_ მაშინ, იცი, რას გეტყვი?! _ და გაუბედა ის, რაც მართლა აინტერესებდა: _ მე მომეჩვენა, რომ ძალიან ადვილად ამოვარდა ურდული... რომ ამის გაკეთება შენც კი შეგეძლო...

_ ჰო, ეტყობა, მოგეჩვენა... _ თავი დაუქნია ქალმა და დააყოლა: _ ჰო.

_ რა, ჰო?

_ ურდული მე გავაფუჭე. ხელოვნურად.

_ რომ ჩემთვის დაგეძახა?

_ არა. შენს მეტი არავინ იყო სახლში.

_ მართალია. კაენას აგარაკზე გრიალებენ ყველანი, წყნეთში.

_ მოკლედ, ჩემთვის სულერთი იყო. სიცარიელე მინდოდა შემევსო, მეტი არაფერი...

_ ...არც ხელი დაუკარებია ვინმეს? _ ისევ შეტევაზე გადავიდა ბიჭი.

_ რაა?! ხელიც დაუკარებიათ და...

_ ჰოო?! მაშინ...

_ ცხვირი მოიხოცე, რა, მაშინ!..

_ კაი, _ თქვა ბიჭმა, _ მე წავედი.

_ ღმერთო ჩემო, სულ მხოლოდ ღლაპებს მოვწონვარ!.. _ ხმამაღლა გაიფიქრა ელენიკომ. გოჩუნას სულ არ სწყენია.

_ მადლობთ, _ თქვა და წამოდგა. _ მე აღარ მომწონხარ, მე სხვა მიყვარს.

_ დიდი ამბავი... _ გაიცინა ქალმა. _ ასეც ვიცოდი. ვინ შეგიყვარდა?

_ ანუკი მესხი, მომღერალი. იცნობ? _ შეეკითხა ბიჭი.

_ ყველას ეუბნები? _ იქით დაუსვა შეკითხვა ქალმა.

_ არა, შენ პირველი ხარ, ვისაც ეს ვუთხარი, _ ტუჩები მკაცრად მოკუმა ბიჭმა.

_ იმას, იმას თუ უყვარხარ? _ ჰკითხა ღიმილით ქალმა.

_ საიდან უნდა ვიცოდე? კი არ ვიცნობთ ერთმანეთს, _ წყენით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

_ კაი, თუ დაგჭირდა, შეგიძლია მენდო. რახან გამანდე. მე არავის ვეტყვი.

_ თუ გინდა, უთხარი, მერე რა... _ მხრები აიჩეჩა ბიჭმა.

_ მაშინ, არ გყვარებია... _ თქვა ქალმა და ალბათ მაყვლის წვნიანი ღვინის ბრალი იყო თუ რა... გოჩუნას თვალწინ უცბად ისეთი რამ გააკეთა, რაც მარტო გოჩუნას კი არა (რომელსაც მხოლოდ გალინას "ტკბილეულის" გემო ჰქონდა დამახსოვრებული), არამედ თვით კაზანოვასა და დონ ჟუანსაც აუჩქროლებდა ალბათ სისხლს: ქვედაბოლოს კიდეებს აქეთ-იქითან მოჰკიდა ხელი, ოდნავ ასწია და ვნებიანი ვარდისფერი ბარძაყები გაიშიშვლა.

_ მიყვარს. მიყვარს... _ და გოჩუნა ისეთი ვნებიანი "თვალებით დააცხრა" ელენიკოს იმ ერთ სანუკვარ ადგილას... თუმცა ნაბიჯი წინ მაინც ვერ გადაედგა. ელენიკო კი იდგა და კაბის ბოლოები ისევ მაღლა ჰქონდა აწეული.

არა, ეს რაღაც სიგიჟე იყო. გოჩუნა მიტკალივით გაფითრდა, ქალი კი უცდიდა, ლამის ეთქვა, _ ჰა, მიდიო! _ რომ ბიჭი უცებ ცოფიანივით დაეტაკა იმ შიშველ ბარძაყებში და ქალიც არ გასძალიანებია, ტახტზე გადაწვა და ხელები შემოხვია. სექსუალურ აქტამდე მისვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა: ქალი მთლად გამოუცდელი იყო, ბიჭსაც ბევრი არაფერი ემარჯვებოდა... გახდაზეც მაგრად გაწვალდნენ ერთიც და მეორეც. ასე რომ, როცა ვაჟმა, ბოლოს და ბოლოს, მთლად ოფლად გახვითქულმა აღმოაჩინა, რომ ელენიკო ქალწული იყო, ქალმა აღარ აცალა, თორემ ვინ იცის, როდის რას ეღირსებოდა; ცოდვის დანაშაული საკუთარ თავზე აიღო, წამოიკივლა კიდეც და ის ბგერებიც აღმოხდა, რომელსაც ქალები ამ დროს იმეორებენ და გაყუჩდა...

ქალი ისევ ტკბობას განაგრძობდა, როგორც ეს საერთოდ ხდება. ბიჭი კი მალევე წამოხტა. მთლად დაცლილიყო და სხეული საოცრად ემჩატა. თავში კი უეცრად მოხდა გადანაცვლება და წინა პლანზე ისევ ანუკი მესხი გაჩნდა...

_ არ წახვიდე! _ ხელი სტაცა ქალმა, რადგან მიხვდა, რომ ბიჭი გაქცევას აპირებდა. მერე კი უცბადვე უშვა ხელი და ჩაიუჩურჩულა: _ არავის უთხრა.

_ არ ვეტყვი, _ თქვა გოჩუნამ. ვერაფერი გაეგო. კი არ უხაროდა, არამედ პირიქით _ რაღაც დანაშაულის გრძნობა ჰქონდა და რაღაც შიში... ჰო, თუმცა, ამ შიშის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

სწორედ ამ დროს, როცა გოჩუნამ თავისი სიყვარულის პირველი ნაყოფის გემო ასე უეცრად დააჭაშნიკა, ეზოში კაენას მანქანის დინამიკებიდან ამოვარდნილი, ჩელენტანოს სევდიანი ხმა გადმოიღვარა. გოჩუნა ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. კაენას ორკარიანი ჯიპიდან რვანი მაინც გადმოლაგდნენ. სამი გოგოც მოეთრიათ, ერთი _ მაღალი და ორი _ დაბალი, მაღალქუსლიანებზე "შემხტარნი". კაენა ისე დამთვრალიყო, ფეხზე ძლივს იდგა. ან როგორ მოიყვანა მანქანა სახლამდე, საკვირველი იყო. მანქანის კარს ებღაუჭებოდა და ლამის მოეგლიჯა.

_ მეზობლებო, თქვენი!.. გამოდით ყველანი, გარეთ გამოდით! _ ყვიროდა ორმეტრიანი ჭილა და მანქანის კაპოტს ეყუდებოდა.

მესამე სართულზე ჭილაიას დედა აივანზე გადმოდგა და გადმოსძახა:

_ ერთი შეიგინე, აბა, შეიგინე! ვერ ამოხვალ სახლში, ვერა! შინ არ შემოგიშვებ! ისე გამსკდარხარ და ჩახეთქილხარ, რომ ნეტავ, მოგკლას ერთი, და დავისვენოთ მთელმა ეზომ, დავისვენოთ!

_ შენ არა გძინავს ჯერაც, ქალო?! იცი, რომელი საათია?

_ ამოდი, დაგაძინებ მე შენ კარგად! არ შეგვიკლეს ხელში ამ ნაბიჭვრებმა?! _ და ჭილაიას დედა უკან შებრუნდა.

_ მეზობლებო! _ გაისმა იმწამს ჭილას ბარიტონი: _ თქვენი დედა მოვ...

_ წავედით, ამათი!.. _ და კაენამაც კაი "სამსართულიანი" გინება მიაყოლა.

მერე ყველანი ასე, გინებ-გინებით, კაენას სადარბაზოში შელაგდნენ. ბიჭებიც და გოგოებიც...

_ რატომ გვაგინებთ ხოლმე? _ შეეკითხა გოჩუნას ჯერაც ტახტზე მიწოლილი ელენიკო.

_ რავი, გულს ვაყლებთ, ალბათ... _ უპასუხა გოჩუნამ, მერე, წუთიერი სიტკბოების იმ ღამინდელ სიმბოლოს _ კარის ურდულს ერთხელ კიდევ დახედა და სადარბაზოსკენ გააბიჯა.

ჩადიოდა კიბეზე და რაღაც შიში, რომელიც წეღან გაუჩნდა, თან მიჰქონდა. რაღაც არასასიამოვნო, უცნაური ტვირთი, რომელიც უნდოდა, მხრებიდან მოეხსნა და გადაეგდო, მაგრამ როგორ გინდა, არარსებული რაღაც მოიცილო?..

იათოს თავისი "მერსედესი" ფანჯარასთან მიეგორებინა და მოუთმენლად ელოდა შვილიშვილს. შეჩვეული იყო გოჩუნას დაგვიანებას, მაგრამ მაინც მუდამ ნერვიულობდა. სანთელს მოუკიდებდა და, _ სანამ ჩაიწვება და ჩაქრება, მოვიდესო, _ სთხოვდა ღმერთს. ამით შვილიშვილსაც ლოცავდა და ხიფათს არიდებდა ვითომ და თან, გულსაც აყოლებდა.

ჩაიწვა ერთი სანთელი, ჩაიწვა მეორე, ჩაიწვა მესამე... სად არის შენი გოჩუნა? კაენას მანქანა აღრიალებული მაგნიტოფონით რომ შემოგრიალდა და იქიდან ერთი დიდი სუფრის ხალხი გადმოლაგდა, ეგონა, გოჩუნაც მათთან ერთად იქნებოდა, მაგრამ _ არა, გოჩუნა სხვაგან იყო, ეტყობა. სად?.. და როგორც კი ბიჭი გამოჩნდა, იმწუთას ჰკითხა:

_ სად იყავი?

_ ელენიკოსთან, _ არ დაუმალა გოჩუნამ.

_ ელენიკოსთან?! _ გაუკვირდა იათოს, რადგან მისი შვილიშვილის ტრფობის ობიექტის შესახებ მანაც კარგად იცოდა. _ ასე გვიანობამდე?

_ ჰო. კარი ჩაეკეტა შიგნიდან და ვერაფრით ვერ გავაღე.

_ აბა, თვალებში შემომხედე!

_ ბებო!.. კაი, რა, შენ კი არა, ცხრათავიან ურჩხულს ჩავხედავ თვალებში და ის ვერ შემატყობს ვერაფერს.

_ და რა უნდა შეგატყოს, რომ, პატარავ? _ წარბი ასწია იათომ. მის თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ ბიჭს ცოტა მიჭმუჭნოდა და შელახოდა შარვალ-პერანგი.

_ ის, რაც შენ გაინტერესებს, ქალბატონო იათო, სხვა რა? _ გაიცინა ბიჭმა. _ დაიძინებ?

_ კი, ახლა _ კი... _ თქვა იათომ და სავარძელი საწოლისკენ გააგორა. საწოლი იმ ფანჯრის წინ ედგა, რომელიც ქუჩაზე გადიოდა.

ბიჭი მივიდა, ბებო ბუმბულივით აიტაცა ხელში და საწოლზე "დადო". თვითონ კი, ისევ შუშაბანდში გავიდა. ფანჯარასთან სკამი მიიდგა, სიგარეტი გააბოლა და კაენას სახლის ფანჯრებისკენ გაიხედა. ადრე გიჟივით გავარდებოდა და შეუერთდებოდა მათ მხიარულებას. ახლა კი მის ცხოვრებაში ისეთი უეცარი და გრანდიოზული ცვლილებები მოხდა, თითქოს ერთბაშად ათი წელიც და მეტიც კი მოემატა. თავში ისეთი უცნაური ფიქრები ერეოდა, როგორიც ადრეც მოსვლია, მაგრამ მაშინ სხვა შეფასებებს აძლევდა, ახლა კი _ სულ სხვას. ადრე მუდამ მეორეხარისხოვანთა კატეგორიაში გაჰყავდა თავი: არც დედა, არც მამა, არც და და არც ძმა, ერთადერთი _ ბებია და ისიც, ინვალიდი, "კალიასკას" სამუდამოდ მიჯაჭვული ჰყავდა. არც ჩაცმას დაგიდევდათ მაინცდამაინც. მაგრამ ერთხელ, ამ ცოტა ხნის წინ, კაენას შავი, კრეპის იტალიური კოსტიუმი ჩაიცვა და ბიჭებმაც კი პირი დააღეს: აქ რა გინდა, ბიჭო?! წადი, ძმაო, პირდაპირ ჰოლივუდშიო! _ იცინოდნენ. მას მერე რაღაც ამბიციაც კი გაუჩნდა. ეს საღამოც და ელენიკოს ქცევაც იმდენად მოულოდნელი და ამოუხსნელი იყო მისთვის, რომ ძილი აღარ ეკარებოდა. ანუკის ხატება და მისგან დანთებული ხანძარი კი ისევ ისე ენთო და კი არ ნელდებოდა, პირიქით, ძლიერდებოდა, ღვივდებოდა და სწვავდა, შანთავდა, დაღავდა. "შემიტყუა, დამიწვა და შემაცდინა"... _ იმ ღამეს ვერაფრით ახსნა ელენიკოს საქციელი და ამ რთული გამოცანის გადაწყვეტა მომავლისთვის გადადო. არც ის იცოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ელენიკოსთან მომავალში ან როგორ უნდა სცოდნოდა ოცი წლის გამოუცდელ ბიჭს, თუ რა პროცესი ვითარდებოდა ქალის ტვინში, რომელმაც ოცდათხუტმეტი წლისამ იგემა პირველად, აკრძალული ნაყოფის ჯადოსნური გემოს სიტკბოება... დილას, განთიადისასღა ჩაეძინა. ისიც, ალბათ იმიტომ, რომ სიგარეტი შემოელია.

გაეღვიძა თუ არა, გავარდა და იმ დილით გამოსული ჟურნალ-გაზეთების დასტა მოათრია სახლში. მაგიდაზე დაყარა და თვალიერება დაუწყო. იათოც მაშინვე მიუჩოჩდა. თან ყველაფერს მიხვდა: სიყვარული

_ სხვა რა უნდა ყოფილიყო გოჩუნას ასეთი უცნაური ქცევის მიზეზი?!.

ჟურნალისტებსა და ფოტოკორესპონდენტებს მაგრად ემუშავათ და ანუკის გარეგნობის მთელი თვალისმომჭრელი სილამაზე შმვენივრად გამოემზეურებინათ. ზოგან გარეკანიდან, ზოგან კი _ შიდა გვერდებიდან უმზერდა პატარა ქალბატონი თავისი მომნუსხველი თვალებით მკითხველებს. კერძო გიმნაზიაში სწავლობდა, თურმე. მეთერთმეტე კლასში ყოფილა. მაგრამ რა მოიცდის სწავლის დაწყებამდე?!. ღვინისა და შოუბიზნესის მაგნატის, კოტე მესხის ქალიშვილი ბრძანებულა. "ჩემს ფეხებს, თუკი თუნდაც ტყვია დამახალოს!" _ გაიფიქრა ამ ცნობის ამოკითხვისთანავე გოჩუნამ. და მართლაც _ "ლამაზი ქალი და ლამაზი ვაჟი, სხვა რა უნდა სიყვარულს?" ალბათ, არც არაფერი. მაგრამ... ამურები კი ხარხარებენ: "ჰო, ასე გეგონოთ!"

"არავის უთხრა"...

ზინამ კი დილიდანვე ახარა ელისოს, ელენიკოს კარის მეზობელს:

_ დაიწყო უკვე.

_ რა დაიწყო?

_ რა და ბოზობა. წუხელის გოჩუნა გადააძვრინა ფანჯრიდან. ჰო, შუაღამისას. კარი ჩაეკეტა ქალბატონს, როგორც კი ბიჭები წამოყვინჩილდნენ. ისე ირწეოდა ჩემი ჭერი მთელი ღამე, თვალი არ მომიხუჭავს.

_ ესღა გვაკლდა!.. მე კი როგორ ვუფიცავდი, იცი, მეზობლებში?! _ და იმავე დღეს იმ "დაფიცულმა" მეზობლებმა ზეპირად იცოდნენ, რამდენჯერ დაირწა ზინას ჭერი იმ ღამეს.

ნინიკოს, კოტიკოს ცოლს მთელი კვირა გლოვა ჰქონდა გამოცხადებული. ბანკეტის მომდევნო დილას, ნინიკომ რომ მოხსნა პირი, ქმარს ყველაფერი გადმოულაგა. რა უნდა ეთქვა? _ ნაგავი ხარო, უმტკიცებდა! კოტიკომ კი თავისი საყვარელი სიდედრის გინება არ დააკლო და სახლიდან გადაიკარგა. უკვე მთელი კვირა გავიდა და შინ ერთი ღამეც აღარ გაეთია. ნინიკომ ძალიან კარგად იცოდა, თუ სად ათენ-აღამებდა მისი ქმარი. რა ექნა? ერთადერთი ისღა დარჩენოდა, თავისი საგულდაგულოდ მოვლილი თლილი თითები დაეჭამა და ხელსაყრელ მომენტს დაჰლოდებოდა, რომ მოღალატე ქმარზე შური ეძია.

დედამისს, მარიეტას და ნინიკოს დიდი გარჩევები ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ყველაფერს ფულს აბრალებდნენ, ფულს, რომელიც კოტიკოს ჩეჩქვივით მოსდიოდა. ღვინიდან, შოუბიზნესიდან და სახელმწიფო სალაროდან, რადგან მთავრობას დღესასწაულების მიზეზი არ ელეოდა. "გართობა და დროსტარება _ აი, დღევანდელი მთავრობის დიადი მიზანი!" _ ხშირ-ხშირად წამოისვრიდა ლაპარაკში მარიეტას ქმარი სანდრო და რატომღაც ცხოვრებისგან დაღლილ და გამწარებულ ქალებზე მაშინვე ხელს ჩაიქნევდა.

როგორც კი რუსებმა ქართველ მეღვინეებს ანუ ბიზნესმენებს დარიალის კარი მიუკეტეს, მათაც აქეთ-იქით დაიწყეს ყურება და ალტერნატიული გზები გამონახეს. გზები კი, მოგეხსენებათ, ზღვებზეც ბლომად გადის, ხმელეთზეც და ჰაერშიც. ასე იქცა, რაღაც თვალის დახამხამებაში, ქართული ღვინო აზერბაიჯანულ, სომხურ თუ რუმინულ და იქნებ, არაბულ ღვინოდაც კი. აბა, რუსების ქაჯური ხუმტურების გამო, მილიარდებად ნაყიდ ქარხნებს ხომ არ გააჩერებდნენ! ან რა მნიშვნელობა აქვს, მართლაც, ღვინოს რა ერქმევა _ "ხვანჭკარა" თუ "აგალარა"? მთავარია, ნორმალური გრადუსი ჰქონდეს, ტვინში ადიოდეს და ფული მოჰქონდეს. როგორც ურია არ მოგაწოვებს ძუძუს უფასოდ, ისე სომხები, მაგრამ ევროპაზე ჩალიჩს და მით უმეტეს, არაბულ და აზიურ ქვეყნებზე აქცენტის გაკეთებას, სადაც ალკოჰოლს რელიგია კრძალავს, ისევ შეჩვეული ჭირი სჯობიაო, _ და კოტიკომაც, როგორც კი რუსებმა ქოში უკუღმა ჰყარეს, მაშინვე თავის ყოფილ მეზობელს, ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატს, ალბერტ აივაზიანს, რომელთან ერთადაც, ბავშვობაში მუსიკალურ ათწლედში სწავლობდა, დაურეკა და ერევნის კონსერვატორიის სოლისტი რამდენიმე დღეში მეღვინედ აქცია. ალბერტა თბილისელი იყო, მაგრამ როგორც კი ლაურეატი გახდა, ეგრევე სომხებმა გადაიბირეს და ერევანში გადასახლდა. ისე, ავი ენები ამბობდნენ, ალბერტა წარმოშობით ქურთია, მაგრამ რატომღაც, სომეხად დაეწერაო. მოკლედ, ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერია და ალბერტამაც უცბად აუწყო კოტიკოს "ქართულ-რუსულ-სომხური" ბიზნესი. ის კი არა, თავისი ცოლი ვიოლა მოსკოვში გადაიყვანა და იქაური ბიზნესი იქ, როგორც ყველაზე სანდოს, ისევ ცოლს ჩააბარა. ასე რომ, ქსელში უბრალოდ, ახალი ეროვნების ხალხი და ახალი "ეროვნების" ღვინოები გაჩნდა, თორემ ძველებს არაფერი დაუკარგავთ იმით, რომ რუსებს ქართული ღვინო შეაჯავრეს, თუმცა ეს _ პირობითად, თორემ რუსი სადმე ალკოჰოლისსუნიან სითხეს გადააწყდეს და შიგ გველის შხამიც რომ იდგეს, არ მოიყუდებს?.. მოკლედ, კოტიკომ თავის მენეჯერს, ბონდო გვარჯალაძეს გადააბარა ყველაფერი და თავის ახალ სიყვარულთან ერთად, დროებით გადაიკარგა.

დედ-მამის ურთიერთობის ეს ახალი და მტანჯველი ფაზა ყველაზე მეტად ბავშვის ანუ ანუკის ფსიკიკას ურტყამდა. არავინ იცის, დედა უფრო მაგრად უყვარდა თუ მამა, მაგრამ მშობლების ურთიერთობას ოჯახში ყველაზე მეტად ის რომ განიცდიდა, ცხადია. ეს ძალზე ჩქარა დაეტყო მის ნიშნებსაც სკოლაში და ხმასაც კი, რომელიც აღარც ისე სუფთად წკრიალებდა. ან, ვის ემღერება და ელხინება ასეთ რთულ მომენტებში?! მთლად

თავი აუშვაო, ვერავინ იტყოდა, მაგრამ მეტი თავისუფლება ნამდვილად იგრძნო და ლამის ყოველ საღამოს კაფე-ბარებში ატარებდა. დიახ, ის და მასავით ლამაზად გამოპრანჭული მისი დაქალები ძალზე ხშირი სტუმრები გახდნენ შავთელისა თუ პეროვსკაიას ქუჩების მოსალხენი დაწესებულებებისა.

მოკლედ, ბანკეტის მეორე დილასვე, კოტიკომ თავის ტურფას ხელი მოჰკიდა და ერევანში გააქანა. ალბერტამ შეფს თავისი ბინა დაუთმო და თვითონ დროებით, სიდედრის სახლში გადავიდა. ალბერტა საყვარლებს ყურადღებას არ აკლებდა და კოტიკოსაც და ირმასაც მთელი ის დრო ყურები გამოჭედილი ჰქონდათ სომხური კონიაკის ქებითა და ეჩმიაძინის უნიკალურობისა თუ "ჰაიასტანის" მსოფლიო დანიშნულების შესახებ სომხური ბაქიბუქის მოსმენით. სევანზეც ითევზავეს და წახკაძორის მარადიულად მქროლი სუსხიანი ნიავის ჰაერიც ბლომად ყლაპეს.

ერთმანეთს არ უმხელდნენ, თორემ ორივეს, ამ "დროებით შეყვარებულებს" ისე მალე მოენატრათ თბილისი, როგორც მოშიებულ ჩვილს _ დედის რძე, ამიტომ ორ-სამ კვირაში, ალბერტას ხელი ჩამოართვეს, გადაკოცნეს და სამშობლოსკენ გამოეშურნენ. და გათიშული მობილურებიც ჩართეს.

ჩართეს და კოტიკომ თავზარდამცემი ამბავი მოისმინა: ანუკი გაპარულიყო.

მომდევნო დღეებში გოჩუნა, თუმცა ანუკიზე ყურებამდე იყო შეყვარებული, მაინც რამდენიმეჯერ გამოიპრანჭა და ელენიკოს ააკითხა, კარი კი არც ერთხელ არ გაუღეს. ელენიკოს ბინას ფანჯრებიც მიხურული ჰქონდა და ფარდებიც _ ჩამოფარებული. მეზობლებიც მაგრად დაეჭვდნენ, განსაკუთრებით, ზინა აქტიურობდა და კარი შეამტვრიეს.

ელენიკო აბანაში იწვა, შიშველი. ვენები გადაეხსნა და დაგუბებულ წყალში ტივტივებდა. რა უნდა გამხდარიყო თვითმკვლელობის საბაბი?.. და ზინამაც გამომძიებელთან გუდას პირი მოხსნა. აბა, ვინ რა იცოდა, ელენიკოს ღამის კოშმარების შესახებ?! _ და საქმეში გოჩუნას გვარ-სახელი გაჩნდა.

ბიჭებმა, რომლებმაც მეზობლების მონაყოლიდან, გოჩუნას შესახებ უკვე ყველაფერი იცოდნენ, რა თქმა უნდა, პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ მობილურზე დაურეკეს და _ სახლს ახლოს არ გაეკარო, პოლიცია გეძებსო! _ გააფრთხილეს.

გოჩუნა კი უკვე რამდენიმე დღე იყო, გაკვეთილების დამთავრებისას ანუკის კოლეჯის წინ ასფალტს ტკეპნიდა. და თუ შინ მიმავალს, თანაკლასელებთან ერთად ან მარტოს წამით თვალს მაინც შეავლებდა, მეცხრე ცაზე იყო.

იმ დღესაც ანუკი გოგონებთან ერთად, კოლეჯიდან სიცილით გამოფრიალდა, ვერცხლისფერი ჯიპის კარი გამოაღო, ფეხი ასწია, ლამაზი, გრძელი, გარუჯული კიდურები მანქანაში ასხლიტა და გოჩუნასაც, როგორც ყოველთვის, ამის დანახვაზე, თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა. და ის იყო, სიყვარულის ისრიანმა ამურებმაც გადაყლაპეს, რომ მობილურმაც დარეკა.

_ არ გამოჩნდე, შე ჩემა, სახლთან ახლოს, არ გაგიჟდე! _ ყვიროდა მიკროფონში ჭილა. _ ელენიკომ თავი მოიკლა თურმე და შენ გადებენ ხელს მეზობლები. მთელი ქალაქის ძაღლობა ჩვენს ეზოშია და აქაურობას მეძებრებივით ყნოსავს. ქალაქშიც გეძებენ. სად დადიხარ, ბიჭო, საერთოდ, სად გადაიკარგე?

_ რაა? მერე მე რა შუაში ვარ, გაგიჟდნენ?!

_ მესიჯი წაიკითხე!

ჭილამ გაუთიშა და გოჩუნამ მესიჯი წაიკითხა: "ხომ იცი, ისმინება და აღარ გითხარი. ფანტანთან მოდი!"

ყოფილ "კომუნარების", ახლა კი _ "ცხრა აპრილის" ბაღში სიმშვიდე იყო. ფეხიფეხზე გადადებული თითო-ოროლა პენსიონერი ძელსკამებზე მოკალათებულიყო და წარსულს იხსენებდა. ერთი-ორ სკამზე კოცნა-პროშნაც გაეჩაღებინათ...

ბიჭები ერთმანეთს დამშრალ აუზთან შეხვდნენ და შეთქმულებივით, ქვემოთ დაეშვნენ. ქვედა ბაღში განმარტოვდნენ თუ არა, ჭილაც ჩაირთო:

_ მართლა ესე იყო, ტო? მართლა გაჟიმე, შე ჩემა, ელენიკო?

_ მოიცა, ჯერ ის მომიყევი, რა თავი მოიკლა, როგორ მოიკლაო, რატომ?

_ როგორ და კარი შეამტვრიეს თუ არა, ნაჯახით გამოჭრეს...

_ ვინ, ბიჭო!

_ ვინ და მეზობლებმა... აბაზანაში წოლილა, გაბერილი. მთლად შიშველი. ვენები გადაუსერია თურმე. მე ვერ შევედი, იქ რა შემიყვანდა?! აუ, იქ ამბავი იყო!.. აუ, იცი, რამოდენა ძაღლობა ამოქანდა?!.

_ მე ვინ დამადო ხელი?

_ ვინ და ზინამ.

_ შენ რა იცი?

_ რა ვიცი? გამოვიდა, ბიჭო, ეზოში და ხმამაღლა ყვიროდა, _ გოჩუნაა მოსაკლავი, ჩამოსახრჩობი, მაგან გააუბედურა საწყალი გოგო! სტაცეს ძაღლებმა ხელი და შინ შეათრიეს. მერე, ხუთ წუთში გამოცვივდნენ და შენთან შევარდნენ. ერთი, ხუთნი მაინც. მაგრამ შიგ რა ხდებოდა, არ ვიცი.

_ რა უნდა ვქნა, ტო? _ მხრები აიწურა გოჩუნამ.

_ უნდა დაიმალო, სხვა რა?! თუ დაგიმტკიცდა, სამუდამო პატიმრობას შეგტენიან!

_ მე რა უნდა დამიმტკიცდეს, მე რა შუაში ვარ, რა სიგიჟეა!.. მე საიდან უნდა მცოდნოდა, თავის მოკვლას თუ აპირებდა?!

_ ზინას ულაპარაკია მეზობლებში, _ ყოველღამე ჩემი აივნიდან აფოფხდებოდა და ელენიკოსთან ფანჯრიდან გადადიოდაო.

_ რა ყოველღამე?! თვითონ დამირეკა, _ კარი ჩამეკეტა შიგნიდან და იქნებ გადმოძვრე და გამომიშვაო. მეც სატეხი ავიღე და გადავძვერი. ერთხელ მარტო, იმ საღამოს. რომელი მაუგლი მე ვარ, ყოველღამე შუშაბანდებზე მევლო?!

_ მერე?

_ რა, მერე?

_ რო გადაძვერი.

_ დამასიაბანდა თურმე: რა ურდული ჩაეკეტა?! ერთი გამოვკარი ასე, ჰო, პატარაზე მივარტყი ჩაქუჩი და ამოვარდა ეგრევე.

_ მერე?

_ მოვდიოდი, რა, ჩემთვის... აუ, რა მურტალ სიტუაციაში ვაარ!

_ არ გამოგიშვა?

_ არა. ღვინო შემოიტანა, ერთი ოთხლიტრიანი ბოცით. აუ, ჩემი დედა!..

_ მერე?

_ დავლიეთ... ისე, რა... იმანაც და მეც... ჰოდა, გამოვდიოდი და კაბა არ აიწია?!. გავგიჟდი მეც. შენ არ გაგიჟდებოდი?.. ყველაც გაგიჟდებოდა. თვითონ დამიწვა, ტო! არც მეგონა ქალიშვილი, გავგიჟდი... აუ, მე რა შუაში ვარ? თუ თავის მოკვლას აპირებდა... მე რა დავუშავე?! სად წავიდე, ტო, სად მოვტყდე ასე, უფულოდ?.. იათო?! ვინ მოუვლის, ტო?

_ არაფერი გაქვს?

_ ერთი თეთრიც არა მაქვს, საიდან?! ვალი მაქვს კაენასი, ასი ლარი.

_ მამაჩემს დავაწერ ცოტას... ცოტას ბიჭები შევაგროვებთ.

_ ო, მამაშენი რომ შენ ფულს მოგცემს...

_ მომცემს.

_ და ეს ღამე სად უნდა გავათენო, ვაგზალზე?

_ წამო, წამო. მე ვიცი, სადაც უნდა გაათენო.

_ სად?

_ მამკოდაზე, ცოტას წაიმუშავებ. ფულსაც მოგცემენ. აგიყვან და სანამ ფულს მოგიტან, იქ იქნები.

_ რა?

_ ჰო, რა იყო?.. მუშახელი სჭირდებათ. არავინ უჩერდებათ. უკეთესი სამალავი არც მეგულება. მიგიყვან და შენ თვითონ ნახავ.

გზაში გოჩუნა თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს მისი ამბავი ყველამ იცოდა... მეტროში ჩავიდნენ და “ახმეტელის” სადგურში ამოვიდნენ. ტრასა გადაკვეთეს და ტაქსი გააჩერეს.

_ მამკოდამდე ხომ წაგვიყვან? _ შეეკითხა მძღოლს ჭილა.

_ აუ, ძაან ცუდი გზებია და ეს ჩემი მანქანა კიდევ...

_ მიდი, მიდი, ძაან კარგი გზებია, აჰა, აი, ფულს წინასწარ ვიხდი, _ ჭილამ მძღოლს ხუთლარიანი გაუწოდა.

მძღოლს აშკარად შეეტყო, რომ ორ უცნობ ბიჭთან ერთად მამკოდაზე ასვლას უფრთხოდა.

სოფელ გლდანს რომ გასცდნენ, როგორც ჩანს, შიშის გრძნობამ უმატა.

_ ბიჭებო, რამე პრობლემა თუ გაქვთ...

_ არა, რა პრობლემა?! შენ თუ გაქვს... _ აღარ დაამთავრა ჭილამ.

_ არა, მე რა, მოვატრიალებ და დავეშვები.

_ ჰოდა, მიაჭირე, რა, ცოტაღა დარჩა.

ჭილამ მანქანა შამპინიონების სათბურებთან გააჩერებინა და ბიჭები გადავიდნენ.

მძღოლმა რაღაც ჩაიბურტღუნა. როგორც ჩანს, ახლა ფული ეცოტავა. მანქანა მოატრიალა და დაღმართზე დაეშვა.

_ უკან როგორღა წახვალ? _ ჰკითხა ჭილას გოჩუნამ.

_ ბიძაჩემი ჩამაგრიალებს თავის ტრანგალეტკით... ამ სათბურებს ხედავ? _ ხელი გაიშვირა ქვევით, ვაკეში ჩადგმული, გრძელი, კაპიტალური სათბურებისკენ ჭილამ. _ გეძებონ ახლა, სანამ მოჰბეზრდებათ... შამპინიონი, ხომ იცი, რაც არის?

_ სოკოა, კი.

_ ჰოდა, შეიწვავ, მოიხრაკავ, რა ვიცი... ცოტას ხელსაც წააშველებ ბიძაჩემს და... მოსულა?

გოჩუნა გაჩუმდა. ალბათ არც მაინცდამაინც მოეწონა პერსპექტივა.

_ ციხე ხომ არ მერჩია?..

_ კაი, თუ ძმა ხარ... ციხე, პარაშა, ბალანგა, ზედამხედველი... ისე, ბიძაჩემი ტარო ცოტა ქაქი ტიპი კია, მაგრამ შეეჩვევი.

_ ქაქი რატოა?

_ წუწუნებს, რა, სულ. ტირის, იწირპლება.

_ ალბათ, მაგიტომაც არ უჩერდება არავინ.

_ არა, მაგიტომ _ არა. მაგარი ნესტია და შხამქიმიკატები და რა ვიცი...

_ მკლაავ, შე ჩემა?

_ წამო, ტო, ბევრს ნუ ლაპარაკობ!..

ფერდობზე საცალფეხო ბილიკს დაუყვნენ. გაივაკეს და რკინის ჭიშკარს მიადგნენ. ეზოს, წნული მავთულის ღობე ჰქონდა შემოვლებული. ჭიშკართან ძველი, ჟანგიანი, სტაფილოსფერი “ნოლ-ტრი” იდგა. ჭილამ ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. მაშინვე საიდანღაც ბომბორა _ ქართული ნაგაზი გამოენთო ყეფით.

_ ვერ მიცანი, ეე? დაუსტვინე, ლადო?! _ დაელაპარაკა ნაგაზს ჭილა და ძაღლიც იმწამსვე წკმუტუნზე გადავიდა. _ ლადო ჰქვია. პაპაჩემის სახელი დაარქვა ბიძაჩემმა.

სათბურის მაღალი რკინის კარი გაიღო და იქიდან დაბალი კაცი გამოვიდა, რომელსაც პანამის ქუდი ეხურა. ცოტა ეჭვის თვალით იყურებოდა ჭიშკრისკენ. შორიდან ალბათ, ვერც იცნო დისშვილი. კარს რომ მიუახლოვდა, იცნო და გაეღიმა:

_ ვა, შენა ხარ, ტრაკუჩ?

“აუ, ეს არის ტრაკუჩა? ეს ორმეტრიანი?” _ გაიფიქრა ჭილაზე გოჩუნამ.

_ რა ქარმა გადმოგაგდო?! არ უნდა დარეკო წინასწარ?! იქნებ, ქალაქში ვარ.

_ ოჰ, კაი, ვიცი შენი ამბავი. ქალაქში ქუდი რომ შემოგიგდონ, ფეხის შემომდგმელი არ ხარ.

_ რა ხეირია, რომ?! თუ იქაურ მათხოვრებს არ ვუყურე, როგორ იქექებიან ნაგვის ყუთებში...

ბიძამ და დისშვილმა ერთმანეთი გადაკოცნეს და ჭილამ გოჩუნაზე ანიშნა:

_ აი, მოგიყვანე. ერთი მუშა მიშოვეო, სულ რომ მიხურებ!

ტარომ ფეხიდან თავამდე აათვალიერა გოჩუნა. ასე რომ, ცოტა თავის უკან გადაწევაც მოუხდა.

_ ალერგიული ხომ არა ხარ? _ ჯერ ამით დაინტერესდა ტარო.

_ არა, _ უპასუხა უხალისოდ გოჩუნამ.

_ თუ ალერგიული ხარ, ეგრევე უკან შეგიძლია დაახვიო.

_ არა, რა ალერგიული?! ბებიაჩემს ბაღჩა აქვს შინ, ყვავილების.

_ მაშინ, წამოდი! _ ტარო შებრუნდა და ბიჭებიც მიჰყვნენ.

სათბურის კართან ერთი კაციც გამოსულიყო, სტუმრებისკენ იმზირებოდა და თვალებზე ხელს იჩრდილავდა.

_ კაი, მიკეტე, რა, ეგ კარი! _ გასძახა შორიდან ტარომ და კაცმაც კარი გაიხურა. _ გამომიბრძანდა აქ, კაი მასპინძელივით...

_ ვინ არის? _ დაინტერესდა ჭილა.

_ გლდანელია ერთი. ტრაქტორითაც ვერ დაძრავ, სულ გდია და ხვრინავს ეს ჩემალალა და ახლა არ გამომეჭიმა? როგორ გინდა, დაიჭირო ერთი ტემპერატურა?! გააღო და დგას, ჯორ-ცხენსავით. წამო, ჯერ ჩემთან შევიდეთ.

სათბურის მარცხენა კედელთან პატარა სახლი იყო მიშენებული და ტარო ბიჭებს იქით გაუძღვა. "ხიბარა" შიგნით კაი მოზრდილი და სუფთა ოთახი აღმოჩნდა. იატაკზე მეტლახიც კი დაეგოთ. მარჯვნივ, კუთხეში თუნუქისმილებიანი შეშის პატარა ღუმელი იდგა, პირდაპირ _ სამი ორსართულიანი საწოლი, რომლებზეც ლეიბები ელაგა, გვერდით ფანჯარასთან კი _ ოთხფეხა პატარა მაგიდა და სკამები, ხელით ნაკეთი, უხეში "ტაბურეტკები" იდგა. მარცხენა კუთხეში ორლულიანი თოფი იყო მიყუდებული, მის გვერდით კი _ რეზინის გრძელყელიანი ჩექმები. თოფის თავზე მწვანე, გაქონილი ლაბადა ეკიდა. იქვე ძველებური, კარგა დიდი სკივრიც იდგა.

_ არ მოდიან გლდანელები, დღიურად გადაგვიხადეო, _ საწოლებზე მიანიშნა ტარომ. _ ხელის განძრევა ეზარებათ. დღიურად რანაირად გადავუხდი? მე რა ბებიაჩემისა ვიცი, რამდენ "სირს" მოიბამს ეს "ღრუბლები"? _ "ღრუბლებს" ტარო წყლით გაჟღენთილ ნეშოსა და ხავსს ეძახდა, რომელზეც სოკოს თესავდა. _ ერთ მწკრივს ძლივს ვაცოცხლებ, მეტს კი ვერა!.. ამ დენმაც ხომ შემიკლა ხელში! იცი, რამდენი "სალიარკა" მიმდის?! ბუგავს ეს ჩემი "დვიჟოკი". სამ და ოთხკილოვატიანს ხომ ვერ ვამუშავებ და ეს სამხედრო "დვიჟოკი" კიდევ... თან, რა ხმა აქვს!

ლაპარაკობდა, ჰყვებოდა, წუწუნებდა ტარო და თან მაგიდას აწყობდა. სალათის გაკეთება ჭილას დაავალა. დანა, კიტრი და პომიდორი დაუწყო და ამას შენ მიხედეო, უთხრა. პატარა გაზის ბალონი აანთო, ზედ ტაფა შემოდგა. ხახვი დაჭრა და მოდაღა, მერე კი ზედ შამპინიონები დააყარა. ტაფას თავსახური დააფარა და მაგიდასთან დაჯდა. მერე ჭიქებში არაყი ჩამოასხა და დაილოცა:

_ თქვენს ამოსვლას და ჩემს დახვედრას!..

დალიეს.

_ იმას არ დავუმახოთ? _ იკითხა ჭილამ.

_ მოიცა, თუ ძმა ხარ, აქა მყავს, აი! დალევს და ვეღარც გააჩუმებ, ყბედობს ათას სისულელეს... რა დაძახება უნდა, სუნზე აგნებს სასმელს, თვითონ შემოეხეტება. წყალს უსხამს...

_ რამდენს აძლევ? _ შეეკითხა ჭილა.

_ დედის მაგისამ, კიდევ ფულიც ვაძლიო! ვაჭმევ მარტო, _ ხელი აიქნია ტარომ.

_ რა? არ უხდი არაფერს? _ გაუკვირდა ჭილას.

_ შენ კარგადა ხარ? რა უნდა გადავუხადო?! ცოლმა გამოაგდო და აქეთ იხვეწებოდა, ღამე გამათევინეო.

_ რატომ გამოაგდო?

_ ე, თვითონ ხელს არ ატოკებდა, ცოლ-შვილს ამუშავებდა და დათვრებოდა და იქით აგინებდა და სცემდა თურმე.

_ როგორ გამოაგდეს მერე?

_ პოლიციას გამოუძახეს და _ შვიტ, იპინტრიშეს სახლიდან. თან, ერთი თხუტმეტი დღეც ახეხვინეს... ხის ძირები აბარვინეს, თურმე... გამოსულა, დამთვრალა და მივარდნია ისევ... იმათაც ისევ პოლიცია გამოუძახიათ და გამოქცეულა, სანამ მიაკითხავდნენ.

_ "პაბეგში" ყოფილა ეგეც... _ წამოსცდა ჭილას.

_ ესეც გამოქცეულია? _ იკითხა ტარომ.

_ არა, ეს გამორიდებულია ჯერჯერობით, მერე ვნახოთ.

_ ასეც ვიფიქრე. შევხედე თუ არა, ასეთ კაცს მაშ, რა ამოიყვანდა, ასეთ გადაკარგულში? _ და ტარომ გოჩუნას ხელზე დაადო ხელი: _ აქ ვერავინ ვერ მოგაგნებს, სულ რომ ნაკერავზე გაიხონ. იმდენი ჯურღმული და ნაგავია, ამ ორივე სათბურში დაგროვილი, მთელი წელი რომ გეძებონ, ვერ გიპოვიან.

_ მთელი წელი რომ აქ დავრჩე... _ ჩაილაპარაკა გოჩუნამ.

_ ჰო, გატყიურდები, პირუტყვად იქცევი, ჩემსავით... ისე, რთვილს რომ ჩამოყრის, სანადირო სეზონი იწყება და ვინ გიშლის, აშლაპუნე და უჭახუნე შაშვს და კურდღელს...

_ რა გინდა, ძმაო, სამოთხეში მოგიყვანე, _ უთხრა ჭილამ გოჩუნას და გაიცინა.

_ აქ მგელი და ტურაც ეცოდინება, მაშინ.

_ ტურები სახლში გვიცვივიან ზამთრობით...

_ მე რა უნდა გავაკეთო, რომ? _ იკითხა გოჩუნამ.

_ ტურები უნდა გაყარო, სხვა რა?! _ გაიცინა ტარომ.

_ არა, სოკოზე ვამბობ.

_ არაფერი, რა არის გასაკეთებელი, რო?! მარტო წყალი არ მოაკლო. ტემპერატურა არ უნდა დავარდეს და დენი თუ გამოირთო, "დვიჟოკი" ჩართო. ყურის გდება უნდა, რა... ისიც, თუ მე არ ვარ.

_ როცა მიაქვს, რა, სოკო, _ დააზუსტა ჭილამ.

_ ბაზარში?

_ სად არის მაგდენი?! ორ-სამ რესტორანს ძლივს ვამარაგებ...

კარი გაიღო და იორამმა გაუბედავად შემოიხედა. წარბი აეწია და ისე უყურებდა სამივეს. იდგა ასე და აღარც ოთახში შემოდიოდა და აღარც უკან გადიოდა, თითქოს ნაწყენი იყო, რომ არ დაუძახეს.

_ შემო, რა მოლასავით მოიპარები, რა, შენც თქმა გინდა? _ შეუტია ტარომ.

იორამი შემოვიდა და სკამს დაუწყო ძებნა. აიღო და მეოთხე, თავისუფალ მხარეს მიუჯდა მაგიდას. გადასწვდა, პური გატეხა და მერეღა თქვა:

_ რავი, არ შემეხმიანე და, რო შევიდე, კეტით არა მცემოს-მეთქი...

_ არა ხარ საცემი, რო?! _ დააცქერდა სახეში ტარო იორამს.

_ რატო?.. _ ახლა შემწვარი შამპინიონი გადაიღო იორამმა.

_ რატო და, მე თუ არ გითხარი, ხელს არ ატოკებ, ძმაო...

_ რაღა ჩემი დედაკაცი და რაღა ეს... _ ბიჭებს გადახედა იორამმა. _ წყალს ვუსხამ? ვუსხამ. "დვიჟოკს" ვურთავ? ვურთავ. მოსაწყვეტი თუა, ვწყვეტავ და ვალაგებ ყუთებში... რა პატარები იზრდებაო!.. დიდები კიდე, აი, ჩემი... _ ხელი ქვევით წაიღო იორამმა.

_ ჰა, ახლა!.. _ აღარ დაამთავრებინა ტარომ. მერე ბოთლი აიღო და ჭიქები შეავსო.

_ ვინც ამ შემოდგომას ვერ მოესწრო...

დალიეს. ბოთლი გამოსცალეს. იორამი ადგა და სათბურში სოკოს დასახედად გავიდა.

_ ახლა რა ვქნათ? _ იკითხა ტარომ.

_ ეს აქ დარჩება და მე უნდა ჩამაგრიალო მეტრომდე, _ უპასუხა ჭილამ.

ტარო წამოდგა. სკივრთან მივიდა და მუთაქა და საბანი ამოიღო, რომელიც გვარიანად იყო გათელილი და ვინ იცის, ვის აღარ ეხურა, ვინ აღარ გაუთბია?..

_ აი, ძმაო, ეს იყოს შენი საწოლი, _ უთხრა ტარომ გოჩუნას იმ საწოლზე, რომელზეც ჩიხოლგადაუკრავი საბანი დააგდო და ლეიბს ხელით დააწვა. _ ნახე, რა "პრუჟინები" აქვს. აკვანია, რა!..

_ მობილურის ახალ ნომერს ამოგიტან... _ დაიწყო წასვლამდე ჭილამ. _ მარტო მესიჯებს გამოუშვებ ხოლმე... დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ერთი-ორი კვირა ხომ გაძლებ აქ, არა? უნდა გაძლო, სხვა რა გზაა?!

_ იათოს დარდი მაქვს, არა მგონია, გაუძლოს. თუმცა, რა ვიცი, ისეთი ხასიათი აქვს...

_ იათოს ჩვენ მივხედავთ, ბოლო-ბოლო, ვიმორიგეებთ ბიჭები.

_ მანქანა?

_ შენი მანქანა? ერთი, თითი დააკაროს ვინმემ! ხო დაკეტილია?

_ კი, გასაღები ჯიბეში მაქვს.

_ ჰოდა, "დასპაკოინდი"!

ტარო და ჭილა როგორც კი წავიდნენ, გოჩუნა გარეთ გამოვიდა. ტუალეტი ასე, ოც მეტრში შენიშნა. ძაღლი მაშინვე მიეახლა და ტუალეტამდე წკმუტუნითა და კუდის ქნევით მიაცილა. "ჭკვიანი ძაღლია", _ გაიფიქრა გოჩუნამ.

ოთახში როგორც კი შემობრუნდა, მაშინვე საწოლზე მიწვა. გაუხდელად. თავი უხურდა. არყისგან, რა თქმა უნდა. რა საოცარია: შუადღისას ქალაქის ულამაზეს გოგოს უთვალთვალებდა, ერთი სული ჰქონდა, მარტო თვალი მოეკრა, ახლა კი, სადღაც გადაკარგულში წევს და არც იცის, ეღირსება თუ არა ოდესმე უკან დაბრუნება. აქაც კი, ანუკის გრძელი, გარუჯული ფეხების მხურვალებას და რაღაც შეუცნობელ ლტოლვასა თუ ტკბობას თავიდან ვერაფრით იცილებდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა... ახლა ელენიკო გაახსენდა. "რატომ მოიკლა თავი? შური იძია? რატომ? რომ ვერ შევამჩნიე და არ მივესალმე, ამიტომ? არა, რა სისულელეა! ამიტომ კი არა... მაშინ, რატომ? რატომ წაიღო საფლავში თავისი სათქმელი?.. არა, გაუპატიურებას შემტენიან... ქალიშვილი მაინც არ ყოფილიყო! ვინ, რომელი ცოფიანი დაუჯერებს?.. ისედაც დაგეშილები არიან ყველაზე..." ბიჭებს გულისხმობდა გოჩუნა. დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა. არადა, რა სიმწრით აწყობილი, გამზადებული მანქანაც კი არ გაუყვანია ჯერ ქალაქში. იათო?.. იათო მოკვდება!.. და ძილ-ღვიძილის მდგომარეობაში გადავიდა, ისეთში, რომლის დროსაც, უცნაური აზრები ზმანებებში გადადის და ადამიანი თითქოს სულ სხვა განზომილებაში, რაღაც ფანტასტიკურ, უწონადო მდგომარეობაში გრძნობს თავს... პატარა იყო. იათო, რომელსაც ნეილონის გამჭვირვალე კაბა და მოსასხამი უფრიალებდა, მისი მანქანის საჭეს ატრიალებდა და ქალაქის ქუჩებში მიქროდა... მერე, ვითომ ხელი ჰქონდა ჩაჭიდებული და ვაგზალზე, ბაქანზე, მატარებლის მოსვლას უცდიდნენ. ის კი, არა და არ მოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა, სვლა შეანელა, მაგრამ არ გაჩერდა. იათო გამოუდგა, გოჩუნასაც მიარბენინებდა, ხელჩაკიდებულს, თითქოს ვაგონის კიბეზე ცდილობდა ახტომას. გოჩუნას ხელი გაეშვა, იათომ ვერ გაიგო, როგორ ჩამორჩა გოჩუნა, მატარებელს შეახტა და გაჰყვა... ბიჭი კი მარტო დარჩა პერონზე _ გულამოვარდნილი, ხელებგაწვდილი...

გამოეღვიძა... ღრმად, აჩქარებულად სუნთქავდა. ოთახში ისევ მარტო იყო. არც იორამი შემოსულიყო და, როგორც ჩანს, არც ტარო დაბრუნებულიყო. შუბლი ცივი ოფლით დანამვოდა. უეცრად მოაგონდა იმდღევანდელი ბედუკუღმართობა და წამოდგა.

გარეთ გამოვიდა. ჭაჭის მოტკბო გემო ისევ პირში უტრიალებდა. აგრილებულიყო. ესიამოვნა ცივი ნიავი. ძაღლმა, რომელიც უკანა ფეხებზე ჩაყუნცულიყო, შეჰყეფა. ალბათ, მეგობრულად, რადგან კუდი ერთი-ორჯერ დაჰკრა მიწას და გაჩუმდა. მთვარიანი, ვარსკვლავიანი ცა "ეხურა" იქაურობას. თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. თითქოს არც ვენებგადახსნილი ელენიკო წოლილიყო აბაზანაში, სისხლიან წყალში, გაბერილი... თითქოს არც გულწასული იათო მჯდარიყო თავის "სამარადისო" მოძრავ სავარძელში... ძაღლი წამოვიდა და გვერდით ამოუდგა, თან გზისკენ იყურებოდა _ ეტყობა, ტაროს ელოდებოდა. ფშვინვა შემოესმა. ლაბადაში გახვეული იორამი ღობის ძირას მიყრილ

ფიჩხის გროვაზე მისვენებულიყო და ტკბილად ეძინა. გოჩუნა ჩაიცუცქა, ძაღლს თავზე ხელი დაადო და ატირდა. და _ თვითონაც გაუკვირდა _ რატომღაც, კბილების ღრჭიალით ტიროდა, უცრემლოდ, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო. ვის? ალბათ, ბედს...

გამომძიებელმა გური ცინცაძემ გოჩუნას მეგობრები _ კაენა, გიგო და ჭილაია _ სამივე ერთად, მეორე დღის ათი საათისთვის თავისთან დაიბარა. კაენას მანქანით წავიდნენ.

ბიჭები კი მიიღო, წინ დაისხა, მაგრამ, თითქოს არც აინტერესებსო, თვითონ, ტელევიზორის პულტი ეჭირა და ეკრანს მისჩერებოდა. "სიენენის" არხი ჰქონდა დაჭერილი. თავიდან, გოჩა კობერიძე არც უხსენებია. უფრო, ელენე მჭედლიშვილზე ანუ ელენიკოზე ეკითხებოდა. ბიჭებიც უხალისოდ პასუხობდნენ. ანკი, რა უნდა ეპასუხათ?.. კაი გოგო იყო. გათხოვილი არ იყო. მეგობრები ჰყავდა? კი, როგორ არა. ბევრი _ არა, მაგრამ დადიოდნენ ხოლმე... ქალები, რა კაცები?! უკარება?.. ჰო, ალბათ, აბა, ჩვენ რა ვიცით?.. ყველასთან კარგად იყო. მეზობლებთანაც და ბიჭებთანაც.

_ რომანი ხომ არ ჰქონდა ვინმესთან? ვინმე ხომ არ უყვარდა, მეზობლებიდან?

ბიჭები გაჩუმდნენ. თავიდანვე იცოდნენ, რომ ეს აინტერესებდა გამომძიებელს ყველაზე მეტად... არა, არავინ. ამის შესახებ ბიჭებმა არაფერი იცოდნენ...

_ აბა, გოჩა კობერიძე ვინ არის, მაშ?! ყოველღამე აკითხავდაო, ქვემოთა მეზობელი ამბობს. თქვენ არაფერი იცოდით ამის შესახებ? კი არ დავიჭერთ იმ კაცს, შეყვარებული ვის არ ჰყოლია?!

ბიჭებმა არც გოჩას ამბავი იცოდნენ...

_ არც ის იცით, სად არის? წუხელ სახლში არ გაუთევია, _ და უცებ ჭილაიას შეხედა უცნაურად. _ შენ სად იყავი გუშინ? გვიან რატომ მოხვედი?

_ მე? მე გუშინ სტადიონზე ვიყავი. ბერძნების წვრთნას ვუყურე.

_ შენც სპორტსმენი ხარ?

_ მე? მე ფარიკაობაზე დავდიოდი სამი წელი, მაგრამ თავი დავანებე.

_ რატომ?

_ თავში ჩამარტყა ერთმა დებილმა "შპაგა" და ტვინის შერყევა მქონდა.

_ გეტყობა! _ ეხუმრა ჭილას გამომძიებელი.

ბიჭებს გაეცინათ. გაეხარდათ, ჭილა რომ გამოძვრა. გამომძიებელი კი ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა.

_ ეგ ქალი მოკლულია. გაუპატიურებულია, _ თქვა გამომძიებელმა მშვიდად, ისე რომ ეკრანისთვის თვალი არც მოუცილებია.

_ აკი, თავი მოიკლაო?! _ წამოისროლა ჭილამ.

_ ჰო, თავი მოიკლა. მაგრამ ვიღაცაა მიზეზი, ვინც ძალა იხმარა, _ ხმას ოდნავ აუწია გამომძიებელმა. _ აი, ექსპერტის დასკვნა. _ გურიმ თითი წინ დადებულ საქაღალდეზე დააკაკუნა. _ მკვლელი კი არა, ნემსის ქურდიც რომ იყოს, მაინც მივაგნებ და!.. _ გამომძიებელი გაჩუმდა. ბიჭებს გადახედა. ისინიც გაბოროტებულიყვნენ, თვალები ანთებოდათ და უბღვერდნენ. _ ჰო, თქვენ არაფერი იცით! ეს, _ თითი ჭილაიასკენ გაიშვირა, _ სტადიონზე იყო, შენ _ გოგლიმოგლს იკეთებდი, _ გამომძიებელი კაენაზე გადავიდა. _ შენ კი, _ ახლა გიგოს მიაჩერდა, _ ბუზებს ითვლიდი ჭერში... ასე იყო, ალბათ. ძალიან კარგი!.. თავისუფლები ხართ! შეგიძლიათ, მიბრძანდეთ!

ბიჭები სწრაფად ადგნენ და ოთახიდან გავიდნენ. რაც არ უნდა უდანაშაულო იყო, დაკითხვა მაინც დაკითხვაა და ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც პოლიციის კედლებში გიჩნდება, მაინც მიგყვება თან.

_ მაგარი დედამიწერილი ჩანს... _ თქვა კაენამ, მანქანა რომ დაქოქა და პოლიციის შენობას ოდნავ მოშორდა.

_ ჰო, მთლად შტერი არ იყო... _ ჩაილაპარაკა ჭილამ.

_ კაცი თავის მოვალეობას ასრულებს.

_ ჰო, მაგრამ, რა ფეხები უნდა წაიღონ გოჩასგან?!.

_ მაგაზე არ არის. დააწინაურებენ. სახელს გაიკეთებს, _ თქვა კაენამ.

_ თუ კაცი უდანაშაულოა? თუ უყვარდა ამ ქალს და თვითონ დაუწვა?.. _ ჩაერია გიგო.

_ ეგ არავინ იცის, _ თქვა კაენამ.

_ ჰო, გოჩუნას მეტმა, _ დააყოლა გიგომ.

_ ჰოდა, ვერც გამოტეხენ, _ თქვა ჭილამ.

_ აუ, რა ბავშვურად მსჯელობთ! დააბრალებენ და მორჩა! ხალხს სამშობლოს ღალატსაც კი აბრალებენ, _ განაგრძო კაენამ. _ მაგათ სიმართლე კი არ აინტერესებთ, მაგათ აინტერესებთ, რომ ვიღაცა ჩააყუდონ. მართალი იქნება თუ მტყუანი, მაგათ სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ. პატრონი არა გყავს?.. "ზნაჩიტ", მკვლელი ხარ _ მორჩა! თუ პატრონი გყავს?.. ანგელოზი ხარ! ორივე ფრთა თუ არა, ერთი ნაღდად ამოსული გაქვს ზურგზე.

_ სისხლს უცვლიანო, რა, ტყუილია? _ თქვა ჭილამ.

_ გოჩუნამ ძალით გააუპატიურა ელენიკო? რა სისულელეა! _ ჩაილაპარაკა კაენამ. _ მე რომ ვყოფილიყავი, კიდევ, ჰო!

_ მაშ, რატომ მოიკლა თავი? _ იკითხა გიგომ.

_ რას გაიგებ?! დილას სარკეში ჩაიხედა და ცხვირზე "პრიშჩიკი" დაინახა, ადგა და თავი მოიკლა... _ თქვა კაენამ. _ ცუდად არის გოჩუნას საქმე. თუ დაუმტკიცდა, მინიმუმ ოც წელს აჰკიდებენ.

_ არ უნდა გამოჩნდეს, _ თქვა ჭილამ.

_ ჰო, _ დაუდასტურა კაენამ.

მანქანამ თავისუფლების მოედანს წრე შემოარტყა და რუსთაველისკენ წავიდა.

_ საით? _ იკითხა გიგომ.

_ ცოტა "გავიკატაოთ", შე ჩემა, არ შეიძლება?! _ თქვა კაენამ და სიჩქარეს მოუმატა.

ანუკი არ იმჩნევდა, თორემ ძალიანაც "უსწორდებოდა", სკოლიდან გამოსულს, ერთი და იგივე ბიჭი რომ ხვდებოდა ქუჩის მეორე მხარეს და თვალს ვერ აშორებდა. ის კი არა, ერთი სული ჰქონდა, ბოლო გაკვეთილი როდის დამთავრდებოდა, სულ მობილურის ეკრანს დასცქეროდა... მაღალი ბიჭი იყო, ლამაზი და, როგორც ანუკი ფიქრობდა, ვეფხვის გამოხედვაც ჰქონდა... ბოლო დღეებში გოჩუნამაც შენიშნა, რომ გოგო რაღაც, კეთილი თვალით გამოხედავდა და თითქოს რაღაც ნიშანსაც კი აძლევდა, თითქოს აქეზებსო, მაგრამ როგორც სიგიჟემდე შეყვარებულებს სჩვევიათ, ვერც გოჩუნა გაეკარებოდა თავის ცისკრის ვარსკვლავს. გამორიცხული იყო. ეგონა, მოკვდებოდა, სიტყვას თუ ეტყოდა... გაიფრიალებდა მის თვალწინ ანუკი, ჩაჯდებოდა თავის მანქანაში და გოჩუნას ასე მეოცნებეს სტოვებდა ქუჩაში. მარტოს, თავის ოცნებებთან, თავის მიუწვდომელ სიყვარულთან.

არა, გოჩუნა სულაც არ იყო მორცხვი, პირიქით _ ნებისმიერ თანატოლ გოგოს ხელსაც მოჰკიდებდა და ძალასაც აგრძნობინებდა... ანუკის კი _ ანუკის, რომლის შავი თვალები და ბროლის ყელი მოსვენებას არ აძლევდა, სიტყვის თქმას როგორ გაუბედავდა, რანაირად?!

...იმ დღეს კი, იმ დღეს, გაკვეთილების მერე, ანუკი სკოლის კარიდან, როგორც მუდამ იცოდა, ლამაზად რომ გამოფრიალდა, ის ბიჭი თავის ადგილას აღარ იდგა. არც სხვაგან, გზის გაყოლებაზე, არც იქითა და არც აქეთა ტროტუარზე _ არსად, არსად არ იდგა... ანუკის კინაღამ ჩანთა გაუვარდა ხელიდან. რა მოხდა? სად გაქრა? რომ არც ხვალ გამოჩნდეს და არც ზეგ?..

_ ვაიმე! _ წამოსცდა ხმამაღლა ანუკის.

_ რა იყო? _ შეეკითხა ლიზი, რომელიც ახლომხედველი იყო და გოჩუნას არსებობის შესახებ არაფერი იცოდა.

_ არა, არაფერი. თითქოს გულთან რაღაცამ მიპწკინა.

_ გულთან?! _ ისე გაუკვირდა ლიზის, თითქოს ანუკის გული საერთოდ არ უნდა ჰქონოდა.

_ ჰო, რა იყო? _ ეწყინა ანუკის.

_ არა, რა ვიცი... რა დროს შენი გულია?! _ გამოასწორა ლიზიმ შეცდომა. _ მე წავედი. დაგირეკავ, _

და ლიზი ქვემოთ დაეშვა. ანუკი კი თავის მანქანაში ჩაჯდა. ჩაჯდა, მაგრამ აღარაფერი უხაროდა. ქვედა ტუჩი კი არ მოიკვნიტა, ლამის მოიგლიჯა.

შინ მამა ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო და ნინიკოს უტყვი გლოვა ჰქონდა. თუ ადრე, დღეში ლამის, ცხრა კაბას იცვლიდა, ახლა ორი რომ გამოეცვალა, დიდი ამბავი იყო. ლამის დაეჭამა ყველა. შვილსაც კი ვეღარ იტანდა.

სამზე ანუკის ინგლისური ჰქონდა, ხუთზე _ ვოკალი ვოკალის შემდეგ კი, ის და ლიზი კინოში აპირებდნენ წასვლას. მაგრამ იმ დღეს ანუკიმ კინოში შესვლა გადაიფიქრა. არც კაფეში შესვლა უნდოდა.

_ ვიაროთ, რა, რუსთაველზე, ეს უფრო მისწორდება,_ უთხრა ლიზის და პროსპექტის ორივე მხარე ატკეპნინა. ლიზი ცოტა პუტკუნა იყო და მალე დაიღალა.

_ აღარ შემიძლია, ფეხის გულები გადამიტყავდა, მგონი, _ იუარა ლიზიმ, როცა ლამის, მერვე წრე შესთავაზა ანუკიმ. _ დილამდე უნდა ვურტყათ "კრუგები"?!.

არც ლიზიმ და არც არავინ ანუკის გატაცების შესახებ არაფერი იცოდა. ანუკიმ თვითონაც არ იცოდა, რატომ არ ეუბნებოდა იმ ბიჭის არსებობის შესახებ ერთ სიტყვასაც არავის. უყვარდა?.. არა, როგორ ეყვარებოდა? სახელიც კი არ იცოდა მისი. მარტო სახე ახსოვდა, რომელიც იმის მერე, რაც გაკვეთილების შემდეგ ის ბიჭი ქუჩაში აღარ დახვდა, თავიდან ვეღარაფრით ამოიგდო. არა, არ უყვარდა, მაგრამ რომ არ დაენახა, არც ეს შეეძლო.

_ ხვალ "ქიმიამ" უნდა გამიძახოს. მე უნდა წავიდე, მე ვეღარ გამოგყვები, არ არსებობს... _ უთხრა ლიზიმ როცა თავისუფლების მოედანთან უკვე მერამდენედ მივიდნენ და მეცხრე თუ მეათე წრე შესთავაზა ანუკიმ.

_ ერთი "კრუგიც", რა! მარტო ერთი, _ სთხოვა ანუკიმ, მაგრამ ლიზიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

_ აღარც ერთი! ფეხები კუნძებივით მაქვს. მე წავედი. შენ ურტყი, რამდენიც გინდა. რატომ არ მეუბნები, რა გჭირს?

_ კარგი, წადი. შენ წადი! _ უთხრა ანუკიმ და ლიზიც მიტრიალდა და მეტროპოლიტენის შესასვლელისკენ წავიდა.

_ რატომ ვერ ვეუბნები ვერავის?.. _ ვერ აეხსნა თავისი უცნაური ქცევა ანუკის. ადრე თუ ვინმე მოსწონებია, ყველას გულს უხსნიდა, ახლა კი, არავის _ არც დედას, არც ბებიას, არც რომელიმე დაქალს არაფერი გაუმხილა. დღესაც კი, როცა ის ბიჭი გარეთ აღარ დახვდა და ვინ იცის, სამუდამოდაც კი დაკარგა, ვერავის ვერაფერს გაუმხელდა. არა, არავის არაფერს ეტყოდა. ან რა აზრი ჰქონდა? არავითარი.

ერთი წრე მარტომ შემოარტყა რუსთაველს და რომ მაინც ვერსად მოჰკრა თვალი, სახლში წავიდა.

ეს სწორედ ის დღე იყო, როცა მეზობლებმა და პოლიციამ ელენიკო აბაზანაში მკვდარი ნახეს.

სიკვდილთან სილამაზეს რა ესაქმება, მაგრამ ლამაზი იყო ელენიკო კუბოში. და როგორც ეს ასეთ დროს მუდამ ხდება, ჭირისუფალიც გამოუჩნდა და დამტირებელიც. თუმცა ყველაზე მეტად მისი სამსახურის თანამშრომლები აქტიურობდნენ. და მეზობლებიც, რა თქმა უნდა. დედა ჰყოლოდა ცოცხალი სოფელში, ახალგაზრდა, მაგრამ მაგრად მოტეხილი. ქალაქს სწყევლიდა რატომღაც დედამისი. ქალაქმა მომიკლაო შვილი, თორემ სოფელში თავს ვინ მოიკლავს, რატომო? კითხულობდა. ვინ იცის? მაინც უთხოვიათ ქალებს მოძღვრისთვის, აზიარეო. მანდ ნამდვილად სატანას ხელი ურევია და ვერ გავეკარებიო, უარით გამოუსტუმრებია უკან.

ბიჭებს მაგრად უკვირდათ, როგორ გაიქვავა გული იათომ. ფანჯარასთანაც არ მისულა, როცა ელენიკოს მარხავდნენ. არც გოჩუნას ახსენებდა. იჯდა პირმოკუმული

თავის სავარძელში და არც ჭამდა, არც სვამდა. როცა ჭილამ ჩუმად უთხრა, ნუ დარდობ, კარგად არისო. _ ჩემი და შენი მტერი იყოს, შვილო, მასე კარგადო, უპასუხა.

ისე მოხდა, რომ ელენიკოს დაკრძალვის დღეს პოლიცია მათ ეზოს არ გაჰკარებია. ჭირისუფალი არც ისე ბევრი იყო. სამეზობლო კი აივანზე გამოფენილი ემშვიდობებოდა.

ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა. მარტო ის იყო, რომ ჭილამ გოჩუნას ფარეხიდან გოჩუნას "სამადელკა" გამოიყვანა, "ლევი" ნომრები მიაკრა და ჭირისუფლებს გაჰყვა. თითქმის მუხათგვერდის ასახვევამდე მათ მიჰყვებოდა, მერე კი, გზა განაგრძო, "პენტაგონთან" მარჯვნივ აუხვია და მამკოდასკენ გარეკა. მანქანის გამოსაყვანად უკეთეს დროს ვერც იპოვიდა.

_ აუ, რა მაგრად დადის. ფორმულა ერთის რალზე შეგიძლია გაიყვანო. _ უთხრა სათბურის ეზოში დახვედრილ გოჩუნას ჭილამ.

იორამს ნედლი წნელი დაეჭირა ხელში, მანქანას გარშემო უვლიდა და ათვალიერებდა. მანქანა ორადგილიან კაბრიოლეტს ჰგავდა. ერთი, ოთხ ფერში მაინც იყო გადაღებილი. შინდისფერ კარებებზე ჭრელი ელვა ეხატა. კაპოტზე კი წითელი ღამურა.

_ რამდენი აქვს სიჩქარე? _ იკითხა იორამმა.

_ ორასოცი, _ უპასუხა ჭილამ.

_ მაგარი რამეა. ლეღვის მურაბის ბანკასა ჰგავს.

_ რატომ ვითომ ლეღვის? _ გაუკვირდა ჭილას.

_ მაშ, კაკლის?

_ კაკლის არა, თხილის... მურაბის ბანკას... შეადარა, რა, ამანაც. _ ხელი აიქნია ჭილამ.

_ არა და, არც რა... _ იორამი მიტრიალდა და ღობის ბოლოსკენ წავიდა. სადაც პატარა ძელსკამი იყო. რომელზეც იორამი მოიკრუნჩხებოდა ხოლმე და იძინებდა.

_ დაჯე, რა, ჩამიყვანე ქალაქამდე, მეჩქარება. _ უთხრა ჭილამ და მარცხენა კარი გამოაღო.

გოჩუნა საჭეს მიუჯდა და გასაღები გადასწია. მანქანა ამუშავდა.

_ არ გამახარეს, _ ჩაილაპარაკა მან და აქსელერატორს დააწვა.

_ ეს შენ. _ უთხრა ჭილამ სათბურებს რომ გასცდნენ და მანქანის ტორპედოზე ფული დადო. _ ხუთასი დოლარია.

_ საიდან, ვინ მოგცა? _ შეეკითხა ჭილა. _ მამაჩემმა.

_ კაი?

_ არც დამალაპარაკა, გეფიცები.

_ ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი.

_ შენ კარგად იყავი, _ ხელი დაჰკრა ტორპედოს ჭილამ. _ ღამე ნუ ივლი მაინც... დღისით გირჩევია.

_ ვიცი, _ უაპასუხა გოჩუნამ.

ჭილამ შეხედა და მიხვდა. მის გვერდით გუშინდელი გოჩა არ იჯდა. იმ ორ-სამ დღეში გოჩუნას მთელი ათი წელი მაინც მომატებოდა.

ჭილა გლდანის პირველივე კორპუსებთან გადმოხტა. გოჩუნამ მანქანა მოატრიალა და უკან დაბრუნდა.

რაც მამყოდაზე იყო, გოჩუნამ სათბურებში ერთი კი შეიხედა, მაგრამ შიგ აღარ შესულა. ტაროს გაკეთებულ სოკოს კი კარგად მიირთმევდა.

მეორე დღეს, შუადღისას, ტაროს და იორამს დაემშვიდობა. რა ვიცი, იქნებ მალეც ამოგაკითხოთო, უთხრა და თავისი "სამაძელკით" ქალაქისკენ დაეშვა.

როგორც კი გლდანის ტრასას ოდნავ ჩასცდა. პატრულის მანქანა დაეწია და მიუსიგნალა, გააჩერეო.

გოჩუნამ მანქანა გვერდზე გადააყენა და დაელოდა.

პატრულის ნისანიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოხტა და მანქანას ცოცხლად შემოუარა.

_ რას უძახი შენს მანქანას, ძმა? _ ჰკითხა და გაიღიმა.

_ "შინდას" _ უპასუხა გოჩუნამ.

_ შენ შეურჩიე, ძმა, სახელიც?

_ კი.

_ ლამაზია. არ გაყიდი?

_ როგორ გავყიდი, ჩემი ხელით მაქვს აწყობილი.

_ ბევრს წვავს?

_ არც ისე.

_ მაინც?

_ ას კილომეტრზე, დაახლოებით ხუთ ლიტრამდე.

_ ჰოო? კაი, მშვიდობაში, ძმა. გლდანში თუ ვინმემ ხმა გაგცეს, გია უხსენე ლეჟავა, აბა, კარგად! _ გია ლეჟავამ მოწონების ნიშნად ერთიც დააქნია თავი, "ჩესტი" აუღო და დაძრულ მანქანას თვალი გააყოლა.

"რამდენნაირი გიჟი აღარ დადის ამ ქვეყნად", გაიფიქრა გოჩუნამ და სიჩქარეს მოუმატა. გლდანის ხიდქვეშ გაძვრა, მარცხივ გაუხვია და ქალაქის ტრასაზე გავიდა. დიღმის გზა გაიარა და საბურთალოსკენ აუხვია. მერე ნუცუბიზე გაუხვია და ვაკე-საბურთალოს გზით არჩია ანუკის სკოლასთან მისვლა. ცოტახანში ანუკის ბოლო გაკვეთილი უნდა გამოსულიყო. სიგარეტი გააბოლა და დაელოდა.

ანუკიმ, პატარა, უცნაურ მანქანაში, საჭესთან მჯდარი გოჩუნა რომ დაინახა, ადგილზე გაქვავდა. მერე თავის მძღოლს გახედა და დაინახა, რომ ის ვერ ხედავდა. გოჩუნას გულისცემამ უმატა. დაინახა, რომ ანუკი რაღაცას ანიშნებდა და მიხვდა, რომ ეუბნებოდა, მანქანა მოატრიალე და აქვე ახლოს გაჩერდიო. გოჩუნას არ გასჭირვებია მანქანის, თითქმის, ადგილზე დატრიალება და ანუკის წინ რბილად, უხმაუროდ შეჩერება. ანუკი ჩაუხტა თუ არა, მანქანა სწრაფად გაეცალა იქაურობას. ისხდნენ და ერთმანეთის ეშინოდათ, რადგან არცერთს არ მიუტრიალებია თავი. ორივე წინ იყურებოდა.

გოჩუნამ იქვე არაყიშვილის ქუჩაზე ჩაუხვია და უკან ვაკე-საბურთალოს გზაზე გამოვიდა. ანუკიმ ჩანთა მოიხსნა და საბარგულში გადადო. ისხდნენ ასე ჩუმად და არაფერს ამბობდნენ. გოგონას მოკლე შორტები ეცვა, ასე რომ, გოჩუნა, უნდოდა თუ არ უნდოდა, მის ლამაზ, გაშიშვლებულ ფეხებს მაინც ხედავდა.

როცა გოჩუნამ გაგარინის მოედანი გადაჭრა, ქვემოთ დაეშვა და მცხეთის ტრასისკენ დააწვა, ანუკი მხოლოდ მაშინღა დაინტერესდა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა მან და თვალები გაუფართოვდა.

_ ყაზბეგში. _ მოკლედ მოჭრა გოჩუნამ.

_ ყაზბეგში? _ გაოცდა საშინლად ანუკი და ბიჭისკენ მიბრუნდა. _ შენ, რა, მიტაცებ?

_ ჰო! _ ისევ მოკლედ მოჭრა გოჩუნამ.

_ აუუუ! ჩემები გაგიჟდებიან. _ თქვა ანუკიმ და სავარძელზე გადააგდო თავი. _ და რომ მე შენ არ გიცნობ? _ თქვა ანუკიმ და ბიჭს კარგად დაუწყო თვალიერება.

_ რა მნიშვნელი აქვს? ჰო გამიცნობ.

_ მეშინია. _ თქვა ანუკიმ.

_ ნუ გეშინია. _ დაამშვიდა გოჩამ, მაგრამ თვითონ, თუმც ეს ამბავი წინასწარ ჩაიფიქრა, ახლა, როცა ანუკი გვერდით ეჯდა და დასავლეთისკენ მიჰქროდა, ნამდვილად არ იცოდა რას აკეთებდა და, საერთოდ, რა ელოდა და რას მოუტანდა ეს ყველაფერი.

ანუკი, როგორც აღელდა, ასევე სწრაფად დამშვიდდა. წინადღის წამებას, ასეთი მდგომარეობა მილიონჯერ ერჩია. იცოდა, რომ სიგიჟეს სჩადიოდა. იცოდა, რომ არაფრით არ ჰქონდა ამის უფლება. იცოდა, რომ ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი აქამდე უკეთებია და უწვალია, შესაძლოა, წყალშიც ჩაყროდა. ან ვინ იცის? იქნებ ყველაფერი პირიქითაც იყოს, და ეს ლამაზი, ტანადი, მოსხლეტილი ბიჭი, ახალი მონტე-კრისტოც გამოდგეს? ვინ იცის.

_ რა გქვია? _ მცხეთას რომ გასცდნენ, მაშინღა შეეკითხა ანუკი.

_ გოჩა, _ თქვა ბიჭმა.

_ მე ანუკი. _ უთხრა სახელი და თმები უკან გადაიყარა.

_ ვიცი, _ თქვა ბიჭმა. _ იქ ვიყავი, როცა მღეროდი. მაშინ შემიყვარდი.

_ მეც მაშინ შეგნიშნე პირველად, _ თქვა ანუკიმ და გაჩუმდა.

ყოფილ მცხეთის “ტეკთან”, რომლის შენობა ჯერაც კი იდგა, მაგრამ უპატრონობით მთლად ჩამოდღავებულიყო, მანქანამ მარჯვნივ, ფასანაურის გზაზე გადაუხვია. “ნატახტარი” _ ეწერა თეთრი ასოებით ლურჯ დაფაზე. მზე აცხუნებდა, მაგრამ არაგვის ხეობის გრილმა ჰაერმა მაინც მოჰგვარათ შვება. ყველაფერი გარკვეული იყო. ორივენი ბედ-იღბლის ბასრ კლანჭებში იყვნენ მომწყვდეულნი და როდის დააღწევდნენ თავს, მხოლოდ ეშმაკმა თუ უწყოდა. ან მან კი უწყოდა, ვითომ?

_ სასაცილოა, არა? _ იკითხა ანუკიმ.

_ მაგარი! _ დაუდასტურა გოჩუნამ.

_ რამდენხანს უნდა ვიაროთ? _ ანანურს რომ გასცდნენ მაშინღა იკითხა ანუკიმ და ბიჭი მიხვდა, რომ უნდა გაეჩერებინა. მარჯვნივ, არაგვის მხარეს მოხრეშილი გზა შენიშნა, გადავიდა, დაეშვა და თავისი “შინდა”. მეჩხერ წიფლნარში შეაგელვა. დაამუხრუჭა და თავი ანუკისკენ მიატრიალა.

როგორც დიდი ხნის მწყურვალი, მთის ცივ, ანკარა წყაროს, ისე დაეწაფნენ მათი ტუჩები ერთმანეთის სულს. და გაყუჩნდნენ ასე, სანამ მართლაც არ შეუგუბდათ სული. მერე კი ერთმანეთს აეკვრნენ და ხელები მოჰხვიეს. ანუკი ბედს მინებებოდა. გოჩუნასთვის კი ეს ბედთან ომი უფრო იყო, სამკვდრო-სასიცოცხლო, დაუნდობელი ომი. აქამდე არაგვის ხმაური არც გაეგონათ, ახლა კი, როცა პირველი კოცნით სული მოითქვეს და თვალები დახუჭეს, ჩაესმათ. მოდიოდა, მოხმიანობდა და ბარათაშვილის “ჰოი, არაგვოს...” მოიმღეროდა.

_ სიგიჟეა, _ თქვა ანუკიმ.

_ ალბათ, _ თქვა გოჩუნამ.

და ისევ შეეწებნენ. არაგვის გრილი ნიავი ყელსა და ყურებზე ელამუნებოდათ და თითქოს სასიყვარულო, ტკბილ, ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდათ. ვინ იცის, ყველაზე ტკბილი, სწორედ, აკრძალული სიყვარულიც იყოს, ის კი რასაც ახლა ორივე აკეთებდა, მათთვის ნამდვილად აკრძალული იყო. თუმცა ჯერ ვნებას არცერთი არ ამჟღვანებდა და ისეთი სინაზით ეხვეოდნენ ერთმანეთს, როგორც დეკა და ღვია, ლიანა და სურო, და რა ვიცი...

“შინდა” ტრასაზე ამოქროლდა და ყაზბეგისკენ გასწია. გოჩუნამ ფასანაურში, ძველ, ოთხსართულიან სასტუმროსთან გააჩერა. სასადილოდან ორი დიდი ხაჭაპური და “კოკა-კოლა” გამოიტანა და გზა განაგრძო. ანუკიმ ხაჭაპური მუხლებზე დაიდო. დაანაწილა. მერე, თვითონაც მადიანად დაუწყო კბეჩა და გოჩუნასაც თავისი ხელით, სათითაო ლუკმას უდებდა. ასე ეგონათ, თითქოს მთელი სიცოცხლე ერთმანეთს იცნობდნენ და ყველაფერიც იცოდნენ ერთმანეთის შესახებ.

_ მეფსია, _ თქვა უცებ გოგომ. არც მორიდებია. გოჩუნამ მარცხნივ, მეჩხერ ბუჩქიანში გადაუხვია და გააჩერა. ანუკი მარდად გადახტა და მანქანას ამოეფარა. გოჩუნას ნათლად მოესმა ჩხრიალის ხმა. ანუკიმ რომ მოიშორა და მანქანაში ჩაჯდა, ახლა გოჩუნა გადახტა.

ასე, ექვსი იქნებოდა, ყაზბეგის სიონს რომ მიუახლოვდნენ და მთის კორტოხზე აწვეტილი ეკლესია გამოჩნდა.

_ ამ სოფელს სიონი ჰქვია. ყაზბეგის სიონსაც ეძახიან. ეს მაგათი ეკლესიაა. ეკლესიასაც სიონი ჰქვია. _ აუხსნა გოჩუნამ ანუკის. _ აი, სწორედ მაგ ეკლესიის ძირში ცხოვრობს ჩემი დეიდაშვილი ვალიკო წიკლაური, ვალა.

მერე მარჯვნივ აუხვია. შარაგზას ოციოდე მეტრით ასცდა და ერთსართულიან, გრძელ სახლთან გაჩერდა. ქუჩისგან სახლის ეზოს დაბალი ქვის ყორე ჰყოფდა. გოჩუნა გადმოვიდა და გასძახა.

_ ვალიკო?

_ ვინ გნებავთ? _ გამოვიდა სახლიდან მაღალი, წითელლოყება ქალი, რომელსაც სამი გოგონა გამოჰყვა. უფროსი შვიდიოდე წლის იქნებოდა.

_ ვალა, არ არის სახლში? _ შეეკითხა ქალს გოჩუნა.

_ ჩინ არ არ, მაგრამ ახლოვე არ, ნანუკისთან ავიდ, ქორწილისთვინ ემზადების.

_ ქორწილისთვის? ვინა ქორწილდება?

_ მარსი და ნენსი ქორწილდებიან, ზემოურები, ლარსში. იცნობ-კე?

_ არა, მაგათ არ ვიცნობ... _ გაეღიმა გოჩუნას.

_ ორმოც წლის მოიყარნენ ორთავ, ახლაღა მაიფიქრნავ... გაიქ, ბალღო, _ წამოჰკრა მსუბუქად გვერდით მდგარ უფროს გოგოს ქალმა, _ ვალას ეტყოდე, სტუმარ გყავ და ჩამოხვიდოდე ახლავ-თქო!

ბავშვმა იმწამსვე სწრაფი ნაბიჯით გასწია ზემოთ.

ვალიკო გრძელი, ჩქარი ნაბიჯებით მოაბოტებდა. გოჩუნას დანახვაზე გაკვირვება ვერ დამალა.

_ ოი, ბეჩაო, აქ რაის აკეთებ, რაის ამ დროს აქ ამოსვლა იყო. _ და ანუკის დანახვაზე გაეღიმა. _ ქალი ხომ არ მოგიტაცავ-კე, ჰა, გამავიცან? კაი, ჩოკინად ქცეულხარ, ლამაზ ჩოკინად, ჰა? _ იკრიჭებოდა და უხაროდა ვალიკოს. _ გადმაიყვა და შამო, შამო! მზიავ, რას გაგიჩერებია-კე ქუჩაჩია, ვერ იცან გოჩუნაი? ჩემი დეიდაშვილი როა. მშობლები ნაზრანს რომ გადიჩეხ... ის არ, გოჩუნაი.

_ არა, აბა მე საიდან, მე ხომ არ ვცნობილობ-კე მაგათა... _ გულისპირი გაისწორა ქალმა. _ შამოით, შამოით, სახჩია...

_ მზიავ, გაიქ შენა და ხინკალს ახვევს ნანულაი, გამაგატანდეს ცოტასა.

სახლის კედლები გარედანაც თეთრად იყო შეღებილი და შიგნითაც თეთრად ქათქათებდა. ლამის ყველა კედლებთან საწოლები იდგა. ძველებური, რკინის, ზამბარიანი საწოლები, ლამაზად, კოხტად გასწორებული გადასაფარებლებით. ერთ კუთხეში კი ტახტი, რომელზეც ბავშვები აცოცდნენ და ისე მოირთხნენ, რომ უფროსებისთვის კარგად ეცქირათ და კარგადაც დაეგდოთ ყური. სულ პატარა კი მამას ააცოცდა მუხლებზე.

_ აბა, რაი ხდება ქალაქსა, იათო როგორ გყავ, ხო ჯანმრთელად გყვან?

_ კი, კი... _ უპასუხა გოჩუნამ და აღარაფერი თქვა.

_ მაშ ქორწილში ჩამახველ? კარგ დროს შეგირჩევავ, კარგ დროს... _ ხელი დაჰკრა ბეჭზე ვალიკომ გოჩუნას. _ ასეთ ლამაზ დიაცს როგორ ენდევი, არგეშინის სულაც რო გიღალატას?

_ რა გიპასუხო, აბა? _ არ იცოდა, რა ეთქვა გოჩუნას.

მზია არ შემოჰყოლიათ შინ, ვალიკო და გოჩუნა ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდას მიუჯდნენ, რომელსაც თეთრი სუფრა ჰქონდა გადაფარებული.

ანუკიც ტახტზე, ბავშვებთან ჩამოჯდა. თავის გრძელი, ლამაზი ფეხები წინ გაეშალა და ასე აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს. ერთ კუთხეში ძველებური, ძალიან ძველებური კომოდი იდგა. ხელით მოქარგული თეთრი გადასაფარებლით, რომელზეც პატარა მრგვალი სარკე და ჩარჩოში ჩასმული, სოფლური ნახატებიც მიეყუდებინათ კედელზე. ნახატები, რომელზეც ფერადი, სქელტუჩა და სქელლოყება ქალებია ხოლმე დახატული, დაწნული ნაწნავებით და პატარა ბაბთებით. ანუკი სოფელში, რა თქმა უნდა, ნამყოფი იყო, მაგრამ აქ სახლიც ეუცხოვა და მორთულობაც. და უცბად გაუნათდა გონება. აქვე, ორ ნაბიჯზე რუსეთია და სახლებიც და მორთულობაც ცოტა წაირუსულებსო, დაასკვნა.

_ ხომ მშვიდობაა ქალაქს, მაინც რაიზ მოზდიხოდი-კე სოფელჩია, მატაცებულ გყავ, ეს ქალაუ, ხო ასეა? _ ისევ ქალი აინტერესებდა ვალიკოს. _ სად პოულობთ, ეს ქალაქელ ვაჟები, ამნაირ ლამაზ დიაცთა, ჰა? ჩვენ ამნაირ ლამაზ, ხატიც არ გვაქვნ ტაძარჩი.

_ შენ თავად როგორ ხარ, ვალა, აქ რა ხდება?

_ კარგ რა ვთქვა. ცხვარ რომ არ, სიმშილი დაგვხოცდა... ცხვარ-ძროხას ვყოლიობთ და გვაცოცხლებენ ისინიცა... თორე არც დენი გვაქვნ და არც ტელევიზორიღა...

_ კარგს მაინც ვერაფერს მოისმენ და მასე სჯობია, ალბათ!

_ კი, თქვენთვინ მასე სჯობნ და ჩვენ გვკითხე და...

_ ეს ქალები მაგრად დაგიმრავლებია.

_ ჰო, სამ გააჩინა და სამთავ ქალაი მზიამ. ჩემი ბეკოები... _ ვალიკომ ტკბილად ჩაჰკოცნა მუხლებზე მჯდარი პატარა.

_ შენ რა გქვია? _ შეეკითხა ტახტზე მჯდარ უფროს გოგონას გოჩუნა.

_ ლელა, _ უპასუხა ცოცხლად ბავშვმა.

_ მანქანაში პარკით კანფეტია. ჰო გინდა!?

_ ჰო! _ ცოცხლად გადმოხტა ტახტიდან პატარა.

_ ეგ რა მანქანა გიყიდავს, ჯერ მაგფერ არაფერი მაქვნ ნახული.

ამ დროს კარი გაიღო და მზია გამოჩნდა ლანგრით ხელში, რომელზეც დიდ-დიდ ხინკლებს ორთქლი ასდიოდა.

_ აბა, შამაიტ, მზიავ, შამაიტ! _ ამაყად თქვა ვალიკომ.

_ ახალ ამოყრილ ჰქონოდ და სუ მე გამამატან, ერთი არ დაიტოვა თავთავისთვინ...

_ კარგად უქნავ, რა გინდ…ნანულასგან?

მზიამ კარადიდან თეფშები და ფეხიანი სტაქნები გადმოალაგა და მაგიდაზე ჩამოარიგა.

_ მობრძანდი... _ უთხრა მან ანუკის და ისიც მაგიდასთან დაჯდა. იმასაც მიხვდა, რომ თავისიანებში იყო, მთიელებში და თავ-პატიჟი სულაც არ იყო საჭირო.

ვალიკომ რახი, ძველებური, მწვანე, თხელმინიანი ლიტრიანი ბოთლით თვითონ გადმოიღო და საცობი ამოაძრო. ლელა კანფეტის პარკით ხელში შემოვიდა, ტახტთან მივიდა, პარკი ამოაბრუნა და მთელი კანფეტი ერთიანად გადმოყარა. ბავშვებში კანფეტის გამო უცებ ისეთი ტაციაობა ატყდა, მზიას შერცხვა კიდეც.

_ ჰა, აბა რაი ხდების. არ გინახავნ, განა?! _ დატუქსა მან შვილები.

_ გაშინჯავ რახსა, ქალაუ? _ ჰკითხა ვალიკომ ანუკის და სტაქანი შეუვსო.

გოჩუნამ თავისი ჭიქა აიღო, არაყს დაყნოსა და მთელი ტანით შეაჟრიალა.

_ ამას როგორ სვამთ?

_ მთავარია, იყოს... _ ვალიკომ გემრიელად, გულიანად გაიცინა და ვერცხლგადაკრული კბილები გამოუჩნდა. მერე ჭიქა აიღო და დაიწყო...

_ ხევის სალოცავების იყვეს, ლომისის, თამარის, სიონის საყდრების, გფარვიდნენ და შაგვწეოდნენ... მინამ თერგი გაჩუმდებოდეს და დაიწკრიტებოდეს, მინამ შავი ზღვა დაშრებოდეს, მინამ ვყოფილიყვნეთ და მერე ღმერთმ როგორც იტყვის...

ლიტრიანის ნახევარს კიდევ ნახევრამდე რომ ჩამოსცდნენ, ვალიკომ ჩონგური გადმოიღო, ჯორი გაასწორა, სიმები მოსინჯა, ჩამოჭკრა, ააჟღერა და თავისი საყვერელი სიმღერა დააგუგუნა: “კარკუჩით წამაიყვანეს, ქალი ლამაზი, მზიანი...”

კედლიდან მეოცე საუკუნის ოციან წლებში გადაღებული სურათიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დასცქეროდათ, ალბათ, ვალიკოს და გოჩუნას დიდი წინაპრები.

_ თითქოს, ხელით მისწვდები და მოწყვეტავო, ისე ახლოს არიან. _ რადგან თერგი გამაყრუებლად ხმაურობდა ყურში ჩასძახა ანუკიმ გოჩუნას. რომელიც უზარმაზარ ქვის ლოდზე იჯდა და თერგის წყლის შხეფებით, რომლებიც მრავლად ეფრქვეოდა, რახით გაცხელებულ გულ-ღვიძლს იგრილებდა. ეს ქვა სხვა ქვებისაგან გამორჩეულად დიდი იყო და გამორჩეულადაც უყვარდა გოჩუნას. ბავშვობიდან ახსოვდა ეს ქვა, როცა ვალიკომ ორ-სამჯერ ამოიყვანა ხევში და ცოტახნით თავიანთსა დასტოვა. ჰოდა, როგორც კი ჭამა-სმა დაასრულეს ამ ქვის სანახავად გამოვიდა. სატრფოც გამოეკიდა და ახლა მთლად მარტონი ისდნენ ამ უზარმაზარ ქვაზე, რომლის ქვეშაც თერგი მიშხუოდა, მაღლიდან ვარსკვლავიანი ზეცა დაჰყურებდათ და შეიძლება კი იყოს ამაზე ლამაზი და ამაღლებული წუთები შეყვარებულთათვის? არა მგონია. ეს ორი ულამაზესი სხეული ისე შერწყმოდა ბუნების ამ ველურ და ხელუხლებ ადგილს, თითქოს ღმერთის ხელს მოქანდაკესავით გამოუკვეთავს და ასე, ობლად მიუტოვებიაო. დიახ, საოცრად უხდებოდნენ ქალ-ვაჟი ერთმანეთსაც და ამ ველურ, გადარეულ, გაცოფებულ თერგსაც და ბუნებასაც... “თერგი რბის, თერგი ღრიალებს, მთანი ბანს ეუბნებიან”...

ანუკიც ქვაზე გადაწვა, ისევე როგორც გოჩუნა იწვა. ვარსკვლავებიდან მხოლოდ პატარა დათვის და ანდრომედას თანავარსკვლავედს სცნობდა. პირველი სწრაფად იპოვა და მეორეს კი ვერსად მიაგნო. ვარსკვლავები ბევრად დიდები იყვნენ და ბევრად კაშკაშაც ვიდრე სხვაგან ენახა. თვალები დახუჭა და თერგის ხმაური რომ არ გაეგო ყურებზე ხელი

აიფარა. გოჩუნა მარდად წამოხტა და ქვის უკან დაიმალა. ანუკიმ თვალდახუჭულმა ხელი მოაფათურა, რომ გოჩუნას მოფერებოდა, მაგრამ ცარიელი ქვის სლიპინა ზედაპირი შერჩა. თვალი აახილა და გოჩუნა იქ აღარ დახვდა. კინაღამ გული საგულედან ამოუხტა. მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ სიბნელე და სიცარიელე შერჩა ხელთ. ერთ წამში თავში ათასმა საშინელმა აზრმა გაუელვა. ყველაზე საშინელმა კი, იმან, რომ გოჩუნას სიპ ქვაზე ფეხი დაუსხლტა, წყალში ჩავარდა და თერგმა წაიღო. მან კი ამ გადარეული წყლის ხმაურის გამო ვერაფერი გაიგონა, ვერც გოჩუნას წყალში ჩავარდნის ხმა და ვერც მისი ძახილი. სწრაფად გადმოხტა ქვიდან და მთელი ხმით იკივლა.

_ გოჩუნა? _ და მისი წკრიალა ხმაც თერგის ღრიალმა გადასანსლა.

_ აქა ვარ, აქ, _ სიცილით გამოხტა გოჩუნა ბნელიდან.

_ შე მხეცო, ნადირო, დეგენერატო! _ მივარდა და ფეხი და ხელი ერთად მიაყოლა გოჩუნას ანუკიმ. _ ხომ შეიძლებოდა გული გამსკდომოდა, ხომ შეიძლებოდა გავგიჟებულიყავ და თერგში გადავმხტარიყავ?

_ სამაგიეროდ დაგამახსოვრდება, _ და განრისხებული ქალი გულზე მიიკრა გოჩუნამ, ტუჩები მოუძებნა და ჩაჰკოცნა.

თერგი ხმაურობდა და ქვევით კისრისტეხით და მუქარით გარბოდა. მთები ბანს აძლევდნენ. “მთები, მთები, მთები... მთების იქით მთები!” შევჩენკო.

_ ერთად წოლა გიჯობთ, თუ ცალ-ცალკე? _ ჰკითხა სეირნობიდან მობრუნებულ შეყვარებულებს მზიამ.

ამაზე ჯერ არ უფიქრიათ. ერთმანეთს შეხედეს. ბიჭმა გოგოს დაუთმო.

_ ერთად, _ თქვა გოგომ.

_ კაი, _ თქვა მზიამ და მარცხენა ოთახში გამავალი კარი გაუღო. ერთ-ერთი საწოლის თავზე, ჭრელი ქვედაბოლო იყო გადაკიდებული. _ დილას მაგ კაბას ჩაიცვამდე, კარგად გექნების, ალბათ, თორ ჩვენ კაცებს საჭორაოს გაუჩენ. _ უთხრა მან ანუკის და კარი გაიკეტა.

პატარა, აგრეთვე თეთრად შეღებილ ოთახში, ორი რკინის საწოლი, ერთმანეთთან მიტკუცებული, იდგა.

ერთი ერთ მხარეს ჩამოჯდა, მეორე _ მეორე მხარეს. უხმოდ გაიხადეს და საკუთარ საწოლებში ჩაწვნენ. ერთსაც გული ისე უცემდა, რომ ამოვარდნაზე ჰქონდა და მეორესაც.

ქალი ვაჟისგან ელოდა ინიციატივას. ვაჟი კი იწვა და არ ტოკდებოდა.

იცოდა, უდანაშაულო იყო, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც არც ისე ადვილია შენი უდანაშაულობის დამტკიცება, ის რაც ამ ღამეს უნდა ჩაედინა, ნამდვილ მსხვერლშეწირვას ჰგავდა. ისე, აქ, მთაში, სადაც ჯერაც სჯერათ ნათალი ქვით აგებული ნიშებისა და ხატებისა, სადაც მსხვერპლშეწირვა დღემდე წმინდათა წმიდა ჩვეულებად და მოვალეობად ითვლება, სადაც წაწლობანას და სწორფრობას ჯერაც ვერ შელევიან, ის, რასაც პირველი ღამის სიტკბოება ჰქვია, დამნაშავეც რომ ვიყო, რატომ უნდა ჩამეთვალოს ცოდვად? და გოჩუნამ მარცხენა ხელი ანუკის მხარეს გადაყო. ქალმა მაშინვე ხელი შეაგება. ვაჟმა ძუძუს კერტს მიაგნო და მოსრისა. ქალმა მის ხელს ორივე ხელი შემოჰხვია და გაისუსა. იწყებოდა დიდი ნადირობა, ველურ ტყეში, სადაც ყოველი ბუჩქი და ბალახი ხელუხლებელია და “საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა”. და მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო. ორივემ სწრაფად ჩაიყურყუმელავეს სიტკბოების მშფოთვარე მორევში და ველურ ჟინსა და ვნებას თავდავიწყებით მიეცნენ.

ვალიკოს ნაარყალზე ღრმად და ტკბილად ეძინა. მზიას კი ქალის შეკივლებაზე გამოეღვიძა და ერთხანს ყურს უგდებდა რკინის საწოლების ზამბარების მონოტონურ ჟღრიალს, მერე კი მასაც ჩაეძინა.

ოფიციალურად ქორწილი ექვსზე იყო დანიშნული. სნოელები, და სიონელები, რომლებიც ნეფის მაყარში შედიოდნენ, სამი საათისთვის ლარსის შესასვლელში აპირებდნენ შეკრებას და სოფელში ერთად შესვლას. ადრე სიონში აგურისფერი “ზაპორეჟეცებიც” ბლომად დადიოდა, და ის კი არა, შოთა თოთელაშვილს კრემისფერი

“ვოლგაც” კი ჰყავდა. მაგრამ ამ ამბებმა დიდი ხანია მოგჭამა ჭირი და ახლა, ორად-ორი ჟიგულიღა დაფახფახებდა.

მზიამ დილაუთენია ძროხა მოწველა და ხბოსთან ერთად გადენა საძოვარზე, ორიოდ ქათამსა და ვარიასაც მიხედა და საუზმე გაამზადა. ხაბიზგინები დააცხო და რძეც წამოადუღა. ვალიკომ ნანულაანთსა ასვლაც მოასწრო და ჩამოსვლაც, სტუმრებს კი ისევ ღრმა ძილით ეძინათ.

_ მზიავ, მიი, მიუკაკუნე, რა ძილქუშ დაატყდათ ამისთანაი, რო არ ეღვიძებათ? _ შაღონდა ვალიკო.

_ აცლიდი-კე, დაღლილ უნდა იყვნენ ძლიერ...

_ ჰოო, მართალ ხარ! _ თავი დაუქნია ვალიკომ, რომ კარი გაიღო და პირველი გოჩუნა გამობრძანდა.

_ რა დიდ ძილ გცოდნიათ, ქალქელებსა, წოლილიყავ ცოტაცა... _ გაიცინა ვალიკომ.

ვაჟს ქალიც გამოჰყვა. მორცხვად მიესალმათ.

_ დილა მშვიდობისა.

_ მოგშივდებოდათ, გელოდებით-კე. თერგზე დაიბანთ ხელ-პირსა თუ დაგისხათ-კე? _ შეეკითხა მზია.

_ თერგზე, თერგზე... _ უპასუხა გოჩუნამ.

ეზოს ტუალეტი, სახლისგან კარგად იყო მოცილებული და რომელიც პირდაპირ პატარა ხევის თავზე, თერგის შენაკადზე ეკიდა, დაკავებული დახვდათ. კარი გაიღო და ლელა გამორძანდა, თან ტრიკოს იწევდა. ქალაქელებს გაეღიმათ. გოჩუნამ დიდსულოვნად დაუთმო ანუკის.

_ ფლისს...

მალე ორივემ ხელ-პირი თერგში წაიჭყუმპალავეს და უკან გახალისებულები ამოვიდნენ. სახლში რომ შევიდნენ მაგიდაზე თიხის ჯამებში ცხელი რძე დახვდათ, სუფთა ტილოზე კი ხაბიზგინები ელაგა.

გოჩუნამ ის იყო ლუკმა გადაყლაპა, რომ გარეთ მანქანამ დაასიგნალა. სიგნალი ეცნო, მაგრამ უცბად ვერ მიხვდა. ყველანი სასწრაფოდ გარეთ გამოლაგდნენ. მათ დანახვაზე მანქანის კარებები გაიღო და იქიდან კაენა, ჭილა და გიგო გადმოვიდნენ.

_ არ გველოდით? _ გამოსძახა შორიდან კაენამ და მათკენ წამოვიდა.

_ აუ, ესენი გამაგიჟებენ. _ ჩაილაპარაკა გოჩუნამ და ბიჭებისკენ გაემართა. მერე გაიქცა და პირდაპირ ჭილას შეახტა, რომელიც ადგილზე დაბზრიალდა და ძმაკაცი მერეღა ჩამოსვა. გოჩუნამ კაენა და გიგოც გადაკოცნა და სახლისკენ გამოუძღვა ბიჭებს.

_ რო დაგვეპატიჟნა ერთიც არ ამავიდოდის... კაი დროს ამახვედით, კაი დროსა... მაგიწევთ ჟიპიტაურის ყლაპვაი ქორწილჩია... ნეფეს თქვენი მაშინებით წავაბრძანებთ-კე... რა ეღირსა მარსსა... _ ხუმრობდა ვალიკო.

მალე იქაურობა სიგარეტის კვამლით გაიჭვარტლა. ბიჭები ხმაურობდნენ, ბავშვებს ეთამაშებოდნენ, კარში გადიოდნენ და შემოდიოდნენ. სუფთა ჰაერი უკვირდათ და თერგის ხმაური, რომელიც ვალიკოს სახლამდე ძლიერად აღწევდა. ანუკი უცებ გაშინაურდა ყველასთან, არც მორცხვობდა და არც იპრანჭებოდა. ბიჭებს მაგრად მოეწონათ.

_ მოხევის ქალ ჰგავ, თამამობს, არ სცხვენის სულაცა... ყოჩაღ! _ აქებდა ანუკის მზია.

_ იციან შენი ამბავი? _ ჰკითხა ჭილამ გოჩუნას, როგორც კი დაიმარტოხელა.

_ არა. რა საჭიროა? მომაგნებს ვინმე ვითომ? _ შეეკითხა გოჩუნა.

_ არც ანუკისთვის გითქვამს?

_ არა.

_ არ ეწყინება?

_ არ ვიცი. ჩვენს შორის უკვე ყველაფერი მოხდა.

_ გილოცავ!

_ იათო?

_ იათოს დარდი გაქვს? ცოტა დამშვიდდა. მამაჩემი ელაპარაკა. ცოტა კი დაჩალიჩდა პოლიციაშიც ირაკლი, მაგრამ ჯერ არაფერი გამოუვიდა... აი, ახალი ნომერი ამოგიტანე მობილურის. თუ რამეს გავიგებ, პაროლით დაგიმესიჯებ.

მანქანები დაქოქეს და სამი საათისთვის ვალიკო თავის სტუმრებიანად შეუერთდა ლარსის დასაწყისში მაყრიონს.

_ კაცებო, ერთი ჩვეულება გვაქვის. იმ სოფელჩი, სადაც ქორწილ იმართების, მაყარი ქათმებ გამაეკიდების და თუ დაიჭერს იქავ თავს აგდებინებს-კე და სუფრაზე, ქორწილჩია, ამაიღებს. რამდენ თავ გექნების, იმდენ მოხარშულ ქათამს მოგიტანდიან. ჰო, ჰო... შაგიძლია მარტომ ჭამო, არ აჭამო არვისა... _ არიგებდა ვალიკო სტუმრებს.

_ აბა, გვინადირია მამლებზე, _ გაიცინა ჭილამ.

_ ჰო, ნუ მაგერიდესთ, სადაც ჰნახავდეთ, წააძრობდეთ ყინწებსა. _ დააყოლა ვალიკომ.

მზიანი დღე იყო. სოფელი თითქოს სახლებში შეკეტილიყო. მიუხედავად ქორწილისა, ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. როგორც ვალიკომ დაუთქვათ, ლარსში ბიჭებს შეეძლოთ ქათმების დასაჭერად ეხეტიალათ და ხუთზე უნდა ისევ შეკრებილიყვნენ. მერე ნეფესთან ერთად პატარძალს ესტუმრებოდნენ და წამოიყვანდნენ. ანუკიმ და გოჩუნამ ისევ თერგის პირს არჩიეს ჯდომა. ბიჭები კი სოფლის ქვიან გზებზე აღმა-დაღმა ეხეტებოდნენ, მაგრამ ერთ ქათამსაც ვერსად წააწყდნენ. ერთგან კი ხბო რომ ეგონათ, იმხელა ხბოსფერი ძაღლი წამოუხტათ, გიყვარდეს მოკურცხლეს შეშინებულებმა. მერე კი მაგრად იცინოდნენ თავიანთ ვაჟკაცობაზე.

_ ეტყობა, აქ ბევრი ქორწილები იციან და მთელი ქათმები უკვე გაუწყვეტიათ, ამ ჩემისებს... _ გამოიტანა ბოლოს დასკვნა კაენამ. _ ამის თქმა იყო და ქუჩის ბოლოდან ერთი ოცი ქათამი მაინც გამოფრთხა და წიო-ფრიოკით მათკენ გამოიქცა. ქათმებს პატარა ბიჭები მოსდევდნენ, რომლებსაც ჯოხებიც კი ეჭირათ ხელში. ქათმები გარბოდნენ, ღობეებსაც კი აფრინდებოდნენ და თავს ასე შველოდნენ. ქალაქელებმა იმარჯვეს და სამი ქათამი დაიჭირეს. იქაური ბიჭებიც მოქანდნენ. ქალაქელებს ქათმები მკერდზე აეტატებინათ და არ იცოდნენ რა ექნათ.

_ ეხლა რა ვუყოთ? _ ჰკითხეს მათ ბიჭებს, როცა ისინი მოუახლოვდნენ.

_ მაიტ აქ, რა უნდ უყოთ და... _ გამოართვა ასე თორმეტიოდე წლის ცარიელ ტრუსში გამოწყობილმა ფეხშიშველა ბიჭმა დედალი კაენას. მოჰკიდა თავში ხელი, დაიქნია და თავი მოაწყვიტა. ქათამმა ღობის ძირას დაიწყო ფართხალი და კვდომა. დანარჩენ ორ დედალსაც იგივე ბედი ეწიათ.

_ ქათმები არ წავუღოთ? _ იკითხა ჭილამ.

_ არა, რა უნდ წაუღოთ. ჩამაივლიან და აჰკრეფვენ თავათ... _ უპასუხა ბიჭმა და გაქცეულ ქათმებს დაედევნა.

_ თითო ქათამი გვაქვს, აბა მოგვილხენია, _ გაიცინა გიგომ.

ქუჩის ბოლოს მართლაც გამოჩნდნენ ხანშიშესული დედაკაცები, რომლებიც როგორც ჩანს, მოჰყვებოდნენ და ქათმებს აგროვებდნენ.

_ ეტყობა თვითონ გამოუშვეს ეს ქათმები, სოფლელებს კი ჩაკეტილები ჰყავთ, რომ მაყარმა არ დაიჭიროს. _ თქვა გიგომ

_ ნაღდად ასეა, ასიანი... _ დააასკვნა კაენამ.

_ რა ვუყო ახლა ამ თავს? _ იკითხა ჭილამ. რომელსაც საცოდავად ეჭირა თავის ტორიან ხელში ხუჭუჭა ჯიჯლიბოიანი ქათმის თავი.

_ ჯიბეში უნდა ჩაიდო და მერე სუფრაზე ამოიღო. აი, ასე. _ გიგომ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ქათმის თავს ნისკარტში მოჰკიდა ხელი, ფრთხილად გაახვია ცხვირსახოცში და ჯიბეში ჩაიდო. ორივემ მას მიბაძეს.

ყველანი ხუთი საათისთვის დათქმულ ადგილას, თავიანთ მანქანას დაუბრუნდნენ. ორი ჟიგული, ქალაქიდან ამოსული ორი მანქანა, და რამოდენიმე ცხენის დაბალი ურემი გზას დაადგა. უმრავლესობა ფეხით მოჰყვებოდნენ. კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი, გაჭაღარავებული და გამელოტებული მარსი კაენას მანქანაში იჯდა და ბიჭებს გზას ასწავლიდა.

_ გამაბრიყვეს მაინცა ამ ჩემმა ნათესაობამა... აქამდისინ საღ ჭკუაზე ვყავდი-კე ამ ჩვენი მთის ხატ-სალოცავებსა და ახლა, რო გავქაჩლდი, მაშვინ ამერია ტვინი-კე, ამ სიბერეჩია... _ როგორც ჩანს, ნერვიულობდა და ეფიქრებოდა სიძეს... _ აქეთ, შამააბრუნ, აქეთ, მთაჩია.

მანქანები აღმართზე დაეკიდნენ.

_ აგე, მყინვარ ჩანს!

ჩანდა. ცივი, მიუკარებელი, როგორც ლამაზი მზეთუნახავი. იდგა და დაჰყურებდა მექორწილეთა ჭრელა-ჭრელა კორტეჟს.

_ მავედით! დააყ აქ! ჩაედით!

კაენამ მანქანა გააჩერა. უეცრად უკან ისეთი ყიჟინა ასტყდა, ბიჭები, რომლებიც ჟიგულებში ისხდნენ, გადმოხტდნენ და დედოფლის სახლის კარისკენ გაცვივდნენ.

_ რა ხდება? _ გაუკვირდა კაენას.

_ რა ხდების და ერთი ჭრელი ხილაბანდის გამო ჰკვლენ ერთმანეთსა. _ ერთსართულიან, დაბალ, გრძელ სახლს პატარა ქვის ყორე ერტყა და ეზოში გამოსულ დამხვდურებს მოსულები კარგად ხედავდნენ.

_ მგელასია, მგელასი! _ დაიძახა შავებში ჩაცმულმა ქალმა და კარებში შევარდნილ ოჩოფეხება ბიჭს ძლივს მისწვდა, რომ მკლავზე ინდური, მომწვანო-მოყავისფრო ხილაბანდი დაეხვია.

ბიჭმა ხილაბანდი მოიხსნა და მაღლა ააფრიალა.

_ ჩემია, ჩემი!

_ ეს ცოლსაც წამართმევს, მგონია! _ იხუმრა სიძემ და ეზოში შეაბიჯა.

_ აღარ გატანთ, არა, უარზეა! _ დაიძახეს, ფანჯარაში გადმომდგარმა ქალებმა.

სიძეს ტაბლა დაახვერეს. იმანაც ჯიბეზე ხელი გაიკრა, ოცლარიანი დააძრო და ტაბლაზე დააგდო.

_ ცოტა არ, ცოტა! _ დაიძახეს ქალებმა.

სიძემ ისევ გაიკრა ჯიბეზე ხელი, ახლა თუმნიანი დააძრო და ის დააგდო ტაბლაზე.

_ მეტ არ ღირს თქვენი ქალა და დამკიდეთ თუნდ თავითა.

_ წუწკ ყოფილ, წუწკ, წუწურაქ... _ აყაყანდნენ ქალები.

_ მოიდ, მოიდ, კაცებო, დალევდეთ, დაილოცებდეთ ბატარასა...

კაცების ნაწილი პატარა, ვიწრო ოთახში გაჭირვებით შეიჭყლიტა. თეთრი სახის, ქერათმიანი პატარძალი ყველას დაბღვერილი უმზერდა.

_ გაუწოდავდე ხელსა, მაინცა, ქალავ! რას დგახარ შალოცვილივითა? _ დაჰკივლა იმ შავოსანმა, გარეთ პირველი ვინც დახვდა კართან მაყარს.

_ აჰა! _ ქალმა კაცს ხელი შეშასავით გაუწოდა.

კაცმაც ხელი გაუწოდა და თვალი შეშინებულმა გამოაპარა ხალხისკენ.

_ შარიგდნენ, შარიგდნენ! _ იხუვლეს კაცებმა, მერე ხელი მაგიდაზე დადებულ ჭიქებს წამოავლეს და დაილოცნენ.

_ გფარავდასთ ლომისის მადლი, გამრავლასთ, ჯან მოგცასთ მრთელ და ბარაქა, ამინ!

_ ამინ! ამინ!

მერე, "წაიყვანეს თამარ ქალი" დააგუგუნეს. ორმოცი წლის პატარძალი ციმ-ციმ გამოიყვანეს გარეთ და, სიძესთან ერთად, კაენას მანქანის უკანა სავარძელზე დააბრძანეს.

_ მავედით, _ თქვა სიძემ, სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრის გავლის შემდეგ.

"მეზობლები ყოფილან", გაიფიქრა კაენამ და მანქანა დაამუხრუჭა. სიძე-პატარძალი გადავიდნენ, დამხვდურებმა ჭიშკართან თეფში დაახვედრეს და ამ ორმოცი წლის ქალ-ვაჟმა, თეფშის გასატეხად, ერთმანეთისთვის რომ ეჯობნათ, ისეთი ჭიდაობა გამართეს, ხალხს სიცილიც კი წასკდა. სიცილი გამეორდა, როცა დაინახეს, რომ ქალმა აჯობა და ისე ყოჩაღად დასცა ფეხი, რომ სიძეს ისღა დარჩენოდა, თეფშის ნამტვრევებისთვის ამოეცხო და ქალისთვის კუშტად შეეხედა.

პირველი რაც შენიშნეს ქალაქელებმა, როცა გაულესავ-შეუღებავი, ორსართულიანი სახლის აივანზე გაშლილ სუფრას მიუსხდნენ, ის იყო, რომ კაცები უკვე კარგად იყვნენ შეზარხოშებულ-შეჭიკჭიკებული და დაბრეცილი თვალებით იყურებოდნენ. ისიც ეტყობოდათ, რომ უმეტესობას, დიდი ხნის გაუპარსავი წვერ-ულვაში დღეს ჩამოეპარსათ და თუ თვალები და შუბლი მზით ჰქონდათ დამწვარი, ლოყა-ნიკაპი თეთრად უაელავდათ. სუფრასთან მხოლოდ უფროსობა იჯდა, ეტყობა, ბავშვებისთვის ცალკე იყო გაშლილი. ნეფე-პატარძალი სუფრის თავში ერთად ისხდნენ და ხალხს ქვეშ-ქვეშ უბღვერდნენ, თითქოს ძალიან არ უნდოდათ შეუღლება და ძალით დაუქორწინებიათო. ანდა ფიქრობდნენ, რომ რადგან ასე გვიან შეუღლდნენ, ხალხი ჩუმ-ჩუმად დაგვცინისო. სუფრა, ბოსტნეულის მხრივ, მწირი იყო და არც მაინცდამაინც ხორცის სიუხვით გამოირჩეოდა. თუმცა ცხელ-ცხელი ცხვრის ხორცისა და ხაჭოს ხინკალი ბლომად შემოჰქონდათ. სუფრაზე ღვინოც იყო და ჟიპირაურიც. იქაურები უფრო ჟიპიტაურს ეტანებოდნენ და ბიჭები კი ღვინოს სვამდნენ.

_ რო ავიშლებით-კე, ომარასთან წაგასხამთ ყველასა და ლუდ უნდა გაგაშინჯოთ ჩვენებური. _ დაჰპირდა ვალიკო ბიჭებს.

გოჩუნა და ანუკი, ბიჭების გვერდით, ერთად მოწყენილებივით ისხდნენ. ალბათ, ჯერაც ვერ დამძღარიყვნენ მარტოობით, როგორც ეს, პირველ ხანებში, შეყვარებულ წყვილთა უმეტესობას ემართება. ვალიკო, რომლის რეპერტუარი სოფელში ყველამ დიდი ხანია ზეპირად იცოდა, ცდილობდა გაერთო ქალაქელები და წვერიან თუ უწვერო ანეგდოტებს დიდი სიცილ-ხარხარით ყვებოდა.

_ ცოლ ჯდის შინ, ფეჩთან მიფიცხებულ არს და ქმარ შამოა, ლოთ ქმარ ჰყავ, გიჟ, ქაჯ, გადარეული... ეყუდნის კედელსა და: ტაშ, ტაშ, ტაშ... ანბობს. დიაცს ჰგონებავ თუ ცეკვასა სთხოვნებავ კაცი და იწყებს ტარაბუასა... კაცი ეყუდნის კედელსა და ბაყ! ამოანთხევს შიგნეულობასა. ტაშტი მაიტ ქალავ, ტაშტიაო... _ და ვალიკო თავის ანეგდოტზე ისე ხორხოცებს, თერგის ხმას ფარავს.

_ ვალა, რაიდ მოწყენილ გყვანან ეს ქალაქლები რო ამოგირეკავ ამ სიმაღლეზედა? შამაგიტანო ბუზიკაი? _ ეუბნება წინ მჯდომი ფართოყვრიმალიანი კაცი.

_ ჰო, რო, შენ ყროყინ მაასმენიო ამათაცა... _ ისევ იცინის ვალიკო.

_ მოდი, კლასი ვაჩვენოთ! _ გადაულაპარაკა კაენამ ანუკის.

_ როგორ? _ დაინტერესდა ანუკი.

_ ვიმღეროთ, _ უპასუხა კაენამ.

_ მე უნდა ვიმღერო? _ დაიბნა ანუკი.

_ არა, ჩვენ ყველამ. ბიჭებო, დავიწყოთ?

_ ბიჭებმა თავი დაუქნიეს.

_ “სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლა-მა-ზო...” _ ომახიანმა, ლამაზმა ტემბრმა, უცებ გააჩუმა მოქეიფენი. ბიჭებიც აჰყვნენ კაენას და ეს ულამაზესი სიმღერა ყელმოღერებულებმა ისე ეშხიანად დააგუგუნეს, ისე უხდებოდა მათი ხმა, იმ სახლის ბანსაც და იმ კლდეში ნაკვეთ ხეობასაც, “როგორც ლამაზ ქალს ხალები”.

ქალაქელებმა მოამთავრეს და ახლა მოხევეებმა წამოიწყეს.

“დიდებაა ღმერთსა, დიდსა მოწყალესა,
ღმერთო, დღეგრძელობა მიე აქა მბრძანებელსა,
ნეფესა და დედოფალსა სახემშვენიერსა,
წყვილი ვაჟიშვილი მიე საწლეულო წელსა.
ოჯახობა დაუქციე ჩვენი ნეფის მტერსა,
იმათი ცხვარი და ძროხა დააჭმიე მგელსა.
ნეფევ, ბადია ამივსე, მომაწოდე ხელსა,
დიდებაა ღმერთსა, კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯვათ სტუმარ-მასპინძელსა!”

თავი ქალებმაც გამოიდეს, ფანდურიც სწრაფად გაჩნდა სუფრაზე და სუფრის ბოლოდან ხვარამზეს ხმა გაისმა:

“ვინა ხარ, ვინ იარები, ლაღო, მაგ ლაღის ცხენითა?
თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მამკევ ცრემლითა?”
აქედან ვალიკო აჰყვა:
“ის გეგონაა, ქალაუ, გუშინ რო მედიდებოდი,
კაც-შუაკაცებ გიგზავნე, თხა-წალებურად ხტებოდი;
ისე გაგიხდევ სურვილსა, ნემსს ყუნწზე აეგებოდე,
ჩაჰქონდე დილის ნიავსა, უსულოდ ჩაელღვეოდე,
პატარას ნარის-ჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდე”.
და ისევ ხვარამზემ წასტაცა:
“ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა, შამსვამდი, _ შაგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელზე ჩაგედებოდი,
ანა მქნა ოქროს ბურთვაი, კალთაში ჩაგეშლებოდი,
ან ვერცხლის ფულად მაქცია, ჯიბეში ჩაგეყრებოდი,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი,
ანა მქნა ვარდი, ყოილი, რო პირზე დაგეყრებოდი,
ანა მქნა მოის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი,
ან შენი ძმა მქნა მოწილე, აროდის გაგეყრებოდი,
ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!
ძალიან დაწუხებული გზაზედამც შაგეყრებოდი!”

ვიღაცამ “ცანგალა და გოგონა” წამოიწყო, ხალხიც აჰყვა და მალე ქართულ-მოხეური ცეკვა-თამაშიც გახურდა. რაღა თქმა უნდა, ფეხი ნეფე-პატარძალსაც გაასმევინეს. მერე ვიღაც მოხევემ ანუკი გადაიწვია, გოჩუნამ ხელი მიაშველა, ანუკიც ფრთხილად შედგა მაგიდაზე, მოხევეებმა იქიდან მოჰკიდეს ხელი და ეს ლამაზი გოგონაც გედივით გადაფრინდა საცეკვაო მოედანზე და ვაჟივით არ დაუარა? ამის დანახვაზე, მთვრალმა ვაჟებმა, ტლინკების ყრით მთლად თავი გაიგიჟეს. როდის-როდის ჩაცხრა ცეკვის ჟინი და ყველანი თავ-თავის ადგილებს დაუბრუნდნენ. ამ დროს ქალებმა ხონჩებით მოხარშული დედლები შემოიტანეს.

_ აბა, ვის აქვსა ქათმის თავი, დადოს ყველამ სუფრაზედა! _ დაიძახა ვიღაცამ და ქალაქელებმაც დააწყეს თავიანთი ნადავლი მაგიდაზე. მათ გარდა ქათმის თავი ერთი-ორს სხვასაც აღმოაჩნდა და, ეგ იყო და ეგ. მოკლედ, ყველას ვისაც ქათმის თავი აღმოაჩნდათ თეფშზე დადებული თითო მოხარშული დედალი მიართვეს.

ბიჭებს უკვე მობეზრებოდათ მთვრალი მოხეების ტრაბახი და ხორხოცი.

ქათმები, რომ მოართვეს, კაენა რატომღაც ფეხზე წამოდგა და იკითხა.

_ ჩვენია ეს ქათმები?

_ თქვენი არს, თქვენი!

_ მაშინ წავიღებთ ამ ჩვენ ქათმებს და წავალთ, თანახმა ხართ? _ იკითხა კაენამ.

ყველა გაჩუმდა, ეტყობა არ მოეწონათ კაენას ნათქვამი.

_ წავედით! _ უთხრა ბიჭებს კაენამ. ისინიც წამოდგნენ, ქათმებს ხელი მოჰკიდეს კიდეც, რომ სუფრის ბოლოდან ვიღაც ოცდაათიოდე წლის ბიჭმა დაიძახა.

_ რას ჰქვიან წაიღებთ, ჩვენ რაღა დავაყოლათ სასმელსა? წეს არ ას, არა! დადევით მანდვე, თეფშეფზედა!

კაენას, რომელსაც სასმელი მოჰკიდებოდა და ვერც წინააღმდეგობას იტანდა, არ მოეწონა მოხევეს ნათქვამი და აუხირდა.

_ რა წესი არ არის? თავი ხომ დავდე. მაშ ქათამიც ჩემია და თქვენთვის რა მნიშვნელი აქვს სად შევჭამ ამ ქათამს, ხევში თუ თბილისში?

_ აეს, მნიშვნელი აქვნ, აი! _ და მათ წიმ მჯდარმა ფართოყვრიმალიანმა მოხევემ პირდაპირ ყბაში არ გაუშალა გაშლილი ხელი?

კაენა თავის ქათმიანად, მოწყდა და უკან გადავარდა.

_ ასე ხვდებით სტუმრებს, თქვენი?! _ და ჭილამ მოკიდა მაგიდას ორივე ხელი დაბლიდან და ამოატრიალა. მერე რომ გაშალა ხელები, ერთი სამი მოხევე ერთმანეთზე, რაღაც წამებში, მიალაგა. იმწუთას ყველა მაგიდა აყირავდა. ხალხი აიშალა და სწორედ იმის მსგავსი ჩხუბი გაიმართა, ამერიკული ვესტერნების ტავერნებში რომ ხდება. ერთი განსხვავებით მხოლოდ. მოხევეებიც და ქალაქელებიც, ჭილას გარდა, ხელებს უნიათოდ, უმისამართოდ იქნევდნენ და შემთხვევითი მუშტი თუ მოხვდებოდათ ან თვითონაც შემთხვევით თუ შემოარტყამდნენ სხვას. ერთი, ვალიკო დარბოდა მარტო გამშველებლად და ყველაზე მეტიც სწორედ იმას მოხვდა. ჭურჭელი დაილეწა და საჭმელიც იატაკზე აიზილა. კაცებში ქალებიც არეულიყვნენ, თუმცა უფრო წიოკობდნენ და ვაის და ვუის გაჰკიოდნენ.

_ რაი გაჩხუბებთ, ხალხო, რა? _ ყვიროდა მთელი ხმით გამწარებული ვალიკო. _ ურჯულონი ხომ არ ხართ, ჩაწყნარდით, ჩაწ... _ პირდაპირ ყბაში მოხვდა... _ ხელით მოისინჯა. _ კბილი, კბილი აღარ მაქვის პირჩია... ჩემი ოქროს კბილ, აღარ მაქვის პირჩია...

ნეფემ, რომელმაც ერთხანს კი უყურა ამ ჩხუბს და რომ მიხვდა, სასმელით გაჟიებულ ხალხს აღარაფერი გააჩერებდა, გამოიტანა თავის ბერდენკა და ჰაერში დაცალა. თოფის ხმამ ყველა გამოაფხიზლა და გააჩერა.

_ კბილ დამკარგვიყო, კბილ, ოქროს კბილ დავკარგე, მაპოინეთ, ქალებო, მიშველეთ-კე, ნანავ, მზექალ!

_ რამდენჯერ უნდა დაჰკარგოდე ეგ შენი ოქროს კბილ, ნეტა? _ უსაყვედურა ნანამ და ქალებმა ვალიკოს კბილს დაუწყეს იატაკზე ძებნა.

გოჩუნამ ჩხუბი როგორც კი ატყდა, მაშინვე გაარიდა ანუკი იქაურობას. ახლა კუთხეში იდგნენ ხელჩაკიდებულნი და ჩუმ-ჩუმად ფხუკუნებდნენ ამ სისულეებზე.

_ აბა შავრიგდეთ და ფიც-ვერცხლ შავჭამოთ კაცებმა. _ და იმ ფართოყვრიმალიანმა მოხევემ ჯიბის დიდი დანით, უეცრად ხელის გული გადაისერა. დანა ჭილას მიაწოდა და თვითონ ცარიელ, პატარა, თიხის ჯამში, რომლითაც ღვინოს სვამდა, იმ გაჭრილი ხელიდან წამონადენი სისხლის ჩაწურვა დაიწყო.

_ მე რა უნდა ვქნა? _ იკითხა ჭილამ, რომელსაც ხელში ეჭირა ის დანა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

_ ხელ უნდ გაიჭრა ჩემსავით და ჩააწვეთო შენი სისხლიც აქავ. _ უკარნახა მოხევემ.

ჭილას ასეთი ველურობა ადრე არ ენახა. საკუთარი ხელის გაჭრამ ცოტა არ იყოს შეაშინა კიდევაც.

_ კარგა იქნევდი მაგ ხელსა, ჩემმა მზემ... მამეწონა მაგრად... _ გაეცინა იმას, რომელმაც ჭილას დანა მისცა.

_ ჰო, ჰო, მაგარ ჩხუბ სცოდნავ, ვაჟკაც ჩან. _ დაუმოწმეს სხვებმაც.

_ ნეკის გაჭრამ კი შააშინა ცოტათია... _ ჩაილაპარაკა ვიღაცამ ქალებიდან და ხალხი ახორხოცდა.

_ შამაშინა კი არა, _ და ჭილამ დანის წვერი ისე ჩამოისვა კინაღამ ცერი მოიჭრა. _ სისხლი თქრიალით წამოვიდა.

_ ვაი, მაიჭრ თით, მაიჭრ, ჩქარ, სახვევი... ბამბა, იოდი! _ აწივლდნენ ისევ ქალები.

ჭილა კი გმირივით დაჯდა სკამზე და თავისი კეთილი თვალებით აკვირდებოდა ხალხს.

_ თქვენც, თქვენც... _ ფართოყვრიმალიანმა თავისი დანა ახლა კაენას გაუწოდა.

ყველა იქ მყოფი ამ რიტუალს აკვირდებოდა.

კაენას თუმცა ძალიანაც არ უნდოდა ხელის გაჭრა, მაგრამ რა ექნა? ჰოდა, პირველად ისე ნაზად დაისვა სალოკ თითზე, რომ კანიც კი ვერ გაიჭრა. რაზეც იქაურ ქალებს ფხუკუნი და სიცილი წასკდათ. მეორე ცდაზე კი, ოდნავ გაიჭრა და ორი-სამი წვეთი გადმოიდინა. მერე გიგომ და გოჩუნამაც გაიჭრეს თითები და სისხლი იმავე ჯამში ჩააწვეთეს. მერე იმ ფართოყვრიმალიანმა ქამარი მოიხსნა, ბალთას, რომელიც, როგორც ჩანს, ვერცხლისა იყო, ცოტაოდენი ვერცხლი ჩამოაფხიკა ჯამში და ქამარი ისევ წელზე შემოირტყა. მერე ის ჯამი ღვინით გაავსო, მაღლა ასწია და თქვა:

_ დღეიდან ძმებ ვართ, ფიც-ვერცხლი გვაქვნ ნაჭმი, ამ ძმობას არ ეღალატების არცდროსა... _ მერე ჯამი პირთან მიიტანა და ცოტაოდენი მოსვა. მოიცილა და ჭილას მიაწოდა. _ შენ, ყაზბეგ უნდ შაგარქვა, მოჩხუბარიძე, კაი ჩხუბ გცოდნავ...

_ მეც რამე უნდა ვთქვა? _ იკითხა ჭილამ.

_ უნდა დაილოცო, ძმები ვართ, ჩვენ ძმობას გაუმარჯვას... _ უკარნახეს ქალებმა.

_ გაუმარჯოს ჩვენ ძმობას! _ და ჭილამაც ერთი-ორი ყლუპი გადაყლაპა. ღვინოს ოდნავ მოტკბო გემო მისცემოდა, ალბათ სისხლის წვეთებისგან.

_ ძმობას გაუმარჯოს, ჩვენ ძმობას! _ გაიმეორეს გიგომ, კაენამ და გოჩუნამაც და ჯამი გამოცალეს.

_ ახლა ვინც არ უნდ გაგიტრაკოთ ხევჩია, ჩემ სახელს ახსენებთ-კე და ხმას ვერ გაგცემთ, ვერავინა! ფიც-ვერცხლ ნაჭამ ვართ-თქო კობა ფარსაგიშვილთან! _ თითით დაიმუქრა, მძიმედ შეტრიალდა, ნაღვინებ-ნაჟიმპიტაურებელი პირი გააღო, ერთი მაგრად, ხოშიანად ამოაორთქლა და კარისკენ წაბანცალდა.

_ ფარსაგი-შვილი... მაგრა ჟღერს. _ თქვა გიგომ და გაიცინა.

_ ნამდვილ უბნობს, ჰო, ჰო... მართლაც ფარსაგ არს, მაგან წამაიწყო დღესაცა... _ დაეთანხმა ვიღაც ქალებიდან გიგოს.

_ ვაჟებო, მართლა არ წამაგცდათ მაგის სახელი ხევჩია, თორ ცოცხალ ან გადარჩებით ან არ... _ თქვა იმავე ქალმა და ყველას სიცილი აუტყდა.

ომარ წიკლაურს, სადაც ვალიკომ ქალაქელები წაასხა, წინასწარ დაეწყო სამზადისი. დიდ სპილენძის ქვაბში მოეხარშა ლუდი და და ცხვარიც დაეკლა. როცა ვალიკო თავის ქალაქელი სტუმრებით იქაურობას შეემატა, ერთი ექვსი-შვიდი ვაჟკაცი, სახლის ბანის ქვეშ უკვე აგემოვნებდა ლუდს. ვარსკვლავიანი ღამე იყო. ჭრაქი კი ენთოთ, მაგრამ არც იყო საჭირო, ისეც ჩანდა ყველაფერი.

ბიჭები თუმცა ნაღვინევი იყვნენ, სქელი, შავი ლუდი, რომლის ბადალიც ძნელად შეხვდება სადმე ადამიანს, მაინც მაგრად ესიამოვნათ.

_ აუ, რა ლუდია, ბიჭო! _ ვეღარ მოიცილა ტუჩიდან, სანამ მთლად არ გამოცალა კათხა ჭილამ.

ბიჭებმაც მხარი აუბეს, აქებდნენ და ყლურწავდნენ საამო სითხეს, რომელიც ღვინოზე ნაკლებად არ ათრობს და მათაც ძალზე სწრაფად მოსწყდათ ყინწები. როგორც მთის ხალხის წესია, მოხევეებიც ტრაბახობდნენ და ლუდთან დაკავშირებულ ამბებს იხსენებდნენ. ისიც მოიგონეს, ჩოფიკაშვილი ალუდა და ქვემოუბნელი აპარეკა ხბოზე რომ დანიძლავდნენ. აპარეკას რომ უთქვამს, ჩაუსუნთქებლად დავცლი ერთ გობ ლუდსაო. დაცლით კი დაუცლია და გადაქცეულა იქავე და დაულევია სული იმ ბეჩავსა. ის ხბო იმის ქელეხში შაუჭამია სოფელს და კუბო და სამარხიც ჩოფიკაშვილის თავში სახლელი გამხდარა.

_ ხმა გამავიდა, შენა, მაგარ მარჯვენ გქონავ, ვისაც დაადვის, ფეხზე არ დააყენას ერთიცაო. _ წარბი აეწია და ისე ეუბნებოდა, ლუდით გაბრუებულ ჭილას წინ მჯდომი, არანაკლებ მთვრალი მოხევე.

_ ჰო, ვიჩხუბეთ, _ დაუდასტურა ჭილამ.

_ მკლავ თუ გადმიწევ, ვაჟკაცად მაშინ ჩაგთვლიდი... _ უთხრა მოხევემ და მარჯვენის იდაყვი მაგიდას დააბჯინა.

_ კი, ბატონო! _ მაშინვე აიწია პიჯაკის სახელო ჭილამ და იმანაც მაგიდას ჩამოაყრდნო იდაყვი.

და კაცებმა დათვივით ტორები ერთმანეთს ჩაჰკიდეს.

_ მე დავთვლი, _ ითავა მსაჯობა მაშინვე ვალიკომ. _ ერთ, ორ, სამ!

მონიძლავენი გაქვავდნენ. დაძაბულობისგან კისრის ძარღვები დაებერათ და მაღლა ამოასხდათ. ლამის ზედა ტუჩები დაიჭამეს. მყისი ძალა და მოხევეს მაჯა ქვემოთ წავიდა. ჭილამ ტანიც მიაყოლა და გადაუწია.

_ არ ითვლების! _ წამოხტა სკამიდან მოხევე.

_ რა არ ითვლების, გაჯობა! _ გაცხარდა ვალიკო.

_ ტან დაიხმარია, არ ითვლების! _ არ დაიჯერა მოხევემ.

_ სირცხვილ არ, ელგუჯ, გეყოფის! _ დაუყვირა უცებ უხეშად ვალიკომ.

_ რაი? სირცხვილ? მე მეტყოდე? ელგუჯაის? _ მოხევემ იმწამს ხელი მაგიდაზე დადებულ დანას წამოავლო და მაგიდას გადააფრინდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ვალიკომაც იცოდა ელგუჯას ხასიათი, მიტრიალდა და გარეთ შარაგზაზე გავარდა. ქვევით დაეშვა, გარბოდა და ყვიროდა.

_ დაიჭით, ეს ქაჯ, გიჟ, დამთხვეულ, არ მამკლას მართლაც, დაიჭით!

კაცები ელგუჯას გამოუდგნენ,

_ არ მამეკაროთ ახლოსა, დაგხოცავთ ყველასა! _ გაიძახოდა ელგუჯა და დანას გააფთრებული იქნევდა.

ვინ მიეკარებოდა, ვის ჰქონდა ორი თავი?

ვალიკოს საზღვრამდე, საგუშაგომდე უნდა მიესწრო როგორმე და გადარჩენილი იყო. იცოდა, რომ იმ დღეს მისი დისშვილი, ბადრი იყო მორიგე. ასეც მოხდა, მიასწრო, ბადრი და გელა გარეთ, ავტომატებით იდგნენ.

ბადრი ეგრევე მიხვდა რაც ხდებოდა. გადმოიღო და ავტომატით ცა დაცხრილა.

ელგუჯა გაჩერდა. მიხვდა, რომ ამჯერადაც გადაურჩა ვალიკო.

_ არ ამახვალ სახჩია?! _ მაინც დაემუქრა. დანა მოისროლა, მიტრიალდა და მორბენილ კაცებს შეუერთდა.

_ წამაით, წამაით, დავლიოთ! _ უთხრა გაბრაზებულმა და სოფლისკენ გაალაჯა.

ანუკი ბიჭებს ლუდზე აღარ გაჰყვა. ვალიკოს სახლის ასახვევთან დასცილდა მათ, ოცი ნაბიჯი უნდა გაევლო და სახლში იყო. ბიჭებმა კი გზა განაგრძეს, რომელიც სიონის ეკლესიას უვლიდა გარშემო და ქვევით ომარ წიკლაურის სახლისკენ მიდიოდა.

საგუშაგოდან მობრუნებულებმა, რა თქმა უნდა, ელგუჯას აღარ დაუჯერეს და პირდაპირ ვალიკოს სახლისკენ გასწიეს.

სახლში რომ შევიდნენ, ბავშვებს ერთად ეძინათ ტახტზე, მზია კი საჩეჩელთან იჯდა და მატყლსა ჩეჩავდა.

_ ქალ რა უყავით, ანუკი? _ მშვიდად ჰკითხა მზიამ, მარტო ბიჭები რომ დაინახა.

_ არ მოსულა? _ გულზე რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა გოჩუნას. _ ამოსახვევთან დავცილდით და უნდა მოსულიყო.

_ როდისა? _ წამოვარდა სკამიდან დაფეთებული მზია. _ ვალა სადღა არ?

_ ვალიკო ჩვენთან ერთად იყო. მალე მოვა. ანუკი აქ უნდა იყოს, წესით, აქ! _ სახეზე ათნაირმა ფერმა გადაჰკრა გოჩუნას.

_ აქ არვინ მოსულა, ხატ-ანგელოზი ნუ გამიწყრას, აქ ვარ, აქ ვზი რა ხანია, ვართავ საჩეჩელსა...

_ უკან ხომ არ დაბრუნდა? _ იკითხა ჭილამ.

_ უკან? რით?

_ მანქნებ კი დადის, როგო არ, მაგრამ სხვას ჩაუჯდის მითომა? _ იკითხა მზიამ.

ვალიკომ ხმაურით შემოაღო კარი.

_ რა იქნ, უკან მიბრუნდებოდის ის დათვი? _ იკითხა ელგუჯაზე, მაგრამ ბიჭების დაძმარებულ და შეშინებულ სახეებს რომ წააწყდა, დადუმდა. _ რაი, მოხთეს, მოხთა რამე, მზიავ?

_ ის მოხთ, რო, ანუკ არ შამოსულა სახჩი, ესენი უბნობენ კიდევა, შინ წამავიდაო.

_ რაგვარ არ შამასულა, რას უბნობ, გესმის კია?

_ არა, არ მოსულა, სად იქნება? _ დაუსვა ვალიკოს შეკითხვა გოჩუნამ.

ვალიკო ჩაფიქრდა და თითზე იკბინა.

_ მაგტაცეს, ნამდვილად მაგტაცეს, ქორწილჩი დაადგმიდის ვინმე თვალსა... ეს სოფელ კი არა, ბანდიტების ბუდე არ! _ ხელები გაშალა ვალიკომ.

_ რა უნდა ვქნათ, მერე? _ იკითხა ჭილამ.

ოთხივე ერთმანეთს გაკვირვებულები უყურებდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

_ მავჰკლავ, არ ვაცოცხლებ არც ერთსა! _ გულზე მუშტი დაიცა ვალიკომ. _ დავკლავ, ღორსავით გამავჭრი ყელსა.

_ მართლა მოიტაცებდნენ ვითომ? _ იკითხა გიგომ.

_ ხევჩი მოტაცება მალ-მალ ხთება, გამაჩნთების... _ თქვა მზიამ.

_ და სანამ გამაჩნთების?

_ ჯადო მაქვს გაკეთებული, თუ რა? _ იკითხა მთლად დაბნეულმა გოჩუნამ.

_ სანამ გამაჩნდების, გავიდეთ უნდ, დავძებნოთ. წამაით! _ თქვა ვალიკომ და გარეთ გავიდა. ბიჭებიც სწრაფად მიჰყვნენ, მზიაც...

_ ანუკი? ქალაუ? _ გასძახა სიბნელეს ვალიკომ და ქუჩისკენ წავიდა. _ ყველა თავ-თავ წავიდათ და ასე დავსძებნათ...

გაიშალნენ. ზოგი ზემოთ წავიდა, ზოგი ქვემოთ, ზოგი მდინარის პირისკენ...

_ ანუკი! ანუკი! _ კიდევ დიდხანს ისმოდა მათი ხმა სოფელში, მაგრამ მხოლოდ ძაღლი, ძროხა ან ინდაური და ქათამი თუ შეეხმიანებოდათ, და ექო, რომელსაც თერგის ხმაური ახშობდა.

ანუკი გაქრა.

ანუკი უკვე ვალიკოს ჭიშკართან იყო მისული, როცა ყორეს იქიდან ორი ბიჭი გადმოუხტა და მივარდა. ანუკიმ დაყვირებით და დაკივლებით კი დაიკივლა, მაგრამ გოჩუნა და მისი მეგობრები თერგის პირს მიუყვებოდნენ და რაც არ უნდა ხმამაღლა ეკივლა, მის ხმას თერგის ხმაურში ისინი ვერ გაიგებდნენ. ეტყობა, სახლშიც ვერ გაიგონა, ვერაფერი მზიამ. ანუკი, რომელსაც ცხოვრებაში ხელი არ გაუქნევია საჩხუბრად, თავისდა გასაკვირად, ნამდვილ ვეფხვს დაემსგავსა. პირველ ბიჭს, მოხრილი მუხლი ისეთი ძალით ამოსცხო ლაჯებშუა, რომ იმ ბიჭმა, ერთი კი დაიძახა, “ოი, ბლიადო” და იქვე ჩაიკუნტა. ანუკი სწრაფად მიტრიალდა, გაქცევას აპირებდა, მაგრამ ის მეორე გაქნეულ ხელზე მისწვდა, სტაცა და დაიქნია. მერე ამოუგრიხა და ასეღა დაიმორჩილა.

_ დავაი, მაშინუ სუდა, ბისტრა! _ დაჰკივლა მან იმ მეორეს. თან ანუკის პირზე ხელს აფარებდა. მერე პირველს მეორეც მიეხმარა, ანუკის მკლავები გაუკავეს, მერე ფეხები გაუკრეს, თავზე რაღაც ჩამოაცვეს და ანუკი მიხვდა, რომ მანქანის სავარგულში ჩატენეს. ანუკი კივილს განაგრძობდა. _ მალჩი, სუკა! _ მოესმა ანუკის და იმ მხეცმა რაღაც გინებაც მიაყოლა. ფერდში კი რაღაც მოხვდა, რკინასავით მაგარი და ისედაც მოკრუნჩხული, კიდევ უფრო მოიკრუნჩხა... ანუკი ვერაფერს მიმხვდარიყო, ვინ უნდა ყოფილიყვნენ, რუსები? ქართველები და მოხეევეები ნამდვილად არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან იმ ტიპს, რომელმაც დაილაპარაკა, ნაღდი რუსული აქცენტი ჰქონდა. მაგრამ რა უნდოდათ მისგან რუსებს ან იქ საიდან გაჩნდნენ იმ შუაღამისას, მისთვის ეს ნამდვილი გამოცანა იყო. მიხვდა, რომ ჯერ ზემოთ მიდიოდნენ, მალე კი თავქვე დაეშვნენ. იმასაც ხვდებოდა, რომ მდინარის ნაპირს მიუყვებოდნენ, რადგან როცა მანქანა მოსახვევებში სვლას ანელებდა, კარგად ესმოდა, წყლის დგაფუნი და შხუილი. აი, რამდენ ხანს მიდიოდნენ, საათი, ორი თუ მეტი, ამას, მანქანის ნჭყრევასა და ღმუილში ვერაფრით მიხვდა.

მანქანა გაჩერდა. გადმოიღეს. ერთმა ფეხებში მოკიდა, მეორემ იღლიებში და ასე წაიღეს. როცა ტომარა გადააძრეს, სინათლემ ისე მოსჭრა თვალი, რომ კარგახანს ვერაფერი გაარჩია. მერე კი ნელ-ნელა მხედველობა დაუბრუნდა და დაინახა, რომ სატუსაღოს მაგვარ კამერაში იყო. სინათლე, რომელმაც თვალი მოსჭრა, დერეფნის ჭერში მიმაგრებული, რკინის ბადურათი დაცული, ერთი მბჟუტავი ნათურა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ რამდენიმე საათით აბსოლუტურ წყვიადში ყოფნა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ ნათურასაც კი თვალი ასე მოეჭრა. ანუკი წამოდგა. ძლივს გამართა ფეხი, გაბუჟებოდა და დამძიმებოდა ფეხები. ორივე მხარეს, არმატურით შეკრული კიდევ ორი კამერა გაარჩია. მის კამერაში იატაკზე ნარი იდო. იმ ორში კი არაფერი. ანუკი თვალებს არ უჯერებდა. ვერაფერი გაეგო და ვერაფერი აეხსნა. რა უნდოდათ მისგან, რატომ გაიტაცეს და ან ამ რკინის გისოსებში რატომ მოათავსეს? გაგიჟებას არაფერი აკლდა. ფერდი

სტკიოდა, უნდოდა სარკეში ჩაეხედა და თავისი განცვიფრებული სახე დაენახა, მაგრამ სარკე სად იყო, ან ვინმე სულიერი, რომ დალაპარაკებოდა? და ანუკიმ აშკარად დაინახა, რომ დერეფნის ნაცრისფერი ბლოკით ნაშენი კედლის ხვრელიდან უშველებელი ვირთხა გამოძვრა და მისკენ წამოვიდა. ანუკიმ იმხელა ხმაზე იწივლა, რა სიმძლავრის ხმასაც მისი ყელის ნატიფი იოგები გამოსცემდნენ. ვირთხა დაფეთდა და უკანვე, ნახვრეტში გულგახეთქილი შევარდა. ანუკის კი, ნაბიჯების ხმა შემოესმა. მარჯვნივ, დერეფანში ჩამოსასვლელ კიბეზე ჯერ ჩექმები გამოჩნდა, მერე კი რუსის სამხედრო სამოსში გამოწყობილი, ვიღაც ქერა ტიპიც, ავტომატით ხელში.

_ ჩეგო ნადა. ბუდეშ კრიჩაწ, ნაკაჟუ! _ მიმართა იმ ტიპმა მშვიდად.

_ გდე ია? _ შეეკითხა ანუკი, თუმცა იმ ტიპის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ სწორ პასუხს ვერ მიიღებდა.

_ გდე ნადო. ვაპროსი დომა ზადავაი. _ უთხრა რუსმა და შეტრიალდა.

_ ხაჩუ პაპისიწ, პაპისიწ ხაჩუ! _ იყვირა სასოწარკვეთილმა ანუკიმ.

_ ნე ვიდიშ ვედრო ვ უგლუ? პისი სკოლკო ხოჩეშ! ი ნე კრიჩი ბოლშე ტაკ, ა ტო, პალუჩიშ! _ უთხრა იმ ტიპმა და გატრიალდა.

ანუკიმ მიიხედა და მართლაც შენიშნა ვედრო კუთხეში. არა, ეს ნამდვილი კატასტროფა იყო, თუმცა კატასტროფა ის სიტყვა არაა, ეს ბევრად უარესი, მეორედ მოსვლა, სამყაროს დასასრული, წარღვნა, წალეკვა და ცოცხლად დამარხვა ქვეყნიერების. და ანუკიმ ახლაღა იგრძნო, რაღაც მძაფრი, მშრალი შარდის მომწვანო, დამყაყებული სუნი... შეაჟრჟოლა. საკუთარ ტანზე დაიხედა. მზიამ რონ ქვედაბოლო მისცა, ის ეცვა. ფეხის წვერებზე შემდგარიყო და ქუსლების დადგმის ეშინოდა. იმ რუსმა თუ ვიღაც გადამთიელმა კიდევ, ვედროში ჩააფსიო. არა, ეს არ იყო სინამდვილე, ეს სიზმარი იყო და ანუკიმ საშინლად, საშინლად ინანა, რომ გოჩუნას ენდო. “ნუთუ?” გაუელვა ამ ერთმა სიტყვამ თავში. მერე ეს ერთი სიტყვა დაიშალა და უამრავ უცნაურ შეკითხვად გადაიქცა. მომატყუა? არ ვუყვარდი? მომიტაცა, რომ მამას ფული გამოსძალოს? და უცბად დამშვიდდა. მაშინ ხომ ჩავუშვებ ყველას. ვალიკო, ნენსი, მარსი, ვინ აღარ გავიცანი. კობა ფარსაგიშვილიც კი... არაა? არ არსებობს. ვუყვარვარ. ის ისე ნაზად მკოცნიდა. და ისევ გადაუტრიალდა ტვინი. მაგრამ ხომ ხდება ასეც, რომ ფულს გამოსძალავენ და მძევალს კი მაინც კლავენ, რომ კვალი წაშალონ? არა, არა, არ არსებობს... მაშ რა ხდება ეს, რა? _ იყვირა ხმამაღლა და თავისი ხმის თვითონვე შეეშინდა. მის ხმაზე ვირთხამ გამოიხედა ნახვრეტიდან და პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა. მიშველეეთ! არა, აღარ დაუყვირია. ხმა ჩაუწყდა თუ რა? კართან მივიდა. გისოსებს ხელი მოჰკიდა და მთელი ძალით შეანჯღრია. ვირთხა გაქრა. მაგრამ როგორ გინდა დაიძინო ამ ვირთხებში? ან რატომ უნდა დაიძინოს აქ, ამ საპყრობილეში? რა დააშავა?

კოტიკოსთვის ანუკის გაპარვა, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა, სიკვდილის ტოლფასი იყო. ისე შესძულდა, ისე შესჯავრდა იმავე წამიდან თავისი “ტურფა”, საწამლავი რომ ჰქონოდა დაალევინებდა და სამუდამო განსასვენებელშიც კი გააგზავნიდა. წინა დღეს, თურქულ კაფეში, თურქული ყავა რომ მიირთვეს, ირმამ _ გიმკითხავებო, და კოტიკოს ყავის ჭიქაში ჩაიხედა, ჩაიხედა და ჯერ თითქოს გულს შემოეყარა და მერე ისეთი რაღაცეები უთხრა... ჰო, რაც კი გაგაჩნია და გიშოვია, ყველაფერს, ყველაფერს ძალიან ჩქარა დაკარგავო... რაში მოეპრიანა ასეთი სისულელეების თქმა ირმას, კოტიკო ვერაფერს მიხვდა. გუშინ კი ყურში გაატარა, მაგრამ ახლა, როცა უთხრეს, ანუკი ისე გაიპარა და გაქრა, უკვე მესამე დღეა მისი ასავალ-დასავალი არავინ იცისო, სწორედ ის ყავის ჭიქა გაახსენდა და შიგ ჩახატული “კარაბადინი”. ირმამ, რა თქმა უნდა, ტუჩი აიბზუა, როგორც ეს დიდი ხნის საყვარლებს სჩვევიათ, ზოგჯერ ცოლსაც რომ აჭარბებენ ხოლმე პრეტენზიებში და თურქული ავიოხაზების ლაინერი ისე დაეშვა თბილისის აეროდრომზე, მისკენ ერთხელაც აღარ მიუხედავს. კოტიკო, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთი რამ ამოუვიდოდა პირიდან, მაგრამ როგორც კი თავიანთი ჩანთები მიიღეს და გარეთ გამოვიდნენ, აჩუ, შენი

დედაცო, არ წამოსცდა? ირმამაც, შენი დედაც და შენი ცოლ-შვილიცო, და ტრაკის ქნევით გასცილდა. ერთი შენიცო, გაიფიქრა კოტიკომ და აღარ გამოჰკიდებია. ნინიკოს აეროპორტიდანვე დაურეკა, ეგონა, რამე დამამშვიდებელს მეტყვისო, მაგრამ, პირიქით... შენი ბრალია ყველაფერიო, ისეთი განწირული ხმით კიოდა ვიბრატორში მისი მეორე ნახევარი, კოტიკოს გული ფეხებში წაუვიდა. მანქანა აიყვანა და სახლის მისამართი უთხრა.

ეზოს ჭიშკარი დაკეტილი დახვდა და თუმცა ზარის ღილაკს მთელი საათი აჭერდა თითს, სახლიდან არავინ გამოხედა. მგონი სახლშიც აღარ მიშვებენო, გაიფიქრა და ნინიკოს გადაურეკა. კარი გამიღე, ზარის ხმა არ გესმით, თუ დაყრუვდით ყველანიო, მიახალა.

_ კარს ხელი არ ახლო, დალუქულია, დალუქული! _ უყვირა ცოლმა ყურმილში.

_ დალუქული? _ განცვიფრდა კოტიკო და კარზე ყავისფერი დაბეჭდილი ლუქი და წვრილი მავთულიც შენიშნა, ლუქიდან სახელურზე გამობმული. ბუნებრივია, დაინტერესდა, რა ახალი ამბავი იყო კიდევ მის თავს. _ ვინ დალუქა?

_ საგადასახადო პოლიციამ. ჯერ შენი ფირმა დალუქეს, მერე ჩვენი სახლიც და აგარაკიც, _ შეატყობინა კიდევ ახალ-ახალი თავზარდამცემი ამბები ირმამ.

_ შენ სადა ხარ, რომ? _ შეეკითხა ცოლს კოტიკო.

_ ტრამვატოლოგიურში, კამოზე. _ უპასუხა ირმამ და ყურმილი გაუთიშა.

კოტიკომ იმწამს თავიდან გადაურეკა.

_ რატომ მითიშავ, ყურმილს, რატომ? _ დაუღრიალა ცოლს გამწარებულმა კოტიკომ.

_ შენი დანახვაც არ მინდა! _ ასეთი იყო ცოლის პასუხი და ისევ გაუთიშა.

_ ე, რა ხდება? _ ახლა კი, მართლაც, ჰამლეტივით მწარედ ჩაფიქრდა კოტიკო.

მაშინვე თავის გენერალურ მენეჯერ, ლევანჩოსთან გაუშვა ზარი, მაგრამ მისი მობილური არ პასუხობდა. აბონენტი არ პასუხობს, მობილური გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდანო, პასუხობდა რობოტი. ისღა დარჩენოდა, ტრავმატოლოგიურში გავარდნილიყო და ადგილზე დაეზუსტებინა ყველაფერი.

ასეც მოიქცა.

სანდრო, კოტიკოს სიმამრი, მკვდარივით გაჭიმული იდო ლოგინზე. იდო და ორივე გახელელი თვალით ჭერს მიშტერებოდა. მარჯვენა წარბის მაღლა, შუბლი მთლად გაშავებოდა. ლოგინი მისთვის, სპეციალურ საწოლზე გაეშალათ, რომლის თავებზე რკინის ღერძი იყო დამაგრებული. სანდროს თავთან ნინიკო ეჯდა, გვერდით კი მარიეტა. ნეტა, ეს წოლილიყო და სანდრო კი გვერდით სჯდომოდაო, გაიფიქრა სიდედრზე კოტიკომ, მაგრამ საწოლის თავთან მჯდარმა ნინიკომ ისე გამეხებულმა გამოხედა, კოტიკომ ისიც კი გაიფიქრა, ამას მგონი ვეღარც შემოვირიგებო. სხვა დროს კოტიკოს იქნებ შეშინებოდა კიდეც, მაგრამ ახლა, როცა ამდენი საშინელი ამბავი ერთმანეთს ასე უცნაურად დაემთხვა, ცოლის გამოხედვა ფეხზე დაიკიდა და მარიეტას შეეკითხა:

_ რა მოხდა?

_ რა მოხდა? ეს შენ უნდა გკითხოს, გენაცვალე, კაცმა. _ ისე ცივად უპასუხა სიდედრმა, კოტიკო მიხვდა, რომ ყველაფერი მას ბრალდებოდა. მაგრამ რა იყო ეს ყველაფერი, ჯერ კარგად არ იცოდა.

_ ბავშვია დაკარგული, ბავშვი, უკვე სამი დღეა და ვერც პოლიციამ და ვერც უშიშროებამ ვერაფერი გაგვიგო. _ ხელებს იხმარებდა ლაპარაკისას ნინიკო.

_ რას ნიშნავს დაკარგული? აკი გაიპარაო?

_ ნეტა გაპარული იყოს... _ სინანულით ჩაილაპარაკა ნინიკომ.

_ ამას რაღა დაემართა, ნაცემია? _ იკითხა სიმამრზე კოტიკომ.

_ კიბეზე დაგორდა, მენჯის ძვალი აქვს შუაზე გადახეჩილი. _ მოახსენა ნინიკომ.

_ ის მხეცები რომ შემოცვივდნენ ნიღბებში და ჩქარა, ჩქარა, ყველანი გარეთო, რომ ყვიროდნენ, ფეხშიშველი იყო და იმ სიჩქარეში ვერ მოზომა. _ აუხსნა სიდედრმა.

“უპოვია, რა, დრო...” გაიფიქრა კოტიკომ.

_ ანუკი როგორ გაქრა, საიდან? _ ისევ შვილს დაუბრუნდა კოტიკო.

_ სკოლიდან. გაკვეთილები არ გაუცდენია. მაგრამ არც ქუჩაში გამოსულა. დაჭერილია ოთარი. იძახის, გარეთ არ გამოსულა, რომ გამოსულიყო, ხომ ჩამიჯდებოდაო. ერთი საათი ელოდა და მერე დარეკა, ანუკი არ გამოსულა, არც მისი მობილური მპასუხობსო.....

_ და როგორა ხართ ცოცხლები, მერე? _ თითქოს მათ ადანაშაულებსო, ისე შეეკითხათ ცოლს და სიდედრს კოტიკო.

_ შენ ჩვენ ცოცხლები გგონივართ? _ გამოსცრა კბილებში საწოლზე მართლაც მკვდარივით დადებულმა სანდრომ.

"შენ მუდამ მკვდარი იყავიო", კინაღამ წამოსცდა კოტიკოს, მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ისევ ცოლს მიმართა.

_ შეგიძლია დალაგებულად მომიყვე?

_ რა? _ ვერ მიუხვდა ნინიკო.

_ ყველაფერი. ბავშვი დაიკარგა. სახლი დალუქულია, ფირმაში რა ხდება წარმოდგენა არა მაქვს.

_ ფირმაც დალუქულია და ლევანჩოც დაჭერილი. _ "ახარა" უარესები ნინიკომ.

_ მანქანები? _ იკითხა კოტიკომ.

_ დაყადაღებულია. _ მწუხარედ უპასუხა სიდედრმა.

_ რა ხდება ამ ქალაქში? _ ამოსკდა თავისთავად კოტიკოს.

_ შენ, რა, არ იცი? ვახო რაზმაძე რომ დაიჭირეს, არ იცი?

_ რა? _ ვახო ხომ კოტიკოს ლეგალური "კრიშა" იყო და მისი დაჭერა, თავისთავად, მის მფარველობაში მყოფთა დაჭერასაც ნიშნავდა. ეს კი უკვე ისეთი დიდი დარტყმა იყო კოტიკოსთვის, რომელსაც, როგორც წესი, ბევრი ვერც უძლებს. მაგრამ რადგან მას ეს დარტყმები პატარა ინტერვალებით მიაყენა ბედმა, კოტიკოსაც სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა გაეძლო, რადგან მისი ყველაზე დიდი სიყვარული, საკუთარი შვილი, ანუკი გამქრალი იყო და ქონების დაკარგვამ თუ მომავლის პერსპექტივის გაქრობამ, მისთვის ბევრად უკანა პლანზე გადაიწია.

_ ჰოდა, მაგის ხალხს დაერივნენ... _ დაამატა ნინიკომ, რაც კოტიკოსთვის უკვე ისედაც ნათელი იყო.

_ ჰოო, ახლა გასაგებია. _ ჩაიბურტყუნა საცოდავად და მიხვდა, რომ ბევრად უარესად ჰქონია საქმე, ვიდრე აქამდე ეგონა.

_ შენი ბედი, რომ გადაკარგული იყავი, თორემ ახლა შენც ლევანჩოს გვერდით იჯდებოდი, ცხრაკლიტულში. _ სამძიმარივით წარმოსთქვა სიდედრმა.

_ მერე, სად ათენებთ, სად აღამებთ, ვისთან გადახვედით? _ იკითხა კოტიკომ.

_ სადაც გვხედავ... შენ რა, არ წაიკითხე აბრაზე, სად შემოხვედი? _ მოკლედ მოჭრა ნინიკომ.

_ ვისთან გინდა მიხვიდე თავზე ამხელა ლაფდადებული? ან მიგვიღებს კი ვინმე, ამ მთავრობის შიშით?

"მაშ, კიდევ კარგი, ამ კაცმა კისერი მოიტეხა", _ გაიფიქრა კოტიკომ და სიმამრის გაშავებულ სახეს კიდევ ერთხელ დახედა. "ცხვირიც, რომ დაგრძელებია და წასწვეტებია. ნამდვილი "ტრუპია", ცოცხალი", გაიფიქრა და კიდევ ერთი შეკითხვა დასვა.

_ ფული, საიდან ამ ყველაფრის ფული?

_ მე მქონდა, ცოტაოდენი სალაროში.

_ მე რომ მპარავდი ხოლმე, არა? _ ახლაც კი ვერ დაინდო მეუღლე, ამ სიტუაციაში კოტიკომ. _ და რამდენხანს აპირებთ საავადმყოფოში ცხოვრებას?

_ ამის მენჯს, რომ შეხორცდეს, ერთი ექვსი თვე მაინც უნდა.

ნინიკომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ განმგმირავი მზერა სტყორცნა და მის მხარეს უნერწყვოდ გადააფურთხა.

კოტიკო ხვდებოდა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა, მისთვის ანუკის მოძებნა იქნებოდა. იმაზეც მაგრად ინანა, რომ უცხოეთშივე, თურქეთში ყოფნისას არ მისწვდა მის ყურს ეს ყოველივე, მაშინ ხომ სასომხეთში დარჩებოდა და აქედან გაღწევა ოცნებად აღარ

ექცეოდა? ან როგორ მისწვდებოდა? მთელი სამყაროსგან გათიშულს, საყვარლის მკერდზე ჰქონდა თავი დადებული და მის ტკბილ კერტებს აღუასავით ლოღნიდა. “აი, შედეგიც”. დაასკვნა და უცნაური სტრატეგიული გეგმა შეადგინა. პირველი, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა, ის სეიფი იყო, რომელიც კაბინეტში ედგა და რომლის გასაღებიც მხოლოდ მას ჰქონდა. საფინანსო დეკლარაციით დაშინებული, მუდამ მთელ ფულს იქ ინახავდა და ამ ფულის არსებობის შესახებ, მის მეტმა არავინ არაფერი იცოდა. რადგან სეიფს საიდუმლო განყოფილება გააჩნდა. თვალის ასახვევად კი, ფულის რაღაც ნაწილი ამ განყოფილების გარეთაც ეყარა. ასე რომ, კოტიკოს პირველ რიგში, როგორმე, თავისი სეიფი უნდა ჩაეგდო ხელში. მერე კი ანუკისაც მიაგნებდა და თავსაც როგორმე უშველიდა. “მწვანეების” იმედით, რა თქმა უნდა. მაგრამ, როგორ, რანაირად? იცოდა, რომ ლევანჩოს გარდა, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი უყოყმანოდ გაყიდდა. რადგან, ამ დროის კვალობაზე, ისიც ყველას, მიზერულ, უმცირეს ხელფასს უხდიდა.

_ პირველ რიგში, ანუკია მოსაძებნი, ამას არაფერი მოუვა... _ ლამის წამოსცდა: “ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო”, მაგრამ ბოლო მომენტში ენას კბილი დააჭირა.

ასე რომ, საავადმყოფოდან გამოსული კოტიკო ტაქსიში ჩაჯდა და თავის დამლაგებელთან, აზასთან გავარდა. მისი სახლი კარგად იცოდა, რადგან აზამ პირველი ხელფასით მაღარიჩი გადაიხადა და თანამშრომლები სახლში დაპატიჟა.

_ ვა, კოტიკოჟან, შენ არ დაიჭირეს? შენ ისევ გარეთ არის? _ მაგრად გაუკვირდა კოტიკოს დანახვა აზას.

მერე კი დასხდნენ და აზამ ბევრად დალაგებულად მოუყვა ყველაფერი, ვიდრე ცოლმა და სიდედრმა.

_ სენ სვებულება სახვედი და ჩვენი მოლარე, როზი, მაშინვე, ფაფუ. როზი ფაფუ, სენი სეიფი ფაფუ. მე ბევრი ეძებოს, ყველა ოთახი, მაგრამ ვერ იპოვოს, ჰო, ალბათ საიღო, სხვა რა? მერე პოლისია, როსა კანტორა დალუქოს, შენი საბუთები ეძებოს, ყველაფერი გადაატრიალოს, ვერც საბუთები და ვერც სეიფი ვერ იპოვოს. აბა, როგორ იპოვოს, როსა ერთი კვირა ადრე დაიკარგოს... ისე სავიდნენ, ერთი საბუთი ვერ იპოვოს. ვერს მოლარე ვერ იპოვოს, ვერს სახლი, ვერს ქალაქი. სასხალი ლევანსო დაიჟიროს. კანტორა ჰო დალუქოს, მერე ქარხანას დალუქოს, მერე, ჟერ მტელი ეს ღინო დააქსიოს... აესე შლანგები და ეს ღინო მტელი კარხანა გარესხოს, ჰო, ჰო, გარესხოს, ეს ღინო, ბრაკი, ფალსი-ფულსი არისო, აბა? ამოდელა ზარალი ვინ უნდა ზღას, ჰა? ამოდელა ზარალი, აბა?

_ ხომ არ გახსოვს, აზა, როდის გაქრა ჩემი კაბინეტიდან სეიფი?

_ როგორ არ ახსოვს, აბა რა... ორშაფათ დილით მიხვედი, სეიფი ფაფუ... ორშაფათი იყო, როგორ არ ახსოვს, კარგად ახსოვს...

კოტიკოსთვის აზასთან საუბრის შემდეგ, უკვე ყველაფერი გასაგები იყო. ის რაც გაიგო, კარგიც იყო და ცუდიც. ის რომ “საფინანსოს” ფირმის საბუთები ხელში არ ჩაუვარდა, არაფერს ნიშნავდა, მათ საბაბი მიეცი და ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო მოხელეს უსაბუთებოდაც რომ თავისუფლად დამარხავენ და დაასამარებენ, ეს კოტიკომ მშვენივრად უწყოდა. აი, სეიფი რომ წინასწარ გაქრა, ეს კი მართლაც კარგი იყო. რადგან ის რომ ძალოვნებს ჩავარდნოდათ ხელთ, “პრაშჩაი”, კოტიკო თავის ფულებს სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა, ახლა კი, რაღაც იმედი კიდევ იყო, რომ თავის სეიფს მიაგნებდა და ეგებ, ფული გადარჩენილიც იყო, და თავის ადგილზე იდო? ნუთუ როზიმ საიდუმლო განყოფილების შესახებ რამე იცოდა? მაშ რა ჯანდაბად უნდოდა ცარიელი რკინა, რატომ მოიკიდებდა და წაიღებდა? “ჩათლახი... იცოდა, ნაღდად იცოდა რაღაც”, დაასკვნა კოტიკომ და უნებურად გაიფიქრა, “კიდევ კარგი იცოდა, კიდევ კარგი”.

ახლა კი, პირველ რიგში, არა ანუკის, არამედ, როზის მოძებნა იყო საჭირო, მაგრამ როგორ გინდა მიაგნო ქალს, რომელსაც პოლიცია ეძებს და ისიც კი ვერ პოულობს? მაგრამ ეძებს კი პოლიცია? ალბათ კი, ფულის გამო. ეს დასკვნაც უტყუარი იყო. თუმცა იმედი მაინც დიდი იყო, რადგან ჩვენი პოლიციის ნაპოვნი და აღმოჩენილი დამნაშავენი, რომ თითზე ჩამოსათვლელია, ესეც ხომ მთელ ქვეყანას მოეხსენება. და კოტიკო როზის ძებნას შეუდგა. თუმცა იქამდე, იმ მორიგის, ანუ დარაჯის დადგენა და ნახვა იყო საჭირო, ვინც

ფირმიდან სეიფის გატანისას მორიგეობდა. ვინც, მისი აზრით, როზიმ, ალბათ, მიზერული თანხით მოისყიდა.

პირველ რიგში, სანაპიროზე გახსნილი, მანქანების პარკიდან დღეში ორმოცდაათ ლარად მცირელიტრაჟიანი "ფორდ-სიერა" იქირავა. ფირმის მორიგე, ანუ მცველი, რომელიც სეიფის გაქრობის დღეს მორიგეობდა, ადვილად გამოთვალა. ის, სწორედ, ლერი სიგუა აღმოჩნდა, რომელიც მაგრად არ მოსწონდა და ვისი მორიგეობის დღესაც მუდამ თარს დღედ სთვლიდა. იფიქრა, ვინ იცის, იდეა მისგან მოდიოდა კიდეცო. თავიდან დაცვის უფროსს, მარლენ მაღრაძეს, სთხოვა კიდეც, მომაშორე რა, ეგ კაცი, ვერ ვიტანო. ისიც დაპირებული იყო, მაგრამ რამდენიც მისი მორიგეობის დღე მოვიდოდა, კართან დადგმულ სამორიგეო მაგიდასთან ისევ მუდამ ის იჯდა, ლერი სიგუა, საშუალო ტანის, ზედმეტად თავმოდრეკილი და წესიერი, გამაღიზიანებლად წესიერი კაცი. მობილურში ყველა მორიგის ტელეფონის ნომერი ჰქონდა. ნახა და საქალაქო ტელეფონიდან გადარეკა. ვიღაც ხანშიშესულმა ქალმა უპასუხა. კოტიკომ მისამართი ჰკითხა და მალე ათონელის ქუჩაზე სამსართულიანი ძველი სახლის ეზოში გააჩერა მანქანა. ხის კიბე აიარა და მეორე სართულზე, როგორც ქალბატონმა ასწავლა, მარჯვენა კარზე მიაზარა. ლერი შინ არ დახვდა, რამაც მისი ეჭვი გააათკეცა.

_ ორი კვირაა, შინ არ გაუთევია, ორ-სამჯერ დარეკა, ჩემზე ნუ იდარდებთ, კარგადა ვარო, მეტი არაფერი ვიცით ჩვენ, შვილო. _ მოახსენა დედამისმა და დააყოლა. _ ეგ ხან თვეობით იკარგება, მაგისას რას გაიგებ, ცოლი მაგას არ აწუხებს და შვილი.

გადამოწმება მაინც გადაწყვიტა, ტუალეტი მოიმიზეზა და სახლში შევიდა. სეიფის მაგვარი ვერაფერი შენიშნა. სხვა გზა არ იყო, პირდაპირ თავის მოლარეს, როზის უნდა დასდგომოდა თავს.

ასეც მოიქცა. როზისთან ნამყოფი იყო. მხატვარზე იყო გათხოვილი და ერთხელ ვიღაც უცხოელისთვის, ქმრის ნამუშევარი შესთავაზა. მკრთალ მოცისფრო-მოთეთრო ფერებში შესრულებული ნახატი. სახელიც კი ახსოვდა. იმ ნახატს "ქალი თუთიყუშით" ერქვა. როზი სანაპიროზე კინოსტუდიის თოთხმეტსართულიან კორპუსში, მეთოთხმეტეზე სართულზე ცხოვრობდა. მეთხუთმეტეზე კი მის ქმარს სახელოსნო ჰქონდა.

კოტიკო ახლა სწორედ მათი ბინის წინ იდგა და ზარის ღილაკს უკვე მერამდენედ უიმედოდ აჭერდა თითს, კარს არავინ აღებდა. ბინა არც დალუქული იყო, არც არაფერი. მეთხუთმეტეზეც იგივე განმეორდა. ზარზე არავინ გამოხმაურებია. საღამო იყო და კოტიკოს გაგიჟებას არაფერი უკლდა. როგორ გინდა ნახევარ მილიონამდე ფულს დაემშვიდობო და კანონგარეშე გამოცხადებული კაცი მთლად ცარიელზე დარჩე? მართალია, მის ფირმას სამ მილიონამდე საბრუნავი თანხა ჰქონდა, ამ გადამალულ ფულს, კოტიკოს აზრით, მაინც არასოდეს თითი არ დაეკარებოდა, ეს ფული შავი დღისთვის ჰქონდა, ანუ შავი დროებისთვის გადადებული, სწორედ იმ დროებისთვის, როგორშიც ის ახლა იმყოფებოდა. ორივე კარი რკინისა იყო, სამ-სამ გასაღებზე და კოტიკო იმ მომენტისთვის უმწეო იყო, მათი გაღება მხოლოდ სპეციალისტს, შეეძლო. ასეთი სპეციალისტი კი, მისი სეიფის საიდუმლო განყოფილების გამკეთებელი, სერგო ჩილინგაროვი იყო. თბილისელი ებრაელი, ხარატი და რკინის კარებების დიდოსტატი. ისე, უბრალოდ, ის ამ საქმეზე არ წამოჰყვებოდა. ფულის შესახებ კრინტის დაძვრა საშიში იყო. არადა, რაიმე უნდა ეღონა, როგორმე უნდა დაეყოლიებინა. როგორ? გაგიჟდები კაცი, აბა რა იქნება? როგორმე ისეთი ისტორია, ანუ ტყუილი უნდა დაეხალა, რომ წყალი არ გასვლოდა. არადა, რომელი "მეგრე" მე ვარო, ფიქრობდა. მაგრამ მაინც მოიფიქრა. თუ როზიმ სეიფი ქმრის დახმარებით გააქრო, სახელოსნოშო შეინახავდნენო, იფიქრა. ჩილინგაროვს ვერც ქურდობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას და ვერც სეიფზე. უნდა გაერისკა. დღისით-მზისით, მეგობარი უცხოეთშია, რაღაც საბუთი დარჩენია და შეამტვრიე და შედიო, დამავალა, რატომ შევამტვრიო, შენ აქ არა ხარ, გამაღებინეო, ეთხოვა უნდა. ასეც მოიქცა.

_ საინტერესოც კია, _ მაშინვე დათანხმდა სერგო. _ სამივეზეა დაკეტილი თუ იცი?

_ ეგ აღარ მიკითხავს, _ დაიბნა კოტიკო.

_ რა მნიშვნელი აქვს, მაინც გავაღებთ, _ დაამშვიდა სერგომ. ჩაიდო "ატმიჩკა" ჯიბეში და გაჰყვა.

მეთხუთმეტე სართულზე, მხოლოდ ის ერთი კარი იყო. პატარა ხის კიბე იქიდან სახურავზე ადიოდა. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა სერგომ ატმიჩკის წვერი გასაღების ჭრილში შეაცურა. ამ დროს ჭერის ხვრელიდან "ქურდებს" ადამიანის ჩრდილი დაეცათ. სერგომ კარის გაღების მცდელობა განაგრძო. მაღლიდან სამი კაცი ჩამოვიდა. ბოლოს ჩამომავალი კიბის ბაქანზე შეჩერდა, ხელები გაშალა და სერგოს და კოტიკოს შეეკითხა.

_ თქვენ აქ რას აკეთებთ?

_ რას ვაკეთებთ და კარს ვაღებთ, _ ხელი აუქნია კოტიკომ არამკითხე მოამბეს.

_ მერე რო აღებ, ეს გივიას სახელოსნოა, ძმაო... _ მაგრად გაუკვირდა იმ ვიღაცას. ის ორნიც შედგნენ და უყურებდნენ.

_ ჰოდა, გივის დავალებით ვაღებთ სწორედ, მაგის ცოლი ჩემი მოლარეა, როზი. _ ჩაერია კოტიკო. _ რაღაც საბუთი დარჩენიათ, საბერძნეთში უნდა გადავუგზავნოთ.

_ რა? როზიმ და გივიამაც საბერძნეთში მოხიეს, ტო? _ პირი დააღო იმ ტიპმა. _ რავი, ბოდიშს ვიხდი, მე მეზობელი ვარ, რაა, მეათეზე ვცხოვრობ და, უცხოები რომ დაგინახეთ...

_ სწორეც გააკეთე, აბა, რა? _ დაეთანხმა კოტიკო და ისევ კარს მიუტრიალდა.

კაცებმა გზა განაგრძეს. "აიეტის" ხალხი თუ იყო, გაიფიქრა კოტიკომ.

ჩილინგაროვმა თავის საქმე ხუთიანზე შეასრულა, კარი რბილად გაიღო.

_ პროფი ვარ, პროფი... _ ჩაილაპარაკა ჩილინგაროვმა და ოთახში შეაბიჯა.

კოტიკოს არ მოეწონა. ჯიბიდან ფული ამოიღო.

_ რამდენი უნდა მოგცე?

ჩილინგაროვი ჩაფიქრდა.

_ ორასი ლარი.

_ ორასი ლარი არა, სამასი... დაიჭი ეს ორმოცდაათი და მოტყდი, რა, აქედან!

_ არ დავკეტოთ?

_ ვიცი, სადაც დევს გასაღები, თავისუფალი ხარ. _ უთხრა კოტიკომ და კარისკენ მიანიშნა.

ჩილინგაროვი კი იდგა და თითქოს წასვლას არც აპირებდა.

_ ვისი სახლია, მხატვრის? მაგარი კარნიზები აქვს...

ოთახში, სადაც უამრავი ნახატი ეკიდა კედელზე და იატაკზეც ბლომად ეწყო, ჩარჩოში ჩასმული თუ ჩაუსმელი ტილოები, ჩილინგაროვს ჭერის კარნიზები მოეწონა.

_ კარნიზები არა. მიდი, რა, საქმე ნახე, წადი, კლიენტი გელოდება. _ უთხრა მწყრალად კოტიკომ.

_ წავედი. დაგჭირდები _ დარეკე!

_ კი, კი... _ კოტიკომ ლამის ხელი ჰკრა "პროფს", რომ გარეთ გასულიყო და კარი მიეკეტა.

როგორც კი ჩილინგაროვი თავიდან მოიცილა, მაშინვე რაღაც საკუჭნაო და ტუალეტიც მოათვალიერა. სეიფი არსად იყო.

"თუ მართლაც გაქცეულები არიან?" _ დაარტყა თავში. კედელზე დაკიდულ ნახატებზე გაუჩერდა თვალი. რაღაცით ყველა ნახატი ერთმანეთს ჰგავდა. "ქალი თუთიყუშით", ქალის მოშიშვლებული ზურგი, რომელსაც თავი ჰქონდა მოტრიალებული და გალიაში ჩასმულ თუთიყუშს უყურებდა.

"არ დაუმუღამებია?" _ გაიფიქრა კოტიკომ და იატაკის თვალიერებას შეუდგა. იატაკზე ყველგან ლინოლიუმი იყო დაგებული. "ალბათ უნდა გადავხადო", _ გაიფიქრა და განზრახვა მაშინვე სისრულეში მოიყვანა. "ევრიკა", _ გაუელვა, როგორც კი კუთხეში კვადრატული ხუფი შენიშნა. ხუფისთვის პატარა ხელის მოსავლებიც კი ამოეჭრათ. ამოსწია და ადვილად აიხადა. აიხადა, მაგრამ კოტიკოს გულს შემოეყარა, რადგან ჭერიდან ქვედა სართულზე ჩასასვლელად არც კიბე დაეტანებინათ, არც სხვა არაფერი.

ვერც გასაშლელი და ვერც მისაყუდებელი თუ სხვა კიბე შენიშნა, რომლითაც აქედან ჩადიოდნენ ან ამოდიოდნენ. “ამოსასვლელი კი დაუყოლებიათ, მაგრამ, ალბათ, არასოდეს გამოუყენებიათ”, _ დაასკვნა კოტიკომ. ის რაც მაღლიდან მოჩანდა, სამკუდხედ სივრცეს წარმოადგენდა. ისიც ნახატებით იყო სავსე. რაღაც სათავსოს ჰგავდა, საშრობებს რომ ეძახის ხალხი. საშრობს ერთფრთიანი ვიწრო კარიც ჰქონდა დატანებული, რომლის იქით, ვინ იცის, კოტიკოს სეიფიც იდგა სადმე, ან ფულით, ან უფულოდ. რამენაირად უნდა ჩასულიყო. ერთ-ერთ კედელზე ზურგით მიყუდებული დიდი ტილო შენიშნა, სირძით ორი მეტრი მაინც იქნებოდა. ჩარჩო გადმოაბრუნა და ზედ, მეწამულ ფერში შესრულებული, რაღაც ძველებური, იტალიური აღორძინების მსგავსი მხატვრობა აღმოჩნდა. ვიღაც ებრაული სახის ბატონს, რომელიც ოქროსფერ ტახტზე იჯდა, ლამაზი ქალი ვერცხლის თასს უწვდიდა, ხოლო ქალის უკან მისი ამალა თუ დიდგვაროვანნი იდგნენ და ამ რიტუალს კისერწაწვდილნი აკვირდებოდნენ. “ალბათ ასლია”, _ გაიფიქრა კოტიკომ, “აბა, საიდან ამ მათხოვრებს, ნამდვილი ორიგინალი?” _ და იქვე მიაფხრიწა. მერე ჩარჩოს ერთი მხარე მოაძრო და თოკად განასკვული ტილო ზედ მიამაგრა. ამოჭრილ იატაკზე ხარიხად გასდო და თოკს დაეკიდა. უცებ თოკი გასხლტა, ხარიხად გამოყენებული ჩარჩოს ნაჭერი გადატრიალდა და თოკიანად ქვევით წავიდა. კოტიკომ მოასწრო და ცალი ხელით ჭერში დაეკიდა, მაგრამ იმ მკლავზე აწევა კი არა, მეორეს მიშველებაც ვერ მოასწრო, რომ ხელი დაუსხლტა და იატაკზე მოადინა ზღართანი. შეშინებულმა მოიკიდა ნატკენ ფეხზე ხელი. გადარჩენილიყო. ალბათ იმან თუ გადაარჩინა, ჩამოვარდნისას, ხელის გაქნევა და კედელზე დასახმარებლად იდაყვის მირტყმა რომ შესძლო. წამოდგა, კოჭლობით მივიდა კართან, გამოაღო და საცხოვრებელ ბინაში შევიდა. თუმცა კოჭლობდა, მაინც სწრაფად დაურბინა, ძველებური ავეჯით, გემოვნებით გაწყობილ ბინას, მაგრამ თავის სეიფს ვერსად მიაგნო. მერე თავიდან დაუარა. სულ ძირისძირობამდე გადაჩხრიკა. არავითარი ვერცხლი, ოქრო, ბრილიანტი, ვერაფერს ვერსად გადააწყდა. “გაიქცნენ, გაიქცნენ, ეს ვირიშვილები...” _ ეს აზრი აეკვიატა და ეს ფრაზა ვეღარაფრით ამოიგდო თავიდან. გვიანღა მოვიდა აზრზე, რომ უკან, ჭერში იყო ასაძრომი. და შეეშინდა. “ვინ იცის, თბილისშიც არიან და დაადგნენ თავზე? რა უნდა თქვას, აქ საიდან გავჩნდიო? სად მიდიხარ?” _ აჩქარდა. მელა რომ ყურძენს შესქეროდა და ვერ სწვდებოდა, ასე უმზერდა ამოჭრილ ადგილს Eჭერში და არ იცოდა, რა ეღონა. მთელ სახლში ერთი მაგიდა იდგა. უზარმაზარი, ცალფეხიანი, ანტიკვარული მაგიდა. ძვრაც ვერ უყო, მიხვდა, ვერც კარში შევაო და თავი მიანება. სამზარეულოში კი, დაბალი მოჩუქურთმებული სამფეხა ტაბლა იდგა, პატარა სამფეხავე ჯორკოებით. “ეს მხატვრებიც, რა?” _ ჭერს რომ შესწვდენოდა, ერთი, ოთხი სკამი მაინც უნდა დაედგა ერთმანეთზე. სცადა, მაგრამ მაღალი, მეფურზურგიანი სკამები ერთმანეთზე ვერ იდგმებოდა, “ან რომელი კლოუნი მე ვარო”, _ გაიფიქრა. ფანჯრებს გახედა და ყველგან რკინის გისოსები დახვდა. გამომწყვდეული იყო, ხაფანგში, ტურასავით. ამ ტვინის ბურღვაში იყო, რომ უცბად გაახსენდა. ჩხრეკისას, კომოდის ზედა უჯრაში რაღაც გასაღებები შეხვდა. მივარდა, ერთ ასხმულაზე ოთხი გასაღები იყო ერთად. გაახსენდა, რომ კარს გარედან სამი სხვადასხვა საკეტი ჰქონდა. შიგნიდან კი მხოლოდ ერთი დახვდა. ერთ-ერთი გასაღები მოერგო და გადატრიალდა კიდეც. “ხომ შეიძლება ერთზეა დაკეტილი?” _ ფრთხილად დასწია სახელური. არა, არ გამოუვიდა, როგორც ჩანს, სხვა ორზე საკეტზეც იყო დაკეტილი. სხვა გზა არ ჰქონდა, ვინმესთვის უნდა დაერეკა, “მაგრამ ვის გინდა ენდო, ამ გაძაღლებულ დროში? ზაზას? მისმა ცოლმა ისეთი “პენალტი” დაურტყა, იმას რა დაავიწყებდა. თუმცა ისევ ზაზა სჯობდა ყველას. ზაზა. ზაზა...” _ და ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

_ ალო, _ მაინცდამაინც მაკამ აიღო ყურმილი. კოტიკომ იმწამს დაუკიდა. და თავიდან დარეკა.

_ დიახ, გისმენთ... _ ეს უკვე ზაზა იყო.

_ ზაზა, გცალია? _ პირდაპირ აჯახა.

_ ვა, კოტიკ? საიდან რეკავ, ტო, ციხიდან?

_ ჰო, შინაპატიმრობაში ვარ.

_ შინაპატიმრობაში?

_ მომისმინე ეხლა. ბევრს ნუ გაატრაკებ, ჰო, იცი, არა, ისმინება, ეს დედამიწერილი. სანაპიროზე, კინოსტუდიის სახლი იცი?

_ თოთხმეტსართულიანი?

_ ჰოო. მაგ სახლში, მეთხუთმეტეზე ამოხვალ, ერთი კარია მარტო. ღიაა, შემოხვალ და დანარჩენს იქ გეტყვი. _ და გაუთიშა. _ "ზაზა მოტვინავს", _ გაიფიქრა და ყურმილი დადო. და იმ წუთიდან სმენად გადაიქცა. ზაზას შემოსვლა არ უნდა გამოჰპარვოდა. _ "უცებ, რომ პატრული დამაყენოს თავზე? არაა? ასეც არ იდამპლებს... მაშინ აღარც ღირს სიცოცხლე... რა აღარ ღირს, თუკი მილიონერი ხარ, ისე ღიირს, რომ..."

ის ნახევარი თუ ორმოცი წუთი, სანამ კარის ჭრიალს გაიგონებდა, ისე გაიჭიმა, საუკუნედ მოეჩვენა. იმ სამკუთხედის მსგავს ოთახში იატაკზე იჯდა, ზურგით კედელს მიჰყუდებოდა და თავი მაღლა აეწია. ზაზა რომ შემოვიდოდა, მაშინვე არ უნდა ეპასუხა. ჯერ უნდა ყური დაეგდო, ვინმე სხვაც ხომ არ შემოჰყვებოდა, ან ხომ არ დაიჩურჩულებდა. თვითონაც ვერ აეხსნა, ასე როგორ გაუმძაფრდა სიფრთხილის გრძნობა. კარის ჭრიალი კი არა და არ ისმოდა, რაც კიდევ უფრო აეჭვიანებდა და აშინებდა. "გამყიდის... არა, არ გამყიდის..." _ და ასე, მძიმედ მიიზლაზნებოდა წამები.

პირველი, რაც გოჩუნამ გაიფიქრა და საშინლად დასწყდა გული, ის იყო, რომ ეგონა ანუკიმ მიატოვა და მშობლებს დაუბრუნდა. "არა, ნამდვილად შეეშალა, ხევში არ უნდა წამოეყვანა. სად ხევი და სად ფუფუნებაში გაზრდილი, თექვსმეტი წლის მოსწავლე, რომელსაც ჩვეულებრივი, რკინის დანა-ჩანგალი არც კი სჭერია ხელთ. არა, ნამდვილად მაგრად შეეშალა. ყველაფერი ჩაიშალა, მორჩა, გათავდა... იქნებ ვერც ციხეს გადაურჩეს. სად წავიდეს, როგორ იპოვოს, რანაირად ნახოს ანუკი? ან რა არის ის გრძნობა სიყვარული რომ ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში კი სულ სხვა რამ რომაა? სიყვარულზე ბევრად მეტი, რაღაც ზე, მეგა-სიყვარული?" _ ყველაფერზე თანახმა იყო. დახვრეტაზეც, ელექტრონულ სკამზეც, კოცონზე დაწვაზეც და იესოსავით ჯვარზე გაკვრაზეც, ოღონდ კი ერთი წამით კიდევ მოეკრა თვალი ანუკისთვის და "თუნდაც მთელი მსოფლიო წყალს წაულეკავს, თავის ერებიანად, ომებიანად და კატასტროფებიანად", _ თანახმა იყო ყველაფერზე, სულ ყველაფერზე...

ბიჭები მეორე დღესვე ჩასხდნენ მანქანაში და თბილისში დაბრუნდნენ, თუ რამეს გავიგებთ გაგაგებინებთო, დაჰპირდნენ გოჩუნას.

ერდათერთი, ვალიკო იყო იმედიანად. მუდამ მოძრავი, ცოცხალი კაცი იყო და გულ-ხელის დაკრეფა არ უყვარდა. დრო იყო, ოსეთიდან იარაღი გადმოჰქონდა და გზადაკარგულ ქართულ ჯარს ამარაგებდა. დღემდე არავინ იცის, მის მეტმა ეს ამბავი, რადგან პირდაპირ პრეზიდენტის დაცვას აბარებდა იმ იარაღს და იმანაც ეს ამბავი საფლავში ჩაიტანა. ხშირად ყაზბეგში თუ რამე "მოშავო" ხდებოდა, სწორედ ოსეთ-საქართველოს საზღვართან იყო დაკავშირებული.

_ მასე რაი გითხრ, ვალავ, ასე, დღეჩი ოცზე მეტ მანქანაი გადგვიდის, კოსტა გვიბრძანის და ისე გავატართ, არც ვსინჯავთ... _ უპასუხა ვალიკოს მისმა დისშვილმა ბადრიმ, როცა ის იმის გასაგებად მიადგა, _ ვინმეს ასეთი და ასეთი ქალი ხომ არ გაუყვანია, ხევიდან ოსეთშიო?

_ ლამაზ ქალაი იყვის ძლიერ, ხშირ შავ თმა ჰქონდის...

_ არ მამიკრავ თვალ და რაი გითხრა კიდევა? _ თითქოს ეწყინაო ბადრის, _ თუ მაცლიდე, გავიკითხვიდე და გაგიგებ რაიმესა.

ბადრი ვალიკოს მეორე დღესვე დაადგა თავს სახლში.

_ ჰო, რუსებს ჰყოლებავ ჯარჩია. ფულს თხოულობდიან დიდძალსა.

_ მაინცა? _ გაუხარდა ვალიკოს, რომ დისშვილი ახლა მაინც გამოადგა. იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ ბადრიც იყო ამ საქმეში გარეული და გამტაცებელთა დავალებას ასრულებდა.

_ ას ათასს დოლარს თეთრი არ დააკლდებისო.

_ სად ჰყავთ? _ იკითხა ვალიკომ, თუმცა იცოდა, რომ ბადრი ამაზე პასუხს ვერ გასცემდა.

_ მე რაი ვიც, შენ ლენცოფა ხომ არ გაჭმიეს ამ დილასა? ეს რო გავიგ, არ გიკვირსა?

როცა ვალიკომ ამის შესახებ გოჩუნას უთხრა, ჯერ კი საშინლად გაუხარდა გოჩუნას, რომ ანუკის მასთან არც უთვალთმაქცია და არც მოხევეების ყოფას გარიდებია. მერე კი, საშინლად მოიღრუბლა და გამწარდა.

_ ავაფეთქებ, გადავწვავ... _ წამოსცდა მასაც, როგორც ამ დროს ყველა გამოუცდელს ემართება.

_ რუსის ჯარსა? _ გაიცინა ვალიკომ, _ მაგათ მთელი მსოფლიო ემუქრების და ვერ აუსრულის... ასეული დგანა მხოლოდ საზღვარსა, ჯარი ბესლანს ჰყავს რუსებსა, პოლკი... გიუბნო, რაიგ უნდ მავიქცათ? გამამყვები?

_ გამოგყვები? აბა, მაშ საიდან მოვთხარო ასიათასი?

_ აკი მამა ჰყოლავ ბიზნესჩიაო? _ შეეკითხა ვალიკო და გოჩუნაც იმწამს დაეჭვდა.

_ რას მიჰქარავ, შენა! ანუკი ჩემია, ან თვითონ რას იფიქრებს, ან მაგის მამა? არ იფიქრებენ, რომ მე დავაწერე ეგ ფული? ვინ შემარჩენს მაგას?

_ მე არ მამკლა და... _ გაეცინა ვალიკოს. _ იყუჩე, კარგად ვიცნობ მაგათ. გამავსტაცებთ შენს ნესტანს ქაჯებსა, ნუ გეშინის, შამამხედავდე თვალებჩია, მე ვალიკო ვუბნობ ამასა. წამაი, რა გაჩვენავ...

წაიყვანა და ტუალეტს იქეთ გამოთხრილი სამალავი აჩვენა. ხის გასანთლულ ყუთში ხუთი "ტაოტიანი" კალაშნიკოვი იდო, თავის მჭიდებით და ტყვიებით. იქვე რამდენიმე "ხებეც" შეენახა ვალიკოს, თავის რუსული ჩექმებითვე.

_ მე და შენ წავალით მარტონი.

_ შენ რა, ომს აპირებ რუსებთან? _ ცოტა დაფრთხა გოჩუნა.

_ ომს რაით ვაპირებ? გამავსტაცავთ ქალას და წამავალთ.

_ შენ რა იცი, მერე, სად ჰყავთ?

_ სად ეყოლებისთ? კარცერჩი, სხვაგან სად?

_ მერე, იმ კარცერს დაცვა არ ჰყავს? უნდა ვესროლოთ?

_ აბა, დაცვა რაიგ არ ეყოლებისთ... მავისყიდოთ უნდა.

_ როგორ?

_ ეგ მე ვიცი, გადვიცვამთ სალდათურადა და ღამით გადვალთ ამ მთებსა...

_ ესენი უნდა ჩავიცვათ? რატომ?

_ ვერტალიოტითგან თუ დაგვინახვენ, რუსები ვეგონვებით.

მოსაღამოვდა თუ არა, ვალიკო და გოჩუნა "ხებეებში" გამოეწყვნენ, თავზე მწვანე პანამის ქუდები დაიდეს და ავტომატებით შეიარაღებულები მოტიტვლებულ ალპიურ ზონას შეუყვნენ. ვალიკოს ზურგჩანთით, ხუთლიტრიანი ჟიპიტაურით სავსე ბოცა მიჰქონდა. სწორედ ამ ჟიპიტაურის იმედი ჰქონდა კიდეც, ამით აპირებდა დაცვის მოსყიდვას.

ანუკიმ ის პირველი ღამე თეთრად გაათია. დილას, მაღლიდან ნაბიჯების თქარათქური და რაღაც რუსული ბრძანებების ხმაც კი შემოესმა. ცოტა ხანში კი, ვიღაც რუსის სალდათმა ნახევარი "ბუხანკა" პური, "ტოლჩით" ცხელი ჩაი და "მისკით" რაღაც ყვითელი "სალაფავი" ჩამოუტანა. ანუკიმ, მისდა გასაკვირად, ის პურიც, ის ჩაიც და ის სალაფავიც ისე გემრიელად შესანსლა, მაგრად გაუკვირდა, _ რა მემართებაო... მერე ეს ამბავი, თავის გადარჩენის ინსტინქტს დააბრალა. იმას კი ვერ მიხვდა, რომ მთებში იყო, სუფთა, ჟანგბადით გაჯერებულ ჰაერს ყლაპავდა და ის აშიებდა, ქალაქის მტვრიან და დახუთულ ჰაერს შეჩვეულ ორგანიზმს. ნაბიჯების თქარათქური და რაღაც ბრძანებების ხმა დროდადრო მეორდებოდა. ისევ ჩამოუტანეს საჭმელი. ისევ რაღაც "სალაფავი" უფრო მკრთალი ფერის, პური, პატარა კოჟრიანი ვაშლი და "ტოლჩით" წყალი. როგორც კი საჭმელი დაინახა, მიხვდა, რომ მაგრად მოშიებოდა. ისევ ყველაფერი ჩანთქა. მერე თავისი

საქციელი გააანალიზა და _ “ცუდი არაფერი მელის, როგორც ჩანს, თორემ გული ხომ ოდნავ მაინც უნდა მიგრძნობდესო?” _ რატომ ფიქრობდა ასე, თავს ინუგეშებდა და იმხნევებდა? შესაძლოა.

როგორც კი სოფელს გასცდნენ და ძაღლების ყეფა და ღავღავი მიჩუმდა, გოჩუნამ მთების სიჩუმეს მიაყურადა. ვალიკო ისე სწრაფად არბოდა, თავის ბათინკებით, ხან ბალახიან და ხანაც ცარიელ კლდოვან ფერდობზე, როგორც ჯიხვი თუ საიგაკი. გოჩუნას კი, რომელსაც ბოტასები ეცვა და ასფალტიან გზას იყო შეჩვეული, მუხლი თუმცა უჭრიდა, მაინც მთელი ძალისხმევა უწევდა, რომ ვალიკოს არ ჩამორჩენოდა.

_ ჩქარ, იარ, ბალღო, არ დაგვათენდის, არვინ შაგვნიშნას... _ აჩქარებდა ვალიკო გოჩუნას და გოჩუნაც პასუხობდა.

_ მოვდივარ, ხო მოგდევ!

ვარსკვალებით მოჭექილ ზეცას უცბად თითქოს შავი ნაბადი წააფარესო, ჩამოიქუფრა და ჩამობნელდა.

_ ფუჰ, დაგვიჭირ ამ ტიალ ცამა... ვენდევი და, აჰა! ფუჰ! აზრი აღარ აქვის სიარულსა! აქ უნდ მავიცადოთ, ბატარა ხანსა...

ამის თქმა კი მოასწრო ვალიკომ და თითქოს კაშხალის ჯებირი გაანგრიაო, ისე უეცრად მოწყდა ციდან ღვართქაფი და ქარმა და ქარაშოტმა ალაყ-მალაყითა და წივილ-კივილით, სტვენითა და მუქარით გაიწუილა. ცა კი ისეთმა დამაბრმავებელმა და დაკლაკნილმა ელვამ გაჰკვეთა, ისე მჭახე, ისე მგრგვინავ ხმაზე იჭექა, გოჩუნას ეგონა, რომ ზეცა ჩამოვარდა, მიწას დაეცა და დედაბუდიანად კვესკნელში ჩაიტანა.

_ აიტ, დადადა! ტორ დაჰკრის, ტორ მიწასა!

ისევ დაარტყა, ახლა მეორე მხრიდან. და გასიპული, მსხვილ-მსხვილი, კაკალივით სეტყვა წამოაყარა.

_ თავ არ აიღო მაღლა, თვალჩი არ მაგხვდას, თორ ამოგიგდავს კაკალს, მოდ შავეფაროთ ერთად, მოდ, აქ!

თავზე ზურგჩანთადადებული ორი კაცი, იმ ყია-ბნელში, ქარის ხარხარსა და ხორხოცში, ერთმანეთს ეკვროდა და ფეხდასხლეტილნი, სიცილით და გინებით ელოდნენ ავდრის გავლას.

ცა იმუქრებოდა, ელავდა, გრუხუნებდა, ყინულივით ცივ-ცივ წვიმისა და სეტყვის შოლტებს კაცებს ყველა მხრიდან უტყლაშუნებდა და აშინებდა.

_ დაუშვ, დაუშვ კიდევა, გგონია შაგვაშინავ? შეგეშინდა განა?

_ დედაც ვატირე! ასე მგონია მთლად ტიტველი ვარ და არაფერი მაცვია.

_ ჰო, ასტე იცის, წარამარ გაავდრდის, გაგიჟდ-გადირევის, გაფუჭდების ამინდი მთაჩი. გადივლის, ნუ გეშინის... ასეთ ბარჩი ვერასდროს ნახვიდე, ჰო? ბარჩი ჟუჟუნა წვიმა იცის, მარტო, ჰო?

_ ჟუჟუნა არა, ბიჭო, მაყვალა. ჟუჟუნა წვიმა... _ გაიცინა გოჩუნამ. _ არა, ეს არ აპირებს გადავლას.

ისევ დაიქუხა, დაიგრგვინა, ციდან ჭექა წამოვიდა და მათ ახლოს მეხი გასკდა. განათდა, თითქოს ცა გაიხსნაო, ელვამ კაცებს თვალი მოსჭრა და კიდევ უფრო მძლავრად იჭექა. ექო კი ხან ერთ მხარეს ჩაიკარგებოდა და ხან მეორე მხარეს. ქარი და ქარაშოტი, ელვა და მეხი, ჭექა და გრიალი, სეტყვა და ღვარცოფი ისე არეულიყვნენ ერთმანეთში, თითქოს მთებს მკლავები გადაუჭდიათ და ამ უზარმამაზარ, ცამდე აყუდებულ მწვერვალებს, ფერხული ჩაუბამთო. იქით და აქეთ, აქეთ და იქით, ყველა მხრიდან მისეოდა ზეცის ჯაგარაშლილ ღრუბელთა აჯანყებული ჯარი, ნესტანის დასასხსნელად რუსთა ასეულისკენ დაძრულ მოლაშქრეებს.

_ კაი, გეყოფის, გეყოფის! _ წყენით ეუბნებოდა ვალიკო ავდარს. _ რაი, ოხრობა არ, არ გადიღოს მგონია...

გადაიღო. უცბად, როგორც გორგოლაჭებზე შემდგარმა გოგონამ ჩაიქროლოს და თვალს მიეფაროს, ერთიც გაიშრიალა და დადუმდა. ახლა კუნაპეტი და წყვდიადი ჩამოწვა.

_ რაი ოხრობაა, არაფერი სჩანის... ცუდ ფეხზე თუ წამავსულვართ... _ არ იძროდა ადგილიდან ვალიკო.

_ რა ცუდ ფეხზე, თუ წამოვედით უნდა გავიდეთ კიდეც, არა, ბოლოში? _ აღელდა გოჩუნა.

_ ამ სიბნელეჩი? ორთავ გადვიჩეხთ თავს და ბოლოში გავალისთ, მართლაც, საიქიოს... _ გაიცინა ვალიკომ.

_ შენ გეცინება და მე გავრეკო ლამის... ისედაც ძლივს მოგყვებოდი ამ ბოტასებში და ახლა როგორ უნდა ვიარო?

_ დაიც, ჯერ გავიხდოდეთ ტანსა, დავწურვიდეთ სამოსსა. დამიჯერებდე, ჰო, ჰო!

და ვალიკომ მაშინვე გადაიძრო მაღლიდან და საერთოდ ყველაფერი გაიხადა. გოჩუნამაც მიბაძა და ორივე დედიშობილა სწურავდნენ სამოსს.

_ ქალას ბრალ არ, ქალასი, რაც ამ დედამიწას რამ ხთების... ჰო, რო დაგვინახას, ახლა, რა დღეჩი ვარით, მინდორჩი, შიშველ-ტიტველნი... რაიდ, სად მოზდიხოდი, ჩემო მუტრუკო თაო, რაი გინდ, გოჩუნას დიაც შაჰყვარებია და შენ რაი გრჯის, დაეტეოდე შინ თბილ ლოგინჩია, არ გერჩივნას?

_ აუ, ეხლა ტირილი გვიშველის, ვალა? ნუ გაახურე, რა? წამოდი, გადმოადგი ფეხი! _ გაბრაზდა გოჩუნა. უკვე თვითონ ის კისრულობდა მეგზურობას.

_ კაი, შენ მასწავლიდე გზას და მეც წამავალ, რაიზ არ წამავალ, საით უნდ წახვიდ, იცი?

_ გადმოადგი, რა, ფეხი! ვიცი!

გოჩუნამ ავტომატი ჩამოიღო, ხელი ლულაში მოჰკიდა, ტარით ქვევით, ზედ დაეყრდნო და ზევით გასწია.

_ ვერ თქვი თუ გზაი გცოდნიყო? _ აგრძელებდა ხუმრობას ვალიკო და მიჰყვებოდა. _ გრძელ გზით თუ წავალისთ, თორ, ადიდდებოდის ხევ-ხუვები.

გრძელ გზას დაადგნენ. მალე ცა გადაიწმინდა, გაკრიალდა. ვარსკვლავებიც ბლომად დასხდნენ ცაზე და ულამაზეს, უტურფეს ხეობას მაღლიდან დაჰხაროდნენ. მთებში მარგალიტებივით გაბნეული დანამულ-დაცვარული მინდვრები მწვანედ ახასხასდნენ. გათენებულზე თავქვე დაეშვნენ, ერთი-ორი პატარა, უკვე დაწმენდილი ღელე და ხევის ტოტი გატოპეს და რუსების ასკაციან გარნიზონს მთის წვერიდან დახედეს. ყაზარმაც, სასადილოც და ტუალეტიც მოვარდისფრო ტუფის ქვით იყო ნაშენი. გარშემო კი ტუფის ქვისავე გალავანი ერტყა. ერთადერთი სათვალთვალო კოშკი იმ უტყეო მინდორში, ცალფეხა წეროსავით იყურებოდა.

_ “ავ ძაღლუკაი არც თავისათვის იყვის და არც სხვათ ასვენებდის...” რუსზე თუ თქმულა? ერთ დიდ ბომბა სუ მოფხეკდის ამათა... _ ჩაიჩურჩულა ვალიკომ. _ აგეი, გახედევი, ხედავდე ამათ ციხესა? ის ჰო ფეხსალაგ არ, ის კიდევა მაგათი “გაუფთვახტი”, “კარჩერი”. ის მავთულის ღობეი, მაგიტომც არტყავის...

_ როგორ უნდა მივუდგეთ, მერე? ჩვენ კი არა, თაგვსაც დაინახავენ, საიდანმე თუ შეძვრა.

_ შენ აქ დარჩი. მე წავალის, მიცნობდიან. მომე აქ ჩემი ბოცაი. აიმ მთით ჩავალის.

_ მაშ ეს ავტომატები რისთვის წამოვიღეთ?

_ მგელ თუ დაგვეცემოდის, ან დათვ გადგვეყრებოდის...

_ მგელი და დათვი არა...

_ რაით არ გჯერა? ორ-სამ კაც ყოველ წლივ გლეჯს დათვი და მგელუკაი.

ვალიკომ მარტო ბოცა აიღო და დამრეცზე მოკლე ნაბიჯებით დაიწყო ჩასვლა.

ასიათასის ნაცვლად ჟიპიტაურის ხუთლიტრიანით რანაირად უნდა გამოეხსნა ვალიკოს ანუკი, გოჩუნასთვის ნამდვილი გამოცანა იყო. ვალიკო მალე გამოჩნდა, ორ მთას შუა პატარა ბილიკით ყაზარმისკენ მიდიოდა და ქუდს იქნევდა.

მალე ის საყარაულო ჯიხურში გაუჩინარდა. მერე კი ეზო გადაჭრა და ყაზარმაში შევიდა. ალბათ, ორი საათიც გავიდა და მეტიც სანამ ვალიკო ისევ გამოჩნდებოდა. მთელი ეს დრო გოჩუნა გულისფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. ყაზარმის კარს, რომელიც შორიდან შავად მოჩანდა, თვალს ვერ აცილებდა. ბოლოს ვალიკოც გამოჩნდა, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი სალდათი მოსდევდა. სამივენი გამობრუჟულიყვნენ და ფეხს გვარიანად ურევდნენ. სამივე კარცერისკენ მიდიოდნენ და მალე "გაუფთვახტის" კარში გაუჩინარდნენ. ხუთი წუთიც არ გასულა და სამივენი ისევ გარეთ გამოვიდნენ. გარეთ მათ ავტომატიანი მორიგეც გამოჰყვათ, რომელიც კართან გაჩერდა. ვალიკომ და იმ ორმა რუსმა ერთმანეთი დიდის ამბით გადალოშნეს, დაემშვიდობნენ და ვალიკო ბანცალ-ბანცალით წავიდა გარნიზონის კარისაკენ.

"რა ხდება, რატომ გამოვიდა ანუკის გარეშე? ან რატომ გამოთვრა ასე? აკი, დანამდვილებით იცოდა, სად უნდა ყოფილიყო ანუკი?" _ გოჩუნას გული ეკუმშებოდა, ვერ გაეგო რა ხდებოდა. ვალიკოზე ეჭვის მიტანა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ ეჭვი რის ეჭვია, რომ ხშირად სწორედ იქ არ გაჩნდეს, სადაც არაფერი ესაქმება? სადაც მისი გაჩენით, ყველაფერი ინგრევა, ჩინეთის დიდი კედელივით ასწლეულობითაც რომ იყოს ნაშენებ-ნადუღაბები. მალე ვალიკოც გამოჩნდა. ქვემოდან ხელი დაუქნია და გოჩუნამაც ისეთი სისწრაფით ჩაიქროლა ის ფერდი, თითქოს მთელი ცხოვრება აქ, ამ მთებში გაუტარებიაო.

_ რა გითხრ, რო არ ვიც... _ ეს იყო ვალიკოს პირველი წინადადება, როგორც კი გულამოვარდნილი გოჩუნა მიუახლოვდა.

გოჩუნა გათეთრდა. მუხლი მოეკვეთა და ალბათ დაეცემოდა კიდეც, შეშინებულ ვალიკოს ხელი რომ არ მიეშველებინა.

_ ცოცხალ არ, ცოცხალ...

_ აუ, რა პირუტყვი ხარ, _ ბალახზე ჩაჯდა გულგახეთქილი გოჩუნა. _ რას ნიშნავს, ცოცხალ არ, გამაგებინე!

_ ბესლანს არ, ბესლანს ჩამოუსვამთ მანქნიდან.

_ ასი ათასი? რა? დააწერეს მაგისებს? მიატანინეს?

_ საად ჰქონებავ, რო? მამა ჩაუსვამთ ციხეჩია, ანუკისა. თუ კი რაიმე ჰქონიყო, ყადაღა დაუდვია პოლიციასა. აზრ არ ჰქონებავ მოტაცებასა.

_ რა? ანუკის მამა დაუჭერიათ?

_ ჰო, ჰო!

_ ანუკი ბესლანში, მარტო, უფულოდ? უპატრონოდ? საიდანაც მოიტაცეს, იქვე რატომ არ მიიყვანეს?

_ კაი, ნუ ნაღვლიანობ, უნდა გავსწიოთ ბესლანჩია.

_ და ქუჩა-ქუჩა ვეძებოთ? სალდათების ტანსაცმლით?

_ ნუ გენაღვლების მაგაზედა, ბიძაშვილი მყავს იქ, ილიაი, ის მოგვცემს რაიმესა.

_ და იქამდე?

_ გავყვებით მანქნებსა, ავტობუსიც კი დადის. შენ თავი საქართველოჩი ხომ არ გგონავ, ოსეთს ხარ, ჩვენებურებჩია.

ეს კი ვერაფრით ვეღარ გაიგო გოჩუნამ, რატომ იყვნენ ოსები ჩვენებურები. ან რა საჭირო იყო ამის გაგება. ახლა მთავარი ანუკის მოძებნა და გადარჩენა იყო. და, მართლაც, "განა თავისიანებში არ იყო? იქ, სადაც არავინ ეძებდა, არც პოლიცია და არც უშიშროება". პირველი კოცნა გაახსენდა. პირველი გაბრუება და მარადისობაში გადასვლა. პირველი ღამე. მეტი არც ყოფილა, საერთოდ. ის ერთი იყო, პირველიც და უკანასკნელიც.

ვალიკომ დაშლილი ავტომატები თავის "ხებეს" ხალათში გაახვია, თვითონ უმკლავებო შავ მაისურში დარჩა, გახვეული ავტომატები იღლიაში ამოიჩარა, ზურგჩანთა გოჩუნას მოჰკიდა ზურგზე და გზას დაადგნენ. ტრასაზე მალე გავიდნენ, ავტობუსმაც გამოიარა და შუადღისას უკვე ბესლანში იყვნენ, ორივენი ლურჯ, თეთრ და წითელზოლება სპორტულ პიჟამოებში გამოწყობილნი, რომლებითაც ილიამ შემოსა, დააპურა და მათაც ილიასგან პირდაპირ ბესლანის უშველებელ ბაზრობას მიაშურეს, იქ,

სადაც რუსეთის მთელ ინტერნაციონალს მოეყარა თავი და “იმპორტ-ექსპორტით” გაქანებული ვაჭრობდა.

_ აქ უნდ იყვის, მაშ სად წავიდოდის? _ წარამარა ამბობდა ვალიკო და ხან ლეოპარდის ქურქს დაადებდა ხელს და დააფასებინებდა, ხან ყველაზე ძვირად ღირებულ იაპონურ ტექნიკას. _ დიდძალ ფულ იშოვნა რუსმა, დიდძალ. აქ რო ფულ არ, არსადა...

_ არა, ანუკი ამ მილეთის ხალხში ვერ გასძლებდა, არა, ანუკი აქ არ იქნება... _ ფიქრობდა გოჩუნა და ვალიკოს ხელისკვრით მიაქანებდა: “წინ, წინ, წინ!”... _ სახეები, სახეები, სახეები... სომხური, თათრული, ებრაული, ჩინური, ოსური, მონღოლური, თურქული, კაზაკური... დაკრეჭილი კბილები: ჭიანი, ოქროსი, ვერცხლის, ფაიფურის... შორტებში გამოწკეპილი, მზეზე გარუჯული შხვართი ფეხები, თავსაბურავიდან მომზირალი შავი მაყვლის თვალები და მოშვილდული შავი წარბები... “ანუკი კი არცერთი მათგანი არ არის, ანუკი აქ არ არის... სად იქნება? სად შეიძლება იყოს?”

ქუჩაში, უცხო ქალაქში, უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხში მარტოდმარტო დარჩენილმა ანუკიმ, რომელიღაც სკოლას შეაფარა თავი. სკოლის მოსწავლე ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. ყურადღება არავის მიუქცევია. ალბათ, რომელიმე მოსწავლის ახლობელი ეგონათ. ხან ტუალეტში იმალებოდა. ხან ცარიელი კლასი მოძებნა. მეორე ცვლამაც დაამთავრა გაკვეთილები და სკოლა დაცარიელდა. მხოლოდ მორიგეები იყვნენ დარჩენილი და კლასებს ალაგებდნენ. “ალბათ, დამლაგებლები…არ ჰყავთ”, _ დაასკვნა ანუკიმ. პირველ სართულზე ერთ-ერთ კლასში, გატეხილი ფანჯარა იპოვა და სკოლის უკანა ეზოში გადაძვრა. ხეხილის ბაღში აღმოჩნდა. ძირითადად წვრილ-კურკოვანი ხილი იდგა. ქლიავები და ტყემლები. გაუკვირდა, ჯერაც მწიფე ხილი რომ ესხა ხეებს და ბავშვებს არ ჩამოელეწათ. მიაძღა. ხილს ფრინველი შესეოდა. იდგა ერთი ჟივჟივი და ჟრიამული. ჩამობნელდა, ფრინველი გაიკრიფა და ბაღი დადუმდა. ისევ იმ გატეხილი ფანჯრიდან გადაიპარა სკოლაში. თუ სკოლის ფიზკულტურის დარბაზი ღია იქნებოდა, გადარჩენილი იყო. ლეიბი და ბალიში გარანტირებული ჰქონდა. დაადო თავი და პირდაპირ დარბაზს მიადგა. იქაური სკოლა მისი სკოლისგან არაფრით განსხვავდებოდა. ყველაფრით მისი ასლი იყო. ანუკი ამან მაგრად გააკვირვა, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ კომუნისტები ყველა ქალაქში ერთნაირ სკოლებს, კინოდარბაზებს და თეატრებს აშენებდნენ? არსებობდა ტიპიური პროექტი და დამთავრდა. არც ახალ-ახალი არქიტექტორები სჭირდებოდათ და არც კონსტრუქტორები. მხოლოდ გეოდეზიას შეისწავლიდნენ, მიაბამდნენ ტიპიურ პროექტს და აშენებდნენ. ასე რომ, ანუკის არც ტუალეტების ძებნა გასჭირვებია და არც “ბუფეტის” მიგნება, რომელიც დაკეტილი დახვდა. მერხებს დაუარა. “პრიანიკების” მთელ შეკვრას მიაგნო, “კრენდილს” რომ ეძახიან ბავშვები. იწვა საჭიდაო ლეიბზე სპორტ-დარბაზში და ამ “კრენდილს” ილოღნებოდა. მერე მანქანების ხმაურიც მიწყდა. კიდევ უფრო დაბნელდა და ანუკიც წყვდიადისა და სიზმრების საუფლოში გადასახლდა. ჩაეძინა. ესიზმრა, ვითომ პატარა იყო, კარუსელზე იჯდა და ხელებს წინ იწვდიდა, რადგან წინა ცხენებზე დედიკო და მამიკო ისხდნენ, ისინი კი რაღაცას ლაპარაკობდნენ და ანუკისკენ არც იყურებოდნენ. ანუკი ეძახოდა, უნდოდა დასწეოდა, ხელი მოეკიდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, კარუსელი სიჩქარეს უმატებდა, თავბრუდამხვევად ტრიალებდა, ანუკი კი მშობლებს მაინც ვერ სწვდებოდა... გამოეღვიძა. მიხვდა, რომ კიოდა. ისევ ძილ-ღვიძილში იყო. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონზე, რატომ იწვა, უზარმაზარ დარბაზში ცარიელ ტყავის ლეიბზე და ზედ არაფერი ეფარა. ოფლში ცურავდა. აბოდებდა. მიხვდა, რომ სიცხე ჰქონდა. წყალი სწყუროდა. წამოდგა. ბორძიკ-ბორძიკით მიაგნო ბნელში ტუალეტს. პირი მოიბანა. წყალი დალია და უკან დაბრუნდა... სციოდა, ტანზე აუცილებლად რაიმე უნდა დაეფარა. დარბაზის ერთ კუთხეში, ფრენბურთის დახვეულ ბადეს მიაგნო, გაშალა და გადაიფარა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ბორგავდა. როდის, როდის ჩაეძინა, გათენებისას, ბაღში პირველი ფრინველი რომ აჟღურტულდა, მაშინღა...

ბესლანის უზარმაზარი ბაზრობა რამდენჯერმე ჯვარედინად და გარდი-გარდმოც რომ გადათელ-გადმოთელეს, ვალიკომ და გოჩუნამ ახლა ბესლანის ცენტრალური ქუჩები და პერიფერიის გზებიც გვარიანად ტკეპნეს. ვინ იცის, იმ სკოლასაც აუარ-ჩაუარეს, რომელსაც ანუკიმ შეაფარა თავი, კვალს კი მაინც ვერსად ვერაფრით წააწყდნენ. ვაგზალშიაც შეიარეს და ავტობუსებისა და "მარშრუტკების" ოფიციალური თუ არაოფიციალური სადგურებიც გვარიანად, ძირისძირობამდე გადაჩხრიკეს.

ილიას ცოლს, გულიკოს, ხაბიზგინებიც დაეცხო, ქათამიც დაეკლა და როცა დაღლილ-დაქანცული მეძებრები გამოჩნდნენ, სწორედ იმ ქათამს აშიშხინებდა ტაფაზე. მასპინძლების მესამე კლასელი გოგონა, ზეინაბი კი, საწოლ ოთახში თავის პატარა მაგიდას მისჯდომოდა გაკვეთილებს სწავლობდა.

_ იმათ თუ თავ დააღწია, არაფერიღა უჭირს... ცოცხალ იქნების უეჭველი, შეიკედლებდის ვინმეი. _ ამშვიდებდა ორივეს ილია.

_ ძალიან ლამაზია, _ მეტი ვერაფერი თქვა გოჩუნამ, რომელსაც სიყვარულის ცეცხლი ახლა უფრო მძლავრად შემონთებოდა, რადგან ანუკის დაკარგვას თავის თავს აბრალებდა, ამისთანა გოგო მარტო როგორ დავტოვე, მე რომ მის გვერდით ვყოფილიყავ, ხომ თავს შევაკლავდი, არ გავატანდი და გადავარჩენდიო, ფიქრობდა. ყველაფერს, ყველა დეტალს, მასთან გატარებულ ყოველ წუთს და წამს მერამდენედ იხსენებდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ვინ იცის, ვიღაც მხეცების ხელშია, აწამებენ და... დანარჩენზე ფიქრი უკვე აგიჟებდა და აცოფებდა. სასმელს მიეძალა, კაცებს სადღეგრძელოებზე თავს უქნევდა და უაზროდ ყლურწავდა. შიგადაშიგ სუფრაზეც ბრუნდებოდა, ერთი-ორ სიტყვას ჩააგდებდა, ვალიკოს ხუმრობაში აჰყვებოდა, მაგრამ მალევე ისევ თავის სიყვარულს უბრუნდებოდა, ანუკი სჭირდებოდა, მის გვერდით უნდოდა ყოფნა, ანუკის გარეშე ერთი წამითაც აღარ შეეძლო ცხოვრება, მის გარეშე სიცოცხლე ფარატინა, ცარიელი ქაღალდი იყო, რომელიც შეგიძლია დაკუჭო და სანაგვეში მოისროლო. არაყმა ტვინი გაუცხელა, აუდუღა. მტევნებს მუშტავდა და გულში, თავისთვის, უჩუმრად იმუქრებოდა.

_ ახლა გავიდეთ და ფეხბურთ, ჰო, გინდათ? ჰო, ითამაშებთ? _ თქვა უცებ ილიამ და კაცებს შეხედა. _ ჰო, თამაშობ ფეხბურთს? _ შეეკითხა ის გოჩუნას.

_ ფეხბურთს? ჰო, როგორ არა, _ გამოერკვა გოჩუნა.

_ ჰოოდა, ჩვენ სახლს უკან სკოლის მინდორ არ, ნამდვილი სტადიონი. _ დაამატა ილიამ. _ წამოით!

წამოიშალნენ და გავიდნენ, მთვრალები, გალეწილები.

გაშლილმა მწვანე მინდორმა სამივენი ცოტათი გამოაფხიზლა. ვიღაც ბიჭები მოედანზე უკვე დასდევდნენ ბურთს.

_ აბაი, მავედით მასტერ-სპორტები! _ დაიძახა ილიამ. _ მახევეები არიან ესენიცა.

ბიჭებმა თამაშს თავი ანებეს და ყველანი მათკენ წამოვიდნენ. ვალიკო ყველამ სათითაოდ გადაკოცნა. მოიკითხეს, გაეღლაბუცნენ, რადგანაც კარგად იცოდნენ მისი ხასიათი. გოჩუნას კი ხელი ჩამოართვეს.

სამეულს ორი ბიჭი დაამატეს, ვალიკო კარში ჩააყენეს და გაჩაღდა ფეხბურთი, რომელიც გოჩუნასთვის, ანუ მისი თავდავიწყებისთვის, ნამდვილი მისწრება იყო. დაღამებამდე, დაბნელებამდე სდიეს ბურთს. გოლებსაც ითვლიდნენ. მერე კი, როცა ბურთი აღარც ჩანდა და სიბნელის გამო თამაში შეუძლებელი გახდა, დაამთავრეს, ცოტა იტრაბახეს, გატანილი გოლები გაიხსენეს, ხვალ გავაგრძელოთო, დათქვეს და დაიშალნენ.

ამდენი შთაბეჭდილებებით და ფეხბურთის თამაშით უზომოდ დაღლილ-დაქანცულ, ნამთვრალევ გოჩუნას, მკვდარივით, ლამის საღათას ძილით ჩაეძინა.

როცა გამოღვიძებულმა ანუკიმ თავი ასწია და მიმოიხედა, საოცარი სურათი დაინახა. დარბაზი ბავშვებით გადაჭედილიყო, ტანზე გაეხადათ და იატაკზე იწვნენ. ვიღაც იარაღმომარჯვებული ნიღბიანები კი, რომლებიც მათ წინ სკამებზე ისხდნენ და ნიღბის ჭრილებიდან თვალებს აბრიალებდნენ, ყველა იქ მყოფს, ლაპარაკს და განძრევას

უკრძალავდნენ. “მალჩაწ! რაზგავორი!” მალ-მალე ისმოდა მათი ზიზღნარევი ხმა. ანუკიმ თვალები მოიფშვნიტა და დასიცხული პირი დააღო. საშინლად სწყუროდა, ტანზე კი ისევ ოფლად იყო გაღვარული. ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, იფიქრა, ფილმს თუ იღებენო, მერე და მერე კი ბავშვების გაკვირვებულ და უიმედო სახეებზე სასოწარკვეთილება, მონური მორჩილება და უსაზღვრო შიში რომ ამოიკითხა, მიხვდა საზარელ რეალობაში რომ იყო. მიხვდა, რომ სხვებთან ერთად ისიც მძევალი იყო და არ უნდა გატოკებულიყო. ღამით, სიცხის გამო, ფრენბურთის ბადეც მოესროლა და ტანზეც გაეხადა თურმე, ასე რომ სხვა ბავშვებისგან არაფრით განსხვავდებოდა და ამიტომაც არავინ შეხებია. წყურვილი ჰკლავდა და ტუალეტშიც უნდოდა, მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყო, არ იცოდა. ანუკი კედელთან იწვა. მის გვერდით კი ათი-თერთმეტი წლის გოგონა გამტკნარებულიყო, ცარიელ ტრუსში. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. გოგონამ თავი გაუქნია, ანიშნა, არაფერი თქვაო. ანუკიმ თვალები დახუჭა. “სადა ვარ, რა მინდა აქ?” _ გაიფიქრა. გაღვიძებულს მალე შეაშრა ტანზე ოფლი, ახლა შესცივდა და გააჟრჟოლა. ააკანკალა. ანუკის ფეხების მოძრაობაზე გოგონა მიხვდა, რომ ანუკის ტუალეტში უნდოდა. ხელი ასწია.

_ ვტუალეტ ხაჩუ, _ თქვა გოგონამ.

ანუკი მიხვდა რომ გოგონამ მიანიშნა როგორც უნდა მოქცეულიყო და მანაც ხელი ასწია.

_ ხაჩუ ვტუალეტ!

_ ტოლკა ვდვაიომ! _ გაისმა ბრძანება.

ის გოგონა და ანუკი ერთდროულად წამოდგნენ.

_ პაშლი! _ გაისმა ბრძანება.

ტუალეტისკენ ნიღბიანი შეიარაღებული მამაკაცი მიაცილებლა. ანუკი ლიფსა და ტრუსში იყო, ის გოგონა კი მხოლოდ ცარიელ ტრუსში. თუმცა უკვე მომწიფებულიყო და მკვეთრად ამობურცოდა კიდეც ძუძუები. ანუკი თითქოს ცდილობდა გოგონას ამოჰფარვოდა. კორიდორი გაიარეს და ტუალეტში შევიდნენ. ნიღბიანი გარეთ დარჩა. ორივე გვერდიგვერდ ერთდროულად ჩასხდნენ და ააჩხრიალეს. ანუკისთვის ეს დიდი შვება იყო.

_ ია გრუზინკა, _ თავი მიაბრუნა და ჩუმად უთხრა ანუკიმ.

_ მეც, _ დაიჩურჩულა გოგონამ, _ შენ ანუკი ხარ?

_ ჰო, _ გაუკვირდა ანუკის.

_ მივხვდი. გუშინ მთელ დღეს გეძებნეს ვალიკომ და გოჩუნამა. მე ილიას შვილი ვარ, ზეინაბი, აქავე ვცხოვრობთ, სკოლის გვერდით.

“მეძებს,” _ გაუელვა ანუკის. სხვაც ბევრი რამ აინტერესებდა, მაგრამ დრო არ ითმენდა.

_ გინდა გაიქცე? _ ჰკითხა მან გოგონას.

_ მინდა, ძლიერ! _ სწრაფად უპასუხა გოგონამ.

_ არ შეგეშინდება?

_ არა, არა!

_ აქედან მესამე კლასში, ბოლო, დიდი ფანჯარა გატეხილია, მე დაგიცავ!

_ კარგი! _ თქვა გოგონამ, რომლის ძარღვებშიც, ვინ იცის, ჯერაც სჩქეფდა თავისუფლებისმოყვარე მოხევეების სისხლი.

ნიღბიანი ტუალეტში შემოვარდა.

_ ჩეგო ტუტ შუშუკაეწე!? მარშ! ბისტრა!

გოგონებმა სწრაფად აიწიეს ტრუსები და გამოვიდნენ. წინ პატარა წავიდა, უკან ანუკი მიჰყვა, მის უკან კი ნიღბიანი მიაბიჯებდა. მესამე კარს რომ გაუსწორდნენ, ზეინაბი მიტრიალდა, კარი გამოაღო და შევარდა. ანუკიმ კარი მიხურა და აეწება!

_ ოჰ, სუკი, სვოლოჩი! _ იღრიალა ნიღბიანმა და ავტომატის ლულა პირდაპირ მკერდზე მიადო.

ანუკიმ ხელები უნებურად მაღლა ასწია და მკვლელს თვალი თვალში გაუყარა. მისი ლამაზი მკერდიც ზემოთ წავიდა და თავგადაგდებული, განრისხებული, აწითლებული,

სიკვდილის პირისპირ მდგარი შიშველი ქალი კიდევ უფრო უღვთო სილამაზით გაბრწყინდა. იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ კაცს თითი სასხლეტზე შეეყინა. ავტომატი რომ მოერიდებინა ლულა ზემოთ წაიღო, სამიზნე ლიფის სფეროების გადასაბმელზე გამოედო და ქალი უნებურად გააშიშვლა. ანუკიმ მექანიკურად დაიფარა მკერდზე ხელი და მიტრიალებას აპირებდა, რომ უეცრად, საშინელი გრუხუნის ხმა გაისმა. ერთი, ორი, სამი... ტერორისტი მიტრიალდა და დარბაზის კარისკენ გაიქცა. ანუკიმ კი კარი გამოაღო, კლასში შევარდა და გატეხილი ფანჯრიდან სკოლის ბაღში ისკუპა. სროლა გრძელდებოდა. საშინელი გრუხუნი და ავტომატების ჯერი ერთმანეთს ცვლიდა. ანუკიმ ბაღი სირბილით გადაჭრა და ბოლოში აგურის კედლის ძირში, ბალახებში ჩაწვა. თავისი თვალით უყურებდა, როგორ გამოვარდა ერთმანეთში არეული მტვერი და კვამლი სკოლის სპორტ-დარბაზის ფანჯრებიდან. როგორ გარბოდნენ კედლის გასწვრივ შეიარაღებული სალდათები. ჩაესმა როგორ აკვნესდა და აწივლდა სკოლა. უმზერდა, როგორ ხტებოდნენ ფანჯრებიდან, როგორ ცვიოდნენ და გარბოდნენ, ვისაც საით შეეძლო, გადარჩენილები: შიშვლები, შეშინებული და თავზარდაცემული ბავშვები. მერე კი სროლის ხმა მიჩუმდა. კვამლი და მტვერიც გაიფანტა და უფრო აუტანელი გახდა კვნესისა და ბღავილის მოსმენა. ანუკი წამოდგა, ჯერ კედლის გასწვრივ ნელა მიდიოდა. მერე გაიქცა. სკოლის შენობას შემოურბინა და გაგიჟებულ, შეშინებულ, გადარჩენილ მოსწავლეებს შეუერთდა. იქ, ეზოში, ჯოჯოხეთი ტრიალებდა. სალდათებს, მკვდრები, დაჭრილი და ცოცხალი, შიშველი ბავშვები გამოჰყავდათ. მშობლები და ახლობლები გადარჩენილებს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ზეცისკენ იშვერდნენ ხელს და იწყევლებოდნენ. საშინელი ღრიანცელი იდგა. იმ არეულობაში ანუკიმ კორესპონდენტი შენიშნა, რომელსაც მიკროფონი ეკავა და გადარჩენილ ბავშვებს პირდაპირ პირში სჩრიდა. ჩვენი, ქართული არხის, ნამდვილი, ცოცხალი კორესპონდენტი. ვინ იცის, ინტუიციით თუ რით, ანუკი კორესპონდენტის ახლოს გაჩერებულ სასწრაფო დახმარების მანქანაში შეხტა და საკაცეს უკან მოთავსებულ პატარა სკამზე მიიყუჟა. მძღოლმა, ახალგაზრდა ვაჟმა, ალბათ, მანქანის ვიბრაციის გამო, კაბინის სარკმლიდან შემოიხედა და ანუკი შენიშნა, რომელიც შიშველ მკერდზე ხელს იფარავდა და კბილებს აკაწკაწებდა.

მძღოლი კაბინიდან გადმოვიდა და ანუკის მოესმა როგორ დაუძახა ვიღაცას ქართულად.

_ თამრიკო, მოდი, ნახე, ერთი, ვიღაც ბავშვი ზის მანქანაში.

“ქართველები ყოფილან”, _ გაუხარდა ანუკის და ისევ აძაგძაგდა.

სანამ ექიმი მოვიდოდა, ვიღაც კაცმა, მხარზე გადაგდებული, გულწასული ბიჭი აიყვანა მანქანაში და საკაცეზე დაასვენა. ბავშვი მთლად სისხლში ამოსვრილიყო, ფეხზე კი ბარძაყის ძვალი გარეთ ჰქონდა გამოჩრილი. თამრიკომ სასწრაფოდ ააფარა ჟანგბადის ნიღაბი და წვეთოვანა დაუდგა. მძღოლმა სიგნალები ჩართო და გავარდა. ექიმმა ახლაღა შენიშნა, აძაგძაგებული, შიშველი ანუკი და მაგრად გაუკვირდა. მერე, გვერდით რაღაც უჯრა გამოხსნა, იქიდან სანიტრის ლურჯი ხალათი ამოიღო და ანუკის მიაწოდა.

_ აძენწე ეტო!

_ ქართველი ვარ! _ ანუკიმ ხალათი გამოართვა და გადაიცვა. _ სიცხე მაქვს.

_ ქართველებიც სწავლობთ ამ სკოლაში? _ შეეკითხა ექიმი ანუკის.

_ არა, მე აქაური არა ვარ, მე თბილისელი ვარ, იქაურ გიმნაზიაში ვსწავლობ, აქ შემთხვევით, თვითონაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი.

ექიმი დაიბნა.

_ როგორ თუ შემთხვევით? _ მერე კი ანუკის წითლად აღუდუდებულ ლოყებსა და სახეს რომ შეხედა, იფიქრა, ალბათ შოკშია ჯერაც ბავშვი და ვერ გამოსულაო. შუბლზე დაადო ხელი, დასწვა. _ იწვები? _ გაუკვირდა ექიმს.

_ ჰო! _ უპასუხა ანუკიმ.

ექიმმა ისევ რაღაც უჯრა გამოხსნა, იქიდან პატარა ფლაკონი ამოიღო და ანუკის მისცა.

_ შენ თვითონ, გახსენი და ორი აბი შეგიძლია გადაყლაპო, _ და ბოთლით წყალიც მიაწოდა.

ექიმი მაშინვე დაჭრილ ბავშვს მიუბრუნდა. მაჯაზე მოკიდა ხელი, პულსი შეამოწმა. ანუკიმ ფლაკონს თავსახური მოხსნა, აბები ხელის გულზე გადმოიყარა, ორი ცალი ენაზე დაიდო და წყალი დააყოლა.

მანქანა გაჩერდა. კარი გარედან გააღეს, სანიტრები ამოქანდნენ, ბავშვს ნიღაბი მოხსნეს, საკაცე მანქანიდან გადაიტანეს და გააქანეს.

_ შენ რატომ არ ჩადიხარ? გადადი და მოგხედავენ საავადმყოფოში. _ მიუბრუნდა ექიმი ანუკის.

_ არა, რა? _ შეეხვეწა ანუკი. _ თქვენ ხომ თბილისში დაბრუნდებით, მეც თქვენ გამოგყვებით, ძალიან გთხოვთ.

_ შენ მართლა თბილისში ცხოვრობ? _ შეეკითხა ექიმი.

_ კი, კი, ნამდვილად, დამიჯერეთ, ყველაფერს გზაში მოგიყვებით. მე აქ ისეთი რამ გადამხდა, ყველაფერს მოგიყვებით... _ აღელვებული, ათრთოლებული ეხვეწებოდა ანუკი.

მანქანა კი ისევ აფეთქებული სკოლისაკენ მიჰქროდა.

კოტიკო კი იწვა თავისი მოლარის, როზის ტახტზე და ზაზას მოსვლას უცდიდა. კარმა გაიჭრიალა. კოტიკომ ყური ცქვიტა და გაისუსა. როგორც ჩანს, ზაზა სახელოსნოს ათვალიერებდა. კოტიკომ იგრძნო გულისცემა როგორ აუჩქარდა. “არა, რატომ გამყიდიდა, ჯილდო ხომ არ არის ჩემზე გამოცხადებული? შიშის გამო? არც ისეთი მშიშარაა”.

_ კოწიკ? _ გაისმა ზაზას ფრთხილი, ტკბილი ხმა და კოტიკოს იმწამს გაუარა შიშმაც და ეჭვმაც. _ კოწიკ? _ იმავე ხმაზე ფრთხილად დაუძახა ზაზამ.

_ აქა ვარ, აქ? _ შევარდა საშრობში კოტიკო. _ დაბლა, დაბლა.

_ დაბლა? _ გაუკვირდა ზაზას.

_ ჰო, მარჯვნივ, კარს ხომ ხედავ ღიას?

_ კიი.

_ ჰოდა, შემოდი, რაღა!

ზემოთ ნაბიჯების ხმა გაისმა. მერე კი ზაზამ მაღლიდან ჩამოიხედა.

_ ე, მანდ როგორ მოხვდი, ტო? იმალები?

_ რა ვიმალები, დასხლტა ეს დედამიწერილი და ჩამოვვარდი. _ კოტიკომ ზაზას სახატავი ტილოსგან გაკეთებული თოკი დაანახა.

_ და რას ჩადიოდი რომ? ვისი სახლია, მანდ რა გინდოდა, მეც უნდა ჩამოვიდე?

_ გაგიჟდი? სად უნდა ჩამოხვიდე. აუ, გამომივიდა გამომძიებელი ესეც. რომ ჩამოვედი, ალბათ მინდოდა. აბა, გიჟი ვიყავი, ტყუილად გამერისკა?

_ ვერაფერი გავიგე. შენ რა, ქურდიც ხარ?

_ ქურდი შენა ხარ, შენი ჭკვაც ვატირე. ყური დამიგდე. მე მგონი, ეს გასაღებები, ამ ქვედა კარისაა. ამ ერთმა შუა საკეტი გააღო, მაგრამ შიგნიდან მეტი არ იღება. ამოგიგდებ და სცადე, აბა! თუ ვერ გააღებ, ისევ უკან ამოხვალ და სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ.

კოტიკომ ზაზას გასაღებების ასხმა აუგდო. მანაც დაიჭირა და სტვენით გაემართა კარისაკენ.

_ რას უსტვენ, ბიჭო, გაგიჟდი? _ გადაირია ქვემოთ კოტიკო.

ზაზა გაჩუმდა. კოტიკოს შემოესმა როგორ დაიკეტა ზემოთ კარი. მალე კი ქვედა კარის კლიტეში გასაღების ჩხაკუნი გაისმა. კოტიკო დაძაბული უგდებდა ყურს. მალე ერთი გასაღები რამდენჯერმე გადატრიალდა. მერე მეორეც და კარიც გაიღო.

_ აუ, სიმონ, ქურდები ვართ? _ ქურდულად იკითხა ზაზამ.

ბიჭებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

_ რა დროს ეგ არი, დავახვიოთ უნდა აქედან, ვინმემ არ მოგვისწროს, _ კოტიკომ იმწამსვე გამოაღო კარი და ზაზას ანიშნა გასულიყო.

კარში გამოვიდნენ თუ არა, კოტიკომ სწრაფად დაიწყო კიბეზე ჩარბენა. ზაზაც უკან მიჰყვა.

_ რომ არ დავკეტეთ? _ შეეკითხა ის კოტიკოს.

_ გადააგდე ეგ გასაღებები, თან მოგაქვს? _ გაუკვირდა კოტიკოს.

ზაზამ გასაღებები ისე მოისროლა, თითქოს რაღაც ჭუჭყი მოიცილაო. გასაღებების ასხმა ბეტონის კიბეზე გაჩხრიალდა და კიბეებს შუა ჩავარდა.

გარეთ გამოვიდნენ თუ არა, კოტიკომ შვებით ამოისუნთქა.

_ რა უნდათ შენგან, რატომ გაგწეწეს, რა დააშავე? _ აინტერესებდა ზაზას კოტიკოს ამბავი. _ ტელევიზორში ვუყურე, როგორ მიუშვეს შლანგებით შენი ღვინო პირდაპირ კანალიზაციაში... მე შენ დაჭერილი მეგონე.

_ ვახო თუ დაიჭირეს, ჩვენ გვიხათრებდნენ?

_ მართლა, ეგ რაზმაძე რაღაზე დაიჭირეს?

_ მე რა ვიცი, წილები ვერ გაიყვეს, ალბათ. ჩაჯექ, რა, მანქანაში?

_ ჩემსას რა ვუყო, მერე?

_ ჩაჯექი ორი წუთი, დაგელაპარაკები და მერე გადაჯდები.

მანქანაში ჩასხდნენ თუ არა, კოტიკომ ტორპედოზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოიღო და გააბოლა.

_ მომისმინე!

_ გისმენ, _ დიაძაბა ზაზა, რადგან მისვდა, კოტიკოს რაღაც დიდმნიშვნელოვანის თქმა სურდა.

_ უნდა გავიქცე თუ მოვახერხე.

_ ცხადია.

_ უფულოდ სად წავიდე?

_ როგორ, არაფერი გაქვს სიდერ-სიმამრის სახელზე მაინც გადანახული?

_ სიდედრ-სიმამრი არა. მთლიანად საქმეში მქონდა ჩადებული...

_ მთლიანად?

_ ჰო, სამ მილიონამდე.

_ მეტი არ გქონდა?

_ და ცოტა იყო, ბიჭო, სამი მილიონი? მაცალე რა?

_ ჰო, ჰო, _ სწარაფად უპასუხა ზაზამ რადგან მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა.

_ მქონდა გადანახული.

_ ჰოო?

_ ჰო, ჰო, სეიფში, სამსახურში.

_ სამსახურში? და წაიღეს იმ ახვრებმა?

_ არა, "სეკრეტი" ჰქონდა იმ სეიფს, ჩემს მეტმა არავინ იცოდა.

_ მერე?

_ მე ანტალიაში ვიყავი მოტეხილი, იმ ჩემ ტურფასთან ერთად. ამიტომ ვარ გარეთ. ამან გადამარჩინა.

_ მერე?

_ ის სეიფი შემოწმებამდე გამქრალა, მოლარესთან ერთად. ახლა ვის სახლიდანაც გამოვედით. ფირმის მთელი საბუთებიც იმ სეიფში მქონდა.

_ ფულიც?

_ ფულიც.

_ რამდენი?

_ ექვსასი ათასამდე.

ზაზამ შეუსტვინა.

_ გასაგებია. მოტეხილან. დაემშვიდობე იმ ფულს. აკი "სეკრეტის" ამბავი მარტო მე ვიცოდიო?

_ ჰოდა, მაგიტომ ვეძებ იმ სეიფს, იქნებ ის ფული ისევ ისე დევს ხელუხლებელი? ვინ იცის. მაგრამ როგორ გინდა აღმოაჩინო?

_ რა? რომ ვერ მიეგნოთ, რატომ მოტყდებოდნენ?

_ იქნებ მე მემალებიან და არც არსად გაქცეულან? _ თქვა ჩაფიქრებულმა კოტიკომ.

_ ნუ მარჩიელობ, რა?

_ რა მგონია, იცი? _ განაგრძო კოტიკომ. _ ფული ნახეს თუ ვერ ნახეს, ის სეიფი, მაინც უნდა გადაეგდოთ.

_ მერე?

_ ვიღაცა ხომ ნახავდა, არა? ქუჩაში იმას არავინ დასტოვებდა. ჯართში ჩააბარებდნენ, ასიანი. რა ვიცი, იქნებ გადაადნეს კიდეც უკვე იმ ჩემი ფულებიანად.

_ ვინ იცის... _ დაუმოწმა ზაზამაც.

_ ჰოდა, იქ უნდა ვეძებოთ, ჯართის მიმღებ პუნქტებში.

_ შენ ხომ არ გერეკე? "მილიონ ტრისტა" მაინც იქნება ქალაქში.

_ მაგდენი არ იქნება. თუ ჯართში ჩააბარებდნენ, ან თავიანთი სახლის ახლოს, ან ჩემი ფირმის ახლოს... უფრო იქ.

_ და გგონია იპოვი? იქნებ მტკვარში გადააგდეს?

_ მოიცა, რა? რას ითარსები! ვცდი. რას ვკარგავ? იქნებ მივაგნო?

_ ჯართის მიმღებ პუნქტებში? შენ, ძმაო, ფსიქიატრი გჭირდება, გეუბნები!

_ შენ იყო ჩემს ადგილზე, შენ მიგეკარგა ამხელა მაყუთი და ვნახავდი, რა ჭკუაზე იქნებოდი. არა, უნდა მოვძებნო, დარწმუნებული ვარ, რომ მივაგნებ.

_ სად, ბიჭო! ჯართის მიმღებ პუნქტებში?

_ ჰო, ჰო. მორჩი ახლა, დაამთავრე, რა?!

ზაზამ შეუსტვინა. ამას, ეტყობა, ტვინი გადაუტრიალდა, ამის საქმე წასულიაო, გაიფიქრა.

_ შენ რაც გინდა ქენი, მე თავი დამანებე, მაშინ! _ თქვა და მანქანიდან გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ კოტიკომ ხელი სტაცა.

_ ჩემთან უნდა იყო, ვერსად ვერ წახვალ!

_ და მანქანას რა ვუყო, აქ დავაგდო, უპატრონოდ?

_ დააგდე, ვინ გაეკარება.

_ რა? ამ უცხო ადგილას? სხვას თუ არაფერს, სარკეს მომიგლეჯავენ ან საბურავებს დასხსნიან.

_ დასხნან, მე გადაგიხდი, _ და აღარ დაელოდა, რას უპასუხებდა ზაზა, კოტიკომ გასაღები გადაატრიალა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. იქვე პროფილაქტიკა ეგულებოდა, კინოსტუდიის ასახვევში. ხელოსნებს ნაღდად ეცოდინებათ ჯართის ჩამბარებელი პუნქტებიო და მათ მიადგა.

_ ერთი სამი მაინც არი. გორის ქუჩა იცი? სამშობიაროს უკან. ერთი მანდ არი. მეორე ხიდს რო გადახვალ, გაზის დამტენი კანტორა როა, ხო იცი? მანდაც არი და მესამე - "ვეფხვისა და მოყმის" ძეგლი ხო იცი, მაგას გასცდები და "ბეემვეს" მაღაზიის უკან, სამრეცხაოც არის მანდ მანქანებისა, აი, მაგის გვერდზე... _ ეგრევე ჩამოუყოლა "ჟესტიანჩიკმა".

საკმარისი იყო და კოტიკომაც უახლოეს პუნქტისკენ გასწია.

_ სეიფი? რკინისა? უჟანგავია? _ შეეკითხა ჯართის ჩამბარებელი.

_ სეიფია რა, ჩვეულებრივი, უჟანგავი - ჟანგიანი, რას ჰქვია?

_ ვა, სეიფები ცხრაასნაირია, ზოგი ფილადისაც კია.

_ ეგ რა შუაშია, მე ჩემი სეიფი მაინტერესებს.

_ რას მეჩხუბები, ძმაო, მმართებს რამე შენი? მეც სწორედ მაგიტო არ გეკითხები, უჟანგავი იყო თუ ჟანგიანი?

_ კაი, უჟანგავი.

_ ჰოდა, მასე, რა... _ მეჯართემ რაღაც ნაფლეთებად ქცეული რვეული აიღო, ბოლო გვერდზე გადაშალა და იქიდან აჰყვა ზემოთ.

_ სეიფი, ინგლისური... ჰო, მართლა შენი სადაური იყო?

_ რა მახსოვს. ალბათ რუსული, იმიტომ რომ ჩემმა სიმამრმა დაითრია ინსტიტუტიდან.

_ უჟანგავი, ორ კარიანი, ორასი კილოგრამი. ინგლისური ხო არ იყო? _ მიუტრიალდა ის კაცებს.

_ არა, _ მოკლედ მოჭრა კოტიკომ.

_ სეიფი, სეიფი, _ ისევ ზემოთ აჰყვა მეჯართე. _ სეიფი, რუსული. უჟანგავი, ერთ კარიანი. სამოცდაცამეტი კილოგრამი. ეს ხო არ არი?

_ მე რა ვიცი, აბა, მე კილოობით კი არ მიყიდია ის სეიფი, ისე ერთკარიანი იყო, კი.

_ აბა მე საიდანღა უნდა ვიცოდე, მე ხან თვეში ხუთ სეიფს ვყიდულობ.

_ თვე და რიცხვი მიწერილი გაქვს?

_ ჰო, აი, თორმეტი მაისი, ოცი მაისი...

_ ოცის მერე ხომ არ შემოსულა, ოცამდე არ მაინტერესებს.

_ არა, მერე არ შემოსულა.

_ მაშინ, მაჩვენე რაა, ამ მარჩიელობას... თუნდაც ეგ, ოცში რომელიც მიიღე.

_ ეს ორკარიანია, შენ იძახი ცალკარიანი იყოო. ცალიანი წაღებულია.

_ რას ნიშნავს წაღებულია?…

_ წაიღო, რა... კაკოს წაღებულია.

_ კაკო ვინღაა?

_ ჩემგან ვისაც მიაქვს, ძმაო. კაკო ჰქვია. მერე ის ახარისხებს, რაც გამოადგება იტოვებს და რაც არა თურქეთში მიდის. როგორც ხდება, რა?

_ ეგ კაკო როგორ უნდა ვნახო?

_ კაკო? კაკო ვაგზალზე ზის, სატვირთოში, თავის ოფისში.

_ რა გვარია?

_ რავი გრიბოედოვი, ჩემი გვარი აღარ მახსოვს, კაკოს გვარი მემახსოვრება?

_ წავედით! _ მოუტრიალდა კოტიკო ზაზას.

_ სად? _ შეეკითხა ზაზა.

_ ვაგზალზე, სატვირთოში. თუ უკვე თურქეთში არ არის წასული.

_ შენ თუ სეიფი გაინტერესებს, დატოვე ტელეფონის ნომერი და რო შემოვა დაგირეკავ.

_ არა, არა... გასაგებია. _ ჩაილაპარაკა კოტიკომ და მიტრიალდა. ზაზაც უკან მიჰყვა.

_ მოდი, მე გამიშვი, რა? მაგრად მეეჭვება, რამე გამოგივიდეს. _ ჩასხდნენ თუ არა მანქანაში, სთხოვა ზაზამ კოტიკოს.

ზაზას სიტყვებს ღალატის სუნი ასდიოდა, რაც კოტიკომ ეგრევე იყნოსა.

_ ჰო, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა.

_ რა ბედის მონახევრე. შენ იცი, ვაგზალზე რა ხდება?

_ რა ხდება?

_ ჯართის მთები დგას, იცი, რამხელა?

_ რა? სულ ჯომოლუნგმაც რომ იდგას, გადავადგმევინებ. მაშ ნახევარი მილიონი გადავადნობინო? სანამ სეიფს არ მივაგნებ ვერსად გაგიშვებ და არ გეწყინოს.

_ რას ჰქვია ვერ გამიშვებ, რა, შენი ყმა ვარ თუ მონა? _ ზაზას ხმაში წყენა გაერია. _ შენ თუ გაგიჟდი, მე არ გავგიჟებულვარ, არა?

_ დაიწყო, არა, ქართული პონტები?

_ რა ქართული პონტები?

_ ღალატი, ორგულობა, ორთესლობა, სხვა რა? _ პირდაპირ აჯახა კოტიკომ.

_ ვის ეუბნები, ბიჭო, მაგას? შენ ეტყობა, მართლა, მაგრად აგრევია დავთრები. გინდ თამარ მეფის საფლავი გიძებნია და გინდ ეგ შენი ნახევარი მილიონი.

_ მოდი, მოვრჩეთ, რაა, ამაზე. სულ ორი-სამი საათი მჭირდები.

_ კაი, მიაჭირე, წავედით! _ ზაზამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

რაღაც თხუტმეტ-ოც წუთში ორივენი, ვაგზალზე, სატვირთოში, კაკოს გამოეცხადნენ ოფისში.

_ რა? _ კაკო კომპიუტერის წინ იჯდა და რაღაც სიებს ჩაჰკირკიტებდა. თავიდან მეჯართეები ეგონა და ყურს არ უგდებდა თუ რას ეუბნებოდა ეს ორი ტიპი. მაგრამ სეიფი რომ უხსენეს, ეგონა, შემოწმებაზე არიანო და ახლაღა მიაჩერდა ორივეს.

_ სეიფს ვეძებ. ცალკარიანს, უჟანგავს, ძველ რუსულ სეიფს.

ა, ამათ სეიფის ყიდვა სდომებიათო, გაიფიქრა კაკომ, რომელიც მაღალი, მოხდენილი, ულვაშებიანი კაცი აღმოჩნდა, უკან გადაგლესილი თმებით.

_ იტალიური რომ იყოს? აი, ასეთი? _ კაკომ თავის სეიფზე ანიშნა.

_ არა, მე ჩემ სეიფს ვეძებ, საკუთარს.

_ მოგპარეს?

_ ჰო.

_ ფული იყო შიგ?

_ არა, რა ფული, საბუთებს ვინახავდი შიგ, ფირმის.

_ დაემშვიდობო უნდა.

_ რატომ, რა, ვერ მივაგნებ?

კაკომ უყურა, უყურა განცვიფრებულმა, მერე ხელი უცნაურად შეაბრუნ-შემოაბრუნა და სკამიდან ცოცხლად წამოდგა.

_ წამოდით!

და ორივე პირდაპირ ჯართის უზარმაზარ მთებს მიაყენა.

კოტიკოს ენა მუცელში ჩაუვარდა. იდგა და შეჰყურებდა, ტონობით დაგროვილ ათასნაირ და ასიათასნაირ რკინისა თუ თუნუქის ხარახურას. რას აღარ ნახავდა აქ კაცი: დამტვრეული მანქანების ჟანგიანი ძარებიდან დაწყებული, გერმანული “ზინგერებით” ანუ საკერავი მანქანებით დამთავრებული.

_ აუ, აქ ერთი მილიონი ტონა მაინც იქნება, _ პირი დააღო ზაზამ.

_ აბა, მიაგნებ? კი, ბატონო, თუ მიაგნებ, ეძებეთ! _ და კაკო უკან თავის ოფისში აპირებდა გატრიალებას.

_ მოიცა, რა, ეს რამდენი დღისაა? _ შეეკითხა კაკოს კოტიკო.

_ ესა? ალბათ, ერთი-ორი კვირის, მაგრამ დილაზე ვაგონები ჩამოდგება და უნდა შევაყრევინო. რავი, დაათვალიერეთ, თუ მიაგნებთ, მე რას ვკარგავ... კი, ბატონო! _ კაკომ მხრები აიჩეჩა, მიტრიალდა და წავიდა.

_ ამას რა გადააწყობს, ტო, რა სიგიჟეა... _ მაინც წამოსცდა ზაზას.

კოტიკომ გახედა და მაგნიტიანი ამწე დაინახა, რომლითაც, როგორც ჩანს, ჯართს ვაგონზე დებდნენ.

_ მაგარი ბიზნესი ჰქონიათ, ძმაო... _ ჩაილაპარაკა ისევ ზაზამ.

_ წამო, მუშები მოვძებნოთ! _ უთხრა მას კოტიკომ და გასასვლელისკენ დაიძრა. ზაზაც უკან გამოუდგა.

_ ვინ მუშები უნდა მოსძებნო?

_ რავი, წამოვიყვან ელიავადან, მივცემ, ერთი, ათ-ათ ლარს და მარტო ამ ჯართს კი არა, თუ გინდა ანძასაც დავაშლევინებ, ფუნიკულიორზე.

როგორც კი კოტიკომ ხიდქვეშ მანქანა გააჩერა, ერთი ასი კაცი მაინც დაესია.

_ მე წამიყვანე, რაა? მეე, მეე, მეე! _ კინაღამ მანქანა გადააბრუნეს.

_ მოიცათ, მოიცათ! _ ხელი ასწია კოტიკომ და ერთ-ერთს დაადო. _ შენ რა გქვია?

_ ავთო.

_ აი, შენ ხუთი ლარი, ავთანდილ, და ათი ღონიერი კაცი ამომირჩიე, კარგი? და ათ წუთში ვაგზალზე იყავით, სატვირთო სადგურის შესასვლელთან. ათ-ათ ლარს ვიძლევი დღიურად, მოსულა?

_ რა არი დასადები? _ ფული ჯიბეში გააქანა და შეეკითხა ავთო.

_ არაფერი, რკინა, ჯართია აქეთ-იქით გადასაწყობი.

_ გასაგებია. წადით და მოვალთ! _ დაპირდა ავთო და კოტიკომაც იმწამს დაძრა მანქანა.

_ მეგონა თავს ვეღარ დავაღწევდით! _ ჩაილაპარაკა კოტიკომ როგორც კი ხიდს გასცდნენ.

_ ჰო, რა დღეშია ხალხი... _ დაუდასტურა ზაზამ.

_ რა? ცარიელი კაცი ქვაზე მაგარიაო, არ გაგიგია, შენ? ჩემზე უარეს დღეში არიან? თუ ამ ფულს ვერ მივაგენი ჩემი ფეხით უნდა გამოვცხადდე, არა, პროკურატურაში, როდემდე გავძლებ მიმალვაში?

ამაზე ზაზამ ვეღარაფერი უპასუხა. კოტიკო კი ისე ჩაეთრია ფულის პოვნის ჟინს, არც დაკარგული შვილი გახსენებია და არც უსახლკაროდ დარჩენილი ცოლი და იმის დედ-მამა, საავადმყოფოს საკანში რომ იყვნენ შემთხვევითობის გამო გამოკეტილნი.

ვაგზალზე ორი წუთის მისულები თუ იქნებოდნენ, რომ მუშებიც მოვარდნენ. ზუსტად ათნი იყვნენ.

_ მოვედით! _ მოახსენა ავთომ კოტიკოს. _ რა უნდა გავაკეთოთ?

_ შევედით! _ თქვა კოტიკომ და მუშებს სატვირთო ვაგზლის ეზოში შეუძღვა.

მუშები დაბნეულები ჩანდნენ, თუმც კოტიკოს ნათქვამი ჰქონდა, ჯართია გადასაწყობიო, მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ რას ნიშნავდა ჯართის გადაწყობა და რა უნდა ეკეთებინათ.

_ რა უნდა გავაკეთოთ? _ შეეკითხა "დესიატნიკი" ანუ ავთო.

_ აი, ამ ჯართს აქეთ გადააწყობთ და იმას კიდევ იქით! _ მიუთითა კოტიკომ ჯართის მთებზე. მთავარს რატომღაც არ ამბობდა კოტიკო.

მუშებიდან ერთ-ერთმა, ალბათ, რომელიც სხვებზე ნაკითხი უნდა ყოფილიყო, ან ვინ იცის, ყოფილი ლექტორი და პროფესორიც კი იყო, ხელი ასწია.

_ ერთი შეკითხვა შეიძლება?

_ ჰო! _ უპასუხა კოტიკომ.

_ შენა, "დათა თუთაშხიაში" სეთური რომაა, მისი ბიძაშვილი ხომ არა ხარ?

ყველას გაეცინა.

_ მოკლედ, ამას ხომ გადაალაგებთ და გადმოალაგებთ, სეიფები თუ შეგხვდებათ, იმათ ცალკე დააწყობთ!

_ მასე გეთქვა, შე კაი კაცო, თავიდანვე. _ ხელები გაშალა იმავემ. _ მოკლედ, ექვსამდე ვმუშაობთ, ექვსის მერე საათში სამ ლარს გადაგვიხდი, მოსულა?

_ მოსულა. დაიწყეთ, დროს ნულარ ვკარგავთ. _ დაეთანხმა კოტიკო.

_ გამოვიცვლით და დავიწყებთ. _ თქვა ავთომ და ბიჭებს შეუძახა: _ დავაი, გამოიცვალეთ, რაღას დგახართ?

მუშებმა პარკები და ჩანთები კედელთან დაყარეს და ტანისამოსის გამოცვლა დაიწყეს. მერე სამ-ოთხ კაციანი ბრიგადები ჩამოაყალიბეს და ჯართს შეესივნენ. ათი წუთიც არ გასულიყო და პატარა, ერთკარიანი სეიფი აღმოაჩინეს.

_ აი, პირველი, სად წავიღოთ? _ ყველა კოტიკოს მიაჩერდა.

_ ჰოო, ძალიან კარგი, წამოიღეთ და, აი, აქეთ, კედელთან დადეთ! _ მიუთითა კოტიკომ.

მუშებმა კარის სახელურს არმატურა გაუყარეს და სეიფი კედელთან გადაათრიეს.

_ ახლა, რა უნდა უყოთ ამ სეიფს? _ დაინტერესდა ერთ-ერთი მუშა. რომელიც ისე გამხდარიყო, სანთელი გასდიოდა ყურებში.

კოტიკო ოდნავ ჩაფიქრდა.

_ სახელოსნო მაქვს, რა, და უნდა გავაახლო.

_ რაღაც ძალიან მეეჭვება, _ თავი გააქნია იმავე მუშამ.

_ კაცო, შენ გააკეთე, რა, რასაც გეუბნებიან! _ აღელდა კოტიკო.

მუშებმა მუშაობა განაგრძეს.

_ ეგ არის? _ ჰკითხა ზაზამ კოტიკოს.

_ არ ვიცი, ჰგაავს კი... _ ჩაილაპარაკა კოტიკომ.

_ გასაღები ხომ გაქვს? ნახე, და თუ მოერგება...

_ რა? ეგ რომ ამათ დაინახონ, მთელი თბილისი აქ მოქანდება.

_ რატომ ვითომ?

მაგრამ უკვე გვიანი იყო. კარი გაიღო და ეზოში ელიავას მუშები შემოცვივდნენ. ზოგნი მანქანებით იყვნენ, ზოგნიც უმანქანოდ. ერთი ორმოცდაათ კაცამდე მაინც იქნებოდნენ.

_ იპოვეთ? _ დაუძახა ერთ-ერთმა ახლად მოსულმა მომუშავე მუშებს. მუშები, რომლებმაც ხმაურზე მოიხედეს, გაჩერდნენ და პირები დააღეს. მოსულებმა კი პასუხს აღარ დაუცადეს, მაჯები დაიკაპიწეს და მუშაობას შეუდგნენ.

_ რა ხდება, რა ამბავია? _ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო კოტიკო.

_ რა ხდება, გენაცვალე, და ბანკებიდან რომ ფული გაქრა, აქ არისო, რომელიღაც სეიფში, ჯართში ჩაუბარებია ვიღაცას... _ უპასუხა რომელიღაც ხუმარამ.

_ ძმებო, ბიჭებო, რა ფული, რის ფული, ეგ სეიფები ჩემია, მე შევისყიდე, მე მიმაქვს.

_ შენი ბუს კვერცხებია, წადი მოიყვანე მაშინ პოლიცია, რას გაჩერებულხარ? _ უპასუხა ვიღაცამ და ჯართთან ჭიდილი განაგრძო.

_ ვინ უთხრათ, ნეტა? _ მოუტრიალდა კოტიკო ზაზას.

_ მობილურზე დარეკავდა რომელიმე, მაგარი შეცდომა დავუშვით. _ უპასუხა ზაზამ.

კოტიკო კაკოს ოფისში გაიქცა და კაკო ეზოში გამოიყვანა.

_ ხალხო, რა ხდება, ვინ მოგცათ უფლება?! ამწუთას პოლიციას გამოვიძახებ, ეს სახელმწიფო ქონებაა, ეე, ქაჯებო! _ დაუყვირა "მშრომელებს" კაკომ და კოტიკოს და ზაზას მიუტრიალდა: _ ვინა ხართ, ბიჭო, ეს რა ჩამიწყეთ? რა ხდება ეს, ამდენი ხალხი საიდან მორეკეთ?!

_ მე რა მოვრეკე, მე ერთი ხუთი მუშა ვიქირავე, მარტო! _ გიჟს ჰგავდა კოტიკო.

ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ საიდანღაც ტელეჟურნალისტებიც გაჩნდნენ და ხალხს კამერები მიუშვირეს.

_ ეს ერთი! _ დაიძახა ვიღაცამ და ყველა იქ მყოფი, იმ ორკარიან სეიფს მიესია. გამოათრიეს და ნაწლავები გამოადინეს, ისე დაშალეს ნაკუწ-ნაკუწ.

_ აქ თუ აღმოჩნდა, დავიღუპე. _ ფერი აღარ ედო სახეზე კოტიკოს. ზაზა კი თანაუგრძნობდა, მაგრამ, გულში მაინც ფიქრობდა, _ "ქარის მოტანილს ქარი წაიღებს"-ო...

_ ეს მეორე. _ დაიძახა ახლა სხვამ და ის მეორეც, ასევე ორკარიანი სეიფიც, ნაკუწ-ნაკუწ აქციეს.

მალე ისე გადაიჭედა ეზო ხალხით, ტევა არ იყო. მუშებმა ერთი შვიდი სეიფი კიდევ იპოვეს და კოტიკოს თვალწინ ნაწილ-ნაწილ დაშალეს. ფული კი არსად ჩანდა. მართალია, თანდათან იმედი უცრუვდებოდათ, ფეხს მაინც არავინ იცვლიდა. იმ შვიდი სეიფიდან, მარტო სამი იყო ერთკარიანი. როცა მათ შლიდნენ, კოტიკო ამ ქვეყნად მოსაბრუნებელი ხდებოდა, მაგრამ მისი ფული არცერთში არ აღმოჩნდა და ის და ზაზაც ის იყო იქაურობას უნდა გასცლოდნენ და კარში უნდა გასულიყვნენ, რომ პიჯაკის საყელოში კოტიკოს ვიღაც სწვდა და შეაჩერა.

_ საით, ძმაო, საით? ფულს ვინ გადაგვიხდის, ღმერთი? _ კოტიკოს, დამრეც შუბლიანი, თავწაწვეტებული ტიპი ებღაუჭებოდა.

_ რა ფული, შენ თავში ფიცარი ხომ არა გაქვს!? _ იქით შეუტია კოტიკომ, მაგრამ იმ ტიპს ხელი მაინც ვერ გააშვებინა.

_ გარბის, ბიჭებო, ფულს არ იძლევა, _ იყვირა იმ ტიპმა და კოტიკოს დანარჩენმა მუშებმაც სასწრაფოდ შემოარტყეს წრე.

_ მუშას ქირაობ და ფულს არ აძლევ, შე მათხოვარო? _ წამოეშველნენ, მაშინვე, სხვებიც თავწვეტიანს.

_ კაი, ხო, მოგცემთ, მაცალეთ, ახლავე! _ კოტიკომ ჯიბეში ჩაიყო ხელი და ასლარიანი ამოიღო. _ აჰაა, აი, და გაიყავით. _ მისდა გასაკვირად მუშებმა მაშინვე ხელი უშვეს და გაერიდნენ, ყველა იმას გაჰყვა, ფული ვისაც მისცა კოტიკომ.

_ აუ, რას გადავრჩით! _ ამოისუნთქა ზაზამ, როგორც კი ის და კოტიკო მანქანაში ჩასხდნენ. _ ეს რა ხდებოდა, რა ამბავი ატყდა, ეე!

_ ბედი ჩემი, რო ის სეიფი აქ არ აღმოჩნდა. აუ, თუ უკვე ბათუმშიცაა, ან "ვაფშე", თურქეთში? _ ჩაფიქრდა კოტიკო.

_ კაი, რა ბიჭო, რა ბათუმი, რა თურქეთი, გაგიჟდი? _ ცდილობდა დაერწმუნებინა ასეთი ძიების უაზრობაში კოტიკო ზაზას.

_ არა, სჯობს ჯერ ისევ აქაურ პუნქტებს ჩამოვუარო. _ გადაწყვიტა კოტიკომ.

_ აბა, შუბლზე მიიდე ხელი, კარგადა ხარ? ვინღა გამოგვიჩენს სეიფს, ერთ საათში ეთერში ვიქნებით, ალბათ. ვერ ნახე რამდენი ვიდეოკამერა ჰქონდათ მოტანილი?

_ აბა, რა ვქნა, გულხელი დავიკრიფო და პირდაპირ მტკვარში გადავხტე თავით?! _ კოტიკომ მანქანა დაძრა და სანაპიროსკენ, როზის სახლისკენ გასწია, სადაც ზაზას მანქანა იყო დატოვებული.

_ მომისმინე კოწია, _ წამოიწყო ისევ ზაზამ.

_ ჰო.

_ მოდი, რა, მაგ მაყუთზე ფიქრს შეეშვი.

_ რატომ?

_ რატომ და რომც იპოვო, მით უარესი შენთვის.

_ ვერ მივხვდი.

_ რას ვერ მიხვდი, ტო! რა უნდა უყო მაგდენ ფულს, სად უნდა წაიღო? ხელით ატარებ? ბანკში ვერ შეიტან და ვერაფერი.

_ მერე?

_ რა მერე, ტო. ცოცხალს ვინ დაგტოვებს. ეგრევე ყელს გამოგჭრიან, ტო!

_ რა? მაგ ფულის ამბავი მარტო შენ იცი, მეტმა არავინ. შენ მიპირებ ყელის გამოჭრას?

_ რა? ვინც ეგ სეიფი წაიღო, იმან არ იცოდა არაფერი? ჩამო რა, ჩამოეხეტე ღრუბლებიდან. მიიხედ-მოიხედე, ტო, რა წუმპეში ცხოვრობ, გესწავლება?

_ ჰო, მარტო ღმერთი თუ მიშველის ახლა, _ ჩაილაპარაკა და პირჯვარი გადაიწერა კოტიკომ.

_ სწორია, ჩვენი ქვეყანასავით! _ მიუსამძიმრა ზაზამ.

მანქანა იქვე დახვდათ, ხელი არავის ეხლო.

_ რას აპირებ, სად უნდა გაათენო? _ ჰკითხა ზაზამ სანამ გადავიდოდა.

_ არა მაქვს მაგის პრობლემა, მოვახერხებებ რამეს, _ უპასუხა კოტიკომ და დაემშვიდობა.

"გარეკა კაცმა, არც გაემტყუნება. მის ადგილზე ყველაც გარეკავდა. გუშინ მილიონერი იყო, დღეს კი მათხოვარია და ტუსაღი _ "ბეზ პიწი მინუტ". _ გაიფიქრა კოტიკოზე ზაზამ და თავისი მანქანის კარი გამოაღო.

_ მანქანაში, სად უნდა გავათენო, ვის ვენდობი? _ ჩაილაპარაკა კოტიკომაც თავისთვის, როცა ზაზა გადავიდა და აქსელერატორს ფეხი მიაჭირა. ბნელდებოდა.

საღამოს კი ყველა სატელევიზიო არხები გადასცემდნენ.

"უცნაური მოვლენის ანუ სეირის მომსწრენი გახდნენ ვაგზლის სატვირთო ტერმინალის ტერიტორიის ახლოს მცხოვრები მოქალაქენი. ელიავას ბაზრობასთან მდგომი, დროებითი სამუშაოს მძებნელი, ასობით მუშახელი ჯართის გადამზიდ ტერიტორიას შეესია და რამოდენიმე საათის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ ჯართში ჩაბარებულ სეიფებში ფულს, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ მოსახლეობამ ბანკებში ჩააბარა და დაკარგა. ეგრეთ წოდებული, საბანკო "პირამიდების" ციებ-ცხელების დროს... გახსოვთ, ალბათ, თანხა ორმოც მილიონამდე დოლარს შეადგენდა, თანხის ამოღების ოპერაციას კი მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მეექვსე ქვე-განყოფილება ხელმძღვანელობდა. მაშინ ათასგვარი ეჭვი გაჩნდა ხალხში, ვინ იცის, ჩვენი ფული პოლიციამ გააქროო, ლაპარაკობდნენ. დღევანდელი დღეც იმ ამბების გადმოძახილი თუა. ჩვენი გადამღები ჯგუფი შემთხვევით შეესწრო რამოდენიმე სეიფის დამტვრევას, ჩვენ მოვახერხეთ და ერთ-ერთ "ოქროს მაძიებელს" გავესაუბრეთ.

კორესპონდენტი: უკაცრავად, რა პროფესიის ბრძანდებით?

მუშა: მე? მე ადრე “გილიოტინაზე” ვმუშაობდი, ჩარხმშენებელში... აი, ჩემი ხელი, _ ეკრანზე მუშის გაშლილი მტევანი გამოჩნდა. სამი თითი აკლდა. ცერი, სალოკი და შუათითი, _ ეს, აი, კომუნისტების ავადსახსენებელ დროს რომ ეძახიან... ახლა კიდევა, ყველაფერს ვაკეთებ: კალატოზი გინდა, ლესვა გინდა, ღებვა გინდა, პარკეტსაც ვაგებ, მეტლახსაც, კაფელსაც და ყველანაირ სანტექნიკასაც... მოკლედ, უნივერსალი ვარ...

_ აქ, აქ, რას აკეთებთ, რას ეძებთ?

_ რავი, ოქროაო თუ ფულიაო, ყველა აქ გამორბოდა და მეც გამოვიქეცი.

_ იპოვეთ მერე?

_ რო მეპოვა, გეტყოდი? ჩვენა, აი, მოლას რო დაემართა ისე დაგვემართა.

_ მოლას? რა დაემართა მოლას? საინტერესოა.

_ რა და, ხალხს მოატყუა, ფლავს არიგებენო, მუქთადო. ჰოდა, ეს ხალხი რო არ გაიქცაა, მოლამ უყურა, უყურა და, _ ე, მართლა ხო არ არიგებენო და ისიც იმ ხალხს გამოუდგა. რაღა ის მოლა და რაღა ჩვენა. აბა, რომელი გიჟი ჩააბარებდა ფულით სავსე სეიფს ჯართში? ვიღაცამ კოჭი გაგვიგორა, რაა, და ალჩუზე დაუჯდა.”

კოტიკომ ის ღამე როზის ქმრის სახელოსნოში გაათია, იმედი არ ჰქონდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ გამოჩნდნენო, ფიქრობდა. უშედეგოდ.

გადარჩენილმა ზეინაბმა, როგორც კი სკოლის ეზომდე მიაღწია, მისკენ გამოქცეული დედამისი დაინახა, რომელმაც შვილი გულში ტირილით ჩაიკრა და სულს ძლივს იბრუნებდა.

_ ისიც იქა არ, გოჩუნაი რომ ეძებდის, ის, ანუკი! _ მაშინვე უთხრა ზეინაბმა დედას.

_ ვაი, შენს დედასა, ქალაუ? _ ორივე ლოკა ჩამოიხოკა გულიკომ.

_ გოჩა, გოჩა სად არის? _ შეეკითხა ზეინაბი.

_ ბაზრობას გასწიეს სამივემ, იქ დავსძებნითო.

_ მე რო ანუკიმ გადამარჩინა? ანუკიმ მიამბის, რაიგ უნდ მოვქცეულიყავ, ჰო...

_ ღმერთო, ღმერთო, სიონის ხატებო, თქვენ შეეწიენით ამ ბავშვებსა! _ პირჯვარი გადაისახა, რადგან სხვა არაფერი შეეძლო, იმ წამს, გულიკოს. _ წამოი, ჩვენ მოვსძებნოთკე გადარჩენილებჩია. ხო სცნობილობ?

_ ხო!

და დედა და შვილი ანუკის საპოვნელად, აღელვებულ, ატირებულ, აქვითინებულ ხალხს შეერივნენ. ანუკი კი არსად იყო, არც მკვდრებში, არც ცოცხლებში. ის იმ ჯოჯოხეთიდან, რომელშიც თვითონაც არ იცოდა, როგორ და რატომ მოხვდა, დარიალის სამხედრო გზით, სასწრაფო დახმარების მანქანაში მიყუჟული, თბილისში ბრუნდებოდა. საკაცეზე კი, დაღლილი, მისავათებული თამრიკო ექიმი მოკუნტულიყო და ღრმა ძილში წასულიყო. ანუკის წამალმა თუ იმან, რომ გადარჩა, უშველა. სიცხეს გაევლო და ახლა საღი განსჯის და ფიქრის უნარიც დაბრუნებოდა. საზღვარი ისე გადაკვეთეს, მანქანა არც რუსებმა და არც ქართველებმა არ გააჩერეს. საშინელი, გამოუსწორებელი ტრაგედიის ამბავი, უკვე ყველამ იცოდა. ანუკი თვალგაფაციცებული იმზირებოდა სასწრაფოს პატარა სარკმლიდან, სანამ ლარსსა და სიონს გასცდებოდნენ, მაგრამ ვერც გოჩუნას და ვერც ვალიკოს თვალი ვერსად ჰკიდა. სიონის თეთრი ეკლესიის დანახვაზე პირჯვარი გადაიწერა, ერთხანს კიდევ იხედებოდა სარკმლიდან, მერე კი თავის ადგილს დაუბრუნდა და გაიფიქრა: “მომძებნის, არ დამკარგავს, ვერ დამკარგავს... თუ არა და, მე თვითონ მოვძებნი”. _ იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ სახლი დალუქული დახვდებოდა. მამა მიმალვაში მყოფი, ბაბუა კი საავადმყოფოში, სადაც დედას და ბებიასაც შეეფარებინათ თავი. ასეა, ზოგჯერ ისეთ დროს დაეკიდება ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილი, სამოთხე რომ გგონია დედამიწა, ხოლო ადამიანთა სევდა, შორი, უცხო პლანეტელების დაავადება.

როცა ვალიკო, ილია და გოჩუნა ბაზრობიდან შინ გამოიქცნენ, სკოლას, სადაც ტრაგედია დატრიალდა სალდათების კორდონი იცავდა. სკოლის ეზოში კი უკვე

აღარავინ იყო. ტრაგედიას სკოლის ეზოდან ოჯახებში და საავადმყოფოებში გადაენაცვლა და ახლა იქ გრძელდებოდა, ამ პატარა, ლამაზი ქალაქის, ეს მოუშუშებელი, სამუდამო იარა.

ილიამ იცოდა, რომ ზეინაბი გადარჩა, ანუკის შესახებ კი არაფერი იცოდნენ. სკოლას ჩაუარეს, რუსის სალდათებს მიაგინეს და სახლში შევიდნენ. ზეინაბი რომ დაეკიდა ყელზე მამას, აღარ მოსცილებია. ანუკის ამბავი კი ისე ცოცხლად უამბო მაშინვე, რომ ყველას თვალწინ დაუდგა როგორ იბრძოდა ეს ორი გოგონა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

_ იქა სძინებიყო, სკოლაჩია, ჩვენ გვერდითა. _ დაამთავრა მოყოლა ბავშვმა.

გულიკოს მკვდრების სიებიც წაეკითხა და დაჭრილებისაც, ვინც კი საავადმყოფოებში იყვნენ მოთავსებულნი, ანუკის გვარი და სახელი კი არსად ეწერა. ან როგორ ეწერებოდა, ვის უნდა ამოეცნო გვამი, თუ მკვდარი იყო? ალბათ, მარტო ზეინაბს. ზეინაბი კი ირწმუნებოდა, რომ ის, იქ, სკოლის ეზოში ნამდვილად არ ესვენა.

“სად უნდა გამქრალიყო ანუკი, ნუთუ მკვდარია? ნუთუ მოკლა იმ ტერორისტმა, არ დაინდო. ნუთუ ცხოველს გადაეყარა, თორემ ანუკისთანა სილამაზის დანახვაზე თვითონ სატანაც კი დადნებოდა, ალბათ. თუ გადარჩა, სად არის ნეტა, რას აკეთებს ახლა? ვინ შეიკედლა?” _ გოჩუნას წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მიმალვაში მყოფმა ისე გადაკვეთა საზღვარი და ისე მოხვდა ოსეთში ანუ რუსეთის ტერიტორიაზე, თავადაც უკვირდა. შეეძლო დარჩენილიყო, ყალბი დოკუმენტი გაეკეთებინა და გადარჩენილიყო. “მაგრამ ანუკი? _ რა ექნა, იმ ყოვლისმშანთქმელი გრძნობისთვის, გულ-მუცელში რომ უტრიალებდა, შანთავდა? _ ან რა უნდა ეფიქრა ანუკის? ზოგჯერ ქალები ამ დროს ისეთ უკიდურეს ზომებს მიმართავენ. განა ელენიკომ სისულელე არ ჩაიდინა? რატომ მოიკლა თავი? ვინ ამოხსნის ასეთ მრავალგანტოლებიან ამოცანას? ვერავინ! არა, ანუკის მიტოვება, ახლა, ასეთ სიტუაციაში _ უდიდესი სიდამპლეა, ან როგორ მიატოვებს, რანაირად? ხომ გაუსკდა გული. მაგრამ სად ეძებოს, როგორ მიაგნოს, რომ არ იცის? იქნებ თბილისშიც დაბრუნდა, თუ ცოცხალი გადარჩა, იქნებ მოახერხა დაბრუნება? ჰო, ჯერ ეს უნდა გადაამოწმოს, პირველ რიგში. მაგრამ როგორ? განა ეს კი ადვილია? ბიჭებს უნდა დაუკავშირდეს რამენაირად. მართლა, ილიას დაარეკინებს აქედანვე, ოსეთიდან, ჭილასთან. თუ მეგობრის დაკარგვა არ უნდათ, უნდა გაუგონ აუცილებლად, თბილისში ხომ არ დაბრუნებულა ანუკი?” _ ასეც მოიქცა.

თბილისში სასწრაფოს მანქანით დაბრუნებულმა ნაავადმყოფარმა ანუკიმ როგორც კი თავიანთი ეზოს ჭიშკარზე ზარის ღილაკს თითი მიაჭირა, მოპირდაპირე სახლში ფანჯარა გაიღო და მალვინა დეიდამ გამოიხედა.

_ შვილო ანუკი, შენ ცოცხალი ხარ? _ ტუჩზე მიიდო ხელი გაკვირვებულმა მეზობელმა. _ მოდი, ჩემთან შემოდი, შვილო, თქვენს კარს ლუქი ადევს, პოლიციამ დაადო, ვერ გააღებ.

_ ლუქი? _ ახლაღა დაინახა ანუკიმ საკეტთან გაკეთებული ნაცრისფერი ლუქი და წვრილი რკინის მავთულიც. _ რა მოხდა?

_ შემოდი, შემოდი, მანდ ნუ დგახარ, ყველაფერს მოგიყვები.

ანუკიმ ქუჩა გადაჭრა და მეზობლის სახლში შევიდა. მალვინამ კი საეჭვოდ მიკეტა კარი.

_ წამოდი, წამოდი, სამზარეულოში დავსხდეთ. იცი, შენ ლამის გამოგიტირეთ ყველამ. ცოცხალი არც გვეგონე!

_ ჩემები სად არიან, დედა, მამა, რა დაემართათ? _ შესვლისთანავე იკითხა ანუკიმ.

_ დედაშენი და მარიეტა საავადმყოფოში ათენ-აღამებენ, სანდრომ, ბაბუაშენმა მენჯის ძვალი მოიტეხა, ტრამვატოლოგიურში წევს, კამოზე. აი, მამაშენი კი არავინ იცის, სად არის. მამაშენს პოლიცია ეძებს. _ სასწრაფოდ მიახალა ახალი ამბები მალვინამ.

_ რას მეუბნებით, მალვინა დეიდა, რას ნიშნავს ისინი საავადმყოფოში და მამაჩემს კი პოლიცია ეძებს?

_ მე რაც ვიცი, ის გითხარი, შვილო, რაც ნამდვილად ვიცი, ის.

ანუკის მაგრად, ძალიან მაგრად შეეშინდა. სანამ მე წასული ვიყავ, აქ, როგორც ჩანს, ქვეყანა გადაბრუნებულაო, გაიფიქრა. მერე კი ყველაფერი გაიგო. მამამისის მფარველის დაჭერას რომ აუწეწავს ყველაფერი.

_ რაც კი რამე გაგაჩნდათ, ყველა სახლი, აგარაკები თუ მანქანები, ყველაფერი კონფისკაციას ექვემდებარება, თურმე. _ დაამთავრა მოყოლა მალვინამ. _ ყველაფერი დაყადაღებული და დალუქულია. მე კი გაგათევინებ შენ აქ, ერთ-ორ ღამეს, მაგრამ არავინ უნდა გაიგოს, არავინ. შენ, შვილო, შენ რატომ არ მიყვები შენს თავზე არაფერს?

_ არ ვიცი, რა უნდა მოგიყვეთ და იმიტომ. არ მაქვს არაფერი მოსაყოლი და იმიტომ... _ და უეცრაD ჰკითხა: _ შეგიძლიათ, ტანი დამაბანინოთ?

_ კი, კი, როგორ არა, დაფაცურდა მაშინვე მალვინა. მაგრამ გაზქურაზე უნდა გაგიცხელო ქვაბით და ისე დაიბანო, ხელით, ხომ იცი...

_ ვიცი, ვიცი, ჩემთვის სულერთია, ოღონდ ოდნავ მაინც იყოს თბილი...

_ კი, კი, კარგად გაგიცხელებ, რა პრობლემაა.

ანუკიმ ტანი დაიბანა. ისევე როგორც ბანაობს საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი ან მეტიც, ალბათ. აბაზანაში, თავისი ხელით რომ ისხამს თავზე წყალს. რა მოხდა მერე? არც არაფერი. გაიღვრიჭა. რაც ეცვა ისევ იმ სამოსით შეიმოსა, მალვინას მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის, ხუთი ლარიც ესესხა, რომელიც მალვინას, შემთხვევით, მართლაც აღმოაჩნდა და საავადმყოფოში გავარდა.

რა დაემართებოდათ, ნინიკოს, მარიეტას და სანდროს ანუკის დანახვაზე? გაგიჟდნენ, გადაირივნენ ისე გაუხარდათ, ცრემლებში დაალბეს ლამის. ანუკის კი გული მოუკვდა, ერთ დროს ასე გალაღებული და გაფურჩქნილი შინაურები ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა. ყველაზე მეტად კი დედამისის, ნინიკოს თეთრმა, ჭაღარა თმებმა გააკვირვა. ის მუდამ ლამაზად თმაშეღებილი დადიოდა და ანუკის მისი თმების სიჭაღარავეზე და, საერთოდ, მის წლოვანებაზე წარმოდგენაც არ ჰქონია, თურმე, არასოდეს. ანუკისთვის, რომელმაც სიყვარულის გამო, ამ ბოლო დღეებში ბედის უამრავი დარტყმა გადაიტანა და დასძლია, დედის ჭაღარა მაინც მძიმე ასატანი იყო. დიახ, ეს მისთვის ისეთი მომენტი იყო, როცა ადამიანს ერთბაშად ათი და ოცი წელი ემატება.

_ დედა! _ წამოსცდა ანუკის და ერთხელ კიდევ გადაეხვია, ერხელ კიდევ ჩაეკონა, ერთხელ კიდევ დაუკოცნა და დაულბო ცრემლით ყელი. _ ნუ იდარდებ, აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი ჩაივლის...

როცა ანუკი საავადმყოფოდან გამოვიდა, თან ის ჯოჯოხეთური განცდა გამოჰყვა, რომლითაც იშვიათად, მაგრამ მაინც "აჯილდოვებს" ცა თავის რჩეულებს. პირველ რიგში, ღამის გასათევზე უნდა ეზრუნა. რა თქმა უნდა, ჯერ თანაკლასელები გაახსენდა, ლიზი და ბარბარა, მაგრამ იმწამსვე ამოიგდო ორივე თავიდან. "სულში ჩამიძვრნენ, პირველი ღამის ყველა დეტალზე დაწვრილებით უნდა გამომკითხონ"... _ და ბიჭები გაახსენდა: მოდღლეზილი ჭილა, მოშავო კაენა და ჭკვიანი, მოინტელიგენტო გიგო.

ჭილამ ანუკის ხმა რომ გაიგონა ტელეფონში, ჯერ იფიქრა, ალბათ სიონიდან მირეკავსო, მაგრამ როცა ანუკიმ უთხრა, სად ხარ შენი ნახვა მინდაო, ცოტა შეფუცხუნდა.

_ აუ, შენა ხარ, მართლა, ანუკი? სადა ხარ? თბილისში ხარ? გოჩუნა?

_ ვერ გეტყვი, არ ვიცი, _ უპასუხა ანუკიმ და გაჩუმდა.

ჭილა მიხვდა, რომ კარგად არ უნდა ყოფილიყო საქმე, ანუკის მამის ამბავიც, რა თქმა უნდა, როგორც მთელმა ქვეყანამ, მანაც იცოდა და აღარ გააგრძელა.

_ სადა ხარ, სად გნახო?

_ მარჯანიშვილის მოედანზე, აფთიაქის წინ, ტელეფონთან ვდგავარ.

_ დამელოდე, ათ წუთში მოვალ!

ანუკი იდგა აფთიაქის წინ და გამვლელებს უმზერდა. ხალხს დაჩმორებული, დამძიმებული სახეები ჰქონდა. ერთი ღიმილი, ერთი სიცილი არსად ისმოდა. ქურთი, თათარი, სომეხი, უფრო საქმიანად დადიოდა. ქართველებს ბევრად ჩაფიქრებული

სახეები ჰქონდათ. ბინდდებოდა. ჭილა ზუსტად ათ წუთში გამოჩნდა. არც ჭილას გაუღიმია. დაუსიგნალა და გვერდითა კარი გამოაღო. ანუკი ჩაჯდა. აკოცა ჭილას და სახეზე ხელები აიფარა.

_ რა მოხდა, სად გაქრი სიონიდან? _ შეეკითხა ჭილა.

_ კი არ გავქრი, მომიტაცეს.

_ ჩვენც ეგ ეჭვი გვქონდა. ვინ მოგიტაცა, რა ხდებოდა, რა უნდოდათ?

_ არ ვიცი, არ ვიცი... ახლა უარეს დღეში ვარ. ჩემები საავადმყოფოში ათევენ, ყველაფერთან ერთად, ბაბუაჩემს მენჯის ძვალი გაუტეხავს... ბედი ხომ გინდა.

ჭილამ ელბაქიძე აიარა, "ვარდების მოედანზე" გაუხვია და რუსთაველზე გავიდა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა ანუკიმ.

_ ჩემთან. მამაჩემი რუსეთშია. დედაჩემია სახლში და _ ჩემი და.

_ და? შენზე დიდია თუ პატარა?

_ ტანით თუ წლოვანებით?

_ წლოვანებით, ტანით არა...

_ პატარაა, მესამე კლასშია. ტანით კი უკვა ჩემხელაა. მართლა, მართლა.

_ რა ჰქვია?

_ მარიამი.

მანქანა ეზოში შევიდა. ჭილამ თავის ფარეხის წინ გააჩერა.

_ აი, იქ ცხოვრობს, აიმ კუთხეში გოჩუნა, პირველ სართულზე. შუშაბანდი და ერთი დიდი ოთახი აქვთ. იცი, მისი ოჯახის ამბავი?

_ არა, რა ამბავი? არაფერი არ ვიცი.

_ მშობლები რომ ავარიაში დაეხოცა. ერთი ბებია ჰყავს მარტო, ისიც ინვალიდი... "კალიასკაში" ზის.

_ "კალიასკაში"? _ ანუკიმ ტუჩი მოიკვნიტა.

ხის კიბეს აუყვნენ და მესამე სართულზე ავიდნენ. ჭილამ ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი მარიამმა გააღო.

_ ეს ანუკია, _ გააცნო დას ჭილამ ანუკი.

_ მართლა? მე მარიამი. _ ცოცხლად მიუგო მარიამმა, რომელიც, თავის წლოვანებასთან შედარებით, მართლაც დიდი გოგო აღმოჩნდა.

_ ჭკვიანურად მოიქეცი, შენებურად არ იტინკიცო! _ გააფრთხილა რატომღაც ძმამ და.

_ რა მოხდა, რომ ვიტინკიცო? _ შეეპასუხა მარიამი.

_ ამხელა გოგოა და ტვინი არა აქვს, _ შესჩივლა ჭილამ ანუკის და მისაღებისკენ მიუთითა.

_ ტანი აქვს დიდი, ტანი, პატარაა და იმიტომ, _ გამოსძახა სამზარეულოდან ჭილას დედამისმა, რომელიც, როგორც ჩანს, სტუმრის დასახვედრად ემზადებოდა. _ აქ შემოიყვანე, რა, შენი სტუმარი, მე ვერ გამოვდივარ.

_ კარგი, წამოდი სამზარეულოში, გაგაცნობ ჩვენს მადონას, _ უთხრა ჭილამ ანუკის და სამზარეულოში შეუძღვა.

ჭილას დედას, რომელსაც მართლაც მადონა ერქვა, ბადრიჯანი დაეჭრა და დაებრაწა და ახლა მჭადებს სვამდა ტაფაში. ანუკის დანახვაზე ერთბაშად გაშეშდა.

_ ااا, ახლა კი აღარ მიკვირს, რამ დააგიჟა ეს ბიჭები და რატომ შეჰყვარებიხარ, ასე, ერთი ნახვით, გოჩუნას. შენისთანა მშვენიერი ქალის რძლობაზე არც მე ვიტყოდი უარს.

_ კარგი, რა, დედა, სისულელეებს ნუ იტყვი. _ უსაყვედურა ჭილამ.

_ არ ვიცი, არ ვიცი, ძალიან მეშინია ვინ შემოვა ჩემს ოჯახში. _ თქვა ქალბატონმა მადონამ და ტაფას ხუფი დაახურა. _ სად გავშალო? _ მიუბრუნდა ის ჭილას.

_ იცით, რა? ნუ წუხდებით... _ ალბათ ზრდილობის გამო წამოსცდა ანუკის, თორემ საჭმელების სუნზე მადაც მოუვიდა და გემოზეც შიოდა.

_ რას ჰქვია ვწუხდები? _ ისე მაინტერესებს შენი და გოჩუნას ამბავი, ისე მაინტერესებს... _ წამოიწყო მადონამ.

_ დედა! _ მკაცრად წარმოთქვა ჭილამ.

_ რა? გინდა პირში წყალი ჩავიგუბო და, საერთოდ, ხმა არ ამოვიღო? _ არ მოაკლო სიმკაცრე თავის სიტყვებს მადონამაც.

_ მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ შენ მაგას როგორ მოახერხებ, დედა! _ ტონს დაუკლო ჭილამ.

_ ყველაფერი რომ მოვყვე, გაგიჟდებით! _ თქვა ანუკიმ და სკამზე ჩამოჯდა.

_ მოიცა სუფრა გადავაფარო, _ მადონამ იქვე, სამზარეულოს კარადის უჯრიდან, ლამაზი მოყვითალო სუფრა ამოიღო და მაგიდას გადააფარა.

_ თეფშებს და ჭიქებს მე დავაწყობ, მეც მოგეხმარებით, _ გამოაცხადა მარიამმა და თანხმობას აღარ დაელოდა, იმწამს გადმოალაგა ჭურჭლეული და დანა-ჩანგალიც.

_ არ ვიცი, ისე სწრაფად იზრდება ეს ბავშვი, როგორც ზღაპრებში, ათი წლისაც არ არის და შეხედეთ, რამსიმაღლეა. სადამდე უნდა წავიდეს არ ვიცი. _ შესჩივლა მადონამ ანუკის.

_ ცამდე, ცამდე... _ შეხტა და ტაში შემოჰკრა მარიამმა.

სუფრა სწრაფად გააწყვეს და ის იყო, ანუკიმ პირველი ლუკმა გადაყლაპა, რომ ჭილას დედამ უეცრად იკითხა:

_ ელენიკოს ამბავი იცის ანუკიმ?

_ შენ რა, გაგიჟდი, დედაჩემო?! _ ახლა კი ვეღარ მოითმინა ჭილამ და სკამიდან წამოხტა.

_ რა ამბავი? _ იმწამსვე ჩაერთო ანუკი და გულმაც უგრძნო, რომ რაღაც ცუდი, რაღაც არასასიამოვნო ამბავი უნდა მოესმინა.

_ სჯობს, რომ წინასწარ იცოდეს. _ მაინც გამოსცრა კბილებში მადონამ და ოდნავ მოიხარა წელში, თითქოს შვილისგან დარტყმას ელისო.

_ დედა, ეგ რომ მცოდნოდა, აქ ხომ არ ამოვიყვანდი, დედაჩემო! _ გამწარდა ჭილა.

_ დიახ, მირჩევია ვიცოდე, _ თქვა ანუკიმ და მოსასმენად მოემზადა.

_ არავინ არ იცის, რა მოხდა, _ დაასწრო დედას ჭილამ.

_ ელენიკომ თავი მოიკლა, _ წამოიძახა უცბად მარიამმა.

_ მარიამ, შენ გაჩუმდი! _ დაჰკივლა დედამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

_ ვლენიკო ვინ იყო? _ იკითხა ანუკიმ.

_ იყო, რა, ერთი ჩვენი მეზობელი. ორმოცი წლის. _ თქვა ჭილამ.

_ ჯერ ერთი, ორმოცის კი არა, ოცდათხუტმეტის არც იყო... _ თქვა და გაჩუმდა მადონა.

_ მერე? _ იკითხა ცივად ანუკიმ.

_ გოჩუნას უყვარდა, _ ისევ ყველას დაასწრო მარიამმა.

_ აბა, გადი გარეთ! “მარშ”, აქედან! ერთ სიტყვასაც იტყვი და ამოგაგლეჯ მაგ ენას, შიგ ძირში! _ დაჰკივლა დედამ მარიამს.

_ ვა, რა ვთქვი ისეთი? _ მაინც შეჰბედა დედას მარიამმა.

_ გადი, გარეთ, რომ გეუბნებიან. _ მადონამ ხელი მოჰკიდა შვილს, მკლავზე ერთი კარგადაც მოჩქმიტა და სკამიდან წამოაგდო. მერე თვალებიც გადაუბრიალა და ატირებული მარიამიც სამზარეულოდან გაიძურწა. _ სულ იმას ჩავჩიჩინებ უფროსების საუბარში ნუ ერევი-მეთქი, მაგრამ ვერაფრით გადავაჩვიე.

ანუკი გაყუჩებული იჯდა სკამზე. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ერთი სიტყვაც და გული წამივაო. ფერი დაკარგა და აღარაფრის გაგონება არ სურდა.

_ ცუდად ხომ არა ხარ? _ შეეკითხა ჭილა.

_ ჰო... _ თქვა ანუკიმ და თვალები დახუჭა.

_ კონიაკი, კონიაკი მოსვი! _ და მადონამ ანუკის კონიაკიანი ჭიქა მიაწოდა.

ანუკიმ ცოტა მოსვა თუ არა, მაშინვე მოსულიერდა.

_ ეს გულისხეთქება მინდა, მე, კიდევ? _ ჩაილაპარაკა მადონამ.

_ მითხარით რა მოხდა, ნუ დამიმალავთ... _ თქვა ანუკიმ და ჭილას შეხედა.

_ თუ დამიჯერებ, არავინ არაფერი იცის, გოჩუნა აქ არაფერ შუაშია, რამე რომ ყოფილიყო, ჩვენ არ დაგვიმალავდა, ბიჭებს... ას პროცენტში გვეტყოდა... უბრალოდ,

დაემთხვა ზოგი რამე. წინა საღამოს ელენიკოს კარი ჩაეკეტა და გოჩუნა ფანჯრიდან გადაძვრა, რომ დახმარებოდა...

_ ...და მთელი ღამე იქ დარჩა, _ დაამთავრა ჭილას ნათქვამი მადონამ.

_ რა მთელი ღამე, დედა, შენც აჰყევი, არა, მეზობლების ჭორებს!.. _ შეუბღვირა დედას ჭილამ.

_ პოლიცია ეძებს მაგ ვაჟბატონს, _ მაინც მიახალა ორივეს მადონამ.

_ დედა! _ ახლა კი დაუღრიალა ჭილამ დედას, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

_ გოჩუნას? პოლიცია? _ ეს ყველაფერი უკვე იმდენად სცილდებოდა ანუკის წარმოდგენებს და რეალობას, რომ ანუკიზე აღარ უმოქმედია. ამ წუთამდე, მიუხედავად ბედის ულმობელი დარტყმებისა, გოჩუნას იმედით საზრდოობდა და ცოცხლობდა, "გოჩუნა კი, ისევე, როგორც მამამისი, ძებნაშია?"

_ იმ ქალმა თავი მოიკლა, გოჩუნა რა შუაშია? _ გამოაცხადა ჭილამ.

_ ექსპერტიზამ დაადგინა, რომ წინადღის გაუპატიურებული იყო,.. _ ისევ არ დაინდო არც შვილი და არც სტუმარი მადონამ.

_ გმადლობთ!.. _ თქვა ანუკიმ, სკამიდან წამოდგა და კარისკენ წავიდა.

_ დედა, შენ გიჟი ხარ, ქალო?! _ იყვირა ჭილამ და ანუკის გამოუდგა, მაგრამ ანუკი მკაცრად მოტრიალდა, ხელი წინ გაიშვირა, მტევანი გაშალა და ბიჭი შეაჩერა.

_ არ გამომყვე! ყველაფერი გასაგებია!

_ მაგრამ თუ დამიჯერებ, გოჩუნა არაფერ შუაშია! _ ხელები ჩამოუშვა მორჩილების ნიშნად ჭილამ.

_ მჯერა! მაგრამ ნუ გამომყვები! _ ანუკი ცივი და შეუვალი იყო, გავიდა და კარი გაიკეტა.

კიბეზე სწრაფად ჩაქანდა, თითქოს უკან მისდევენო, ეზოში გავიდა, გადაჭრა და იათოს კარს მიადგა. დაუფიქრებლად დააკაკუნა.

_ მობრძანდით! _ გაისმა იათოს ხმა შიგნიდან.

ანუკიმ კარის სახელური დასწია და მიაწვა. კარი უხმაუროდ გაიღო. შუშაბანდში, სადაც გაზქურა, წყლის ნიჟარა და ჭურჭლის კარადა იდგა, არავინ იმყოფებოდა. კარი, რომელიც ოთახში გადიოდა, ორფრთიანი აღმოჩნდა, მინებიანი და ზედ ხელოვნური, გამჭვირვალე ფარდები ჰქონდა. ანუკიმ კარი შეაღო და შორს, გრძელი მაგიდის იქიდან, "კალიასკაში" ჩაფლული იათოს მონუსხული მზერა შენიშნა. ეს მხოლოდ წამით იყო, მერე კი კედლებისკენ გაექცა თვალი, რომელიც იათოს მუზეუმს წარმოადგენდა, იათოს უამრავი ფოტოებით, ცხოვრებაში თუ ოპერებიდან. ანუკი ოთახში შევიდა და კარი უხმაუროდ მიკეტა. იათო ტუჩმოკუმული ისევ მკაცრად უმზერდა. "შერჩენია სილამაზე", _ გაიფიქრა ანუკიმ და მისკენ დაიძრა.

_ რომელი ხარ? _ მშვიდად ჰკითხა იათომ.

_ მე ანუკი ვარ! _ უპასუხა ანუკიმ და მიუახლოვდა.

იათომ ხელი მოიჩრდილა და ისე გახედა.

_ აბა ანუკი?

_ როგორ გითხრათ, მე თქვენ არ მიცნობთ...

_ მაშ, რატომ მოხვედი, შვილო?

_ იმიტომ რომ, სხვა გზა არ მქონდა. მე გოჩუნას შეყვარებული ვარ. _ დამარცვლით წარმოთქვა ანუკიმ.

_ გოჩუნას შეყვარებული? თვითონ გოჩუნა, გოჩუნა სად არის? ცოცხალია?

_ კი, კი, ცოცხალია, მისი დარდი ნუ გექნებათ...

_ თუ ცოცხალია, რატომ არ რეკავს, რატომ არაფერს მატყობინებს, რატომ წერილს მაინც არ მომწერს?

_ ნუ ღელავთ, რა? მაშ მე რატომ მოვედი თქვენთან? მოვედი, რომ შეგატყობინოთ, რომ ცოცხალია და ძალიან კარგადაც არის...

_ პოლიცია რომ ეძებს? ერთმა გამომძიებელმა სამი ღამე გაათია ჩემთან. ძლივს გავაგდე.

_ გააგდეთ? როგორ გააგდეთ?

_ ავწივლდი საშინელ ხმაზე და აღარ გავჩუმდი. შენ, შენ რას აპირებ, უნდა დარჩე თუ უნდა წახვიდე? შენიანებმა იციან, თუ გამოიპარე?

_ იციან, დიახ, ყველაფერი იციან. _ დაუფიქრებლად იცრუა ანუკიმ, რადგან სიმართლის თქმას, ართქმა არჩია.

_ შენ, იცი, რომ გოჩუნას ელენიკოს გაუპატიურებას აბრალებენ? შენ იცნობდი ელენიკოს? _ რაც ყველაზე მეტად აწუხებდა, ის აინტერესებდა, როგორც ჩანს, იათოს.

_ არა, მე აქ არ ვცხოვრობ. მე ზემო ვაკეში ვცხოვრობ, გოჩუნა გიმნაზიაში მაკითხავდა.

_ ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს? მე ის არაფერს მიმალავდა?

_ ვერ მოასწრო, ალბათ, თქმა...

_ კი, კი, ასე იქნებოდა, თორემ აუცილებლად მეტყოდა. ის უდანაშაულოა, დამიჯერე, როგორ შეიძლება, ის ხომ ჭიანჭველასაც ვერ დაადგამდა ფეხს. მე მუდამ იმას ვასწავლიდი, გოჩუნა, მატლი, რომ მატლია, ისიც ღვთის გაჩენილია, იცოდე, მისი მოკვლაც კი, ცოდვაა-მეთქი. უყვარდა ელენიკო, განა არ უყვარდა? მაგრამ რომელმა რომელი გააუპატიურა, გოჩუნამ ელენიკო თუ ელენიკომ გოჩუნა? აი, რა არის საკითხავი... _ იათო გაჩუმდა და ღრმად ამოისუნთქა, მერე კი ქვითინი აუვარდა და, მიუხედავად იმისა, რომ ანუკი ამშვიდებდა და წელზე ეფერებოდა, როდის, როდის დამშვიდდა.

_ ცოტახანს მე შევცვლი გოჩუნას, მე უკეთესად არ მოგივლით?

_ მერე, ფული გაქვს, რომ? რით მომივლი, ჩემი ინვალიდობის ოცდათვრამეტლარიანი პენსია გვეყოფა? _ თავისი მიამიტი, დიდი ცისფერი თვალებით მიაჩერდა იათო ანუკის.

_ თუ არ გვეყოფა, ღმერთი მოგვცემს... _ დაამშვიდა ანუკიმ.

_ ღმერთი? ღმერთი რომ რაიმეს მომცემი ყოფილიყო, შვილსა და რძალს კი არ წამართმევდა, აი, უამრავი სანთელი დავანთე, გოჩუნა კი არსად ჩანს... _ იათომ ანუკის ძველებურ, ოქროსფერ შანდალზე მიუთითა.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ანუკი საშინლად დაიძაბა. იათომ თვალები მოჭუტა. არც ის ელოდა არავის. ვინ უნდა ყოფილიყო ასე გვიან?

_ შემობრძანდით! _ გასძახა მან თავის, მიუხედავად სიბერისა, მაინც ლამაზი ხმით.

კარი გაიღო და ზღურბლზე გამომძიებელი გური ცინცაძე გამოჩნდა, რომელიც ელენიკოს თვითმკვლელობის საქმეს იძიებდა. კარიერაზე, როგორც ბევრ მის კოლეგას, მასაც კბილები უკაწკაწებდა, ერთი მაგარი საქმე არ შემხვდაო, მუდამ ამას დარდობდა. ახლა კი, თუ ყოჩაღად მოიქცეოდა და ვიღაც გოჩუნას გაუპატიურებას "შესტენიდა", შესაძლოა, ოდნავ მაინც წინ წაწეულიყო. ანუკი მაშინვე იცნო, ეტყობა, უკვე ყველაფერი იცოდა მისი და გოჩუნას ურთიერთობის შესახებ. ოჰო, ვარია გამოჩენილა, მაშ მამალიც აქვე უნდა დაიფხორებოდესო, _ გაიფიქრა და გადაწყვიტა თავი მოეჩვენებინა, ვითომც ვერ იცნო.

_ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ქალბატონო იათო, სტუმარი გყოლიათ, სხვა დროს გესტუმრებით. არა, ბოდიში, მარტო ერთ შეკითხვას დაგისვამთ და გავალ.

_ ბრძანეთ! _ ცივად უპასუხა იათომ.

_ თქვენს შვილიშვილს ჯერ კიდევ არ დაურეკავს და არც გამოჩენილა?

_ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, არა, არა, არა!

_ კარგით, ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ, რა ხდება? მე ჩემს მოვალეობას ვიხდი, თქვენ გგონიათ, მე მიხარია, აქ რომ დავიარები? ნახვამდის! _ კარი გამოიკეტა და გამოვიდა, მაგრამ საოცრად კმაყოფილი ბრძანდებოდა. "გამოჩნდება, წყალი არ გაუვა, ასეთ კურტუმოს მარტოს არავინ დასტოვებს", _ გაიფიქრა გახარებულმა და მანქანა დაქოქა.

_ ხვალვე გავაფრთხილებ ბიჭებს, რომ უთვალთვალონ... _ ჩაილაპარაკა ხმამაღლა და ეზოდან ნელი სვლით გავიდა.

იმ ღამეს ანუკი გოჩუნას ლოგინში ჩაწვა. საბანი თავზე წაიფარა და დიდხანს, დიდხანს ტკბებოდა იმ სუნით, რომელიც თეთრეულს ჰქონდა და რომელიც გოჩუნასთან გატარებულ იმ პირველ და უკანასკნელ ღამეს აგონებდა.

როგორც კი გოჩუნამ ჭილასგან გაიგო, რომ ანუკი თბილისში მშვიდობიანად, ჯანმრთელი და საღსალამათი დაბრუნებულიყო, ვალიკო ააჩქარა და უკან გამოსწიეს. იგივე პროცედურა გაიმეორეს. ავტომატი და "ხებე" ზურგჩანთაში ჩადეს და ტერსკოლის მთებით უღელტეხილისკენ დაიძრნენ. დღისით ხევ-ხუვებში დაძრწოდნენ, ღამით კი მოშიშვლებულ მთა-გორებს უტევდნენ. თან გულიკოს გამოტანებულ საგზალს, ტაფაში გამომცხვარ ხაბიზგინებს და გუდის ყველს მიირთმევდნენ. გოჩუნა ისე გარბოდა და ჩქარობდა, ვალიკო ვეღარ ეწეოდა.

_ დამიცდიდი-კე, ე, ვირუკელავ, არვინ მაგტაცას, ვის რაღად უნდის, ცარიელ-ტარიელი შენი ანიუტაი. რას დახტის, ამ მთებჩია ჩოკინასავით... _ მართლაც გულამოვარდნილი მისდევდა ვალიკო გოჩუნას და ვერ ეწეოდა.

ასე რომ, ორი დღის გასავლელი დღე-ნახევარში გალიეს, გერგეთის და სნოს გზით ლარსში ჩააღწიეს და მთავარ გზაზე გავიდნენ თუ არა, მანქანაც წამოეწიათ. მძღოლს "პატრა-ტონკას" (პალტარა-ტონკა) კაბინისთვის, ძარის ნაცვლად, მაზუთის გადაჭრილი ცისტერნა დაედგა და, როგორც ჩანს, ტაქსაობდა, რადგან იმ მრგვალი ძარის ფსკერზე ვალიკოს ნაცნობები დახვდნენ _ დედა-შვილი. დედა ორმოც წელს მიღწეული უნდა ყოფილიყო, ქალიშვილი კი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა, გრძელი, წითური თმა ჰქონდა, ნაწნავად დაწნული და მის ჭორფლიან, ლამაზ სახეს ძალიან უხდებოდა.

_ საით ყოფილხარ, ნელი, საითკე მისდიხარ? _ შეეკითხა ვალა ქალს.

_ არსაით, შინიდან მოვალით, ქალაქ ვაპირებთ წასვლას.

_ შენ გამააყვანინებდი, მაშ, ამ გიჟს ამ მაზუთის ბანკასა, ჰო ასეა?

_ ჰო, მე ვთხოვევი და ხათრი ვერ გამიტეხის. დაინიჟა ქალაქჩი უნდა ვისწავლოვო, ამ ჩემმა მზეონამა და მიმყავის.

_ შენი კაცი ისევ საბერძნეთჩი არ, ჰო?

_ ჰო, იმის იმედად ვართ ორთავენი, ის გვინახავს იქიდანა, მე რა შამიძლიან, ორი მეშოკი კარტოშკაი, ძლივას მამყავის...

გოჩუნა გოგოს უყურებდა, რომელიც სულ არ ერიდებოდა და თვალში-თვალს ისე თამამად უყრიდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონოდათ.

მძღოლმა სიონის ეკლესიასთან გააჩერა. ვალიკოც და გოჩუნაც დედა-შვილს დაემშვიდობნენ და ძარიდან გადმოხტნენ.

_ ვალავ, აბა, შენ იცი, ჟიპიტაური და ხინკალი გაამზადევი და რო ამავივლი სუფრა გაშლილი დამახვედრევი. _ გაეხუმრა მძღოლი ვალიკოს.

_ ჰო, გვაკლიან გიჟები და ახლა შენც შამაგვემატევი, _ დაადევნა დაძრულ მანქანას ვალიკომ.

ლამის კალთები დაახიეს ვალიკომ და მზიამ გოჩუნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, დაინიჟა თბილისში მივდივარო და აღარ გაჩერდა, დაჰპირდათ, სულ მალე გესტუმრებითო, ჩაჯდა თავის "შინდაში" და თბილისისკენ გაფრინდა. რომც სცოდნოდა ვალიკოს, რომ გოჩუნას პოლიცია ეძებდა, შეძლებდა მის დაკავებას? ძნელი სათქმელია, ალბათ, ვერა... ხომ ვერ დააბამდა, არა? ვაჟს თავისი ანუკის ნახვა უნდოდა. რატომ უნდა დამიჭირონ, რა დავაშავე, რატომ უნდა ვიმალებოდე მთელი ცხოვრება, სადაც წვრილია, იქ გაწყდესო, _ ფიქრობდა. "მაზუთის ბანკას" ძალიან ჩქარა წამოეწია. მიუსიგნალა, წინ გადაუდგა და გააჩერა. შენი მგზავრები ჩემთან გადმოსვი, თბილისში მივდივარო, _ უთხრა მძღოლს, რომელსაც ფასანაურამდე უნდა ჩაეყვანა დედა-შვილი. ქალები ფართხა-ფურთხით ჩამოხტნენ და გოჩუნას "შინდას" უკანა სავარძელზე მოთავსდნენ.

_ შენ გაგახაროს-კე ღმერთმა, კეთილად გატაროს ამ წუთი-სოფელჩია, ეს რა მანქანა გყოლებავ, რა ლამაზ რამ არ, სადაური რა არ, რამდენი სიჩქარე აქვნ? _ დაინტერესდა მძღოლი.

_ აბა, კარგად, _ დაემშვიდობა გოჩუნა და თბილისისკენ დააწვა.

დედა-შვილი ჩუმად ისხდნენ, გოჩუნა ზოგჯერ შეავლებდა თვალს სარკეში მოხევის გოგოს, რომელიც ისევ არ ერიდებოდა და თვალს უსწორებდა კიდეც. მაგრამ სხვისი

ცეცხლი მოსდებოდა ბიჭს, ანუკის ნახვა ეჩქარებოდა, ენატრებოდა, ედარდებოდა და ისიც მიაქროლებდა მანქანას, ზუსტად იმ სისწრაფით, რის უფლებასაც დარიალის ხეობის ვიწრო და ხვეული გზები იძლეოდა.

_ ვისთან მიდიხართ, ვინმე გყავთ თბილისში? _ შეეკითხა გოჩუნა ქალებს.

_ ხელისმომკიდე მყავ, როგო არ, ნაირა შიოშვილი, მასწავლებელი ჰყავნ ქმარი, ფრიდონი, ნახალოვკაჩი ცხოვრობდიან.

_ მაშინ გლდანის გზით შევალ და მიგიყვანთ.

_ გზას ნუ გაიმრუდ შენა, მივაგნებთ-კე, არა არ ძნელი...

_ შინ რომ არ დაგხვდნენ, სად უნდა გაათიოთ? _ ჩაეძია გოჩუნა.

_ მავჰკვალავთ რაიმესა, ნუ გედარდების. _ დაამშვიდა ნელიმ. მზეონას კი მათ საუბარზე თავისთვის ეღიმებოდა. თან იმ თავის მსხვილ ნაწნავს ხან ერთი მხრიდან ჩააცურებდა ძუძუებს შუა, ხან მეორე მხრიდან. მსხვილი, ლამაზი მკერდი უნდა ჰქონოდა...

ნელიმ გოჩუნას ყოფილ კინო "საქართველოსთან" მარცხნივ აახვევინა და ძველებურ, სტალინისდროინდელ, სამსართულიანი კორპუსის წინ გააჩერებინა. ქალებმა მადლობა გადაუხადეს, მაგრამ გოჩუნამ მაინც უთხრა:

_ იცით, რა? მომისმინეთ, აქ დაგელოდებით, რა იცით, იქნებ არავინ დაგვხდეთ, ჩემთან გაგათევინებთ.

_ ჰოო, ძლიერ კარგი, დაგვიცადევი მაშინ. არ კი მგონია, არ დაგვხვდნენ.

არ გასულა ხუთიოდ წუთიც, რომ ქალები უკან დაბრუნდნენ.

_ როგო გამაიცან, რო არ დაგვხვდებოდნენ? _ უთხრა ნელიმ მანქანაში რომ ჩასხდნენ. _ კახეთს გახიზნულან, სამი წელიც არის იქ გადაბარგდნენო.

_ ჰოდა, უფრო კარგი. ჩემს სახლში, მარტო იათო ცხოვრობს, ბებიაჩემი. ვერ დადის, ფეხები აქვს მოკვეთილი...

_ საწყალი, ვინ უვლის მაშ, სხვა თუ არვინ ჰყავ?

_ მე ვუვლიდი აქამდე, მაგრამ რაღაც შემემთხვა და პოლიცია მეძებს.

_ რაი შაგემთხვა, ბალღო, შამაგაკვდის ვინმეი?

_ არა, არა, არაფერი ისეთი... თუ ჩემთან დარჩებოდით, ბინის ქირა არ გექნებოდათ სახდელი და თან იათოს მიხედავდით.

_ ძლიერ კარგი, რატომაც არ? _ გაუხარდა ნელის. _ მე კი უკან ვბრუნდები ორ დღეჩია, მაგრამ მზეონა დარჩებოდის, მოუვლიდის შენ ბებიასა, მა როგორა?..

გოჩუნამ ქალებს მისამართი მიასწავლა. მე ვერ შევალ შინ, ვინ იცის, მითვალთვალებდნენ კიდეც და დამიჭირონო. დაუთქვა: მაჩაბლის და ლეონიძის კუთხეში დაგელოდებით და გამაგებინეთ, ჩემ სახლში რა ხდებაო.

ქალები წავიდნენ, გოჩუნა მარტო დარჩა. გამვლელები ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ მის მანქანას. ქალები ცოტას ეპრანჭებოდნენ კიდეც. გზას და ნერვიულობას თავისი გაეტანა და მაგრად დაღლილიყო. წასთვლიმა. ესიზმრა, ვითომ ისევ სკოლის მოსწავლე იყო _ მეექვსე-მეშვიდე კლასის. გეოგრაფიის მასწავლებელს, ნაზო ელიზბარაშვილს, მაღალ, ქერათმიან ქალს, ხელში ჯოხი ეკავა და დაფასთან გასულ გოჩუნას, დაფაზე დაკიდულ დიდ რუკაზე საქართველოს პოვნას სთხოვდა. გოჩუნა ეძებდა, მაგრამ საქართველოს ვერსად პოულობდა. რუკაზე აზერბაიჯანიც იყო, სასომხეთიც და ოსეთიც, მაგრამ საქართველოს კონტურები კი არსად სჩანდა, საქართველო რუკიდან გამქრალიყო. "ვერ პოულობ?" _ ეკითხებოდა ნაზო მასწავლებელი უკვე მერამდენედ. მას კი უნდოდა ხმა ამოეღო, უნდოდა ეთქვა, რუკა შეუცვლიათო, მაგრამ პირს აღებდა მარტო, ხმა კი არ ამოსდიოდა. "მაშ, არ უნდა იცოდე, ბიჭო, საკუთარი ქვეყანა სად მდებარეობს"? _ უსაყვედურა გოჩუნას ნაზო მასწავლებელმა და ბავშვებს მიუბრუნდა, აბა ვინ უკარნახებსო. ხელს კი არავინ სწევდა. როგორ, არავინ იცითო? მაგრად გაუკვირდა ნაზო მასწავლებელს და ისევ გოჩუნას მიუტრიალდა: კარგი, დაჯექი, გრცხვენოდეთ, შენც და მთელ კლასსაცო... _ ვიცი, მას, მაგრამ არ ხატიაო, _ უნდოდა დაეყვირა გოჩუნას და გამოეღვიძა კიდეც...

მანქანის კარი გაჯახუნდა. გოჩუნამ მოიხედა და ანუკი არ შერჩა ხელში? ბიჭს სული შეუგუბდა. მაგრამ ანუკიმ არ აცალა. კოცნიდა, ეფერებოდა, იცინოდა და ათასნაირ სისულელეს ეკითხებოდა. გოჩუნას კი მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა. როგორ მოაგნო ანუკიმ. საიდან გაიგო მისი ადგილ-სამყოფელი? და როგორც კი მისი მკლავებიდან წამით თავი გაითავისუფლა, მაშინვე ჰკითხა:

_ აქ საიდან გაჩნდი, როგორ გაიგე, რომ ჩამოვედი?

_ შენმა ჩამოყვანილმა ქალბატონებმა მომასწავლეს. მე ხომ იათოსთან ვცხოვრობ, რაც ყაზბეგიდან ჩამოვედი.

_ იათოსთან? _ გოჩუნამ რა აღარ გაიფიქრა, იმ რამოდენიმე წამში. როგორ ეშინოდა ამ წუთების, როგორ არ უნდოდა, რომ უმისოდ, შეუმზადებლად ენახა ანუკის იათო.

_ ჰო, რა იყო, გაგიკვირდა, არა, მაგრად?

_ იმას ხომ მოვლა სჭირდება?

_ ჰოდა, ვუვლი. როგორ ფიქრობ, შენზე კარგად ვერ მოვუვლი?

რას იფიქრებდა, რას წარმოიდგენდა, გოჩუნა, რა გადარჩენა იყო იათო ანუკისთვის? ან საიდან უნდა მიმხვდარიყო, თუ რა ძალა აქვს "სიმღერას", რომელიც ამ ორი ქალის სულს ასე ჰარმონიულად აერთიანებდა, ჰკვებავდა, ერთიმეორეს აყვარებდა?

_ მერე თქვენები? არ გაგიჟდებოდნენ?

_ მამა ციხეშია, დედა, ბებო და პაპა საავადმყოფოში. ჩვენი სახლი დალუქულია... კონფისკაცია, იცი, რას ნიშნავს? არაფერი აღარ გაგვაჩნია, პროლეტარებად გვაქციეს ერთ დღეში.

_ მამაშენის ამბავი ბესლანში გავიგე. რით წამოხვედი, რანაირად გამოაღწიე იქიდან, უსაბუთოდ, უყველაფროდ?

_ სასწრაფოს გამოვყევი, საშველად იყვნენ ყაზბეგიდან გადმოსული.

_ თუ იათოსთან ხარ, მაშინ ყველაფერი გეცოდინება.

_ რა გაინტერესებს, ელენიკოს ამბავი? ვიცი, მაგრამ არ მჯერა... ხომ მართალი ვარ?

_ კი, მართალი ხარ. აუ, ანუკი, რა ლამაზი ხარ, რა ნაზი, რა ძლიერი?

მართლაც ვინ იყო ანუკი გოჩუნასთვის? ყველაფერი, ყველაფერი... მისი ოცნება, ვნება, გახელება... როგორ მოსწყურებიათ, როგორ მონატრებიათ…ერთმანეთი... და ისევ ჩაეკონნენ. ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, დახრჩობამდე, სულის ამოცლამდე...

მანქანის წინა ორივე კარი ერთდროულად გაიღო. პოლიციელები უხეშად და ტლანქად მოქმედებდნენ. გოჩუნა მანქანიდან გადმოათრიეს და ასფალტზე პირდაღმა დააგდეს. ხელები უკან ამოუგრიხეს და მაშინვე ხელბორკილი დაადეს.

ანუკიმ გაიბრძოლა, აყვირდა:

_ მხეცებო, პირუტყვებო, ხელი გამიშვით, გამიშვით ხელი!

_ ეს რა მაგარი ყოფილა, ეე! კაცს აჯობა...

გოჩუნა გვიან, ძალიან გვიან მოვიდა გონს! თუმცა თავიდან ვერაფრით გაიხსენა, რატომ იყო ასე ნაცემ-ნაბეგვი. ვერც ის მოიგონა, გამწარებული ანუკის დანახვაზე რომ აბღავლდა მიწაზე გაწოლილი. საშინლად სტკიოდა თავი, რადგან სწორედ თავში ჩაარტყეს ფეხი, როცა გაითიშა. ცივმა, ყინულივით ქვის იატაკმა თავისი გაიტანა და გოჩუნა მიხვდა, რომ დაჭერილი იყო, საკანში იმყოფებოდა და _ ვინ იცის, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ეს ყოველივე?

იმას, სულ ბოლოს, რაც თავისი ფულის ძებნისას კოტიკოს დაემართა, როგორ წარმოიდგენდა, რანაირად? იცოდა, განა არ იცოდა, რომ წყალწაღებულივით დამპალ ხავს ეჭიდებოდა, მაგრამ "გველს თავისი მახრჩობელა უყვარდაო" და ისიც თავისი ხელით გათხრილი უფსკრულისაკენ უკანმოუხედავად გარბოდა.

_ არ მოგატყუოს ვინმემ, ძმაო, რა? ქალაქში, დიდი-დიდი, ერთი, ხუთი-ექვსი პუნქტი იბარებდეს სეიფებს. მე რომც მომიტანონ, რით ავწონი მაგხელა რკინას, რანაირად, ნეკზე დავიკიდო? _ დაარწმუნა თავის სიმართლეში კოტიკო შიო მღვიმელისა და რობესპიერის

ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე პუნქტის მეჯართემ და სხვა ხუთი პუნქტის მისამართიც ჩააწერინა.

კოტიკომ უცბად შემოირბინა ყველა პუნქტი, ჩანაწერებიც წააკითხვინა და რატომღაც დარწმუნდა, რომ სეიფს ბათუმის პორტშიღა თუ მიაგნებდა, თან უნდა ეჩქარა კიდეც, სანამ ფულს დაპრესავდნენ. მოკლედ, მანქანის ბაკი ბენზინით გაალიცლიცა და ბათუმისკენ გაუტია. ის იყო მცხეთას გასცდა და ახალ დაბეტონებულ გზაზე გავიდა, რომ საპატრულო მანქანა წამოეწია და უბრძანა გაეჩერებინა.

“მორჩა, დამთავრდა ყველაფერი...” _ გაიფიქრა კოტიკომ, პოლიციელი რომ მიუახლოვდა, გამწვანდა, მთლად მკვდრის ფერი დაედო.

_ საბუთები? _ მოსთხოვა პოლიციელმა.

კოტიკომ ჯიბეები მოიჩხრიკა, მერე ვითომც ჯიბეებში, რომ ვერ აღმოაჩინა, ახლა მანქანაში დაუწყო ძებნა.

_ რას იპოვი, რაც არ გაქვს? _ ირონიულად უთხრა პოლიციელმა. _ ეს მანქანა ძებნაშია.

_ რა? _ ავარდა კოტიკო. _ რა ძებნაში, სანაპიროზე ვიქირავე, აჩიკოსთან.

_ არა მართლა, მაშ მე ვისი განაცხადის გამო გაგაჩერე, პეტრესი? დღეს მერამდენე დღეა, რაც იქირავე?

კოტიკომ თვალა-თვალა და ახლაღა მიხვდა, რომ ოთხი დღე გადაეცდინა.

_ ახლა რა უნდა ვქნათ? _ იკითხა მან მიამიტად.

_ წამომყვები, მივუყვანთ მანქანას პატრონს, გადაუხდი, რაც გადასახდელია, დაგაჯარიმებ და წახვალ შენს გზაზე. მოსულა? _ შეეკითხა პოლიციელი. _ თუ ეს არ გაწყობს, გატაცებას შეგტენი, გირჩევია?

ეჭვი, რომ პოლიციელი აბამდა და, შესაძლო იყო, გაესკვანჩათ კიდეც, კოტიკოს, მართალია, გაუჩნდა, მაგრამ მოსახდენია მოხდესო, და ისიც ყურადღებით მისდევდა საპატრულო ნისანს. კარგად მოეხსენებოდა, რომ უამრავი ვინმე იყო ძებნაში და პოლიციელები მათ დასაჭერად თავს არ იტკიებდნენ. თუმცა ფული რომ გადაიხადა და ჯარიმის ქვითრის გამოსაწერად მძღოლის მოწმობის ამოღება მოუწია, მაინც ინერვიულა, რატომ ყალბი მოწმობა არ გავაკეთებინე აქამდეო, გაიფიქრა.

_ წეღან რატომ არ მაჩვენე? _ ჰკითხა პოლიციელმა და მართვის მოწმობა კარგად შეამოწმა.

_ მეგონა გამოვძვრებოდი, _ უპასუხა კოტიკომ და საშინლად გაუხარდა, რომ პოლიციელი აზრზე ვერ მოვიდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

მერე კი, როცა პოლიციელმა ქვითარი მისცა, იქამდე გათავხედდა, თუ უკან ტრასაზე აპირებ დაბრუნებას, მეც გამოგყვებიო, სთხოვა. იმანაც უარი არ უთხრა და დიდუბეში, აღმაშენებლის ძეგლთან ჩამოსვა. კოტიკომ ქუჩა გადაჭრა და დასავლეთისკენ, უფრო სწორად, ბათუმისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსებს დაუწყო ლოდინი. მანქანა ძალიან მალე გამოჩნდა. კოტიკომ ხელი აუწია.

_ მოდი, ჩემთან დაგსვამ, _ უთხრა მძღოლმა და გადმოვიდა, რომ კოტიკო საჭის მხრიდან ასულიყო კაბინაში. ხალხით გადატენილი “მარშრუტკა” აყაყანდა. კოტიკო ახტა მანქანაში და რადგან ორივე ადგილი დაკავებული დახვდა, იძულებული გახდა, საჯდომის ცალი მხარე მძღოლის სავარძელზე დაედო, მეორე კი მგზავრების მხარეს. ასე რომ, სიჩქარეების “რიჩაგი”, ლაჯჯებს შუა ჰქონდა ამოჩრილი.

მძღოლმა ხალხის ყაყანს ყურადღება არ მიაქცია, მანქანა დაქოქა და დაძრა, მაგრამ ზურგიდან ვიღაცის ხელი მოხვდა ბეჭებში და მიამუხრუჭა.

_ რას შვრები, კაცო, შენ გაგიჟდი?! _ უყვირა ახალგაზრდა ბიჭმა. _ გვხოცავ? ჯერ იყო და ერთმანეთზე დაგვსხი და ახლა, როგორ უნდა ატარო, ეე!

_ შენ ვინ გკითხავს, ბიჭო!? _ ავარდა მძღოლი.

_ რანაირად უნდა ატარო, როგორ? ან ტაბურეტკებზე რომ დასხი ეს ბავშვები, არ გეცოდებიან?

_ მშობლები თანახმა არიან და შენ ვინა ხარ, რას აჩმახებ? _ უყვირა მძღოლმა და მუშტიც კი მოუღერა, მაგრამ ხალხი აყაყანდა და მძღოლის ყურადღება მათკენ გადავიდა.

_ ჰო, მართალს გეუბნება, ფული გადავიხადეთ და თითო სკამზე ორ-ორი ვზივართ. ამიტომაც ხდება ამდენი ავარიები.

აქ კი კოტიკომ გაიფიქრა, თუ არ ჩავერიე, ჩამომსვამენო და ალაპარაკდა.

_ მანქანა ამ კაცისაა, ძმაო, რამდენსაც უნდა იმდენს დასვამს.

_ სწორეა! _ დაუსვა ბეჭედი მძღოლმა და საჭეს მიუტრიალდა.

_ არ დაძრა, მანქანა, არა! ამ წუთას პატრულს ვურეკავ! _ ბიჭს მობილური ეკავა და ნომრის აკრეფას ცდილობდა.

_ ვინა ხარ, შენი! _ უყვირა კოტიკომ და მობილური გამოსტაცა.

_ შენი და შენი! _ იყვირა იმ ბიჭმაც და პირდაპირ სახეში სთხლიშა მუშტი. მანქანა აქანავდა, რადგან სხვებიც წამოხტდნენ და კოტიკოს რომ ეგონა, გვაშლეზენო, პირიქით, მანქანიდან ჩამოაგდეს და ერთი-ორიც მოსდეს. ის ბიჭი კი წაქცეულ კოტიკოს ყელში ჩააფრინდა და თავის გამხმარ თითებს მარწუხებივით უჭერდა. თან მკვდარი და ცოცხალი ამოუტრიალა და სახეშიც აფურთხებდა. კოტიკოს უკვე ჭარხალივით გაწითლებული ჰქონდა სახე და თვალებიც ბუდეებიდან ამოვარდნაზე, როცა ის შიზოიდი, მგზავრებმა, დიდი გაჭირვებით ააგლიჯეს, მერე მძღოლს მიუბრუნდნენ _ დაჯექი და წაგვიყვანეო და ნაცემ-ნაბეგვი ყოფილი "მომღერალი-მეღვინე" ქუჩაში დასტოვეს. კოტიკომ სახეზე მოიკიდა ხელი, გაუსისხლიანდა. ცხვირზე მოიკიდა ხელი, გასიებოდა. როგორც ჩანს, სისხლი ცხვირიდან ყელშიც გადასდიოდა, რადგან გემოც იგრძნო სისხლისა და პირიდანაც სისხლი გადმოაფურთხა. ფული გაახსენდა. ჯიბეში ედო. დამშვიდდა. ცხვირსახოცი ამოიღო და თავი უკან გადააგდო, რომ ცხვირიდან სისხლის დენა შეეჩერებინა და ბორდურს იქით, ფერდობზე ჩამოჯდა. მოპირდაპირე მხარეს მანქანების გასარეცხი ფარდული შენიშნა. გზა გადაჭრა. შევიდა და ონკანთან მივიდა. წყალი მოუშვა და გასისხლიანებული ხელ-პირი ჩამოიბანა. პიჯაკი გაიხადა და სისხლის წვეთები გააცილა.

_ აი, მანდ სარკის ნატეხია და შეგიძლია ჩაიხედო, _ უთხრა უსაქმოდ ჩამომჯდარმა მუშამ, რომელიც კომბინიზონში იყო გამოწყობილი და ფეხზე რეზინის ჩექმები ეცვა. _ ნაცემი ხარ?

_ ჰო, _ კოტიკოს სარკიდან ცალთვალჩალურჯებული, ცხირგასიებული, გაბრაზებული კაცი შემოსცქეროდა.

_ ვინა გცემა?

_ რა ვიცი, "მარშრუტკიდან" ჩამომაგდეს. სავსე იყო და რატომ ამოხვედიო.

_ ქვეყნისა დადის.

_ გადატენილები როა?

_ ვიღაც გიჟები შეგხვდნენ, ეტყობა, თორემ ვინ უყურებს მაგას?

_ რა ვიცი, რაღა მე უნდა გადავეყარო ყველა გიჟს... _ ჩაიბურდღუნა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და მანქანის გამოჩენას დაელოდა.

მანქანა ისევ მალე გამოჩნდა.

_ სად მიდიხარ? _ შეეკითხა მძღოლი.

_ ბათუმში, _ უპასუხა კოტიკომ.

_ ჩაიჩოჩეთ, რა, დასვით! _ სთხოვა პირველ სავარძელზე მსხდომ ბიჭებს მძღოლმა.

ბიჭებმა უხალისოდ ჩაიჩოჩეს. კოტიკო მიუჯდათ და მანქანა ბათუმისკენ მიმავალ გზას დაადგა. კოტიკომ თვალები დახუჭა. სულ რაღაც ორი კვირის წინ, სომხურ-თურქულ "პაეზდკაში" ყოფნისას, ანტალიის პლაჟზე, ყვითელ შეზლონგებზე იწვნენ ის და ირმა და ნებივრად იზმორებოდნენ. კოტიკო თან ისვენებდა და თანაც გეგმებს აწყობდა, როგორ გადაერჩინა ქართული ღვინო. გერმანელები, რომლებმაც თავიანთი ლაბორატორია გახსნეს თბილისში და ქართული ღვინის ხარისხს და აქაურ ტექნოლოგიებს სწავლობდნენ, დღედაღამ იმას ჩასჩიჩინებდნენ, უნიკალურ ქართულ მიწას ნდობოდა, გლეხებთან მჭიდრო კონტაქტი დაეჭირა და ისინი ევროპულ სტანდარტებზე გადასვლაში დაერწმუნებინა. ამ საოცარ მიწას წამალი არ სჭირდება, დროა შხამქიმიქატებზე უარი თქვათო, ჩასჩიჩინებდნენ. არადა, როგორ გინდა, საკუთარ,

მამა-პაპურ ადათ-წესებზე უარი თქვა და მთლიანად ევროპულ ტექნოლოგიებზე გადახვიდე? თუ ამას მოახერხებთ, პროდუქციის გამსაღებლებიც სწრაფად გამოჩნდებიან, მყიდველებიც და თქვენი ღვინის ევროპაში გამტანებიცო, ირწმუნებოდნენ გერმანელები, რასაც რატომღაც არავინ უწევდა საქართველოში პროპაგანდას, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პრაფანების ხელშია, იქ ნამდვილ მეურნეს ვინ გააჭაჭანებს და ამიტომაც ვართ ამ დღეშიო, უხსნიდა კოტიკო უცხოელებს. მართლაც ასე იყო. მცოდნეებს ახლოს იმიტომ არ იკარებენ, რომ საკუთარი უვიცობა დაფარონო, ფიქრობდა კოტიკო, თუმცა ეს ფიქრები მას ორიოდ კვირის წინ აღელვებდა. ახლა კი ნაცემ-ნაბეგვი, მიმალვაში მყოფი, ბათუმში გარბოდა, სადაც ვინ იცის, რა ელოდა და ვისთან და რა ხალხთან მოუწევდა შეხვედრა. ის თავის სეიფი კი, ეშმაკმა უწყის, იქნებ დაპრესილიც კი იყო.

ბათუმში წვიმდა, როგორც იცის, პირდაპირ ვედროებიდან ასხამდა. “დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე”-ო, _ გაახსენდა ვაჟას ბწკარები კოტიკოს. როგორც ყოველთვის, ახლაც ქროდა ზღვის მხრიდან ქარი და მიუხედავად თავსხმისა, მაინც იგრძნობოდა ზღვაში ჩამავალი ფეკალური ხსნარების მიერ გამოწვეული არასასიამოვნო სუნი. გაახსენდა თავისი ცოლისა და ქეთი ბჟალავას საუბარი, “ბათუმელები თავიანთ ფეკალურ ხსნარებს პირდაპირ ზღვაში ღვრიან, იქვე ნაპირზე”, _ ამბობდა ქეთი, _ “ნორმებით კი, კილომეტრზე მაინც უნდა შედიოდეს ზღვაში მილი, თანაც გაწმენდილ-გაფილტრულ სუფთა წყალზეა საუბარი. საქართველოში კი არცერთი გამწმენდი ნაგებობა არ მუშაობს. არადა, იცი, რამდენი პროქტი დევს ბათუმის მერიაში? მინიმუმ ორასი მილიონი მაინც უნდა. ვინ გაიღებს? ეს ფეკალები თუ არ გაფილტრეს, როგორ გახდება ბათუმი ნამდვილი საკურორტო ქალაქი? არანაირად”... _ ამ ფიქრებში იყო წასული კოტიკო, თავით-ფეხამდე დაჟიებული პორტს რომ მიუახლოვდა. მოუახლოვდა და პირიც დააღო. აქ ჯართის სამჯერ დიდი მთები იდგა, ვიდრე თბილისში _ ოთხი, ერთმანეთის მიყოლებით. უკვე შებინდებულიყო და ეს ჟანგიანი რკინის მთები, ვეებერთელა აჩრდილებივით იწვნენ პორტის გასწვრივ. “არა, შეუძლებელია”, _ გაიფიქრა კოტიკომ და ნერწყვი გადაყლაპა. პირი მთლად გაუშრა. რაღაც მწარე გემო იგრძნო. ჯართის აჩრდილების გაყოლებაზე, ცარიელი სატვირთო მატარებლის ძველი, ჟანგისფერი ვაგონები მიეგორებინათ. და კოტიკო ახლაღა მიხვდა თავისი მცდელობის მთელ აბსურდულობას... მორჩა, დამთავრდა... ფაფუ, ნახევარი მილიონი... იყო და აღარ არი... როგორც ღრუბელმა გადაიყაროს ცაზე. კოტიკომ ცას ახედა. წვიმამ თქეშით დააჯილდოვა. “არა, ეს არ აპირებს ჯერ გადაღებას...” _ გაიფიქრა და მაინც ვერ გაუძლო გულმა. ფიცრის ღობესთან მივიდა და პორტის ეზოში ღრიჭოდან შეიხედა. “სიგიჟეა”, _ კვლავ გაიფიქრა და გული დასწყდა. ძალიან, ძალიან დასწყდა გული, თითქმის ბოლომდე გაეფატრა. უცბად ირმა გაახსენდა, თავისი ბოლო საყვარელი _ ყველაფერს, ყველაფერს დაკარგავო, _ რომ უმკითხავა. “გველი, მიგერა... იმან დამთარსა...” შეიგინა და ღობეს მოსცილდა. ბულვარის მხარეს ლამის სირბილით გაემართა. მიაბოტებდა თქრიალით მოდენილ წყალში, მკერდგაღღილი, თავაწეული, გაბოროტებული და სამუდამოდ დამარცხებული. ბულვარის შუამდე რომ მივიდა, მიტრიალდა და პირდაპირ ზღვისკენ გაალაჯა. უკვე მთლიანად დაბნელებულიყო. ზღვა ბორგავდა, იმუქრებოდა დუჟმორეული, გაავებული და გაკაპასებული. ზედიზედ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მოდიოდა და მოიგრაგნებოდა დიდი და მძიმე, შავ-შავი ტალღები. კოტიკო გაჩერდა, წამოსულმა წყლის ქაფმა მის ფეხებამდე მიაღწია და უკან გაიძურწა. “აქამდეც კი აღწევს...” _ გაიფიქრა კოტიკომ.

იდგა და ზღვისკენ ძველი მხედართმთავარივით იმზირებოდა. ჯერ პიჯაკი მოიფრიალა. მერე, როგორც წესია, ზედა პერანგის ღილები შეიხსნა, გაიძრო და ისიც მოისროლა. ფეხსაცმელები ქუსლით გაიხადა და აქეთ-იქით გადააგდო. შარვალი გაიძრო, ცარიელ ტრუსში დარჩა და ზღვისკენ ტანკივით დაიძრა. განრისხებული, ზღვაზე ასჯერ მეტად... გამწარებული საკუთარ ბედზე, იღბალზე, სიცოცხლეზე... “სიკვდილი... ჰო, მხოლოდ სიკვდილშია ხსნა... მხოლოდ მარადისობაში... მხოლოდ ცაში, ცაში...” _ წამოსული ტალღა, პირდაპირ მკერდზე დაეცა... გაუძლო, მკლავები აიქნია, ოდნავ შეხტა

და აგორებულ ტალღებს შეეკედლა... მძლავრად მოუსვა. წყლის მლაშე გემო ეცნო, გადააფურთხა. გასცურა. ჯერ პირდაპირ მიაპობდა, მერე ოდნავ მარცხნივ გაუყვა, შეუჩერებლად, შეუსვენებლად. იცოდა, ადიდებულ ზღვაში შესვლა ადვილია, გამოსვლაა ძნელი. მაგრამ ის ხომ არც აპირებდა უკან გამოსვლას... ის ხომ ზღვას კი არა, პირდაპირ სიკვდილს ეომებოდა? ზღვა საოცრად თბილი იყო. ბევრად თბილი, ვიდრე ზაფხულში. "ალბათ მე ვარ ცხელი და მეჩვენება", _ გაიფიქრა კოტიკომ... ცურვა შეანელა, შემოტრიალდა და ნაპირს გახედა. არაფერი ჩანდა. არაფერი, გარდა სიშავისა. ახლა მაღლა აიხედა. იქაც ცარიელი სიშავე დახვდა. სულ არ დაღლილიყო. ძალიან გაუკვირდა. მოგორავე ტალღები ხან ზევით ეწეოდნენ, ხან ქვევით დააქანებდნენ. გრძელი, დიდი ტალღები მოდიოდა. თურქეთისკენ ხომ არ დავაწვეო, _ გაიფიქრა. მაშინვე გადაიფიქრა. ვერ გავაღწევო... და უცბად გაახსენდა, რომ სიკვდილს აპირებდა. სცადა ფსკერისკენ წასულიყო, ბოლომდე ამოისუნთქა, ხელები ასწია და ჩაეშვა კიდეც ფსკერისკენ, მაგრამ მაშინვე დაჰკრა წყალს ტერფი და წყალმაც უკან ამოისროლა. ერთბაშად უამრავი რამე გაიფიქრა. ათასი მოგონება მიესია. დედა, მამა, ბავშვობა, ახალგაზრდობა, ერთმანეთში აიზილა, აირია და გული დასწყდა. რაზე? სიცოცხლეზე, რა თქმა უნდა. "არადა, მართლაც, რატომ ვიკლავ, ე, თავს? ამ ოცი წლის წინ, რა, მებადა რამე? მაშინაც ხოპმ მთლად ცარიელ-ტარიელი ვიყავ, სანამ ნინიკოს გავიცნობდი და სანამ ცოლად მოვიყვანდი? თუკი მაშინ არ ვიკლავდი თავს, ახლა რაღა ჯანდაბა დამემართა? მერე რა, თუ ძებნაში ვარ? მთელი ქვეყანა ძებნაში არაა? ვის აღარ იჭერენ, ყველასაც... პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება, ხალხი უკვდავია. "დო პარი, დო ვრემენი"... _ ეს ტუტუცური ფრაზა ამოუტივტივდა გონებაში და გაეცინა. "ეე, სიმონ, ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ ამოხვიდე. აბა, დავაი, ნაპირისკენ!" _ და ისევ მოუსვა მკლავები... "ნაპირისკენ, ნაპირისკენ!" _ გუგუნებდა მის თავში ეს ერთი სიტყვა და მიცურავდა, უფრო სწრაფად, უფრო ძლიერად, ვიდრე აქეთობას. "რა შორს წამოვსულვარ", _ გაიფიქრა და დაღლილობაც იგრძნო. შეეშინდა, მაგრად, საშინლად... "ე, რომ ვერ გავაღწიო"?.. _ მკლავები დამძიმებოდა, ფეხებსაც ისე სწრაფად ვეღარ ამოძრავებდა. ჰენინგუეის "მოხუცი და ზღვა" გაახსენდა. "მაგრამ ის ოკეანეს, ებრძოდა, ეს კი ერთი ციცქნა შავი ზღვაა. რა დროს ჰემინგუეია? მთავარია, ნაპირს მივუახლოვდე და მერე როგორმე გავაღწევ"... _ ზღვა კი ისევ იგრაგნებოდა, ისევ უძალიანდებოდა, არ ემორჩილებოდა, შიგნით, სიღრმისკენ ექაჩებოდა. ისევ შიშმა შეიპყრო. "ვერ გავალ ვითომ? მაჯობებს? თანაბრად უნდა ვისუნთქო, ნელა უნდა მოვუსვა. ღელავს და ეს მიშლის. არა, ვერ მაჯობებს, როგორ უნდა მაჯობოს, მე ადამიანი ვარ, ცოცხალი, სულიერი, ღვთის გაჩენილი. ეს კი წყალია, უსულო, ცარიელი წყალი"... _ და ისევ სიცოცხლის სიყვარულმა სძლია, ისევ მიეცა იმედი, ისევ მოუსვა მკლავი, ისევ აამოძრავა სწრაფად ფეხები. გასცურა. ზღვაც ოდნავ დაწყნარდა. "წყნარდება, ჰო, ნამდვილად. ვერ მაჯობებ, ვერა!" _ ისევ მოიცა გული, ისევ იგრძნო ძალა. "ამაზე შორსაც გამიცურავს, რამდენჯერაც გინდა"... _ და ნაპირიც გამოჩნდა... ზღვაც დაწყნარებულიყო, ისევ ძლიერად სუნთქავდა, მაგრამ რა შედარებაა, შემოსვლისას რაც იყო, იმის შვილობილსა ჰგავდა, პატარას, მოუსვენარს... ამობრუნდა, ხელები გაშალა და დაწვა წყალზე, ისვენებდა. ეგ არის, რომ მძიმედ სუნთქავდა და ისევ სისულეებს ფიქრობდა. მგონი, მთლად გავრეკეო, "სიკვდილს ისევ ციხე სჯობს. მილიონჯერ, ასი ათასჯერ"... _ გადმობრუნდა. ისევ მოუსვა. "მაქსიმუმ ორასი, ასორმოცდაათი მეტრიღაა. კიდევ კარგი, დაწყნარდა, გავალ, ახლა კი გავალ"... _ და ისევ მოიცა ძალა, ახლა უკვე საბოლოოდ. "რა დროს სიკვდილია. ცხოვრება მშვენიერია, ჰო, ჰო, მართლა"... _ და გამოაღწია, მართლაც გამოაღწია. ღელვა ჩამდგარიყო, მთლად არა, ისევ იქოჩრებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარაფერი იყო. ერთი-ორგან ღრუბელიც გარღვეულიყო და სიშავე სილურჯეში გადასულიყო. დიახ, გამოაღწია, მიყვა ტალღას და გამოათრია, როგორც იქნა, დაღლილი, დაქანცული ტანი. სველ ქვებზე მიეგდო და თვალები დახუჭა. ასე იწვა ერთხანს, განაბული. არაფერზე ფიქრობდა, არაფერი ადარდებდა. თითქოს არც არსებობდა, არც იყო საერთოდ... "ეჰ, კარგი იქნებოდა, მაგრამ რომ ცოცხალი ვარ?.." _ წამოდგა. ნაპირს გახედა. "სად დავყარე ტანსაცმელი? გაიგე ახლა,

სადამდე არტყამდა ზღვა. ალბათ კილომეტრზე მაინც გამომაგდო მარხცნივ”... _ დაიძრა. სველ, გაზინზლულ ქვებზე ტერფები უსხლტოდა, უცურდა და ეჟეჟებოდა. მაგრად მოშიებოდა, სწყუროდა კიდეც. სიარულში გახურდა. ზღვიდან მონაბერი ნიავი, მკერდზე ეგლისებოდა, გაოფლილ იღლიებში უხტებოდა და სიამოვნებდა. არც ისე ჩქარა, მაგრამ მაინც მიაღწია პორტამდე. “აი, აქ ვიდექი მგონი, აქედან გავცქეროდი ზღვას. კი, კი, აქ ვიდექ, მაგრამ ტანისამოსი სად წავიდა? არც პიჯაკი, არც ფეხსაცმელი, არც შარვალი, საფულე, ჩემი საფულე. უკანა ჯიბეში მედო, ხომ”?.. _ აღარ იყო არაფერი, გამქრალიყო. “ვინ უნდა მოსულიყო ამ დროს, ვის უნდა წაეღო? ჩემსავით გზაარეული იქნებოდა ვინმე”... _ და უცბად დაარტყა თავში, “ზღვა, ზღვამ წაიღო, ტალღებმა, რა უტვინოდ გადავყარე, რა სულელურად, ბოლო ფულიც მივაკარგე, მორჩა, მთლად ცარიელზე დავრჩი”. _ ტრუსზე დაიხედა. “კიდევ კარგი ეს მაინც შემომრჩა, ე, ეს ნიფხავი... მაგრამ, ახლა რა გინდა, რომ ქნა? ციხეში! რა თქმა უნდა, პირდაპირ ციხეში!” _ და გაშლილი მტევანი შუბლთან მიიტანა: “წინ, სრული სვლით!” _ და გზას გაუყვა.

როცა მორიგე პოლიციელმა პოლიციის განყოფილებაში შესული გატიტვლებული კოტიკო დაინახა, განცვიფრებულმა ჰკითხა:

_ შენ რა, ზღვაში შეხველ?

_ ჰო, _ უპასუხა კოტიკომ.

_ ამნაირ გრიგალში?

_ ჰო.

_ მერე, რაფრა გამოხველ?

_ არ ვიცი!

_ მაგარი ყოფილხარ! სამოსი მოგპარეს?

_ ჰო.

_ რა უნდა ქნა ახლა?

_ არ ვიცი.

_ სიდან ხარ.

_ თბილისიდან.

_ თბილისიდან? კაი შმოტკები გეცვა?

_ კი.

_ დაჯეი მაქანე!

კოტიკო სკამზე ჩამოჯდა. წინ პატარა მაგიდა ედგა. მორიგემ კალამი და ფურცელი დაუდო.

_ ჩაწერე, გარკვევით. მაღლა რაი გეცვა. დაბლა რაი გეცვა. რა ფერის, “ფირმა” გახსოვს? თუ გახსოვს, ფული, თუ გაქვნდა რაიმე ჯიბეში... დოლარი, ლარი...

_ კაი საკმარისია.

გააჩუმა კოტიკომ, კალამი აიღო და წერას შეუდგა.

_ მესამე ხარ შენ, ამ კვირეში! რაფრა დასტოვე, ბიჭო, ნაპირზე. არ იცი, ხალხი დამშეული რომაა და ფეხი რომე დაგრჩეს გარეთ, მასაც რომე მოგჭმენ?

კოტიკომ ერთი წინადადება დაწერა, ქვეშ ხელი მოაწერა, რიცხვი და წელი დასვა და მორიგეს მიაწოდა.

_ “ვსიო”? _ გაუკვირდა მორიგეს და ფურცელს დახედა.

“მე კოტიკო მესხი ვარ, პოლიცია რომ ეძებს”.

პოლიციელმა შეშინებულმა შეხედა, ცარიელ, ჯერაც სველ ტრუსში დარჩენილ კოტიკოს. პირიც კი დააღო.

_ მართლა? _ ეს ერთი სიტყვა წამოსცდა და მოკეტა.

_ გბარდებით. _ თქვა კოტიკომ.

_ რაიო? თავად?

_ ჰო.

_ აკი მილიანერიაო? _ ვერ დაეჯერებინა პოლიციელს.

_ ვიყავი, ახლა კი... _ კოტიკომ ტრუსზე დაიხედა და ხელები გაშალა.

_ მეიცა, ერთწამას. ვის ბარდები, რეიზა ბარდები, გედირიე? თუ გაქვნ ეგ მილიონები, მე გადაგმალავდი, თავად, შენ რაი გინდა? სოდი-მოდი კი არა, ცერეუ და ინტერპოლი ვერ გიპოის ცხოვრებაში. ჰო, ჰო!

_ მილიონები მქონოდა ახლა მე და შენზე დამიდგებოდა, სწორედ, საქმე! _ ჩაიბურდღუნა კოტიკომ.

პოლიციელს, როგორც ჩანს, ეწყინა. ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

_ თემურა, შენ ხარ? _ და რადგან, ალბათ მეორე მხრიდან დასტური მიიღო, დააყოლა: _ ბორკილი წამეიღე და მოი სამორიგეოში, მალე!

და უცბად კოტიკოს უცნაური რამ დაემართა. მთელი ის ტანჯვა, წვალება, წამება, საშინელი მოლოდინის განცდა, ერთბაშად მოეხსნა მხრებიდან. ერთბაშად გათავისუფლდა. თვალები დაეწმინდა. აბსოლუტურად დამშვიდდა და დაიჯერებთ? აღარც ცოლი ახსოვდა, აღარც შვილი, აღარც სიდედრი და აღარც სიმამრი. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ, თავს უჩემოდაც მშვენივრად უშველიანო და კინაღამ ამღერდა. ხოლო ბორკილებიანი თემურა რომ დაინახა, მაგრად გაეცინა და მაჯები მორჩილად გაუწოდა.

_ დავაიმასქნა, რიჩარდა? _ შეეკითხა მორიგეს თემურა.

_ ჰო! _ ბრძანება გასცა რიჩარდამ.

თემურამ კოტიკოს ბორკილის ერთი ბრასლეტი ცალ ხელზე გაუკეთა, მეორე კი ძველი რადიატორის რკინის მილს მიამაგრა.

_ რა ბედნიერება ყოფილა... _ წამოსცდა ხმამაღლა კოტიკოს.

_ რაიო? _ ვერ გაიგო მისი ნათქვამი თემურამ.

_ მაი, გონია, ვერ უნდა იყოს მთლა, _ აუხსნა რიჩარდამ თემურას და საფეთქელთან მიიტანა თითი. _ გამეიცანი, ვინ ბრძანდება? კოტიკო მესხი. მილიანერი, მომღერალი, ბიჭო... ძებნაში როა, ისაა.

_ ჰო, ჰო, მართალი ხარ, _ ისევ გულიანად გაიცინა კოტიკომ.

_ ბალანგას რომ დეგიდგამენ, მამრე იცინე მასტე გულიანად. აბა, ჰერი, მე გევედი. _ და იმ ნაძირალა თემურამ, იმ წვინტლიანმა პოლიციელმა, არ ამოსცხო მოხრილ კოტიკოს ტრაკში ჭიტლაყი? კოტიკოსთვის, ეს, ციხის პირველი მკბენარის, ბაღლინჯოს პირველი ნაკბენი იყო...

თემურა გავიდა. რიჩარდა კი ისევ ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

_ იაგო, ვინ მყავს თუ იცი, სამორიგეოში დაბორკილი? აბა, გამეიცანი! კოტიკო მესხი გეგიგონია?

_ კოტიკო მესხი? _ იღრიალა ყურმილში იაგომ.

_ ჰო, აპა, თავად მესტუმრა, დამაპატიმრეო.

_ მერე, შე კრეტინო! _ გაისმა ყურმილში და რიჩარდას ყურმილი დაუკიდეს.

წუთიც არ გასულა, რომ იაგო იარაღით ხელში შემოვარდა. დაბორკილ კოტიკოს ერთი კი შეავლო თვალი და მორიგეს დაეტაკა.

_ შე სირო, ამფერ კაცს რო იჭერ, არ უნდა შემატყობიო იმწამას, შე ქაჯო?

და ატყდა ერთი ორომტრიალი. მიუხედავად იმისა, რომ კოტიკო თავის ფეხით ჩაბარდა და უკვე ბორკილებიც ედო, მთელი აჭარის "სოდი-მოდი" ორ წუთში ფეხზე დადგა. იაგო თავის მოადგილეებთან ერთად, მცირე ხნით, კაბინეტში ჩაიკეტა და სამოქმედო გეგმა დასახა. კოტიკო პრომიდოლით უნდა გაებრუებინათ და პორტში მდგარ, რუმინულ დოკზე ასვლისას თუ აპარვის მცდელობისას დაეჭირათ. დანარჩენს კი თვითონ მასმედია მიხედავდა და იაგომ მაშინვე ადგილობრივ ტელევიზიას და რადიოს გადაურეკა. მაგრამ სანამ ისინი მოქანდებოდნენ, კოტიკოს პრომიდოლის ისეთი დოზა ჰხიეს, პოლიციაში კი არა, სამოთხეში რომ ჰგონებოდა თავი.

რუმინული დოკის "მიხაილ ემინესკუს" მეზღვაურები, გემბანზე გადმოყუდებულები, გაკვირვებული უყურებდნენ თუ როგორ იღებდნენ მათი გემის მოქანავე კიბეზე რაღაც ფილმს ქართველები. კოტიკო არხეინად ადიოდა და ჩამოდიოდა იმ ჰაეროვან საფეხურებზე, ვერაფერს მიმხვდარიყო, რატომ დააპროწიალებდნენ ამ საქანელა კიბეზე. კაიფში ბრძანდებოდა და ისე სიამოვნებით ადგამდა ზევით-ქვევით ნაბიჯებს, ეგონა ცაში

დაფრინავდა. რა თქმა უნდა, რეაქცია შენელებული ჰქონდა და შემდეგ, ფირის დამონჟაჟებისას, მემონტაჟეები იძულებული იყვნენ ეს შენელებული კადრები აეჩქარებინათ. უკვე ღამის გადაცემებში, ქვეყნის ტელევიზიები და რადიო საზოგადოებას ამცნობდა, რომ კიდევ ერთი მაღალჩინოსანი (ჰო, რატომღაც მაღალჩინოსნად მონათლეს) და არა, ბიზნესმენი, ვახტანგ რაზმაძის მარჯვენა ხელი, მომღერალი კოტიკო მესხი, ქართველმა ძალოვანებმა ქვეყნიდან გაქცევის მცდელობისას დააკავეს და რუმინულ სატვირთო გემზე აპარული უკან ბორკილდადებული ჩამოაბრძანეს. ეკრანზე მოჩანდა, როგორ ადიოდა გემის კიბეზე კოტიკო მესხი, როგორ არბოდნენ ამ კიბეზევე პოლიციელები და შემდეგ როგორ სტენიდნენ თავზე ხელის დაწოლით საცოდავ მომღერალსა და ყოფილ ღვინის მაგნატს საპატრულო ნისანში.

კოტიკოს გირაოში პროკურატურამ სამი მილიონის დადება რომ დააკისრა, მაშინვე მიხვდა, საითაც უმიზნებდნენ და რა გეგმაც ჰქონდათ. მიხვდა, რომ მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება, თავის ღვინის ქარხნიანად და საგულდაგულოდ მოვლილი საფერავის ზვრებიანად ვიღაც ჩინოვნიკის ხელში გადადიოდა. რა უნდა ექნა? ძალა აღმართს ხნავსო. მასმედია კი კითხულობდა და აინტერესებდა, ვინ ჩაუდო გირაოში კოტიკო მესხს ის სამი მილიონი, მაგრამ რადგან ვერაფერი შეიტყვეს, ჭორების დონეზე იმასღა სწერდნენ, მთავრობამ შეუტანაო. თუმცა, ვერც ამ სამმა მილიონმა იხსნა კოტიკო, სამთვიანი პირობითიც შესტენეს და მერე კი რვაწლიანი პატიმრობაც დაუმატეს. კოტიკომ მთლად ხელი ჩაიქნია, სასჯელს შეეგუა და რომ ეგონა, ბაღლინჯოებიან ნარზე მოუწევდა რვა წლის გატარება, ჯერ ციხის აბანოში შეუშვეს, მერე სუფთა, ნომრიანი ზოლებიანი პიჟამო ჩააცვეს, საკნის კარი გაუღეს და პირდაპირ "სამოთხეში" არ შეაგდეს? საკანი დაახლოებით, ოცდაათ-ორმოც კვადრატულ მეტრიან დაბალჭერიან დარბაზს წარმოადგენდა. პირველი, რაც დაემართა, როცა ამ დარბაზში აღმოჩნდა, ის იყო, რომ გაჩახჩახებულმა სინათლემ მოსჭრა თვალი. მერე მორიგის ხმა ჩაესმა:

_ აი, ჩაიბარეთ, ერთი ზვიგენიც!

კოტიკომ კარის გაჯახუნების და ფოლადის ურდულის გაჩხაკუნების ხმა გაიგონა. მერე კი, მერე თვალებს არ უჯერებდა. შუა საკანში, გრძელი, მამაპაპური სუფრა იყო გაშლილი და გარშემო ერთი ათიოდე თანამეინახე შემოსხდომოდა. მაგრამ სანამ კოტიკო თავის თვალებს დაუჯერებდა, სუფრა წამოიშალა და ერთი ყიჟინითა და შეძახილებით მისკენ დაიძრა.

_ ვა, კოტიკ? ჯიგარო, ძმაო, შენც, ტო?!

გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და ახლა კოტიკოს ჯერი დადგა.

_ ვა, გია, გოკა, დურმიშხან, ზეზვა, ვანო!!! ბიჭიკო, ბიჭო, შენ როდისღა აგიყვანეს, შენც, ტო?

_ ნახეე, ეს დამპლები, საწყალ მეღვინეებსაც დაერივნენ. წამო, წამო, დაგვიმშვენე მხარი!

კოტიკოს, სიზმარში იყო თუ ცხადში, ვერაფერი გაეგო, რადგან სუფრის თავში, სადაც ის დიდის ამბით დააბრძანეს მოქეიფეებმა, ისეთი "ნაშა" დახვდა, ისეთი ათქვირებული მკერდით და მოშიშვლებული ბარძაყებით, რომ მის ბოლო საყვარელს, თვითონ ირმასაც კი, მაგრად "უჯოკრავდა".

_ აბა, დაგვილიე, ერთი! აუ, როგორ მოგვნატრებია, არა, ნამდვილი მეღვინის, კაცური კაცის სადღეგრძელო, არა, ბიჭებო?

და დურმიშხანმა კოტიკოს კაი მოზრდილი თიხის ჯამი მიაწოდა. ეტყობა სუფრას დურმიშხანი თამადობდა. კოტიკო, რა თქმა უნდა, მაშინვე ღვინის წარმომავლობამ დააინტერესა. დაყნოსა, ეცნო, რქაწითელის ზვრების სიცხემ და ქვევრის თავში დაგუბებულმა დატკეცილმა ჰაერმა ცხვირის წვერში შეუღიტინა. გახედა, ქარვა იყო, სუფთა, კამკამა.

_ ასეთს ძმაო, გარეთ ვერ მიაგნებს კაცი სანთლით! _ წამოსცდა.

_ ეცნო, აი, ეცნო! _ წაუკახურა დურმიშხანმა, ყოფილმა გურჯაანის გუბერნატორმა, რომელსაც უმწეოთა დახმარების ფულის შეჭმა დააბრალეს და ხუთი წელი აჰკიდეს. თუმცა დურმიშხანი ბევრს იფიცებოდა: _ გზაშივე დაიკარგა ეგ ფული, გზაშივე, ჩემამდე ერთი თეთრი რაა, ერთ თეთრსაც არ მოუღწევიაო, მაინც არ დაუჯერეს, ჩასვეს.

მოკლედ, კოტიკო ისტორიული სადღეგრძელოს სათქმელად მოემზადა და თავშივე ისეთი რამ დაახალა, თვითონაც, რომ ვერ წარმოიდგენდა.

_ იმ ქვეყანაში, სადაც თუნდაც ერთი უდანაშაულო იხდის დაუმსახურებელ სასჯელს და ციხის საკანშია გამომწყვდეული, ყველა პატიოსანი კაცის ადგილი რომ საპატიმროშია, თქვენც მოგეხსენებათ. მეგობრებო, ძმებო, ქართველებო, ეს ჩემი ნათქვამი არ გახლავთ, ეს "იუნესკოს, ხალხთა უფლებების დეკლარაციაშია" შავით თეთრზე დაწერილი. აი, უკვე სამ თვეზე მეტია, ციხეში ვარ და მე ამ ლამაზ კედლებში, ჯერ ერთი დამნაშავეც არ შემხვედრია. მაშ რა გამოდის? ის გამოდის, რომ ვინც მილიარდებს იპარავს, ნამდვილი ვეშაპები...

_ გველ-ვეშაპები, _ შეუსწორა დურმიშხანმა.

_ სწორია, _ დაუმოწმა კოტიკომ, _ გველ-ვეშაპები ლიფსიტებს დაგვერივნენ და გვყლაპავენ, სადაც დაგვიჭერენ.

_ შენ ლიფსიტა არა, შენ ლოქო ხარ, ბიჭო, ლოქო, ღნავი. _ ისევ გაუსწორა დურმიშხანმა.

_ ვახ, რატო იარაღი არა გვაქვს, არ ავხდიდით ჭერს? _ ჩაილაპარაკა ბიჭიკომ, რომელიც ერთ დროს ზარაფხანის მთავარი ბუღალტერი იყო, და რომლის დროსაც, როგორც ამბობენ, ოქროს მთელი მარაგი უკვალოდ გაქრა. ამბობდნენ გადამალაო და ვერაფერი უპოვესო, იმასაც ამბობდნენ, გაუყოო, იმას, ვისაც ეს ეხებოდაო და ამიტომაც მისცეს მარტო ოთხი წელიო.

_ გვექნება, იარაღიც გვექნება, ტანკებიც და ბომდამშენებიც გვეყოლება, სულ ეს მთავრობა კი არ იქნება სათავეში, ცოტაც მოვითმინოთ უნდა, სულ ცოტაც... _ ანუგეშა ბიჭიკო დურმიშხანმა.

_ მაგას რა უჭირს, გავა, თავის ოქროს კუბოს მოსძებნის და შიგ ჩაწვება, მე ვიკითხო თორემ... _ დაიჩივლა ზეზვამ, რომელიც ერთ დროს ყვარლის რაიონის გამგებელი ბრძანდებოდა და სოფლის სავარგულებისა და მიწების უკანონო განაწილებისათვის, ანუ კორუფციისთვის და ქრთამების აღებისთვის იხდიდა სასჯელს.

_ კაი, კაი, შენც კარგა ბლომად გექნება მოჟოშკილი, მაშ ვინ გიგზავნის ამ პურმარილებს, ჩემი ცოლი თეკლა? _ გაეპასუხა ზეზვას ბიჭიკო.

_ კაი, ვათქმევინოთ კაცს, დავაცადოთ! _ გამოაცხადა დურმიშხანმა.

_ იცით, როგორ ვიტყოდი? _ განაგრძო კოტიკომ, _ პირველ რიგში, ჩემს მოსვლას და თქვენს გენიალურად დახვედრას გაუმარჯოს, და მერე კიდევ, ყველა ჩვენგანის სახით, ყველა დალხინებულ-გაჭორვებულს! _ მოიყუდა და ის თიხის თასი ბოლომდე გამოცალა. დაჯდა.

გოგომ, რომელიც გვერდით ეჯდა, ჯერ ბარძაყი და ძუძუ წაუქლასუნა, მერე კი მისი თეფშიდან ჩახოხბილის წვენში ამოწობილი თონის პურის ლუკმა ჩაუდო თავისი ხელით პირში, თან თითებიც ზედ მიაყოლა.

_ ე, ტასია, გამოიწი აქეთ, აცადე, ცოტა, ნუ გადარევ მთლად კაცს! _ შენიშვნა მისცა ქალს გიამ, რომელიც ერთ დროს კერძო ტელევიზიის მფლობელი იყო და ფულის გამოძალვისთვის იხდიდა სასჯელს.

_ რატომ, რატომ? _ ლუკმა ყელში გადასცდა ყოფილ მეღვინეს და შოუ-ბიზნესის წარმომადგენელს. თან ხარბად დახედა ტასიას მოშიშვლებულ ბარძაყებს.

_ ნუ ჩქარობ, _ ჩასჩურჩულა ქალმა.

_ სად მეჩქარება, რვაწლიანი სროკი მხიეს ამ დამპლებმა... _ ჩაიბურდღუნა კოტიკომ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი, _ უპასუხა ქალმა.

_ არ მითხრა ახლა ნომრებიცა გვაქვსო... _ რაც აინტერესებდა, ის იკითხა კოტიკომ.

_ თუ ფული გაქვს? შეუძლიათ კანარის კუნძულებზეც კი გადაგაფრინონ, ზღვაში გალივლივონ და უკან ჩამოგაბრძანონ... გაქვს? _ შეეკითხა ქალი.

_ აღარცერთი ცენტი... _ უპასუხა კოტიკომ.

_ მაშ აქ რანაირად მოხვდი?

_ წარმოდგენა არა მაქვს...

ამის თქმა იყო და ქალი წამოდგა, მინი-ბოლო ქვემოთ დასწია, რადგან ვარდისფერი აბრეშუმის ტრიკო მოუჩანდა და მაღალქუსლიან მოკასინებზე შემდგარმა სუფრის ბოლოსკენ გასწია. კოწიკომ ნერწყვის ყლაპვითღა გააყოლა მის უზადო უკანალის ჭდეებს თვალი. ქალი კი სხვაგან გადაჯდა.

_ მეგობრებო, ჩვენს ძმობას ერთი პატიოსანი წევრი კიდევ შემოემატა, _ წამოიწყო სადღეგრძელო დურმიშხანმა, რომელიც, როგორც ჩანს, მთლიანად კოტიკოს ეძღვნებოდა.

_ კიდევ ერთი ლოქო, ღნავი... _ უკარნახა გოკამ, რომელიც ერთ დროს სტადიონის დირექტორი იყო, რომელიც უკანონოდ მიითვისა, უკანონოდვე მიაპრივატიზაცია და სამშენებლო კომპანია "ლუქსს" რამდენიმე მილიონად მიჰყიდა.

_ კაცური კაცი, ვაჟკაცი, _ განაგრძო დურმიშხანმა, _ ქართული სუფრის ეშხი, მეღვინე და მომღერალი, კოტიკო მესხი...

ღვინომ, რომელიც კოტიკოს კუჭს, ციხეში ყოფნის გამო გადავიწყებოდა, სასიამოვნოდ დაუარა კოტიკოს სხეულში და დურმიშხანის მჭერმეტყველება წუთით დაავიწყა. კოტიკოს აღარ ესმოდა თამადის ლაპარაკი, არა, ლაპარაკი კი ესმოდა, აზრს ვეღარ სწვდებოდა და მოგონებანი მოეძალა. ვისთან ერთად აღარ უმღერია, ქალებთან, კაცებთან, ბავშვებთან, ვისთან ერთად არ უსვამს და ვინ აღარ გადაუკოცნია, მთვრალსა თუ ფხიზელს. როგორ მოხდა, რომ ისინი, ვინც ერთ დროს სახელმწიფოს აზანზარებდნენ, ახლა მასავით ციხეში ისხდნენ და ამ აბსურდული თეატრის მსახიობებს წარმოადგენდნენ? კოტიკო სათითაოდ აკვირდებოდა სუფრის წევრებს... და, "ჰოი საკვირველებავ, ეს, ეს ხომ თვითონ ბასა ლადარიაა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, როგორ, ისიც დაიჭირეს? როდის? მე რომ არაფერი ვიცი? აი, თვითონ ბასა წამოდგა, მისკენ იმზირება, სასმისით ხელში, ალბათ სადღეგრძელოს ეუბნება".

_ ძალიან მიყვარს თქვენი სიმღერები, სულ მინდოდა თქვენთან ერთად სუფრაზე მოხვედრა. არა, რა თქმა უნდა, არა, აქ, გარეთ, მაგრამ ხომ მაინც მოგვახვედრა ღმერთმა ერთად? თქვენი სახით კიდევ ერთი ნიჭიერი ადამიანი გავიცანი, არ დაიჯერებთ, მაგრამ მე ყველაფერს ვიღონებ, რომ აქ ისეთი პირობები შეგიქმნათ, თვენმა ნიჭმა ბევრად უკეთესად გაიბრწყინოს.

_ კი, მაგრამ, თქვენ რაღაზე დაგიჭირეს, რა დაგაბრალეს? _ შეეკითხა კოტიკო.

_ მე მეკითხები? _ მაგრად გაუკვირდა ლადარიას. _ მე, გენაცვალე, აქაური შაჰი ვარ, დირექტორი. მე ვინ დამიჭერს, როგორ გეკადრება. ასეთ ხალხს აქ რომ ხართ შეკრებილი, გარეთ გულით რომ გინდოდეს, ერთად ვერც შეგყრით კაცი... ვქეიფობ, რა? _ აუხსნა დაბნეულ კოტიკოს ბასამ. _ რა გიკვირს, კაბინეტში უსაქმოდ ჯდომას აქ ჯდომა არ მირჩევია?

_ მართალია, _ დაუდასტურა იმწამს დურმიშხანმა. _ კაცური კაცი ხარ, ნამდვილი ვაჟკაცი, შაჰი კი არა, შაჰინშაჰი!

_ მაპატიეთ! _ ჩაიბურტყუნა კოტიკომ. არა, ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, კომუნისტების დროს, არსად, არცერთ ქვეყანაში არასოდეს ნამყოფი კაცი, შემთხვევით პირდაპირ პარიზის გულში რომ მოხვდებოდა და შოკში ვარდებოდა.

_ აბა, სამადლობელო მოგვახსენე! გისმენთ! _ თამადის სიტყვებმა გამოაფხიზლა კოტიკო.

_ სამადლობელო? ჰო, ამას სიტყვებით როგორ გამოვხატავ, რა გრძნობაც ჩემში, თქვენმა ასეთმა გულითადმა დახვედრამ გამოიწვია. არ ვიცი, უნდა ვიცინო, თუ უნდა ვიტირო. არ ვიცი უნდა მეწყინოს თუ უნდა გამიხარდეს. გარეთ გასვლა უნდა გირჩიოთ, სადაც ხალხი ასე იტანჯება თუ აქ დარჩენა? წარმოდგენა არა მაქვს...

_ ჯერ სადა ხარ, ეს ჟურნალია, _ გაიცინა დურმიშხანმა. _ ისეთ რაღაცეებს ნახავ აქ, სიზმარშიაც რომ ვერ დაგესიზმრება. დალიე, დალიე, არ დაგცდის, ნუ გეშინია!

და კოტიკოც სვამდა, მოიყუდებდა და პირიდან ვეღარ იცილებდა. დაცლიდა ჯამს, დადგამდა და ძირს ჩაჰყურებდა. ჯამის ძირიდან კი ვაჟა-ფშაველას ფაფახიანი და წვერებიანი, კლდესავით სახე შემოსცქეროდა, რომელიც მეჭურჭლეს გამოესახა. გვერდით ჯამში ჩაიხედა, ილია დახვდა, აქეთ _ აკაკი წერეთელი... ციხე, ჯამები, მწერლები... მოდი და ნუ გააფრენო, _ დაასკვნა...

მალე სუფრა ღრეობაში გადავიდა. იყო ერთი ხვევნა-კოცნა და გულის გადაშლა. დავლურიც დაუარეს და მრავალჟამიერიც კი დასჭექეს. მოკლედ, კოტიკო თავის "კამპოტში" იყო, იმათთან ერთად ილხენდა, ვისთანაც გარეთ მრავალჯერ მოულხენია და მთვრალს ანუ სიყვარულით გულაჩუყებულს, ბევრჯერ ულოშნია. შოკმა, დაძაბულობამ თუ ღვინომ თავისი ქნა, დადო თავი მაგიდაზე და მკვდარივით ჩაეძინა.

როცა გამოეღვიძა და თავი ასწია, სუფრაზე აღარავინ იჯდა. დარბაზი კი ისევ ისე იყო გაჩირაღდნებულ-გაკაშკაშებული. კედლებთან ჩამწკრივებულ ორსართულიან ნარებს გახედა. ზედ არცერთზე არავინ იწვა. საკანი ცარიელი იყო. ნასუფრალ-ნამუსრალ-ნაკაცარ-ნაალაფარი მაგიდა კი აულაგებელი, თავის პურ-ღვინით და შელახული ჯამ-ჭურჭლით. კოტიკოს რაღაც არ მოეწონა, მიხვდა, რაღაც ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. თავი უხურდა, უბჟუოდა და საოცარ სიცარიელესა და გამოფიტულობას გრძნობდა. ტვინის გატოკება ეზარებოდა, რადგან იმპულსებზე პასუხს არ იძლეოდა. დოქს გადასწვდა, შეაჭანჭყარა და რომ დარწმუნდა კიდევ იდგა ღვინო, თავის ჯამზე გადმოაპირქვავა, ჯამი გაივსო და ღვინო გადმოვიდა, "ლიცლიცა, ლიცლიცა უნდა დამიცალო", _ გაახსენდა თამადის მუქარა, "თუ არა და წრუწუნასავით, ძალით ჩაგასხამ"! "შესანდობარი იყოს", _ გაიფიქრა და ღვინოს მოწყურებულივით დაეწაფა. რკინის კარი გაჩხაკუნდა, სარკმელი გაიღო და ზედამხედველის გამხდარი, გრძელცხვირა სახე გამოჩნდა.

_ ჯერაც არ აგილაგებია, ბიჭო? თხუთმეტ წუთს გაძლევ, გადააცილებ და დედა გეტირება, უბორნიაში გაგიშვებ, გასაგებია? _ და სარკმელი დაიხურა.

თხუთმეტი წუთიო? _ ეს კი სწრაფად შევიდა კოტიკოს გამოცარიელებულ-გამოფიტულ თავში. "თხუთმეტ წუთში ამხელა სუფრის ალაგება"? _ და დატრიალდა და დაბზრიალდა, ვიღას ახსოვდა პახმელიობა. "დროზე, დროზე! თორემ უბორნიების ხეხვა მოგიწევს, ჯიგარო!" _ აქეზებდა საკუთარ თავს და ციბრუტივით ტრიალებდა. თხუტმეტ წუთში, ჯამჭურჭელი და დანა-ჩანგალი ცალკე ეწყო მაგიდაზე, ნამუსრევი კი ცელოფანის პარკებში და კარიც გაიღო.

_ საღოლ, შენ! _ მაგრად გაუკვირდა ზედამხედველს, _ მოკიდე მაგ პარკებს ხელი და წამოდი!

დერეფანი უხმოდ გაიარეს. მორიგემ, რომელიც ჰოლში იჯდა, ბოქლომი გახსნა და კარი გაუღო. ეზოში, რომელიც ანძიდან პროჟექტორით ნათდებოდა, ორი ნაგვის ურნა იდგა. კოტიკოს ღამის სიგრილე ესიამოვნა, ნელა ადგამდა ფეხებს. ზედამხედველმა თვალით ანიშნა და კოტიკომაც პარკები ურნაში ჩაუძახა.

_ უბორნია ხომ არ გინდა?

_ კი!

_ მიდი!

ეზოს ბოლოში, გრძელი, ყაზარმული ტიპის ტუალეტი დაედგათ. კოტიკო შევიდა და იქაურმა სისუფთავემ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ვა, ციხე კი არა, სამოთხეაო, გაიფიქრა. უკან კმაყოფილი გამოვიდა და როცა საკნის კარი მიუკეტეს და მარტო დარჩა, დედაც სტირებია მთელ ქვეყნიერებასო, შეიკურთხა, მერე პირველივე ნარზე მიწვა და ხვრინვა ამოუშვა.

დილას, როცა "უბედური-ბედნიერი" ტუსაღები, შაჰინშაჰთან ერთად, ქალაქიდან ციხეში დაბრუნდნენ, საკანი დასუფთავებულ-დალაგებული დახვდათ. კოტიკოს კი ჯერაც თბილად და ტკბილად ეძინა.

ადვოკატი დალი კოდუა, რომელიც ჩინელივით ნუშის თვალება აღმოჩნდა და თავი ისე ეჭირა, როგორც საქმიან, მცოდნე ადვოკატს შეეფერება, ალბათ ოცდათხუტმეტი წლის იქნებოდა, სწორედ ელენიკოს ასაკის. გოჩუნას დანახვაზე, ოდნავ შეჭმუხნა შუბლი. ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ბეტონში ჩაბეტონებულ ორ სკამს შუა, ძველი, ფერგახუნებული საწერი მაგიდა იდგა, რომელსაც უჯრები საერთოდ არ ჰქონდა.

_ მე თქვენი ადვოკატი ვარ, სახაზინო, დალი კოდუა. _ თქვა ქალმა და გოჩუნას პირდაპირ თვალებში მიაჩერდა.

_ დიახ, _ მშვიდად უთხრა გოჩუნამ.

_ მე მინდა, რომ ჩვენს შორის, ოფიციალური კი არა, უფრო ადამიანური ურთიერთობა, უფრო მეგობრული დმოკიდებულება ჩამოყალიბდეს.

_ დიახ, _ ისევ ერთი სიტყვა თქვა გოჩუნამ.

_ თუმცა, წინასწარვე უნდა გითხრა, რომ ჩვენი შანსები, იმ ჩვენების გამო, რომელიც შენ მიგიცია, თითქმის ნულის ტოლია, მაგრამ მაინც მინდა, რომ გამეხსნა, როგორც დას, მეგობარს, რაც გინდა დამარქვი... მოკლედ, არ ვიცი, როგორ უნდა შევძლო შენი დაცვა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიცოდე სიმართლე, სხვანაირად არაფერი გამოგვივა.

_ მე არც ვაპირებ ტყუილების თქმას, საერთოდ არ მითქვამს ტყუილი, არასოდეს... _ აღელდა გოჩუნა.

_ ყური დამიგდეთ, _ ქალმა ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, _ მოწევ? _ გოჩუნამ ღერი ამოაძრო, ადვოკატმა სანთებელა მიუტანა სახესთან. გოჩუნამ ღრმა ნაფაზი დაარტყა. _ ყველამ კარგად იცის, რომ ყველა დამნაშავე უდანაშაულობას იბრალებს...

_ ჰო, არა? მაშ როგორ ვიმართლო თავი? "ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი წაგიკითხავთ?" _ უცბად შაყირის ხასიათზე დადგა გოჩუნა.

_ არა!

_ ჰოდა, იქ არის ერთი ადგილი, გენერალი თავის ცოლთან რომ დატოვებს შვეიკს და უბრძანებს, რასაც ჩემი ცოლის თვალებში ამოიკითხავ, უსიტყვოდშეუსრულებო. ჰოდა, შვეიკმაც ამოიკითხა და ლოგინში ჩაუგორდა. რა გამოდის, გააუპატიურა?

_ კარგი რა? შვეიკი გიშველის? გამომძიებლები ცოტა სხვანაირი ხალხია.

_ კი, ალბათ ნახევარ ხალხს მაინც ტყუილად აბრალებენ დანაშაულს, ჩემსავით.

_ მთლად მასეც არ არის, უბრალოდ, ძალიან ძნელია შენი სიმართლის დამტკიცება.

_ რატომ არის ძნელი, რა, არასრულწლოვანი ხომ არ იყო... მთელმა ეზომ დაინახა როგორ გადავძვერი ფანჯრიდან.

_ მითუმეტეს, ნორმალური ადამიანები მარტოხელა ქალის ბინაში ფანჯრებიდან არ ძვრებიან.

_ ეგ თვითონ მთხოვა, იმიტომ რომ ურდულის რკინა გაეჭედა ღრიჭოში... წინ არ გიდევთ ჩემი ჩვენება? ხომ იცით, არა, როგორც იყო?

_ ამ ჩვენების მიხედვით, უარყოფითი დასკვნაც შეიძლება გამოიტანოს კაცმა, როგორიც გამომძიებელმა დაწერა და დადებითიც... როცა საქმეში მსხვერპლი ფიგურირებს გამომძიებელიც ფრთხილობს, არა?

_ თქვენ ნამდვილად აპირებთ ჩემ დაცვას?

_ რა თქმა უნდა, აბა რა? კანიბალიც რომ იყო და სერიული მკვლელი, ჩემი მოვალეობაა, დავამტკიცო შენი უდანაშაულობა.

_ მაშინ დაამტკიცეთ, მეც ეგ მინდა, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით. მე ინვალიდი ბებია მყავს, ოპერის სოლისტი იყო, ერთ დროს. მე რომ სროკზე გამიშვათ, იათო მოკვდება, ვერ გადაიტანს, იმას ჩემს მეტი არავინ ჰყავს.

_ ბებიებისა და ბაბუების გამო, რომ ხალხს ციხიდან უშვებდნენ, იქ ორი-სამი კაცი იჯდებოდა და არა _ ნახევარი საქართველო. მოკლედ, ყველაფერი დეტალურად უნდა ვიცოდე, იქნებ რაიმე მოვძებნო ხელჩასაჭიდი. თუმცა წინასწარ მინდა გითხრა, რომ არც მე მჯერა შენი უდანაშაულობის. ის მხოლოდ ერთი დღის გაუპატიურებული იყო, ასე არაა?..

_ მაშინ არ უნდა აგეღოთ ჩემი საქმე...

_ ჩემი რიგი რომ არ ყოფილიყო, არც ავიღებდი. კაი, რა? მოვრჩეთ ამაზე. აი, შენ წერ, რომ ღვინოს ვსვავდითო, თანაც მთელი ორი ლიტრი, გამოგიცლიათ. ყველაც იფიქრებს, რომ გამოათვრე და მერე, ორჯერ ორი რომ ოთხია, შენც მოგეხსენება.

_ თქვენ დაგილევიათ ღვინო დათრობამდე?

_ არა, მაგრამ მინახავს, რა უმწეოა მთვრალი ქალი.

_ მე თავშიც არ მომსვლია, მე სხვა მიყვარს, სხვა?

_ ეს უკვე არასერიოზულია.

_ თვითონ აიწია კაბა, ყველაფერი თვითონ! თვითონ! თვითონ! _ აყვირდა უცებ გოჩუნა.

_ ჰო, თვითონ გაიუპატიურა თავი.

_ დიახ! რა? არა? თუ ქალი თვითონ გიწვება, თვითონ შიშვლდება, კაცს რა დარჩენია, ამიხსენით! დიახ, თვითონ, თვითონ გაიუპატიურა თავი!

_ მოიცა, არაფერი მომხდარა თქვენს შორის? ან შელაპარაკება იმ ყველაფრის შემდეგ, ან ჩხუბი, წაკინკლავება, რა ვიცი!

_ არაფერი, რა შელაპარაკება? ერთადერთი, ვუთხარი სხვა მიყვარს-მეთქი, მაგრამ ისიც ვუთხარი არ ვიცნობ-მეთქი.

_ რა გიპასუხა, მერე?

_ არაფერი. ხმა აღარ გაუცია. გაჩუმდა. გამოსვლისას რაღაც სიცივე ვიგრძენი, რაღაც დანაშაულის გრძნობა გამომყვა, იმიტომ რომ, სხვა მიყვარდა და თავი რომ ვერ შევიკავე და ვუთხარი თუ რა, არ ვიცი... მე რომ გამოვედი, ის ისევ ისე იწვა ტახტზე.

_ გაუპატიურებული.

_ არა, არა! გაუპატიურებული მე ვარ, მე, ის კი არა! _ ისევ აყვირდა გოჩუნა.

_ დავუშვათ, მართალს ამბობ, დავუშვათ, მასეც იყო ყველაფერი. თვითონ გაგაბა მახეში და მერე, შურისძიების მიზნით თავი მოიკლა.

_ იცით რა? მე სულ ცალ ფეხზე მკიდია, რატომ და როგორ მოიკლა თავი ელენიკომ. არ ვიცი, არც მეცოდება და არც მებრალება. პირიქით! მე თუ გაუპატიურება შემტენეს, მინიმუმ ათ წელს მაინც მომარჭობენ.

_ ალბათ.

_ მერე? ათ წელიწადს დამიცდის ანუკი? ათ წელიწადს დამელოდება?

_ ანუკი ჰქვია? ანუკები ათ წელს კი არა, მგონი სამ დღეს და სამ საათსაც არ იცდიან. დღევანდელი ქალები? რომელი დეკაბრისტების ცოლები ესენი მყვანან? მაგას უნდა წინასწარ შეეგუო.

_ ჰოდა, ციხიდან რომ გამოვალ, ვინც კი ანუკის გაეკარება, არ დავხოცავ ყველას? როგორ გგონიათ?

_ გამომძიებელთანაც ასე ლაპარაკობდით?

_ დიახ, მინდოდა რომ სცოდნოდა.

_ წეღან წამოგცდა, რომ არ იცნობდი მაგ ანუკის...

_ დიახ, მერე გავიცანი, ელენიკოს სიკვდილის შემდეგ, იქამდე ნამდვილად არ ვიცნობდი.

_ ეგ ანუკი, რამდენი წლისაა, შენზე უფროსია თუ უმცროსი?

_ ანუკი? თექვსმეტისაა.

_ იცის, რომ გიყვარს?

_ მიყვარს? კი არ მიყვარს, ის ყველაფერია ჩემთვის, ის ჩემი ღმერთია, ანგელოზი... მე არაფერი ჩამიდენია, გარდა იმისა, რომ შევცდი, შემაცდინა ელენიკომ. რატომ უნდა მოეკლა თავი, ვერაფერი გამიგია...

_ ეგებ ისე უყვარდი, როგორც შენ ანუკი გიყვარს. ეგებ ის კიდევ შენზე გიჟდებოდა, შენ იყავი მისი ღმერთი?

_ ელენიკო? ზედაც არ მიყურებდა. არ ვიცი, იმ საღამოს რა დაემართა.

_ ეს ჩვენება რომ არ მიგეცა, იქნებ რაიმე მეღონა... ახლა კი, ამ შენი ნაწერიდან ისე ჩანს, თითქოს თავს იმართლებსო... მე კი ყველაფერს ვეცდები, მაგრამ საეჭვოა, რაიმეს გავხდე.

_ ვიცი.

_ ჩემი თხოვნა იქნება, მუქარას და სხვების დაშინებას შეეშვა. ათ წელიწადში, ვინ იცის, რა მოხდება? ან როგორ გადაგიბრუნდება ტვინი. გეყვარება კი, ეგ შენი ანუკი?

_ ასე ნუ ლაპარაკობთ, ძალიან გთხოვთ! ყველას დავხოცავ, ვინც ათ წელს მომისჯის.

_ კაი, იმას თუ უყვარხარ, იმ შენს ანუკის, ისევე როგორც შენ გიყვარს?

_ არ ვიცი. იმას უფლება აქვს ისე ვუყვარდე, როგორც თვითონ უნდა...

_ კაი, გაიცანი, მერე?

_ რა მერე?

_ რა და. მაინტერესებს, რამდენჯერ შეხვდით ერთმანეთს? ერთხელ, ორჯერ, სამჯერ?..

_ არა, მარტო ერთხელ შევხვდით და მერე სულ ერთად ვიყავით.

_ შეხვდი და მაშინვე სიყვარული აუხსენი?

_ არა, სიყვარული არ ამიხსნია, ისედაც ვიცოდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა.

_ რას ნიშნავს სულ ერთად იყავით? რამდენ ხანს? მთელი საღამო?

_ არა, საღამოც და მთელი ღამეც, მეორე საღამომდე, სანამ მომტაცებდნენ.

_ ვერაფერი გავიგე. როგორ მოგტაცეს, ვინ მოგტაცა, რანაირად?

_ დავუმალე, რომ მიმალვაში ვიყავი და ისიც წამომყვა.

_ სად?

_ ხევში, სიონში, დეიდაშვილთან, მაგრამ ის ჩემზე უფროსია.

_ სად ხევში? რომელ სიონში, ყაზბეგში? მოხევეებში?

_ ჰო!

_ გაცნობისთანავე?

_ ჰო, მაგრამ იქამდეც ვიცნობდით ერთმანეთს. ყოველდღე გიმნაზიაში ვაკითხავდი და გაკვეთილების შემდეგ ერთმანეთს ვუყურებდით.

_ მარტო უყურებდით? თუ ესალმებოდით კიდეც?

_ არა, რა ვესალმებოდით, ისე გვეშინოდა ერთმანეთის, როგორ მივესალმებოდით?

_ აჰა, გაიცანით თუ არა, სიონში გაიპარეთ, ხომ? მერე მშობლები? არ გამოუდგნენ, არ მოაკითხეს, არ მოძებნეს?

_ რომ სცოდნოდათ სად იყო, იქნებ მოეკითხებინათ კიდეც, მაგრამ საიდან უნდა გაეგოთ, ჩვენს მეტმა და ჩემი მეგობრების მეტმა არავინ იცოდა ჩვენი ამბავი.

_ სიონში? რამდენ ხანს დარჩით? მოხდა რამე თქვენს შორის?

გოჩუნა გაჩუმდა. არ იცოდა, რა ეპასუხა. “ან მოხდა მართლაც მათ შორის რამე? რას გულისხმობს ეს ქალი? რა უნდა მომხდარიყო? არაფერიც არ მომხდარა”.

_ კარგი, თუ არ გინდა თქმა, ნუ იტყვი, _ დაუთმო დალი კოდუამ. _ როგორ მოგტაცეს, ვინ მოგტაცა? რატომ?

_ მოტაცებით რუსებმა მოიტაცეს, სამხედროებმა და ოსეთში გადაიყვანეს, არა, ჯერ ნაწილში ჰყავდათ, მერე კი, როგორც ჩანს, გაიგეს მამამისის ამბავი, ბესლანში ჩაიყვანეს და იქ ქუჩაში დატოვეს. რა გაგება იმას უნდა, ქართველების გაყიდული ვიყავით, ან ვიღაცამ იცნო, როგორც ჩანს, ანუკი...

_ იცნო? ვინ არის ეგ შენი ანუკი? ან მამამისს რა დაემართა, რა გაიგეს?

_ ანუკი? ანუკი კოტიკო მესხის შვილია.

_ აა, ასე გეთქვა თავიდანვე. ისიც ციხეშია, შვიდი წელი მიარტყეს... ჰო, ჰო, შვიდი... კარგი, დანარჩენი სხვა დროისთვის გადავდოთ... მაგრამ როგორ გიშველო, რანაირად, წარმოდგენა არ მაქვს. შენ საბედისწერო შეცდომა დაუშვი, ჰო, საბედისწერო, სხვანაირად ვერც იტყვი... “არა იმრუშოო”, ტყუილად კი არ წერია ათ მცნებაში?

ანუკიმ, მეორე დილასვე, საუზმეს რომ ამზადებდა იათოსთვის, ჩაის დასხმისას, “ყვავილების ქვეყანა” ჩაიღიღინა.

_ რა მშვენიერი ხმა გაქვს, მღერიხარ? _ გაუკვირდა იათოს.

გოგონამ ერთი-ორი ფრაზა მთელი ხმით წაიმღერა და იათო დარწმუნდა, რომ ანუკის მართლაც მშვენიერი მონაცემები ჰქონდა.

_ შენ ნამდვილი ტალანტი ხარ, გენაცვალე! ეს ღვთის საჩუქარია და არ უნდა დაკარგო. როგორც ნამდვილ საუნჯეს ისე უნდა გაუფრთხილდე.

_ უფულოდ?

_ ჰო, რა მოხდა? ვერ ხედავ, რამდენი კონკურსები ტარდება?

_ ადრე სასახლეში დავდიოდი ნორა გელაშვილთან...

_ ჰოო? ნორა კარგი პედაგოგია. გინდა მე გამეცადინო?

_ რაში?

_ ვოკალში, მაგრამ ჯერ მეტყველებას უნდა მივხედოთ, ცოტა. დღევანდელ ახალგაზრდობას ისეთი საშინელი დიქცია აქვს, ეკრანს ვთიშავ ხოლმე, მათ დანახვაზე.

_ მეც ასე ცუდი დიქცია მაქვს?

_ ალბათ.

_ მაშინ ვისაუზმოთ და მამეცადინეთ.

საუზმის შემდეგ, იათომ ანუკი წინ დაიყენა.

_ შემოტრიალდი, _ სთხოვა მან გოგონას.

_ შემოვტრიალდე? თქვენ რა, პოდიუმზე ხომ არ მიპირებთ გაყვანას? სილამაზის კონკურსზე?

_ არა მგონია ვინმეს ეჯობნა, ჩემი აზრით, მშვენიერი მონაცემები გაქვს. _ შეაქო იათომ მოსწავლე.

_ გმადლობთ, _ ესიამოვნა ანუკის.

_ გააღე პირი. ნიკაპი წინ წამოწიე. ენა მაჩვენე.

ანუკი უსიტყვოდ ასრულებდა იათოს დავალებებს.

_ მშვენიერია, ზოგი ისეა ხოლმე დაშლილი, თავიდანაა ასაწყობი. მეტყველება ხომ ზუსტად იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც დედამიწის ზურგზე დაიარება. მაგრამ არსებობს ძველი თუ ახალი თეორიები, რომელთა მიხედვითაც, მეტყველება განსაზღვრული რაოდენობის კატეგორიებად შეიძლება დავყოთ...

_ ქალბატონო იათო, თქვენ რა, ლოგოპედიც ბრძანდებით?

_ ცოტათი. წარმოთქმა ათასნაირია. დუდუნა, შიშინა, გრუხუნა, ლუღლუღა...

_ და ეგ ყველა უბედურება მეც მჭირს?

_ იცი, სწორი დიქცია რომ გქონდეს, მხოლოდ კარგი მეტყველება და ფიზიკური მონაცემები საკმარისი არ არის... უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კულტურას, ანუ განათლებას... სულიერებას, რაშიც დღევანდელი ახალგაზრდობა საგრძნობლად მოიკოჭლებთ, ხომ გამიგე?

_ ჩვენ როგორებიც გაგვზარდეს, ისეთები ვართ. თქვენ? თქვენ სხვანაირები იყავით?

_ ჩვენ? ჩვენ მართლაც ულამაზესი ბავშვობა გვქონდა. აი, წარმოიდგინე, პატარა, საოცრად სუფთა ქალაქი... კოხტად მოვლილი ბაღებით და ბახჩებით... ვარდები, ვარდები... ეზოებში, კედლებზე, ივან და მარია, ზამბახები, გიორგენები... მაგრამ ეს ყველაფერი არაფერი არ იყო იმასთან შედარებით, რაც თვითონ ამ პატარა ქალაქში ხდებოდა... კარნავალები. ჰო, ნამდვილი. ჩვენ თვითონ ვაწყობდით, ბავშვები... უფროსებიც გვეხმარებოდნენ, რა თქმა უნდა. დღეს ჩვენს ქუჩაზე, ხვალ მეორე ქუჩაზე, ზეგ მესამეზე და ასე გამუდმებული ზეიმები... მაშინ "ტვისტი" იყო მოდაში და ისმოდა ეს "ტვისტიგენ"... აი, დღეს რომ აღდგებოდეს ის ტრადიცია... დღეს თუ ქალაქის მერიამ და ხელმძღვანელობამ არ გადაწყვიტა, ხელს არავინ ატოკებს... მაშინ ნიჭი როგორ დაიკარგებოდა, გენაცვალე, თუკი ნიჭი გქონდა? აუცილებლად გამოაშუქებდა... მე ჩემს პირველ როლს რა დამავიწყებს. მუსიკალურ სკოლაში "დაისი" მოვამზადეთ, ჩვენი ძალებით, მე, რა თქმა უნდა, მაროს როლი მერგო. დიახ, და, იცი, რა სასწაული მოხდა? კიაზოს როლზე დედაქალაქის ოპერიდან ნამდვილი ტენორი, ნამდვილი სახალხო არტისტი, ნუგზარ ორბელიანი მოვიწვიეთ, დიახ, და რა გგონია, ჩამობრძანდა და ჩვენთან ერთად იდგა სცენაზე. როგორ გგონია, მას მერე, უამრავი როლი, უამრავ სცენაზე,

უამრავი პრემიერა ვითამაშე, სანამ ჩემი ქალიშვილი და სიძე ავარიაში მოხვდებოდნენ და მე ფეხები წამერთმეოდა, ჰო, იყო "ლა-სკალაში" სტაჟირებაც, მაგრამ იმ პირველ პრემიერას, იმ პირველი სპექტაკლის სიხარულს მაინც არაფერი შეედრება... ის სულ სხვა განცდა იყო, სხვა ბედნიერება, სუფთა, წმინდა, უმანკო, ალბათ ბავშვურიც...

ანუკი უსმენდა და ხვდებოდა, რომ ადამიანი, რაც არ უნდა ჯიჯგნოს ცხოვრებამ, თუ სულიერებასაა ნაზიარები, ფეხებწართმეულიც კი, ბევრ ფიზიკურად ჯანმრთელ, მაგრამ უსულო არსებას ათასწილად და მეტადაც სჯობს. მის წინ კი, სწორედ ასეთი ქალბატონი იჯდა, მრავლისმნახველი, მაგრამ სუფთა და უმწიკვლო. "არ არსებობს, გოჩუნაც სწორედ ასეთია, მის ძარღვებში ხომ იათოს სისხლიც ჩქეფს და რანაირად შეიძლება, რომ ის უდანაშაულო არ იყოს? გოჩუნა უდანაშაულოა, მაგრამ როგორ, რანაირად უნდა გამოვიხსნა? ქვეყანაში, სადაც ფული, მარტო ჯოჯოხეთს კი არა, სამოთხესაც ანათებს მგონი, თანაც როგორ?!"...

ანუკის ჭილამ გამომძიებლის ვინაობა დაუდგინა და მალე ორივენი გური ცინცაძის კაბინეტს მიადგნენ.

ცინცაძემ მაშინვე იცნო ანუკი და რადგან თავს ლამაზ კაცად სთვლიდა და არც მართლაც ცუდი შესახედაობა ჰქონდა, (მოგრძო და მოთეთრო სახე, ჭკვიანური შავი თვალებით და შავი ქართული ულვაშები) პერსპექტივაში, რატომაც არა, გაჟიმვაც შეიძლებაო, გაიფიქრა. ქალს სიგარეტიც კი შესთავაზა და დააიმედა, კოტიკო მესხის ამბავი, მე ნამდვილად წმინდა-წყლის გაუგებრობა მგონია და ჩვენს მთავრობას ეს როგორ შეეშალაო, ისიც კი თქვა.

ჭილა ჩუმად იჯდა და უნდობლად უმზერდა გამომძიებელს, რადგან ძალიან კარგად უწყოდა თუ რა "ჩამოსხმისაც" ბრძანდებიან ძალოვანები და რანაირადაც უყვართ ხალხი. მართალია, მცირე გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ეს იმ გამონაკლისებში არ უნდა შედიოდესო, _ დაასკვნა. ან იმის მიხვედრას რა უნდოდა, რომ კაცს ქალი მოეწონა და ცოტა ემარიაჟებოდა კიდეც.

_ არა, ვერ დაგაიმედებთ, ხომ არ მოგატყუებთ, თავს ზემოთ ძალა არაა. უმძიმესი შემთხვევაა, უმძიმესი შედეგებით. _ ამბობდა გამომძიებელი და სიგარეტის ღერს აწვალებდა. _ შენი რა არის, რა მითხარი? _ მიაჩერდა ის სახეში ანუკის.

_ ქმარია ჩემი! _ დაუფიქრებლად უპასუხა ანუკიმ.

_ ქმარი? ხელი გაქვს მოწერილი? როგორ მოასწარი, განა რამდენი წლის ხარ? _ არც ასეთი შეკითხვის დასმას მორიდებია ცინცაძე.

_ საპასპორტო ასაკს გადავცილდი, _ ჭკვიანურად უპასუხა ანუკიმ.

_ ჰოდა, მინიმუმ თხუთმეტი წელი მაინც მოგიწევს მოცდა. შესაძლოა ოციც... _ არ დაინდო გოგონა ძალოვანი უწყების თანამშრომელმა.

_ ეს უსამართლობაა! _ წამოიჭრა უცბად სკამიდან ანუკი. _ არავინ იცის იქ რა მოხდა, ვინ იყო ნამდვილი დამნაშავე!

_ როგორ გეკადრება, კაცი ცოცხალია და ქალი მკვდარი. _ აგდებულად მიუგდო ცინცაძემ. _ მკვდარი რანაირად შეიძლება იყოს დამნაშავე, ეს ხომ აბსურდია? _ და მხრები აიჩეჩა.

_ მაგრამ, ხომ შეიძლება, არცერთი იყოს დამნაშავე და არც მეორე? ხომ შეიძლება იმ ქალს თავისი პრობლემები ჰქონდა და ამიტომ მოიკლა თავი?

_ მაგრამ, რაღა მაინცდამაინც მაშინ, როცა გააუპატიურეს? _ გამომცდელად მაიჩერდა ცინცაძე ანუკის. _ რადგანაც ოცდათხუტმეტი წლის იყო, მადლი მოუსხამსო, არა? ჩემზე რომ იყოს, დღესვე გავათავისუფლებდი, მე რომ მეხებოდეს რამე, მაგრამ მე ვინ რას მეკითხება, გენაცვალე?!

_ გამომძიებელს არაფერს ეკითხებიან? _ გაწელა სიტყვები გაკვირვებულმა ანუკიმ და უკანვე დაეხეთქა სკამზე.

_ ეკითხებიან? ავალებენ და ისიც თავის მოვალეობას ასრულებს. საქმეს იძიებს, მაგრამ გადაწყვეტილებას პროკურორი და მოსამართლე იღებენ, გამომძიებელი ხომ არა... _

თვალები დაახამხამა ცინცაძემ. _ მე შემიძლია, მხოლოდ გავიკითხო და თუ გაინტერესებთ და კიდევ მესტუმრებით, რასაც შევიტყობ, იმას მოგახსენებთ. გინდათ?

_ ეს სისულელეა, რა შუაშია გოჩუნა. იმ ქალს თუ არ უნდოდა, რაზე დაუძახებდა? _ ჩაერია უეცრად ჭილა. _ იცით, რა ბიჭია გოჩუნა? ის ქალს ხელს როგორ დააკარებდა. რა გაუპატიურება, რის გაუპატიურება... რას მიყურებ, ყველამაც ვიცით, რომ ტყუილად დააბრალე? რა არა? _ ვეღარ მოითმინა ჭილამ.

_ შენ გაჩუმდი, რა, ჭილა, ძალიან გთხოვ, მაცალე, რა, ცოტახანს! _ შეეხვეწა ანუკი, რადგან მიხვდა, ჭილას ლაპარაკი კარგს არაფერს მოიტანდა.

_ გაუშვი, ილაპარაკოს, რას დამაკლებს? მე კი არ დავაბრალე, როგორც იყო, ის დავწერე! _ მიუგო აგდებულად გამომძიებელმა.

_ შენ საიდან იცი, როგორ იყო, რა ბალიშად ედე თავქვეშ? _ არ დაუთმო ჭილამ.

_ აუ, ჭილა, მაცალე, რა, გაჩუმდი! _ აღელდა ანუკი.

_ ჰო, ბალიშად ვედე, ბიჭო, და ახლა თუ არ გაჩუმდები და არ მოკეტავ... _ აღარ დაამთავრა მუქარის სიტყვები გამომძიებელმა.

_ რა უნდა მიყო, შენ მე, ბიჭო, დამიჭერ? მერე, რომ გამოვალ, სად წახვალ? უპატრონო როა და უფულო, ფეხი დააჭირე, არა? თქვენ ხომ ცივსისხლიანები ხართ, უმიზეზოდ სვამთ ხალხს და თუ მიზეზი უპოვეთ, ხომ... რას მიყურებ, რა? დამიჭირე, მიდი, აი, აქა ვარ!

_ ეხლა გადი აქედან, რა? დროზე! და თქვენც, ქალბატონო, მიბრძანდით!

_ მე კი გავალ, მაგრამ! შენც თუ აქედან არ გაგიტანენ, მაგ შენი სკამიანად! _ დაემუქრა ჭილა და წამოდგა.

_ თქვენ ხომ იცით, რომ ის მართლაც უდანაშაულოა, თქვენ ეს ძალიან კარგად იცით... _ წამოდგა ანუკიც.

_ ესენი? _ ანუკის ეუბნებოდა და გამომძიებელს ასმენინებდა ჭილა. _ მეც მიჭერდნენ რამდენჯერ, ერთ მძღოლს ფული ეცოტავა და მივაგინეთ. წამოვედით და არ დაურეკავს პატრულისთვის? სარობჩკა გაუხევია და გაუკაწრია დანით მუცელი. შეკრული არ ყოფილა? თქვენ კაცები გქვიათ?

_ ეხლა, ბევრს თუ იბლატავებ, მართლა დავაჭერინებ შენ თავს, ბიჭო!

_ ჰოდა, დააჭერინე-მეთქი, დააჭერინე! გაგვსროკეთ აბა ყველანი, ჩაგვსხით! გარეთ არავინ დატოვოთ! _ ხელებს შლიდა ჭილა, ანუკი კი აწვებოდა, რომ როგორმე გარეთ გაეყვანა.

_ კარგი, ჭილა, გაჩუმდი, შენი ჭირიმე, ხმა აღარ ამოიღო, გთხოვ! _ აჩუმებდა ანუკი.

_ კარგი, მოვდივარ, ამათიც!

ჭილამ კარი გამოაღო და გამოვიდა. ანუკიმ ერთი კი მიხედა გამომძიებელს, მაგრამ არც ის დაემშვიდობა და კარი გაიკეტა.

_ ძალიან ცუდად მოიქეცი, _ საყვედურობდა ჭილას ანუკი, _ რომ მცოდნოდა, არ მიგიყოლებდი...

_ ძაღლები, ღორები, მთელი უბანი მაგათი გაფუჭებულია, ხან რას დააბრალებენ ბიჭებს და ხან რას! მე რომ უპატრონო ვყოფილიყავ? თხუთმეტი წელი მოხდილი მექნებოდა, ჰო, რა იყო, არ გჯერა?

_ ვიცი, მაგრამ, ახლა არ იყო ეს საჭირო, ახლა ზედმეტი იყო ეს ყველაფერი. მე იმიტომ მივედი, რომ მინდოდა შევხვეწნოდი, მინდოდა გული მომელბო...

_ ვის? მაგათ გული სადა აქვთ, ანუკი! აუ, შენ სად ცხოვრობ, რა ქვეყანაში, არ იცი? შარშან ოცდაათი ათასი დააწერეს მამაჩემს, არაფერზე. ვიღაც ტიპმა ავტობუსში ქუდი მომხადა და გადამიგდო ფანჯრიდან. არ უნდა გამერტყა? ამას? თუ ეს ახვარი გავახარო და, აი, ნახავ! ამის გაჩალიჩებულია. რა არ ეკითხება? გამომძიებელი რასაც წერს, ისეც მიდის საქმე...

არ უსმენდა ჭილა ანუკის. ჩხუბობდა, იგინებოდა და იფურთხებოდა.

ანუკი კი თავზარდაცემული იყო. იცოდა, განა არ იცოდა, უკეთესს არც არაფერს ელოდა, მაგრამ ახლა, როცა ასე პირისპირ შეეჯახა სასტიკ და პირქუშ რეალობას, როცა,

პერსპექტივა მთლიანად შავი რატუშით ჩანდა შეღებილი, როგორც გვირაბში შესული მატარებელი ჩამონგრეულ ლოდებს შეასკდება და აკივლდება, ისე აკივლდა მისი სული...

“ოცი წელი, ერთი, ერთადერთი ღამე და მერე ოცი წელი? არა, ბოლომდე უნდა მივაწვე, თუნდაც შევაკვდე... მაგრამ რით? ამ ნაზი მკლავებით და სხეულით? როგორ, რანაირად უნდა გამოვტაცო ამ ღორებს ჩემი სიყვარული, ჩემი გოჩუნა”?..

ანუკი პროკურატურაში წავიდა. ქალაქის გენერალური პროკურორის სახელზე შეატანინეს განცხადება. გოჩუნასთან პაემანის ნებართვას ითხოვდა. სამი დღის მერე პასუხზე წერილების განყოფილებას მიაკითხა. თქვენი წერილი განხილული და ხელმოწერილია, მაგრამ არცერთი მოადგილე არ არის. განყოფილების ხალხია და მათთან შედიო, ურჩიეს.

განყოფილების მისაღებში პატარა რიგი იყო. ერთი ინვალიდი ბიჭი, რომელიც “კალიასკაში” იჯდა იათოსავით, რომ დააშტერდა ანუკის, თვალი აღარ მოუცილებია. ანუკის ცოტა ხანში რიგიც მოუვიდა და შევიდა.

განყოფილებაში, ოთხი კაცი იჯდა. სულ ახალგაზრდები იყვნენ. ოთხივეს საქმიანი ეჭირა. ისეთი იერი ჰქონდათ, მათზე ჭკვიანი დედამიწის ზურგზე სულიერი არ ჭაჭანებსო, იფიქრებდა მათი შემხედვარე კაცი. ყველას ვიღაც ეჯდა მაგიდასთან და ჩუმად უხსნიდნენ საქმის ვითარებას. ანუკის დანახვაზე, ოთხივემ თავი აიღო და ანუკის შეხედეს. მერე კი ერთმანეთს გადახედეს. ანუკი მიჩვეული იყო, კაცები რომ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ ახლა კი შეკრთა და კართან უხერხულად გაჩერდა.

_ ერთი წუთით, _ ანიშნა ზრდილობიანად მარჯვენა კუთხეში მჯდარმა ახალგაზრდა ბიჭმა და მის წინ მჯდარი ქალბატონი გაისტუმრა. _ მობრძანდით!

ანუკი სკამის კუთხეში ჩამოჯდა და ჩანთა მუხლებზე დაიდო.

_ გისმენთ, _ უთხრა ბიჭმა და თვალებში შეხედა.

_ განცხადება მქონდა შემოტანილი, ჩემი ქმარია დაჭერილი და პაემანის უფლებას ვითხოვდი.

_ გვარი.

_ გოჩა კობერიძე.

_ თქვენი.

_ ანუკი მესხი.

_ ააა, მეთქი საიდან მეცნობა...

და ბიჭმა ლაპარაკი აღარ განაგრძო, კომპიუტერში შეიტანა გოჩუნას გვარ-სახელი და ანუკის თანაგრძნობით შეხედა.

_ უარი როა, გენაცვალე, რა გიშველო?

_ რატომ? _ ანუკიმ იგრძნო როგორ აასხა სისხლმა ტვინში.

_ დანაშაულია, დამამძიმებელი გარემოებებით, გაუპატიურება... _ ბიჭი დამარცვლით კითხულობდა მონიტორის ეკრანზე ტექსტს და უცბად ანუკის მიუტრიალდა. _ თქვენი გამკვირვებია, რა, ამ ქალების. თქვენს ადგილზე სიხარულით გავგიჟდებოდი, ასეთი დამნაშავე, რომ თავიდან მომეცილებინა. თქვენ კიდევ, დადიხართ და შეხვედრას ნატრობთ?

_ ის უდანაშაულოა, _ წამოდგა ანუკი, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ბიჭის დამცინავმა იერმა უკარნახა, რომ მის ნათქვამს არავითარი ფასი არ ექნებოდა და გაჩუმდა. _ თქვენ, ამას ვერ გაიგებთ, _ უნებლიედ წამოსცდა და კარი გამოიკეტა.

ქუჩაში გამოსულს წინ ცივი ქარი შემოეფეთა. რა უნდა ექნა ანუკის ამ უსულო და უგულო ქვეყანაში? მარტო იყო ანუკი, მარტოდმარტო. ქალაქი კი ბორგავდა, ქუჩაში მანქანების საცობი გაკეთებულიყო და იდგა ერთი ღმუილი და პიპინ-ჭყვიტინი სიგნალების. ასე ეგონა ქალაქიც მასთან ერთად ბღაოდა, მისი სულის მსგავსად. ნუთუ შეიძლება, რომ ერთი გიყვარდეს და მეორე გძულდეს? ან ყველა გძულდეს და ერთი გიყვარდეს? ან ყველა გიყვარდეს და ერთი გძულდეს? იქნებ სიყვარულიც და სიძულვილიც დაავადებაა და სხვა არაფერი? გადამდები დაავადება, ისევე როგორც

გრიპი, ჭლექი... იმწამს ანუკის ყველა და ყველაფერი სძულდა, მთელი დედამიწა, სამყაროც და გალაქტიკაც, თავის მზითა და ვარსკვლავებით, თავის ასტეროიდებითა და უსასრულობით.

შინ, იათოსთან დაბრუნებულ ანუკის, რა თქმა უნდა, მარტოობა ერჩია, მაგრამ იქ იათოს გარდა, მზეონა და ჭილაც დახვდა. ჭილას სამწვადე და ღვინო მოეტანა და ახლა წინსაფარაფარებული, შუშაბანდში ტრიალებდა. თან მზეონას რაღაც ანეკდოტებს უყვებოდა და ართობდა. რას წარმოიდგენდნენ ან ერთი, ან მეორე, ან მესამე, ანუკის გულში რა ქარიშხალი ტრიალებდა, რომ ანუკის იმწამს არავის დანახვა არ სურდა.

_ არაფერს მაკეთებინებს, ქალებმა საჭმლის კეთების რაი იცითო, _ ღიმილით უთხრა მზეონამ ანუკის. _ სამი კილო მოიტანა, ორი კილო მარტო მე უნდა შევჭამოო.

_ სად იყავი? _ შეეკითხა ჭილა ანუკის.

_ ციხეში, მამაჩემის ამბავი მაინტერესებდა, _ უპასუხა ანუკიმ.

_ მერე?

_ ვერაფერი გავიგე, _ იცრუა ანუკიმ.

_ რა ვერ გაიგე?

_ სად ჰყავთ.

_ ალბათ, ფული უნდათ.

_ ალბათ.

_ გოჩუნას ამბავი არ გიკითხავს?

_ არა, არა, არა! _ სწრაფად უპასუხა ანუკიმ.

_ ანუკი, იცი, რა? _ და ჭილამ ვეღარ დაამთავრა. უნდოდა ენუგეშებინა, მაგრამ რა ეთქვა, რით? _ მოდი, ვიქეიფოთ! რაც იქნება – იქნება.

_ არ მექეიფება, _ უთხრა ანუკიმ და ოთახში გავიდა.

იათო, რომელიც ტელევიზორს უყურებდა, თავის სკამიანად მისკენ შემობზრიალდა.

_ ანუკი, რა გაიგე? _ იათომ თვალები მოწკურა და ისე მიაჩერდა, თითქოს იმის მოსმენა კი არ სურდა, რასაც ანუკი ეტყოდა, არამედ, იმის გაგება და ამოკითხვა სურდა მისი ტვინიდან, რასაც ანუკი დაუმალავდა და არ ეტყოდა.

_ ვერაფერი, _ უთხრა ანუკიმ და ტახტზე გაუხდელად მიწვა. უნდოდა წუთით სული მოეთქვა. მაგრამ იათოსთან ერთად ერთ ოთახში ყოფნაც გაუჭირდა. შუშაბანდიდან ჭილას როხროხი და მზეონას კისკისის ხმა შემოვიდა. ანუკი წამოდგა და მათთან გავიდა.

_ ჭილა, ხომ მოგწონს მზეონა? _ მკაცრად იკითხა ანუკიმ.

ჭილა გაკვირვებული მოტრიალდა, არ იცოდა რა ეპასუხა.

_ მერე?

_ რა მერე? მოკიდე ხელი და წაიყვანე შენთან, ეგ შენი სამწვადეც შეგიძლია წაიღო და იქ შეწვა. მადონა ხომ სულ იმას ამბობს, აქაურს ვერ შევრთავ მთლად ხელიდან წავიდნენო.

_ მერე, მე? მე არაფერს მეკითხებით? _ იკითხა თვალებგაფართოებულმა მზეონამ.

_ შენ? _ მიუბრუნდა ანუკი მზეონას. _ ჭილამ ხელი მოგკიდოს და ისე გაგიხარდება, სულ კუნტრუშ-კუნტრუშით კი არ გაჰყვები?

_ მართლა? _ გაუკვირდა რატომღაც ჭილას.

_ ჰოდა, დავაი, ახლა ორივემ, მარშ, აქედან თქვენი პურმარილიანად!

_ აუ, შენ რანაირი მომღერალი ხარ, მომღერლებს როგორ უყვართ ქეიფი და... _ გაუტყდა ჭილას.

_ მე არ მიყვარს, მე სხვანაირი მომღერალი ვარ. _ და ანუკიმ თვითონ ჩაუყარა პარკში ჭილას დაჭრილი სამწვადე, ღვინოც ხელში დააჭერინა და კარი გამოუღო. _ ერთი წუთით. _ ოთახში შებრუნდა, მოუგროვა მზეონას სამოსი და გამოუტანა.

_ დედამისმა რომ არ მიმიღოს? _ საცოდავად იკითხა მზეონამ.

_ ჭილა რისთვისა გყავს? ერთს რომ დაჰკივლებს, არა? _ მიაჩერდა ანუკი ჭილას.

_ ჰო, _ თქვა ჭილამ და პირი ყურებამდე გაეხა.

_ ჰოდა, მეყოლეთ ვარდივით, აბა, ჰე! _ კარისკენ მიანიშნა ორივეს ანუკიმ.

ჭილამ გაალაჯა და მზეონაც გაჰყვა.

_ დამელოდე, ეე, ჩემზე წინ გარბის, _ ერთიც მოხედა მზეონამ ანუკის, თვალი ჩაუკრა და ჭილას ხელკავი გამოსდო.

ანუკი უკან შებრუნდა. ჯინსი ამოიცვა და წასასვლელად მოემზადა.

_ სად მიდიხარ? _ შეეკითხა იათო.

_ დედა მინდა ვნახო, მალე დავბრუნდები, _ უპასუხა ანუკიმ და კარი გაიკეტა.

როგორც სამი წლის უნახავები ისე გადაეხვივნენ დედა-შვილი ერთმანეთს. და ანუკი აბღავლდა, ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში, ასლუკუნდა და ცრემლის ტბაც დააყენა. დედა კი ამშვიდებდა, ეფერებოდა და ესიყვარულებოდა.

_ დედა, კიდევ ვერ ვნახავ, კიდევ ძალიან დიდხანს...

_ კაი, ჩემი გოგო, დამშვიდდი, ნუ დარდობ, სად დაგვეკარგე, კინაღამ გავგიჟდით.

ანუკი დამშვიდდა და დედა შვილს შორის სერიოზული საუბარი გაიმართა.

_ არ ვიცი რა ვქნა, _ დაიჩივლა ნინიკომ. _ ჩვენი საავადმყოფოში დარჩენა აღარ შეიძლება, საწოლები სჭირდებათ. _ ეს კი ჯერ უნდა იწვეს, _ სანდროზე თქვა ნინიკომ, _ როდის ეს ფეხზე გაივლის...

_ რას იხდით, რანაირად იხდით? _ დაინტერესდა ანუკი.

_ რას ვიხდით, ანუკი, შემოსვლისას რაც გადაგვახდევინეს, წამლების თუ თაბაშირის, ეგ იყო, მერე არაფერი გადამიხდია. მთავარი ექიმი, ტატო ნემსაძე ჩემი თანაკლასელია. მაგრამ სადამდე, სულ აქ ხომ არ ვიცხოვრებთ? გამოვიდეთ და სად წავიდეთ? ორას დოლარზე ნაკლებად ბინას ვერ იქირავებთო, ყველა იმას მეუბნება.

_ ეს თუ უნდა დარჩეს, შენ და მარიეტა ჩემთან წამოხვალთ, იათოს გაუხარდება კიდეც...

მართლაც ასე მოხდა, ანუკი იათოსთან დედასა და ბებიასთან ერთად დაბრუნდა. იათოს თვალები რომ გაუფართოვდა, ასევე დარჩა გაფართოებული, თუმცა პირს აღარ აჩერებდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მოსაყოლი კი ბევრი ჰქონდა, საოპერო რეპერტუარიდან, ვერც ამოწურავდა ვერაფრით.

“ზოგი ჭირი მარგებელიაო”, იათოს ასე დაემართა. სამი ქალი უვლიდა. მორიგეობით. განა რა უნდოდა იათოს? ტკბილი სიტყვა, ნუგეში და მომსმენი. ჰყვებოდა, რაც რამ გადახდენოდა, ნათამაშებ როლებსა და ნაოცნებარებზე და ქალებიც უსმენდნენ. კაი, თუ ნინიკო და მარიეტა ანუკისიანები იყვნენ, ეს მზეონა ვინღა იყო? მისი რძლის ნათესავი? არა, ცუდი გოგო არ იყო, ეგ იყო, რომ თვალებს უცნაურად აცეცებდა მუდამ... ეშმაკია, ნამდვილი ეშმაკიაო, დაასკვნა იათომ.

რაღაცით ხომ უნდა ერჩინათ თავი და ნინიკომაც “პინგვინები” აიყვანა, ინგლისურს ასწავლიდა. ორივენი, მისმა თანაკურსელმა, თამრიკომ მიუყვანა, თვეში ორმოცდაათ დოლარად. ორ-ორი თვისა თვითონვე, თამრიკომ მიაცემინა წინასწარ და ქალებმაც შვებით ამოისუნთქეს. კოტიკოს ხმა მიეწვდინა ციხიდან, მე არა მიშავს, თქვენ თავს მიხედეთო და ნინიკომაც, ასე თუ ისე, აიწყო ცხოვრება. ქმარი ისე აღარ ანაღვლებდა, როგორც შვილი. მითუმეტეს, ანუკი გაენდო, “ქალურობა” არ მქონდაო და რატომაც არ ჰქონდა, ერთმაც და მეორემაც, კარგად იცოდნენ. ნინიკო ხვდებოდა, რომ ანუკი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა, ეს მის ხასიათში არ იყო, არადა, წარმოდგენა არ ჰქონდა, შვილს როგორ დახმარებოდა. კოტიკოს დაჭერის შემდეგ, ვინმესთან სამათხოვროდ კი არა, ქუჩაში გასვლაც ერცხვინებოდა. ან იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ დედაც და შვილიც ერთ დღეში იქნებოდნენ? ორივეს ციხეში ეყოლებოდათ კაცები? “არა, არა, არა, რაღაც საშინელი რამ ტრიალებს ქართველი კაცების თავს, _ ფიქრობდა ნინიკო. _ ზოგნი მთლად დაჩმორდნენ და სამუდამოდ დაკარგეს კაცობა, ზოგნი მილიონებს ეპოტინებიან, ზოგნი ნარკოტიკებს და ათას შხამსა და საწამლავს, უმეტესობა კი, ციხეშია. ვისი ბრალია? მთავრობის, ხალხის თუ დროა ასეთი, გაუკუღმართებული”? _ ნინიკო პასუხს ვერ

პოულობდა. ანუკის გულჩახვეულს რომ ხედავდა, თვითონაც გული უკვდებოდა. ცდილობდა, ემხიარულა, ვითომ არაფერი ადარდებდა, უნდოდა როგორმე ქალიშვილი სტრესიდან გამოეყვანა. ერთხელაც, როცა მარიეტა ქმართან იყო წასული საავადმყოფოში, იათო ოთახში ტელევიზორის წინ სთვლემდა და ნინიკო და ანუკი კი შუშაბანდში ჩვეულებრივ, "ტყუილ წვნიანს" კარტოფილით და მწვანილით, მოდაღულ ხახვთან ერთად, სადილისთვის ამზადებდნენ, ნინიკომ ამ რთულ თემაზე საუბარი წამოიწყო.

_ რა მოგეწონა მაინც მაგ კაცში? ვერ ხედავ, რა ხდება? კაცების ცვენა როა ამ ქალაქში?

_ დედა, შენ ვერა ხარ, იცი, კარგად? თუნდ წყალს წაუღია მთელი საკაცეთი. მე ის ერთი კაცი მიყვარს და დამთავრდა.

_ ვიცი, შვილო, მაგრამ კაცები რომ სხვანაირები არიან? დღეს ერთი მოსწონთ, ხვალ სხვა.

_ იმას მარტო მე მოვწონვარ.

_ მეც მასე მეგონა, შენი ტოლი როცა ვიყავ. ჩემი ქმარი მთელ მსოფლიოს მიმტკიცებდა. სად აღარ მპირდებოდა წაყვანას. ყინულოვან ოკეანეში თუ კამჩატკის გეიზერების სანახავად, მაგრამ როგორც კი ფული გაუჩნდა ჯიბეში, ქუჩის ჩვეულებრივ კახპაზე დაუფიქრებლად გამცვალა.

_ დედა, იცი, რას გეტყვი? იქნებ შენი ბრალი იყო, იქნებ შენ დაუშვი რამე შეცდომა, რომ მამამ სხვა ქალთან ყოფნა ამჯობინა?

_ არ დაიჯერო, რა სისულელეა, ეს კაცის ხასიათია ასეთი, კაცების, ჰო, ჰო... სულ რომ ვერსკვლავებს ეთამაშებოდე და ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო, მაინც უცბად მოგიწყენს და სხვასთან გარბის. "კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს მაინც ენატრება სხვისა..."…_ მოიშველია ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტი ნინიკომ.

_ დედა, მე აღარ ვიცი, როგორ და რანაირად მოვიქცე და შენ დამდგარხარ და ლექსებს არაკრაკებ, კაი, რა? მოვრჩეთ ამაზე.

_ თუ გინდა, ერთად ვიაროთ. _ შეცვალა ტაქტიკა ნინიკომ. _ მე ჩემი ქმრის ამბავზე, შენ შენი საქმროსი. …

_ რომ მთელი ქალაქის დასაცინი გავხდეთ, არა? დაფიქრდი, რა, სანამ რაიმე სისულელეს იტყვი!

_ რა ვქნა, ანუკი, ძალიან მინდა დაგეხმარო, რამენაირად გიშველო, მაგრამ როგორ, რომ არ ვიცი?

_ მე მოვიცდი, _ თქვა ანუკიმ.

_ რა? _ შეიკუმშა დედის გული ცუდის მოლოდინში.

_ ჰო, დაველოდები ოცი წელი. როგორც ოდისევს პენელოპე. შენც ხომ გიყვარს ლიტერატურის მოშველიება საუბარში? შვილი მეყოლება, გავზრდი და დაველოდები.

_ გაგიჟდი? _ უნებლიედ წამოსცდა ნინიკოს. _ ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ მთელი ახალგაზრდობა და ყველაზე ძვირფასი, ულამაზესი წლები დაისამარო?

_ შენ ფიქრობ, რომ ქალი აუცილებლად კაცთან ერთად უნდა ცხოვრობდეს?

_ დიახ, გენაცვალე, შენს ადგილზე ნაყოფს ულაპარაკოდ მოვიცილებდი და გავთხოვდებოდი.

_ დედა, მეორედ აღარ წამოგცდეს ეგ, გაიგე?

_ გავიგე, გავიგე, მაგრამ რით, როგორ გინდა გაზარდო? შენ შვილის გაზრდა ამ დროში ადვილი გგონია? სწავლის გაგრძელებას არ აპირებ? თოთო ბავშვიანი რანაირად ისწავლი? თუ მაგ შენი ლამაზი ხმით აპირებ მილიონების შოვნას?

_ უფულოდ? გაგიჟდი? ვინ აგიშვებს სცენაზე? ვინ გამღერებს, ნინიკო, დღეს საქართველოში უფულოდ? ჩაყვინთა შოუ-ბიზნესმაც რა ხანია.

_ ჰოდა, მითუმეტეს. მთლად ნუ გადამიყვან ჭკუიდან. ეგ ბავშვიც ცოდოა თვითონ. მე გირჩევ მოიცილო, სანამ დროა და მეც გამათავისუფლო და შენი თავიც.

_ არა! _ მკაცრად თქვა ანუკიმ.

_ შენ მუდამ მასეთი ჯიუტი იყავი, გაუგონარი.

ნინიკომ მეტი ვეღარაფერი თქვა, მხოლოდ ტუჩი მოიკვნიტა და თავი გადააქნია.

_ შენ იცი, რომ რესპუბლიკის პროკურორთან შესვლას ვაპირებდი? შუბლაძესთან? _ უთხრა მცირე ფიქრის შემდეგ ანუკიმ.

_ მერე?

_ მერე, იცი, რა მითხრეს მისაღებში თანამშრომლებმა? როგორ გეკადრება, გენაცვალე, ჩვენც არ გვინახავს თვალით, მას მერე, რაც მინისტრმა წარმოგვიდგინაო. მილიონი განცხადება და წერილი გვიდევს განსახილველი და არ ვიცით, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. ცაშიაო სულ, პრეზიდენტის თანაკლასელია და გვერდიდან არ იცილებსო. დაიჯერებ? გაჩერებულია ყველაფერი, გაყინულიო...

_ გაეყინათ, მაგათ გული და სული. ნაძირლები. ნამუსგარეცხილები. კაცები? ერთი თიხით არიან ყველანი მოზელილები. შავი თიხით. _ ამოთქვა ნინიკომ და გაზქურა გამორთო.

ანუკიმ წვნიანი დაისხა. შეხვრიპა და წამოდგა. მერე ტანისამოსი გამოიცვალა. ერხელ კიდევ შეათვალიერა თავი სარკეში და შუშაბანდში გავიდა.

_ სად მიდიხარ, დედიკო? _ შეეკითხა ნინიკო.

_ ადვოკატი უნდა ვნახო გოჩუნასი, საქალაქო სასამართლოში, დალი კოდუა.

_ გულთან არაფერი მიიტანო, ხომ მაძლევ პირობას?

_ კაი რა, დედა, ჩემზე რომ იყოს... _ მეტი ვერაფერი თქვა ანუკიმ, გარეთ გამოვიდა. ნინიკომ თვალი გააყოლა და მოწყვეტით დაეცა სკამზე.

_ ა, ეს შენა ხარ ანუკი? გოჩამ მესაუბრა შენზე. _ უთხრა დალი კოდუამ და წინ გოჩუნას ჩვენება დაუდო. _ აი, შენ თვითონ წაიკითხე მაგის ჩვენება და მითხარი, როგორ, რანაირად დავეხმარო?

ანუკიმ ჩვენების ფურცელს ხელი ვერ შეახო, დახედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, სისხლი მოაწვა თვალებში, მერე კი გამომძიებელს შეხედა და მუდარით უთხრა.

_ ვერაფერს ვერ ვხედავ, უნდა დამეხმაროთ.

დალი კოდუამ, სახაზინო ადვოკატმა, კარგად იცოდა, რომ ანუკი მესხი, კოტიკო მესხის ქალიშვილი იყო და, ვინ იცის, ფულსაც ელოდა, ახლა კი ანუკის ნახვის შემდეგ, მიხვდა, ფულზე ლაპარაკი უადგილო და არაფრის მომცემი რომ იქნებოდა. თუმცა მაინც უთხრა:

_ მეც არ ვიცი, რა გითხრა, გენაცვალე. ადვოკატები ცარიელი ფიტულებიღა ვართ, ჩვენ ვინ გვისმენს, არავინ. მოსამართლეები კი ისეთ მტაცებლებად აქციეს, ისეთ მადაზე არიან. მარტო მილიონებზე ლაპარაკობენ, დაბლა არ ჩამოდიან. ფული ან ნაცნობობა. ან ერთი, ან მეორე. დანაშაული, უდანაშაულობა, ყველაფერი ზღაპრებია. გადატენილია ციხეები, გადავსებული, მაგრამ მაინც იჭერენ და იჭერენ, სიტყვა "პატიება" ციხის ლექსიკონიდან ამოღებულია, აღარ არსებობს... ხომ გესმის ჩემი? მისმენ? _ შეეკითხა ადვოკატი ანუკის, რადგან მის უსიცოცხლო და არაფრისმთქმელ თვალებში ვერაფერი ამოიკითხა.

_ მაშ როგორ უნდა მოვიქცე, რანაირად? _ შეეკითხა ანუკი და მუდარით სავსე თვალები მიაპყრო. _ არ მინდა მეც თავი მოვიკლა. _ როგორც ჩანს ელენიკოს გულისხმობდა ანუკი.

_ თავი რატომ უნდა მოიკლა, გენაცვალე? შენი სილამაზის პატრონი, ყოველთვის იპოვის გულისსწორს... ფულიან კაცს რა გამოლევს საქართველოში?

_ ფულიან კაცს? არასოდეს! _ წამოიყვირა იმპულსურად ანუკიმ.

_ რა არასოდეს? _ ვერ მიუხვდა ადვოკატი.

_ მე მარტო ის მინდა ვნახო. თუნდაც თვალი მოვკრა. ერთხელ კიდევ მაინც.

_ ეგ შესაძლებელია. ექვს თვეში ერთხელ პაემანი დაშვებულია.

_ ექვს თვეში ერთხელ? ხომ გავგიჟდი სანამ ექვსი თვე გავა.

_ ისიც იმ შემთხვევაში, თუ ახლობელი ხარ: და, ძმა, დედა, მამა, ცოლი...

_ თუ არა ვარ?

_ მაშინ ფული იქნება საჭირო.

_ რამდენი?

_ გააჩნია. შენ რა, ოფიციალური ტარიფები გინდა? რა სისულელეა. ალბათ, ვინც რამდენს ახერხებს, იმდენს იხდის.

_ გასაგებია, _ უპასუხა ანუკიმ. მისი ტვინი კი უკვე გამალებული მუშაობდა და ცდილობდა მიეგნო იმ ნასკვისთვის, რომლის საშუალებითაც იმდენი ფულის შოვნას მაინც შეძლებდა, რომ გოჩუნა კიდევ ერთხელ ენახა, ერთხელ მაინც მოეკრა თვალი.

_ იცი, რა? _ გააწყვეტინა ფიქრი ადვოკატმა.

_ ჰო.

_ წინასწარ უნდა შეეგუო, რომ იქ, პაემანზე სულ სხვა ვინმე დაგვხვდება. ჰო, ის აღარ იქნება, ვისაც იქამდე იცნობდი. ვინც გიყვარდა. ის სულ სხვა იქნება.

_ როგორ თუ სხვა?

_ ჰო, სულ სხვა. დამონებული, ღირსებააყრილი და გამოცვლილი, მთლიანად გამოცვლილი... ჰო, რას მიყურებ? შესაძლოა, უსულო და უგულო მტაცებელიც კი დაგვხვდეს. არაფერი, არაფერი ცვლის ადამიანს ისე, როგორც ჩვენი ციხე.

_ თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ვნახავ და გადამიყვარდება?

_ ალბათ...

_ ეს საშინელებაა.

_ მომისმინე, მამაც ხომ ციხეში გყავს, მამის ნახვა არ გინდა? _ ჰკითხა უეცრად დალი კოდუამ. _ თუ პაემანს დაამთხვევ და შენ მამას შეხვდებოდი, გოჩუნა კი თავის ახლობელს, ხომ გესმის? იქ ერთდრულად რამდენიმე წყვილი ხვდება ერთმანეთს.

_ მინდა, მინდა! _ წამოიყვირა ანუკიმ, რადგან მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლო იქნებოდა, მართლაც ენახა გოჩუნა, _ მაგრამ იმას რომ არავინ ჰყავს, ბებოს მეტი? იმას კი ფეხები აქვს მოკვეთილი და ინვალიდების სავარძელში ზის.

_ დაგორავს ეგ სავარძელი?

_ კი.

_ ჰოდა, მით უკეთესი შენთვის. მამაშენი აღარ დაგვჭირდება. ბებიამისს შენ შეჰყვები და მის სავარძელს შენ აგორავებ.

_ მართლა? _ გაუხარდა ანუკის.

_ ახლა კი თავისუფალი ხარ, დამირეკე და, როგორც კი შესაძლებელი იქნება, გოჩუნას შეგახვედრებ.

_ მაგრამ სასამართლომდე რომ არ შეიძლება შეხვედრა? _ გაახსენდა ანუკის.

დალი კოდუამ თვალები დახუჭა და თავი უკან გადააგდო.

_ მართალია, ეგ სულ გადამავიწყდა.

რა ცოტა სჭირდება ადამიანს, რომ სიკეთე ირწმუნოს და ბოროტება გადაივიწყოს. “რა კარგი ქალი ყოფილა დალი კოდუა”, _ ფიქრობდა ანუკი, როცა რწმენადაბრუნებული სახლში წავიდა. “როგორ გაუხარდება იათოს”... _ ასე ეგონა, მაგრამ როცა იათოს უთხრა: პაემნებზე უნდა გატაროო, იათოს სუნთქვა შეეკრა და ყელზე იტაცა ხელი.

_ არა, არასოდეს, არ შემიძლია, მე მოვკვდები იქ, გოჩუნა რომ გისოსებს იქით ვნახო. აღარ მითხრა მასეთი რამე, არ წამოვალ! _ ხელები გაასავსავა იათომ და გაკვირვებული ანუკი, პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

ან უფიქრია კი ვინმეს, უდანაშაულო ადამიანთან პაემანზე მისვლისას, რას განიცდიან მისი ახლობლები? ასეთებით კი ჩვენი ციხეები რომ სავსეა, ეს ხომ ყველამაც იცის, მთავრობამაც და ხალხმაც? ან ქრისტიანები ჰქვიათ მათ, ვინც დღეს სავარძლებში გამოჭიმულან და ალესილი ენით ერს ჭკუას ასწავლიან?

გოჩუნას სასამართლოზე ყველანი ერთად მივიდნენ. ანუკი, გიგო, კაენა, ჭილა და მზეონა. ეს უკანასკნელი, ჯერჯერობით, ჭილას არაოფიციალური ცოლი იყო, ჯვრისწერამდე, რა თქმა უნდა.

სხვები წინ დასხდნენ, ანუკი კი, სადღაც ბოლო მერხზე იჯდა და გოჩუნას თვალს არ აცილებდა. გოჩუნა ზოგჯერ გამოხედავდა და ანუკი ხვდებოდა, რომ ის მართლაც მაგრად

იყო შეცვლილი. ფიზიკურადაც კი, ციხის, მომწვანო-მოშავო ფერი დასდებოდა. ყვრიმალები ჩასცვენოდა და აბსოლუტურად უიმედო გამოხედვა ჰქონდა. ტუჩებს წინ სწევდა, თვალებს ახამხამებდა და თითქოს ქვედა ტუჩს იჭამსო, ისე ატოკებდა. კითხვებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მძიმედ და მოკლედ პასუხობდა. დარიგებული ჩანდა, როგორ უნდა ელაპარაკა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერმა უშველა.

როცა მოსამართლემ საბრალდებო დასკვნა წაიკითხა და ცხრა წელი, მათ შორის, შვიდი, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით გამოუცხადა, ფეხზე წამოდგა და ყვრიმალები აუტოკდა. ეტყობა მაგრად ცდილობდა თავის შეკავებას, ორივე ხელი სახეზე აიფარა და თმაზე გადაისვა.

უცბად ჭილამ, გიგომ და კაენამ სტვენა ასტეხეს, თან რაღაცას ყვიროდნენ. ანუკის კი აღარაფერი ესმოდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაცით ენუგეშებინა, მაგრამ ვერა, რომ დაეწება იმ სკამზე, ვერც კი წამოდგა. ყველაფერი დაენგრა. ძველი, ახალი, აწმყო, წარსული, მომავალი... ყველაფერი, ყველაფერი...

როცა გოჩუნას ბორკილები დაადეს და გაიყვანეს, მაშინღა წამოდგა, კარისაკენ გაიქცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... უცბად, კართან იმ წყეულს, იმ დამპალ გური ცინცაძეს არ შეეჩეხა? მაშინვე ჭილა ამოუდგა გვერდში და გური ცინცაძეს თითი დაუქნია.

_ მე შენ შეგისრულებ, რასაც დაგპირდი! _ უთხრა და ანუკი გაარიდა.

ანუკის აღარ ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს. ბიჭებმა შუაში ჩაიყენეს და გარეთ გამოიყვანეს. აგინებდნენ ქართულ სამართალს და გულს ამითღა იოხებდნენ. მზეონას კი ღვარად სდიოდა ცრემლი და შეშინებული, თვალგაფართოებული უმზერდა ამ ყველაფერს.

კოტიკოს, რომელიც პრივირეგირებულთა რიცხვში, თავისი წარსულის თუ ფულების გამო მოხვდა, მეორე დღესაც დაალაგებინეს საკანი, მერე კი, ნარზე თავადივით წამოგორებულმა გოკამ თითით თავისთან მიიხმო და გასაკვირი რამეები უთხრა.

_ შენ ეს ციხე, ნამდვილი ციხე არ გეგონოს. ნუ, ბედმა გაგიღიმა და ჩვენს საძმოში გაგამწესეს. იმასაც ხვდები, ალბათ, რომ ხუთვარსკვლავიანში თუ არა, სამვარსკვლავიანი სასტუმროს ნომერში ცხოვრობ და არა, ციხის ცივ საკანში, ხო ასეა?

_ ჰო, რა ვიცი... _ უპასუხა უხალისოდ კოტიკომ.

_ ჰოდა, შენი ჭკუით, რა ეღირება ერთი სუტკა, აბა გამოიცანი?

_ ათი ლარი? _ იკითხა დაეჭვებულვა კოტიკომ, თუმცა ან ეს ათი ლარი საიდან უნდა მოეტანა და როგორ უნდა გადაეხადა, წარმოდგენა არ ჰქონდა.

_ ხუთზე გაამრავლე, _ წარბი ასწია გოკამ და თვალებში ირონიულად ჩახედა.

_ ორმოცდაათი? _ გულწრფელად გაიკვირვა კოტიკომ.

_ ჰო, რა გაგიკვირდა, რა, ვერ იშოვი?

_ არ ვიცი, _ არ იცოდა, რა უნდა ეპასუხა კოტიკოს.

_ თუ აქ არ მოგწონს და გარეთ გინდა იყო, მაშინ ასი ლარი უნდა იხადო.

_ როგორ გარეთ?

_ როგორ და კარგად, ვისაც ფული აქვს გარეთ არი, არა? აქ რა უნდა. ჰო, რა იყო, რატომ გიკვირს? ვიღაცაზე იმასაც ამბობენ, ციხეში სძინავს და მერიის რომელიღაც განყოფილებაში მუშაობსო... აქ ისეთ რამე-რუმეებს გაიგებ, გარეთ არც დაესიზმრება კაცს.

_ თუ ფული არ გაქვს? _ ხმამაღლა გაიფიქრა კოტიკომ.

_ თუ ფული არ გაქვს? _ რატომღაც გაუკვირდა გოკას. _ გადაგაბრძანებენ მაშინ კარცერში, “ადინოჩკაში”, “სმერტნიკების” გვერდით.

_ რატომ, რა დავაშავე?

_ მეტი რა უნდა დააშავო, ფული არა მაქვსო გაიძახი. დაიმახსოვრე, სულ ერთია, აქ იქნება თუ გარეთ. ფული გაქვს? უდანაშაულო ხარ, არ გაქვს? დამნაშავე ხარ.

_ ჰო, შენ თუ დოლარებში ბანაობ, ვერ ხეხავ ცხრაწლიან “სროკს”?

_ ეს ხეხვაა, ბიჭო? მოახლე მყავს? მყავს. ქალაქის რომელ რესტორანშიც მინდა, ვგრიალებ? ვგრიალებ. აი, შენ კი, მე მგონი, მართლაც ხეხავ და უხათქუნებ კიდეც თავს კედელს.

_ მოახლეში ვინ იგულისხმე, მე?

_ ჰო, შენ. რა, არ გევასება, ჩვენი მოახლეობა? შავებთან ხომ არ გირჩევია, ჯიგარო, ან "სმერტნიკებთან"? გინდა, ქურდული ბაზარი გავუშვათ. ჰა, გინდა?

"ე, ეს ელამჭუტა", გაიფიქრა კოტიკომ, გარეთაც ბრიყვი იყო და ციხეში მთლად გამოქლიავებულაო.

_ მესხი, წავედით! _ გამოაცხადა მორიგემ სარკმელში.

კოტიკო, სანამ "შაჰთან" შეუშვებდნენ, აზრზე არ იყო, სად მიჰყავდათ.

"შაჰინ-შაჰი" რატომღაც უგუნებოდ იყო. კაბინეტში მდგარ ჭრელ ტახტზე მიწოლილიყო, ხელი გვერდით მჯდომ ტასიას მოშიშვლებულ "ბაღჩაში" ჩაეყო, პირში კი, გრძელი, მოოქროვილი მუნდშტუკი ედო, აღმოსავლეთში ჰაშიშს რომ აბოლებენ, ისეთი.

_ კოწიკ, შენზე ლეგენდები დადის, დიდი მაყუთის გამჭრელიაო, მართალია? _ ოდნავ ასწია დამძიმებული ქუთუთოები შაჰმა და უაზრო, ჰაშიშით დაბრეცილი თვალები მიაშტერა.

_ ფარას მეტი რა მქონდა, კაცს ვესროდი, გავჭყლეტავდი, მაგრამ ახლა ერთი თეთრიც აღარ მაბადია.

_ ჰაჰა, ჰაჰა, _ გადაიკისკისა ტასიამ, _ ხომ ვამბობდი.

_ მოიცა, რა, ტასო, რეპლიკების გარეშე, _ შენიშვნა მისცა ხასას "შაჰმა". _ მაშ, როგორ გავაგრძელოთ, ჩვენი ურთიერთობა?

კოტიკო ხმას ვერ იღებდა. ბოღმა ჰკლავდა. ისიც კი გაიფიქრა, რა მინდოდა ღვინის ბიზნესში, შევსულიყავ, რომელიმე პარტიაში და ამ ვირიშვილივით თანამდებობას მივწოლოდი, არ მერჩიაო? მაგრამ, ვინ იცოდა, თუ ეს მტაცებლები და მგლები მოვიდოდნენ სათავეშიო?..

_ არ გეწყინოს, რა, ჩემგან. რა გგონია, შენ, მე რა მრჩება, ჩემი ფეხები... არ იცი, რა მადა აქვთ? _ გადმობლიტა თვალები "შაჰმა" კოტიკოსკენ. დღეს უმაყუთოდ, ჰო იცი, ცოლსაც ვეღარ ჟიმავს კაცი.

_ ვიცი, _ ამოღერღა, როგორც იქნა, კოტიკომ.

_ ჰოდა, "პრაშჩაი, მილიი გოროდ"!.. _ შაჰმა თვალები მილულა, კედლისკენ გადაბრუნდა და ეგრევე ხვრინვა ამოუშვა.

ტასიამ ხელები გაშალა, ვერაფრით დაგეხმარებიო, თითი ტუჩთან მიიტანა, სსუო და კარისკენ ანიშნა.

კოტიკოს, "შაჰის" კაბინეტის კარს იქით მორიგე დახვდა, რომელმაც ხელში მისივე ჩანთა მისცა და წინ გაიგდო. კოტიკო მიხვდა, რომ "ტკბილი ცხოვრება" დამთავრდა, იწყებოდა რაღაც ახალი, სხვანაირი ცხოვრება. მოვარდისფროდ შეღებილი ყაზარმის ვიწრო დერეფანში რომ აღმოჩნდა, გული კიდევ უფრო დაუმძიმდა, ხოლო პატარა, ორ ნარიან, ბნელ საკანში, რომ შეაგდეს და კარი ჟღრიალით მიუკეტეს, ჩემი ბედიო, ხმამაღლა შეიკურთხა. მარცხენა ნარზე, ტრუსის ამარა, ახალგაზრდა ბიჭის სხეული იდო, რომელიც კედლისკენ იყო გადაბრუნებული და მიუხედავად კარის ხმაურისა, არც გადმობრუნებულა. საწოლებს შუა ორი პატარა ტუმბოჩკა იდგა, კოტიკო მიხვდა, რომ მარჯვენა, ცარიელი, მისი იყო.

აუ, ვინ იცის, მკვლელიცაა, ან ქურდი და მანიაკი, ან ვინ იცის, რა მელისო, გაიფიქრა კოტიკომ. ჩანთა ფრთხილად დადო საწოლის თავთან და ნარზე მიწვა. მერე ორივე ხელი თავქვეშ ამოიდო და ტუსაღების შემოქმედების კითხვას შეუდგა, რომელიც კედლებზე იყო ამოკაწრული. კარგა ხნის მერე ჩასთვლიმა. ესიზმრა, კახეთში, თავის უკიდეგანო ზვრებში, ჩალით გადახურულ, ღია ქოხში იჯდა და იქაურ გლეხებთან გრიალებდა. უცბად, ღვინის ჯამში გველის წლოკი შენიშნა. ჯამი ხელიდან გაუვარდა და გველის წლოკი ფეხებთან აეგორგლა. უნდოდა ფეხი დაედგა და გაესრისა, მაგრამ ფეხს ვერ სძრავდა ადგილიდან. წლოკი კი შარვლის ტოტში შეუძვრა და ზემოთ ააცოცდა. კოტიკოს

უნდოდა ეყვირა, მშველელი ეხმო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. გლეხები კი მის ტანჯვას ვერც ამჩნევდნენ, ღვინოს სვამდნენ და თავისთვის ხორხოცებდნენ. აი, გველის წლოკმა იმ ადგილამდე მიაღწია და უკბინა. კოტიკომ ისეთი ბღავილი ამოუშვა, გვერდით მწოლიარე ბიჭი ნარიდან წამოფრინდა და თავის ახალ მეზობელს განცვიფრებული მიაჩერდა. მისი განცვიფრება კიდევ უფრო გაიზარდა, როცა აბღავლებულ პარტნიორში თავისი სასიმამრო, კოტიკო მესხი შეიცნო.

_ აბა, გავედით, გავედით დროზე! _ სატუსაღოს კარი ღია იყო და რკინის კარებებზე ბრახუნი ისმოდა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა დაბნეულმა კოტიკომ.

_ ეზოში, "პრავერკაზე"! _ უპასუხა ვაჟმა და შარვალი ამოიცვა.

ეზოში, ერთი, ორმოცდაათამდე კაცი, ერთ ხაზზე გაამწკრიეს, თითო მეტრის დაცილებით.

კოტიკომ მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ტუსაღები შიშვლდებოდნენ. ტანისამოსს იხდიდნენ და წინ აწყობდნენ, მერე კი ორი ნაბიჯით უკან იხევდნენ. ყველაფერს იხდიდნენ და დედიშობილა რჩებოდნენ.

_ რას დამდგარხარ სირივით, შე ვირიშვილო, გაიხადე, რა, დროზე! _ მოესმა კოტიკოს მისი მისამართით ნათქვამი სიტყვები და ისიც სწრაფად შეუდგა გაშიშვლებას.

"ამ ტრუსიკის გახდა რაღაა", _ გაიფიქრა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. გაიხადა. ცდილობდა გვერდზე არ ეყურა, რომ შიშველი ტუსაღები არ დაენახა.

ორი მორიგე მიწიდან იღებდა, სათითაოდ ჩხრეკდა ტუსაღების ტანისამოსს და უკანვე სდებდა.

_ მარჯვნისაკენ, ზურგისაკენ! გაილაჯეთ! _ ბრძანებებს იძლეოდა შუაში, პირდაპირ მდგარი მორიგე და ასე ამოწმებდა, რამე ხომ არ ჰქონდათ ტუსაღებს გადამალლული.

"შეურაცყოფა, ღირსების აყრა, დამცირება, გათელვა"... _ ეს სიტყვები ტივტივებდნენ კოტიკოს ტვინში და ადამიანის არარაობაზე და სამყაროს უსამართლობაზე აფიქრებდნენ.

კოტიკოს ძალიან უკვირდა, რომ სატუსაღოში დაბრუნებულს, ბიჭი არაფერს ეკითხებოდა, თითქოს ვერც იცნოო, ზედაც არ უყურებდა.

_ რაზე ზიხარ? _ შეეკითხა ბოლოს თვითონ კოტიკო.

_ გაუპატიურებაზე, _ უპასუხა ბიჭმა უგულოდ.

კოტიკომ უნებურად სარცხვინებელზე შეხედა. ვაჟმა კი თვალები აახამხამა.

_ შემტენეს...

_ ჰო, ვიცი, დამნაშავეები გარეთ დადიან, უდანაშაულონი კი ციხეში ყრიან. _ ჩაილაპარაკა კოტიკომ. _ რამდენი მოგცეს?

_ შვიდი მკაცრი, ორი შრომა-გასწორება...

_ მაქსიმუმი.

_ ჰო...

_ ქალის გაჟიმვაზე, მადლობის მაგიერია? _ იხუმრა კოტიკომ, მაგრამ, ეტყობა, ბიჭს სულაც არ ეხუმრებოდა.

_ იმ ქალმა თავი მოიკლა მეორე დღეს, თორემ, გავაუპატიურე კი არა... _ ჩაილაპარაკა ბიჭმა.

_ რა გქვია?

_ გოჩუნა.

_ რა გვარი ხარ?

_ კობერიძე.

_ კარგი გვარი გქონია. მე გვარები ვიცი, მარტო გვარის გამო რომ უნდა ისხდნენ ციხეში, ჰო, ჰო, რა იყო? რამდენიც გინდა...

კოტიკომ ლაპარაკი ვეღარ გააგრძელა, რადგან სატუსაღოში, უცებ, ყველა კარზე ერდროულად ატყდა საშინელი ბრახაბრუხი და პატიმრების ღრიალი. კარებების ბრახუნში, რაღაც წესრიგი იგრძნობოდა, ერთდროული, მონოტონური... ღრიალიც თითქოს ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადაეცემოდა და ასე ხან მარჯვნიდან და ხან

მარცხნიდან შემოდიოდა ხმა, რომელიც ხან იკლებდა და ხან ძლიერდებოდა, და ასე, განუწყვეტლივ.

კართან მდგარი გოჩუნაც იგივეს აკეთებდა, კარზე მუშტებს აბრახუნებდა და ყვიროდა:

_ მკვლელებო! ჯალათებო! სისხლისმსმელებო!

ექსტაზი იმდენად დიდი იყო, რომ კოტიკოც მაშინვე აბღავლდა და აჰყვა ტუსაღთა იმ დიდ მასას, რომლებიც ციხის კედლებში იყვნენ გამომწყვდეულნი. კოტიკოს მოეჩვენა, რომ ექსტაზი, ძალიან დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა და დაუსრულებლად გაიჭიმა.

ბოლოს ავტომატების ჯერი და სროლის ხმაც გაისმა. ისმოდა, როგორ იღებოდა და იკეტებოდა სატუსაღოს საკნების კარებები ჯახუნით. სროლასთან ერთად კვნესამ, ბღავილმა, გინებამ და წყევლა-კრულვამაც იმატა.

გოჩუნამ კოტიკოს ხელი სტაცა და კართან, კუთხეში მიაჭყლიტა. თან უყვირა, არ გატოკებულიყო, ხოლო როცა კარი გაიღო და ავტომატის ლულა გამოჩნდა, სწვდა ლულას და ავტომატიც და მისი პატრონიც შიგნით შემოათრია. კოტიკო მიხვდა, რომ მასაც რაღაც უნდა ეღონა და ნიღბიან სპეცრაზმელს უკნიდან შემოაჭდო ხელები. და მისდა გასაკვირად, უნებლიედ გათოკა. გოჩუნამ კი წართმეული ავტომატის რკინის კონდახი, მთელი ძალით ჩასცხო თავში ნიღბიანს და მიუხედავად ჩაჩქანისა, მომხვდური გათიშა.

გოჩუნამ ისეთი სისწრაფით გააძრო სპეცრაზმელს ზედა სამოსი და გადაიცვა, რომ კოტიკო მისმა მოხერხებულობამ საოცრად განაცვიფრა. მაღალყელიანმა ფეხსაცმელმა გოჩუნას საშინლად მოუჭირა, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო.

_ წამოხვალ? გაგიყვან, როგორც ტუსაღს! _ დაუყვირა მან კოტიკოს და ნიღაბი თავზე გადაიცვა.

_ არა! არა! _ აყვირდა კოტიკო. თავისით ჩაბარდა და გიჟი იყო, გარეთ გაქცეულიყო?

გოჩუნა რომ გაქრა, კოტიკო კარს უკან ჩაჯდა, თან ციებიანივით აკანკალებდა. გარედან კი ისევ შემოდიოდა ჩექმების ბრაგაბრუგი, ტუსაღების ყვირილი და კარებების ბრახუნი.

ეზოში გამოვარდნილ გოჩუნას საოცარი სურათი დახვდა, მთელი ოთხსართულიანი სატუსაღო ცეცხლის ალში იყო გახვეული. ტუსაღები ფანჯრებს მისწყდომოდნენ, ბღაოდნენ და მაღლიდან ცეცხწაკიდებულ ზეწრებს ყრიდნენ. ეზოს ჩართული სირენის ხმაც აყრუებდა.

სპეციალურად, თუ რა, ანძაზე პროჟექტორი ჩამქრალი იყო. ციხის ორივე მორიგე კი, რომლებიც რკინის ალაყაფთან მორიგეობდნენ, სამორიგეო ჯიხურიდან გამოსულიყვნენ და გაკვირვებულები შეჰყურებდნენ ცეცხლმოდებულ ყაზარმას.

ავტომატმომარჯვებული ნიღბიანი გოჩუნა, მორიგეებთან მიიჭრა და მთელი ხმით დაჰკივლა.

_ რა ხდება აქ, ბიჭო? რა?

_ რა ხდება? _ იკითხა ერთ-ერთმა შეშინებულმა მორიგემ.

_ ვინ გამორთო პროჟექტორი, რატომაა პროჟექტორი გამორთული, სად წავიდა ანძის მორიგე, სად?

_ აბა, რა ვიცი, მე ეს კარი მაბარია მარტო, ჩვენ რას დაგვკივი? _ თავი იმართლა იმავემ, რომელსაც, გოჩუნა, რა თქმა უნდა, სპეცნაზელი ეგონა. შორს, ყაზარმის კუთხეში ნიღბიანი სპეცნაზელები გამოჩნდნენ, რომლებიც მწკრივში ჩამდგარნი თქარათქურით მორბოდნენ ალაყაფისკენ.

_ კარი გახსენით, ჩქარა! _ გასცა ახალი ბრძანება გოჩუნამ.

მორიგეები სამორიგეოში შევარდნენ. კიდევ ორი წამი და ჭიშკარი რელსებზე გასრიალდა. გოჩუნა კი ტყვიასავით გავარდა კარში.

_ აბა, გავედით, ჩქარა, ჩქარა! _ შემოესმა უკნიდან სპეცნაზელების მეთაურის ბრძანება.

სინათლე ქუჩაშიც ჩამქრალი აღმოჩნდა. სპეცრაზმელების ორი ყვითელი ავტობუსი ჭიშკართან იცდიდა. კოტიკო მეორე ავტობუსის უკანა კარს გასცდა და პირდაპირ წყლით სავსე, მჩქეფარე შადრევნის აუზში ჩაყურყუმელავდა.

დაქირავებული “სიკვდილის ბრიგადები”, თავიანთი ავტობუსებით, დიდი სისწრაფით გავარდნენ, მისთვის არც არავის სცხელოდა. კოტიკომ ამოყვინთა, ნიღაბი მოიძრო და ჯიბეში ჩაიტენა. პირდაპირ განათებული, მაგრამ დაკეტილი კაფე შენიშნა, იქით გაიქცა, შემოუარა და ზემოთ, ქალაქის გულისკენ გასწია. ქუჩა მანქანებით იყო სავსე. ფეხით მოსიარულენიც დადიოდნენ, მაგრამ მას ვერავინ ამჩნევდა. ფეხსაცმელი ფეხებს ამტვრევდა, ჯარისკაცული, სველი, უხეში სამოსი კი ტანზე ეკვროდა. მაგარამ ამ ყველაფერს ვინ დაგიდევდათ? თავისუფალი იყო და როგორმე ტანსაცმლის გამოცვლა უნდა მოესწრო. პირდაპირ სახლში მისვლა გადაწყვიტა, სანამ მისი ციხიდან გაქცევის ამბავს შეიტყობდნენ შინიდან წასვლას მოასწრებდა.

სახლში კოტიკოს ოთხი ქალი დახვდა. ანუკი, იათო, ნინიკო და მარიეტა. ოთხივენი ტელეეკრანის წინ მიმსხდარიყვნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეცენტრის მიერ გადაღებული მასალის შოკისმომგვრელ კადრებს ადევნებდნენ თვალს. სწორედ იმ კადრებს, რომელსაც ამ ნახევარი საათის წინ დააღწია თავი გოჩუნამ. “თერთმეტი მოკლული და უამრავი დაჭრილი”, აცხადებდა დიქტორი. “ღმერთო, ღმერთო”, ვიშვიშებდნენ ქალები, რადგან კოწიკო სწორედ იმ ციხეში იჯდა, ხოლო თავზარდაცემული ანუკი, პირგამშრალი და გათიშული, ერთთსადაიმავეს იმეორებდა. “ღმერთო გადაარჩინე, ღმერთო გადაარჩინე”... ის კი შინ არ გამოეცხადა? ჰო, გოჩუნა, ცოცხალი. თავდაპირველად ქალებმა სპეცნაზის აღკაზმულობაში გამოწყობილი გოჩუნას დანახვა, ტელეკადრების გაგრძელებად აღიქვეს და შიში და შოკი გაუასკეცდათ, მაგრამ როცა გააცნობიერეს, რაც ხდებოდა მათ თავს, ბუნებრივია, ის რეაქცია ჰქონდათ, რომელიც მოსალოდნელი იყო.

მიუხედავად გოჩუნას სველი და ცივი სამოსისა, ანუკი მთლად გადაირია. ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა, გოჩუნას ნაციხარ, მომწვანო-მოშავო სახეზე და იმდენ და ისეთ საალერსო სიტყვებს იგონებდა, ყოვლისმნახველი ქალებიც კი განაცვიფრა. იათომ კი, გოჩუნას კოცნის შემდეგ, რომ დახუჭა თვალები, გახელა აღარ უნდოდა, ალბათ, ფიქრობდა, რომ გავახელ გოჩუნა გამქრალი დამხვდებაო. სასიდედროები კი, ნინიკო და მარიეტა, ისხდნენ და ღვარად ჩამოსდიოდათ ლოყაზე ცრემლი.

_ შენ იცი, დღეს დილით რომ საკანში მამაშენი შემომიგდეს? _ გაახსენდა უცბად გოჩუნას.

_ ვაი, როგორ გამოიყურებოდა, როგორ იყო? _ იკივლა ანუკიმ.

_ ჰო, ჰო, _ წამოფრინდა სკამიდან ნინიკოც.

_ ცუდად არა, ყოველ შემთხვევაში... ეგ არის, რომ “ბუნტისას” გაქცევაზე უარი მითხრა და კურდღელივით იყო შეშინებული. ისე, გადარჩა, ცოცხალია. _ გამოაცხადა გოჩუნამ. აღარ დააყოლა. მე რომ არა, ვინ იცის, მკვდრებში ვყოფილიყავითო.

_ ვაიმე, რა მშიშარაა, რა მშიშარა... სად ციხე და სად კოწიკო. _ ხელისგულები ერთმანეთს მიატყუპა ნინიკომ.

მალე, ხმა გამოვიდა ქალაქში, თერთმეტი კი არა, თერთმეტჯერ იმდენი ჩაცხრილესო...

გოჩუნამ ცოტა სული მოითქვა თუ არა, ქალებს არ მოერიდა, სპეცნაზის სველი სამოსი მათ თვალწინ გაიძრო და ფეხსაცმელთან ერთად ჩანთაში ჩაჩურთა. ცელოფანის პარკში კი, ტრუსიკ-მაიკა ჩაყარა, უნდა ვიბანაო, გამოუცხადა ქალებს, ფარეხის გასაღები აიღო და გარეთ გავიდა.

მისი თვითნაკეთი “თერმექსიდან” ჯარ კი შავი წყალი წამოვიდა, მაგრამ მალევე დაიწმინდა. რა სასიამოვნო იყო, საკუთარ სახლში, საკუთარ აბანოში ბანაობა, მაგრამ იცოდა, რომ წუთები ჰქონდა და ჩქარობდა. ერთმა შხაპმაც კი, სულ ერთმა, ისე გამოცვალა, უკან რომ შებრუნდა, ქალებს თვალი დარჩათ ბიჭზე. იათოს სანთლები აენთო და ლოცულობდა. სხვები კი ისევ ტელეეკრანს დაბრუნებოდნენ. გოჩუნამ ჯერ ავტომატი დაშალა და ის ჩადო ჩანთაში, მერე კარადა გამოხსნა, მთელი თავისი სამოსი გადმოყარა, რაღაც-რაღაცები ამოარჩია, ისინიც ჩანთაში ჩატენა და მსუბუქად გამოწყობილი, წასასვლელად მზად იყო.

_ არ გაგიშვებ, არა, ვერსად ვერ გაგიშვებ, მეც შენთან მოვდივარ, _ გადაწყვიტა უცებ ანუკიმ და თავისი სამოსი იმანაც გადმოყარა კარადიდან. ბევრი ეხვეწა, ჯერ გოჩუნა, მერე კი დედა და ბებია, მაგრამ ნათქვამი ვერ გადაათქმევინეს

_ გემშვიდობებით! _ გოჩუნამ სამივე ქალი გადაკოცნა.

_ ბებო, ბებო! _ უთხრა იათოს და აკანკალებულ მკლავებში ჩაუვარდა. _ უნდა მაპატიო, ყველაფერი უნდა მაპატიო, მე არაფერი ჩამიდენია ისეთი, შენ ხომ გჯერა.

_ კი, კი, _ აქვითინდა იათო.

ახლა ანუკის ჯერი დადგა. ისევ აბღავლდნენ და აქვითინდნენ ქალები, ისევ ამშვიდებდნენ ახალგაზრდები.

მოკლედ, ანუკი გოჩუნასთან ერთად, როგორც ამბობენ, ბედის საძებნელად, იმ შუაღამისას, ქალაქის ქუჩაში გავიდა. მთელი ფული, რაც იმ მომენტში ოჯახში იყო, სამოცდაექვსი ლარი, უფროსებმა უმცროსებს დაუთმეს და გზა დაულოცეს.

_ სანამ ქალაქს დავტოვებთ, ერთი ვიღაც მყავს სანახავი. _ თქვა, გარეთ გამოვიდნენ თუ არა, გოჩუნამ.

ანუკი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ გოჩუნა იმ ვიღაცაზე შურისძიებას აპირებდა და გულში მტკივნეულად გაჰკენწლა.

_ ჰოო? _ ესღა მოახერხა ეთქვა. _ ღამე სად უნდა გავათიოთ?

_ მამკოდაზე, ყოფილხარ? _ შეეკითხა გოჩუნა.

_ არა, გამიგია, ისე... სად არის?

_ გლდანისკენ, სადღაც ზევით... _ და გოჩუნამ მანქანას ხელი აუწია.

ტაქსი გაჩერდა.

_ ხუთ ლარად წაგვიყვან მამკოდაზე? _ ჰკითხა მძღოლს გოჩუნამ.

_ ცოტაა, ლარიც დაამატე, _ როგორც ყოველთვის, მძღოლს ფული ეცოტავა.

_ რატოა ცოტა, გაზზე ხოა შენი მანქანა? _ მიაწვა გოჩუნა.

_ კაი, დასხედით. _ დაეთანხმა მძღოლი.

ტაქსი რომ გაუშვა და შამპინიონების სათბურის ჭიშკარს მიადგა, "ლადო" გაავებული გამოქანდა მათკენ და ისეთი ყეფა ასტეხა, თითქოს იმ სათბურს მთელი ბანდა დაეცაო.

_ ეე, უტვინო, ვერ მიცანი? _ უთხრა თუ არა, ეს სიტყვები გოჩუნამ, ძაღლი იმ წამს კუდის ქიცინზე გადავიდა და ენის წკლაპუნით ზედ შეაბობღდა. გოჩუნა ღაბაბზე მიეალერსა და ქოხიდან გამოსულ ტაროს, შორიდან აუწია ხელი. ეზოში, ძველი "ნოლ-ტრის" გვერდით, რაღაც "ფირმა" მანქანაც იდგა. ვა, ახალი მანქანაც რომ უყიდიაო, გაიფიქრა გოჩუნამ და ანუკის მოჰკიდა ხელი.

_ წამოდი, _ უთხრა და ქოხისკენ წაიყვანა.

_ აუ, შენ ჩემ თავს, ნაღდად, დააჭერინებ. _ მიახლოვებული იცნო თუ არა, არ შეშინებია, მაგრამ მაინც ოდნავ გაუტყდა, თითქოს, ტაროს. ქალს რომ შეხედა და მისი სილამაზე შეაფასა: _ არ მითხრა, ახლა, ეს მის მსოფლიოც "პაბეგშიაო", თორემ მთლად გადავირევი. _ გაიცინა, მერე კი, დიდსულოვნად გაუღო ორივეს კარი. _ მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა.

გოჩუნა ტაროს შეკითხვებს მოკლედ პასუხობდა. ტარო კი "ძაღლების" გინებით გულს იოხებდა.

_ რა ჯიში აქვთ, რა რჯული, ვინ არიან, მე მაგათი დედა... ორ თეთრს ვშოულობ და სამს ეგენი მაწერენ.

იორამი კი შემწვარ შამპინიონს მიირთმევდა და თავის კანტურით უმოწმებდა.

_ ეე, რჯული და ჯიში რო ჰქონოდათ... ურჯულოები არიან, ურჯულოები...

ორიოდ ჭიქა რქაწითელის მერე, კაცები უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ.

_ ეტყობა, შენი ბიზნესი ამართლებს, მანქანა გიყიდია. _ უთხრა გოჩუნამ ტაროს.

_ რა? მიყიდია კი არა, ჭილამ დამიადა, დაბადების დღეზე. მამამისმა ერთი ტოტალიზატორი კიდევ გახსნა და მაგარი მაყუთი მოარტყეს.

ტარომ მეტი დიდსულოვნება გამოიჩინა და “ხიბარა” ქალ-ვაჟს დაუთმო. მე მანქანაშიც გამოვიძინებ, არაფერი მიჭირსო. თავის ადიალა აიღო და გარეთ გავიდა. იორამი ისედაც სათბურში ჰყავდა გაგდებული და იქ იძინებდა.

ორი ერთმანეთზე და ერთ დროს სიცოცხლეზეც შეყვარებული ბიჭი და გოგო მარტონი დარჩნენ. დაძინებამდე გოჩუნამ სპეცნაზის სველი სამოსი ამოიღო და აქა-იქ გასაშრობად მიფინა.

ტაროს ორსართულიანმა საწოლებმა გოჩუნას ციხის საკანი გაახსენა.

_ არ ვიცი, ეტყობა, ეს ტარო კაი ოჯახისშვილია, ნახე, თეთრეული მუდამ სუფთა აქვს. _ და ერთ-ერთი საწოლის ქვეშაგები უჩვენა.

_ ჰოდა დავიძინოთ... _ თქვა ანუკიმ. _ მაგრამ ჯერ შენ უნდა ჩაგიგორდე.

დაწვნენ ერთად. ჩაეხუტნენ ერთმანეთს. და უცებ ანუკის ტირილი აუტყდა. ხმით, და ისე უცნაურად, ქარის ამოღებას რომ ეძახიან ხალხში, ამოსუნთქვას მშრალი ქარი რომ მოჰყვება გულ-მუცლიდან. ასე მკვდარს ტირიან ხშირად ახლობლები.

გოჩუნა ადრე დილით გავიდა სახლიდან. ანუკიმ კი ძილი შეიბრუნა.

კარში გავიდა თუ არა, გოჩუნას “ლადო” კუდის ქიცინით მიეახლა. გოჩუნამ მიუალერსა და თვალებში ჩახედა. “აი, ვინ იცის ნამდვილი ერთგულება”, _ გაიფიქრა და ტუალეტისკენ წავიდა. ტაროს “ნოლ-ტრიში” ეძინა. სავარძლის ზურგები გადაეწია, გარდიგარდმო გაწოლილიყო და ფშვინავდა. გოჩუნამ მანქანის კარი გამოხსნა და ტარო შეანჯღრია. ტარომ თვალი გაახილა და გაიზმორა.

_ რა გინდა? _ მიაჩერდა ის სპეცნაზის სამოსში გამოწყობილ გოჩუნას.

_ მანქანა უნდა მათხოვო, ეს, ახალი. _ უთხრა გოჩუნამ.

_ “თუ კაი საქმეზე მიდიხარ, მეც წამიყვანე”, _ ეხუმრა ტარო. _ “მღუპავ, არა? მღუპავ”...

_ ამ ტანისამოსში არავინ გამაჩერებს.

_ თუ პირიქით?

_ მათხოვე, _ ისე უთხრა გოჩუნამ, ტაროს რომ შესძლებოდა, აჩუქებდა კიდეც.

მოკლედ, ტარომ მანქანის გასაღები მისცა. ძველი “ფიატ-ტიპო” აღმოჩნდა.

_ რამე თოკი გექნება. _ სთხოვა გოჩუნამ.

_ თოკი? “ბუქსირი” დევს საბარგულში, ხუთმეტრიანი.

_ ჰოო, კარგი მაშინ. დღესვე ამოგიყვან უკან. _ უთხრა გოჩუნამ. ავტომატი უკანა სავარძელზე დადო და ქალაქისკენ დაეშვა.

დილის შვიდი საათი იქნებოდა, გოჩუნამ მანქანა თავის ეზოში რომ გააჩერა და კაენას სახლის კარზე ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი კაენას დედამ, ქალბატონმა მარინამ გაუღო. მარინა პედიატრი იყო და როგორც მეზობელ პედიატრს, გოჩუნა ბავშვობაში ბევრჯერ გაუსინჯავს. ასე რომ, ამ ბიჭზე მცირე ამაგი მასაც ჰქონდა და გოჩუნას ამბავს გულწრფელად განიცდიდა. მართალია, ასე იყო, მაგრამ სპეცნაზელის ფორმაში გოჩუნა რომ ამოიცნო, მაინც გულს შემოეყარა.

_ გოჩუნა, შენ? როგორ, საიდან, რანაირად? _ ერთბაშად მიაყარა და კარი შეშინებულმა მიხურა. _ სძინავს ყველას. _ და მარინამ გოჩუნა სამზარეულოში შეიყვანა. _ ახლავე გავაღვიძებ, _ უთხრა და კაენა გააღვიძა. _ გოჩუნაა მოსული. სამზარეულოშია.

“გოჩუნაო?” კაენა საწოლიდან წამოფრინდა და სამზარეულოში შევარდა, მარინამ საცოდავად გაიქნია თავი და უკან მიჰყვა.

_ ბიჭო, შენ, გამაგიჟებ მე. ეს რა გაცვია, ეე? _ თვალები წამოსცვივდა კაენას გოჩუნას დანახვაზე. და კაენა დედას მიუბრუნდა, რომელიც სამზარეულოს კარში უცნაურად გაჩხერილიყო. _ მარინ, გადი, რა, შენ! _ მარინა სასწრაფოდ გაშორდა. _ აუ, რა გიჟი ხარ! არაფერი, ტელევიზორში ერთი სიტყვა არ თქმულა შენზე. რა ხდებოდა, ტო, გაგიჟდნენ ეს ჩემალალები? დაჭერილი ხალხის ასე უმოწყალოდ ჩაცხრილვა გაგონილა?

_ მაგაზე მერე, _ უპასუხა ღიმილით გოჩუნამ. კაენა სულ არ შეცვლილიყო. ისევ ის იყო, გიჟი, ძმაკაცისთვის თავდადებული და მტრისთვის მაგარი “სკოლსკი”. _ უნდა ჩაიცვა და გამომყვე!

_ სად? _ არ ეყო მოთმინება კაენას.

_ ერთი ძაღლი უნდა მოვიყვანო ჭკუაზე.

_ როგორ? _ დაინტერესდა კაენა.

_ რავი, მინდა გავასილაქო.

_ მეტი არაფერი?

_ არა!

_ ძალიან კარგი, ორი წუთი მაცალე! _ კაენა პირის დასაბანად გავიდა.

მარინამ ჩაი გააწყო. ტორტით. კაენა შემოვიდა. გოჩუნას თვალით ანიშნა ჩაიზე და ტორტის მსხვილ ნაჭრებს გემრიელად დაუწყო კბეჩა.

_ ცოტა ბენზინი დაგვჭირდება, _ უთხრა კაენას გოჩუნამ ეზოში რომ გამოვიდნენ.

_ მაქვს, _ უპასუხა კაენამ და ფარეხიდან ხუთლიტრიანი ჭურჭელი გამოიტანა. _ გვეყოფა?

_ კი, _ უპასუხა გოჩუნამ, ჭურჭელი საბარგულში ჩადო და საჭეს მიუჯდა.

გამომძიებელი გური ცინცაძე, ზემო ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩის თავში, კერძო, ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. "ფიატ-ტიპომ" გოგებაშვილიდან აუხვია და ცინცაძის სახლიდან ცოტა მოშორებით გაჩერდა.

ცინცაძე მაგარ პახმელიაზე ბრძანდებოდა. ცხრა ხდებოდა ცოლმა ჭიშკარი რომ გაუღო და მანქანა გამოაყვანინა.

_ სტაფილო არ დაგავიწყდეს, სტაფილო! _ მიაძახა დაძრულ გურის და ჭიშკარი შეიკეტა.

_ აქვე მოვამთავროთ, _ თქვა გოჩუნამ და ნიღაბი თავზე გადაიცვა. უკანა სავარძელზე გადაწოლილმა კაენამ თავი მოიმძინარა.

გოჩუნამ ისე გადაკეტა ვიწრო გზა, რომ გურის გოგებაშვილზე გასვლა ვერ მოეხერხებინა. მერე კი ჩამქრალ ძრავს ვითომც ვერ რთავდა, გასაღებს ტყუილად აწვალებდა. გურის დიდხანს ვერ გაუძლო ნერვებმა, თავისი მანქანიდან გადმოხტა და "ტიპოსთან" მიიჭრა. ჩვენში ხომ ყველა ძალოვანს ქვეყანა მარტო თავისი ჰგონია. ნიღბიანი ფორმიანის დანახვაზე ცოტა კი შეცბა, მაგრამ სანამ რაიმეს თქმას მოასწრებდა, გოჩუნა მანქანიდან გადმოვიდა.

_ არ იქოქება ეს ჩემალალა, გუშინ ვიყიდე, "სეკრეტზეა"? აბა შენ სცადე! _ და მძღოლის სავარძლისკენ მიანიშნა.

ალბათ, არ არსებობს მძღოლი, სულმა არ წასძლიოს, ასეთ მომენტში საკუთარი პროფესიონალიზმის გამოჩენა არ მოუნდეს და გაბრიყვებული გურიც საჭეს მიუჯდა. გადაატრიალა თუ არა გასაღები, ძრავი ახმიანდა, გურიმ კი საფეთქელთან რკინის სიცივე იგრძნო.

_ არ გაინძრე! მშვიდად! _ მოესმა ზურგს უკან და სანამ გამომძიებელი რაიმეს მოისაზრებდა, გოჩუნამ მენჯის ძვალთან გაჩრილი, პისტალეტიც ამოაძრო. მერე კი, განიარაღებულ ცინცაძეს კარი მიუკეტა და გვერდით მიუჯდა.

_ წავედით! _ უთხრა მან შეშინებულ კაცს და ქვემოთ გოგებაშვილზე მიანიშნა. _ მარჯვნივ! მარცხნივ! _ კარნახობდა გოჩუნა და გურიც მის ბრძანებებს ემორჩილებოდა.

პირდაპირ ვერის გაუქმებული სასაფლაოს ღია ჭიშკარს მიაყენეს.

_ შედი! _ უბრძანა გოჩუნამ და გურიმ ჩაისველა.

_ ნუ მომკლავთ, ბიჭებო, რა ხდება ამიხსენით.

_ მოკვლას არ ვაპირებთ! _ კბილებში გამოსცრა გოჩუნამ.

_ ზემოთ, სულ თავში! _ უბრძანა კაენამ და ავტომატის ლულა ჩაუკაკუნა.

ცინცაძეს თავი კისერში ჩაუვარდა. საფლავებს შორის მოასფალტებული იყო და მანქანაც ადვილად იკვლევდა გზას. ახლად გარემონტებულ ძველისძველ ეკლესიას გვერდი აუარეს და სულ ზევით, სასაფლაოს თავში ავიდნენ. საიდანაც, როგორც ხელის გულზე ისე მოჩანდა მთელი თბილისი. აქ რამდენიც არ უნდა ეჭყავლა გური ცინცაძეს, ვერავინ გაიგებდა.

_ გააჩერე! არ გაინძრე! _ უბრძანა კაენამ.

გურის მუხლები უკანკალებდა. გოჩუნამ კარი გამოუღო.

_ გადმოდი!

გური მოკაკული გადმოვიდა, თითქოს, ერთბაშად, ასი წლით დაბერდაო.

_ გაიხადე! _ უბრძანა კაენამ.

გური ავტომატის და პისტალეტის ლულას თვალს არ აცილებდა.

_ ნუ მომკლავთ, ბიჭებო, ნუ მომკლავთ! წაიღეთ, ყველაფერი წაიღეთ, _ ლუღლუღებდა და ტანზე იხდიდა, ორიოდ წუთის წინ მრისხანე გამომძიებელი. როგორც ჩანს, შიშის გამო, გონებაზე არც იყო.

_ ეგეც! _ მიანიშნა ცარიელ ტრუსში დარჩენილ გურის კაენამ და ავტომატის ლულით ტრუსი ჩახადა.

გურიმ ტრუსიც გაიძრო და მთლად დედიშობილა დარჩა. გოჩუნა წინ დაუდგა და თავიდან ნიღაბი გადაიძრო.

_ მიცანი? _ შეეკითხა ის ცივად გამომძიებელს.

გურის თვალები გაუფართოვდა და ის იყო თავი უკან უნდა წაეღო, რომ გაშლილი სილა მოხვდა ყბაში. ერთი, მეორე, მესამე. გურიმ სახეზე ხელები აიფარა.

_ კარგი, კარგი! _ იყვირა მან და ჩაჯდა.

გოჩუნამ ფეხი ასწია, მაგრამ არ ჩაარტყა.

_ ცემაც არ გამოდის, ამ ლაჩრის! _ ჩაილაპარაკა და მიტრიალდა.

_ დაწექი! _ დაჰკივლა გამომძიებელს იარაღმომარჯვებულმა კაენამ.

გური მორჩილად გაწვა მიწაზე.

გოჩუნამ ბენზინიანი ჭურჭელი საბარგულიდან ამოიღო და გამომძიებლისკენ წავიდა.

_ ეგ არ გინდა, რა? _ წამოსცდა კაენას, რადგან ეგონა კაცს უნდა გადაასხას და დასწვასო.

_ არა, არა, მაპატიეთ! _ იბღავლა გური ცინცაძემ.

გოჩუნა მივიდა და ბენზინიანი ჭურჭელი მიწაზე გართხმული კაცის ტანისამოსს დააცალა. მერე განზე გადგა. ასანთის ღერს გაჰკრა და ისროლა. საწვავმა იფეთქა და უზარმაზარი კოცონივით აბრიალდა.

ბიჭები მანქანაში ჩასხდნენ. კაენამ ფანჯრიდან გადმოჰყო თავი.

_ სტაფილო არ დაგავიწყდეს, სტაფილო!

მეორე დღეს იმ უბნელები, ვიღაც ნუდისტზე ლაპარაკობდნენ, ქუჩაში ტიტველი დარბოდაო.

მანქანა ქვემოთ გამორთული ძრავით დაეშვა. გოჩუნამ მეორე მისცა და აქსელერატორს ფეხი აუშვა. ძრავი ჩაირთო. “ფიატ-ტიპო” სოლოლაკისკენ ვაკის ზედა გზით მიჰქროდა.

_ აუ, ახლაღა გამახსენდა, ტო. თორმეტზე, უეჭველი, ჭილასთან უნდა ვიყო.

_ ჭილასთან? რა ხდება?

_ ნიშნობა აქვს, ბიჭო. არ იცი, ვინ მოჰყავს?

_ ჭილა და ცოლი? კაი, რა? ორ დღეში ბალკონიდან გადაუშვებს. ვინ მოჰყავს?

_ მზეონა, ბებიაშენს რო უვლიდა. მადონა გიჟს გავს, მოხევურად უქცევსო. ენის წვერი უნდა წავაჭრაო.

_ მზეონა? რომელი რომელს წააჭრის ენას, ეგ კიდევ საკითხავია. ყაზბეგიდან რომ მომყავდა სულ თვალში თვალს მიყრიდა, ეგ მზეონა. არ დაუთრევია ორ კვირაში, ბიჭო, ქმარი?

_ აბა, ბიჭო, ეგრევე გამოადებილა.

_ ვინღა იხდის ნიშნობას?

_ მოხევეები. იმათ გაუჩმახებიათ, ერთ წლამდის ქალას ხელი არ დაეკარებისო, ჭილა ღადაობდა.

_ სად იხდიან?

_ დევისგორში, თავიანთ აგარაკზე.

გოჩუნა ფიქრებში წავიდა. გაახსენდა ჭილას აგარაკზე მაგარ დროს რომ ატარებდნენ. კაენაც გაჩუმებული იჯდა. გოჩუნა ეზოში აღარ შევიდა, ქუჩაშივე ჩამოსვა კაენა. მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

_ ამათი დროც მოვა, აი, ნახავ! _ უთხრა კაენამ და სანამ გოჩუნა თავის მანქანიანად თვალს მიეფარებოდა, ეზოში არ შევიდა.

გოჩუნა თორმეტის ნახევარზე უკვე მამკოდაში იყო. ანუკი ძაღლს ეთამაშებოდა, იორამი, როგორც ყოველთვის, თავის განუყრელი წნელით, ღობის ძირას მიმჯდარიყო და სიგარეტს აბოლებდა. ტარო კი, როგორც ჩანს, მაგრად ნერვიულობდა, რადგან მანქანის დანახვაზე სიხარულით გამოიჭრა ჭიშკრისკენ და გამოაღო. ანუკი ერთ ადგილას გაქვავდა. ფერი დაკარგა და ელოდა, გოჩუნა რას ეტყოდა. გოჩუნა მანქანიდან გადმოვიდა. ანუკის მიუახლოვდა და მშვიდად ჰკითხა.

_ ლადოს ეთამაშები?

_ ჰო, _ უპასუხა ანუკიმ და გულზე ერთბაშად მოეშვა.

_ შეგვიძლია წავიდეთ, მზად ხარ?

_ კი, კი, _ და ანუკი ქოხისკენ წავიდა.

_ მოიცა! _ მიაძახა გოჩუნამ.

_ ჰო, _ მოტრიალდა ანუკი.

_ რაღაც მინდა გითხრა.

_ მითხარი.

_ გინდა, ნიშნობაში გაგჩითო?

_ ნიშნობაში? ვის ნიშნობაში?

_ ნეფე ჭილა და მხევალი მისი, მზეონა, ინიშნებიან.

_ აუ, ბრავო, მე ჩავუწყე ეს მაგათ, რა მაგარი მაჭანკალი ვყოფილვარ.

_ წავიდეთ?

_ რო ჩაგვიშვას ვინმემ?

_ მეეჭვება, ვის რა დავუშავეთ, ან შენ, ან მე?

_ მართალია, ვინ იცის, ბოლო გრიალიც იყოს ჩვენი, საქართველოში...

ტარომ არაფერი იცოდა.

_ რავი, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, არც დაპატიჟებული ვარ. თუ გინდა, თქვენ მიგიყვანთ და მე უკან დავბრუნდები. სად იხდიან რო, იცი?

_ დევისგორში. ყოფილხარ?

_ მილიონჯერ, ბებიაჩემის სოფელია.

_ ჰოდა, წამო, მე გეპატიჟები.

_ არა, ტო, რას მიჰქარავ, სირცხვილია. დაუპატიჟებლად? _ იუარა ტარომ.

_ რა სირცხვილია. გაგიჟდებიან ყველანი მე რომ მნახავენ. მიდი, მიდი, მოემზადე.

_ რა საჩქაროა, ეგენი სამ-ოთხ საათამდე მაინც ვერ დასხდებიან. _ დინჯად მიუგო ტარომ.

ცოტა ხანში კი, სუფთად პირგაპარსული საჭეს მიუჯდა და სამივენი გლდანის ტრასით ქალაქისკენ დაეშვნენ. რაღაც ორმოც წუთში კი უკვე დევისგორშიც შეგრიალდნენ.

ჭილას ნიშნობა მისიანებს ნათლისღებისთვის დაემთხვიათ. ამიტომაც ტარომ და მისმა მგზავრებმაც ეკლესიის შემოგარენს მიაშურეს. როგორც წესი, სანამ დევისგორელები სუფრებს მიუსხდებოდნენ, ეკლესიასთან იყრიდნენ თავს და გარდა სანთლების ანთებისა და ლოცვისა, იქაური მკვიდრნი თუ სოფელში დღესასწაულზე ჩამოსული სტუმრები, თავისებურ საყოველთაო სეირნობას მართავდნენ. დრო იყო, ჭიდაობდნენ კიდეც დუდუკებზე, ახლა კი მხოლოდ საბავშვო გასართობები, მამალოები, ფოჩებიანი კანფეტები, ნახერხის ბურთები და საბავშვო რულეტკაღა იყო შემორჩენილი.

და დღეობის აუცილებელი ატრიბუტი, სოფლის გიჟი, რომელიც არასოდეს აკლია ჩვენს სოფელს და მუდამ ერთი და იგივე, ამოჩემებულ რეპერტუარს ასრულებს.

ახლაც ახლაგაზრდობის დიდ ნაწილს, სწორედ, გიჟ-ვახტანგას გარშემო მოეყარა თავი. ის კი, ბეჭით ეკლესიის კედელს მიჰყუდებოდა, მზის მხარეს, რა თქმა უნდა, და, როგორც ყოველთვის, თავის ფეხებს დაჰყურებდა.

_ ფეხი აიღე, შე შობელძაღლო! _ ბლუყუნებდა გიჟ-ვახტანგა. ახლაგაზრდობა კი იცინოდა. _ ფეხი აიღე, ბიჭო, შენ გეუბნებიან. აიღე-მეთქი! თორემ წამოვიდა აი, _ და თავის ხელჯოხს გამწარებული იქნევდა. _ გიჟია, ეს შობელძაღლი? არ გესმის? ფეხი აიღე, ბიჭო, ფეხი, შე შობელძაღლო!

გიჟ-ვახტანგა, სწორედ ამ დიალოგით იყო სახელგანთქმული. ცალი ფეხი, მეორეზე მოკლე ჰქონდა და რატომღაც, როგორც კი გაჩერდებოდა, ერთ ფეხს მეორეს აბიჯებდა, მერე კი ვერასდიდებით ვერ ადგამდა ნაბიჯს და ისიც თავის ყავარჯენს აქეთ-იქით იქნევდა, ალბათ ეგონა, ვიღაც სხვა აბიჯებდა და უნდოდა როგორმე თავიდან მოეცილებინა.

_ ვახო, ფეხი დაგადგა, ბიჭო, ფეხი! _ აქეზებდნენ სეირის მოყვარულები და ისიც ჯოხის ქნევას უმატებდა, ახლგაზრდობა კი "ეანგლებოდა" და ხან ჯოხს გასტაცებდა და ხან შეძახილებით აქეზებდა.

ახლაც შავ დღეში იყო გიჟ-ვახტანგა, ვერაფრით ფეხი ვერ აეღო ფეხიდან და თავისი გრძელი ცხვირით და დიდი შავი წარბების ქვეშ ჩამალული თვალებით, უაზროდ უმზერდა მოსეირეებს.

_ აუ, რა ცოდოა... _ ჩაილაპარაკა ანუკიმ შესაბრალისად.

_ რა ცოდო, მაგან განა იცის, რაც სჭირს... ცოდონი ჩვენა ვართ, ვინც გიჟები არა ვართ. _ დაასკვნა ტარომ.

_ ბავშვებო, შეეშვით, გაანებეთ თავი, თავისი უბედურება არ ეყოფა? _ მიმართა თორმეტ-ცამეტი წლის ბავშვებს გოჩუნამ, რომლებმაც ფორმიანი კაცის დანახვაზე აღარაფერი თქვეს და თუმცა უხალისოდ, მაინც გაერიდნენ გიჟ-ვახტანგას.

_ ეგ შენი ფეხია, შენ თვითონ უნდა აიღო, შენი ფეხსაცმელია, _ გაისმა ანუკის წკრიალა ხმა მაშინვე.

_ ვისი ფეხია? _ იკითხა გიჟ-ვახტანგამ თავისი ჩახლეჩილი ხმით, _ ვისიც არი, აიღე რა, შე შობელძაღლო, ვის ეუბნებიან?! _ და ისევ საკუთარი რეპერტუარის შესრულება განაგრძო.

_ წამოდით, წამოდით, ჭკვიანებს აღარაფერი ესმით ამ ქვეყანაში და გიჟს გააგებინებთ რამეს? _ ურჩია ტარომ და ორივეს ეკლესიაში შეუძღვა.

ეს ეკლესიაც ერთ-ერთ იმ ეკლესიათაგანი ჩანდა, რომლებიც უვიცმა ხალხმა რუსეთისგან გამოყოფის შემდეგ, საკუთარი ნება-სურვილით შეაკეთეს და რესტავრაციის ნაცვლად ბარბაროსული დახმარება გაუწიეს. ამაზე აშკარად მიანიშნებდა, კედლის მხატვრობაზე შეთითხნილი ბეტონის ხსნარი.

_ ნეტა, რომელი საუკუნისაა? _ იკითხა ანუკიმ.

_ აქაურებს თუ ჰკითხავ, გეტყვიან ქრისტეს დაბადებამდეა აშენებულიო, _ გაეცინა ტაროს. _ ვინ იცის, რას გაიგებ? აქ ახლო-მახლო ყველა გორაკზე ეკლესია თუ არა, ნანგრევი ნამდვილად არის. სწამდა ხალხს, ალბათ...

ანუკი რომ საეკლესიო მხატვრობაში ოდნავ მაინც ყოფილიყო განსწავლული, ადვილად მიხვდებოდა, რომ ქართულ დეკადანსთან ჰქონდა საქმე და ეკლესია მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ხატწერის ტლანქი სტილი და პრიმიტიული სამოსიც მოწმობდა, რომლითაც წმინდანები შეემოსა მხატვარს.

სამივემ სანთლები იყიდეს და დაანთეს.

_ აი, ეს არის იოანე ნათლისმცემლის ხატი. _ ჩარჩოში ჩასმულ მკრთალ ხატთან მიიყვანა ტარომ ქალ-ვაჟი.

სამივენი გაყუჩნდნენ და სანთლის მოციმციმე ალს შესცქეროდნენ. ალბათ გოჩუნასაც და ანუკისაც შეეძლოთ ეთქვათ, რომ, მართლაც, ღმერთის იმედადღა იყვნენ, ან მხოლოდ მათ? ეგებ, ნახევარ საქართველოსაც და მეტსაც?

_ ტარო, მოდი, მე და ანუკი გავისეირნებთ ცოტას და ოთხისთვის მანქანასთან მოვალთ. კარგი? _ უთხრა გოჩუნამ ტაროს, როცა ეკლესიიდან გამოვიდნენ.

_ არ დააგვიანოთ, რა? სანამ ხალხი დათვრება, თორემ ხომ იცით, მაგათ ჩემმა მტერმა უყურა ფხიზელმა.

_ არა, არა, არ დავაგვიანებთ, _ შეჰპირდა ანუკიც და ქალ-ვაჟი ტყიანი ფერდობისკენ ტაატით გაემართა.

ისინი ნელ-ნელა სცილდებოდნენ მთის კალთაზე მდგარ ეკლესიას, რომელიც მტკვრის ხეობას დაჰყურებდა და მეჩხერ, ჯაგნარიან ტყეს უახლოვდებოდნენ. შევიდნენ თუ არა ტყეში, ჩიტების ჟივილ-ხივილმაც იმატა, რომლებიც თხლუპე შვინდის ნაყოფს მისეოდნენ. როგორც ქართლ-კახეთის ტყეებს სჩვევია, აქაც თხილი და შინდი სჭარბობდა. აქა-იქ მაჟალო და პანტაც ერია. ძირს ჩამოცვენილი თხილის უმეტესობა თაგვებს გამოეხრათ, ამიტომ გოჩუნამ ტოტებზე შემორჩენოლ ნაჩურჩებში თითო-ოროლა თხილსღა მიაგნო და ანუკის გაუწოდა.

_ ანუკი, _ ისეთი ხმით წარმოთქვა გოჩუნამ, ანუკი მიხვდა, რაღაც აუცილებელი რამის თქმა სურდა ბიჭს, რაც აწუხებდა.

_ რა მინდა გკითხო, იცი?

_ ჰო.

_ მე ხომ წარმოდგენა არა მაქვს რა მელის?.. შენ?.. _ ვეღარ დაამთავრა გოჩუნამ.

_ მე? მინდა რომ გადაგარჩინო.

_ როგორ?

_ როგორც შევძლებ, აბა, რა ვიცი... სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ, როცა შენ მოკვდები, მეც მაშინ მოვკვდები...

გოჩუნა მიხვდა, რომ ანუკი სიმართლეს ამბობდა. თვალები აუწყლიანდა. ანუკისაც. ტუჩებმა თვითონ იპოვეს ერთმანეთი. მათ დიდ სიყვარულს ტყის მაჟორული სიმფონია ახმოვანებდა. მალე ორივენი ტყიდან გამოვიდნენ და ფერდობზე სირბილით დაეშვნენ, იცინოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. უხაროდათ მაინც რაღაც, ალბათ, მიუხედავად ასეთი უბედობისა, ერთად რომ იყვნენ ისევ? ან ეგებ ახალგაზრდული სენი, არსებობის იმ წამით ტკბობა, რომელშიც არსებობ ანუ მომავლის საერთოდ დაკიდება? ვინ იცის...

ირაკლი, ჭილას მამა, კომუნისტების დროს "სატყეოში" მუშაობდა. ისე ეკონომისტი იყო, უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და საბაზრო ეკონომიკას ადრიდანვე აუღო ალღო. თუმცა თავიდან ხელი ცოლეურებმა წამოჰკრეს, რომლებსაც რაიონში ჰქონდათ ბიზნესი. მერე კი თვითონ გაუტია. ჯერ "დეზერტირებში" პატარა სასადილო გახსნა, მერე, უნივერსიტეტი _ "ეკონომიკისა და სამართალმცოდნეობის", მერე ღვინის ბიზნესზე გადაერთო და ბოლოს კი, ტოტალიზატორებზე. ასე, რომ ცოლის სოფელში სამსართულიანი "ვილა" წამოჭიმა და აი, სწორედ ამ ვილაში იხდიდა იმ დღეს ვაჟის ნიშნობას. მეორე სართულზე, ზალაში, ჭილას აჟინების გამო, მარტო ახალგაზრდობა ჰყავდათ მიპატიჟებული. ნათესაობა ქორწილშიო. ახლა კი, ასე ორმოცკაციან სუფრას, ჭილას თანაკლასელები, თანაკურსელები და უბნელი ახალგაზრდობა მისხდომოდა. ირაკლი მსუქანი კაცი იყო, სუფრის თავში იჯდა და დინჯად თამადობდა. ახალგაზრდობა ხმაურობდა, თუმცა ირაკლი რომ წამოდგებოდა, ჩუმდებოდა და უსმენდა.

ახლად დანიშნულებისა და ოჯახის წევრების სადღეგრძელოები რომ მიამთავრა, ირაკლიმ უახლოეს, უმძიმეს წლებში წასული ახალგაზრდობა გაიხსენა. ისინი ხომ ძალზე ბევრნი არიან, ომი, უმუშევრობა, ქურდობა, ნარკოტიკი თუ ავარია, არც მათ უბანს და არც მთელ საქართველოს არ მოჰკლებია.

_ კაცებმა ფეხზე ადგომით მივაგოთ პატივი, _ გამოაცხადა თამადამ.

ბიჭები წამოდგნენ და კარიც გაიღო. დარბაზში გოჩუნა, ანუკი და ტარო შემოვიდნენ. ატყდა, მაგრამ რა ატყდა. გოჩუნას ბევრი იცნობდა. გაოცება, სიხარული, შეძახილები. სასწრაფოდ გაუთავისუფლეს სამივეს სუფრასთან ადგილები. სუფრის ერთ თავში ირაკლი იჯდა. მეორე თავში მზეონა, რომელსაც ისევ დაჰკრავდა ლოყებზე მოწითალო ჯანმრთელი ფერი და ჭილა, დამტკბარი, გაღიმებული. რომელიც ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და წარამარა ამბობდა:

_ მაინც შემაცდინეს... ქალი? ეშმაკზე ერთი დღით კი არა, ერთი წლით ადრე ყოფილა დაბადებული.

_ მე მინდა, ახლადშემოსწრებული წყვილის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, _ დაიწყო ირაკლიმ გოჩუნასი და ანუკის სადღეგრძელო. სუფრა უცბად გაჩუმდა, გაისუსა. _ რა სწრაფად გაჩუმდით, _ გაეღიმა ირაკლის. _ ჰო, მინდა დაგლოცოთ, მაგრამ არ ვიცი, როგორ დავიწყო, ან რა გითხრათ, _ მიმართა მან ქალ-ვაჟს. _ ორივენი ძალიან ლამაზები ხართ. კარგებიც, ალბათ. თქვენი ისტორია აქ ყველამ იცის. ახალგაზრდობა რომ არა, აქ, ამ სუფრასთან არ ისხდებოდით. აქ მყოფთაგან ვინმემ რომ სული სატანას მიჰყიდოს, თქვენ, არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ ამცდება სასჯელი. თუმცა, არამცთუ არ მეშინია, პირიქით, თქვენს ქცევაში, მე საქართველოს გაუტეხელ სულს ვხედავ. ჰო, ჰო, ასე მგონია, დღევანდელი საქართველოს სახე ხართ... ორივემ კარგად იცოდით, რომ თქვენი აქ მოსვლა ბეწვის ხიდზე გასვლა იყო, მაგრამ მაინც მოხვედით, არ შეშინდით. _ ირაკლიმ სუფრას გადახედა, _ აი, ვინ გადაარჩინა ამდენი ბუზანკალით გარშემორტყმული საქართველო, ერთის ვაჟკაცობამ და მეორის ქალობამ. და ერთსაც ვიტყოდი. მოსულიყოს, დამდგარიყოს ის დრო, როცა უდანაშაულო ქართველს, არავინ გააქცევს სამშობლოდან. როცა ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქმევა. აბა, ავიტაცოთ სადღეგრძელო! _ გამოაცხადა თამადამ და სუფრაც წამოიშალა. ყველას სურდა, ახლოს მისულიყო, დაელოცა და გადაეკოცნა ლამაზი, მაგრამ სამშოლოსავით გზაარეული წყვილი.

ლხინი ანუ ნიშნობა გვიანობამდე გაგრძელდა.

გოჩუნა და ანუკი მეორე დღეს ყაზბეგისკენ მიმავალ “მარშრუტკაში” ისხდნენ და სამომავლო გეგმებს აწყობდნენ. გეგმა კი საკმაოდ მარტივი იყო. საკუთარი, მშობლიური მიწა-წყლიდან გადახვეწა და, ვინ იცის, საქართველოს სამუდამოდ გადავიწყებაც...

თბილისი. 2007 წელი.